ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის

ანთოლოგია

ტომი მესამე

მე-XIX საუკ. პირველი ნახევარი

რედაქტორ-გამომღ. მოლ. ია ეკალაძე

ტფილისი
1930

ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა გამ-ბა "ზარია ვოსტოკა"-სი

შეკვ. 1163 ტირაჟი 5000. მთავ. 117

შინაარსი:

ბ3·

1. **შ. რადიანი**—მე-19-ე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის მამოძრავებელი ძალები . . . . . V VIII

2. **ალ. ჭავჭავაძე**—ვაჲ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა; ვაი დრონი, დრონი!; სახე შენი მე მახება მებადა; მუხამბაზი; სიყვარულო ძალსა შენსა...; მაისის ვარდმან ფურჩვნილმან; ბაიათი; ანაზდად ხილვამან მე შენმან, მზეო!; შენთან არს გული..., ჰსძგერს გლახ-გული...; ჰოი, ვით გვემტუნვა; სხვა და სხვა დროის კაცი; მუხამბაზი; ჰუსეინის გაფი; მუხამბაზი; შვენებაო...; სიყვარულსა შეუპყრივარ...; რასტის გუშა; ნუ მომკალ მწარედ შორ ყოფით, ბრძოლისათვის; პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ; მოვედ ამ არედ შესამკობელად; ქმუნვის მახვილი გულსა მსობია; მუსტაზადი; საყვარლისათვის; მუსტაზადი; სახე შენი როს ვიხილო; აჰა ესე ვარდ-ზამბახნი; მემთვრალისადმი; ძვირფასო საყვარელო; რუსული სიმღერა; მუხამბაზი ლათაიური . . . . . 1— 25

3. **გრ. ორბელიანი**—სადღეგრძელო; იარალის; თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში; მუშა ბოქულაძე; მუხამბაზი; საღამო გამოსალმებისა; პასუხი შვილთა; ჩემი ეპიტაფი . . . . . 26— 56

4. **ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი**—რუსთაველი; შეთქმა მეფის ირაკლის მეორეზე საქართველოში . . . . . 57— 62

5. **ნიკ. ბარათაშვილი**—ბულბული ვარდზედ; შემოღამება მთაწმინდაზედ; ხმა იდუმალი; ფიქრი მტკვრის პირას; ჩონგური; ჩემს ვარსკვლავს; ნაპოლეონ; თავადის ჭ... ძის ასულს ეკ... ნას; საყურე; რჩეული; სული ობოლი; ბედი ქართლისა; სატრფოვ, მახსოვს; ჩემი ლოცვა; მადლი შენს გამჩენს...; დამქროლა ქარმან...; როს ბედნიერი ვარ...; ცისა ფერს; საფლავი მეფის ირაკლისა; სუმბული და მწირი; რად ჰყვედრი კაცსა; ჩემს მერანს; სულო ბოროტო; ძია გ.... სთან; ჩემთ მეგობართ; არ უკიჟინო...; ვჰპოვე ტაძარი...; მიყვარს თვალები...; შენი დალალნი...; ღამე ყაბახზე...; ნ..., ფორტოპიანოზედ მომღერალი; ჩინარი; . . . . . 63— 93

6. **გ. ერისთავი**—გაყრა; დავა; ლექსები: სოფლის სიმღერა; ნიკ. მელიტონის-ძე ბარათოვის გარდაცვალებაზე; დედა და ქალი; შექმნა სეკრეტარისა . . . . . 94—127

7. **ბარბალე ჯორჯაძე**—ა... წ... ს; ელეგია; რას იბღინძები? . 128—129

8. **დ. ჭონქაძე**—სურამის ციხე... . . . . 130—167

9. **გრიგოლ რჩეულიშვილი**—ახ, მთვარეე, მთვარეე; ანუკა ბატონისშვილი... . . . . 168—202

10. **ლ. არდაზიანი**—სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი . . . . 203—241

11. **ვ. ორბელიანი**—პოეტს; კაცი ის არის; იმედი; ამერ იმერთ; გალია . . . . . 242—251

12. **მოკლე ბიოგრაფიული ცნობები** 252—256

მე-19-ე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის მამოძრავებელი ძალები

მარქსისტული მსოფლმხედველობის უდავო დებულებაა: ყოველი კლასი იბრძვის იმისათვის, რომ დაიპიროს საზოგადოებაში მისთვის შესატყვისი ადგილი, რომ შეასრულოს ის როლი, რისთვისაც ის ისტორიულად მოწოდებულია. ამ საერთო მოვლენას არ შეუძლია სათანადო გავლენა არ მოახდინოს კლასობრივ იდეებით გამსჭვალულ მხატვრული სიტყვის მეშაკზედაც-მწერალზედაც.

როგორც ცნობილია, მწერლობა მჭიდროთ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. მოვლენები, რომელსაც ადგილი აქვს ცხოვრებაში, სულ ერთია ეს იქნება ეკონომიურ-პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის, მწერლობაშიაც სათანადოთ ისახება.

მარქსისტული-მსოფლმხედველობის ამ დებულების სისწორეს ყველაზე უფრო ნათლად და გარკვევით ამტკიცებს მე-19-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარება, მისი ხასიათი და შინაარსი.

გარეშე მტრების შემოსევით დასუსტებულმა, შინაურ ძალების ერთმანეთთან შეჯახებით დაქუცმაცებულმა საქართველომ თავი შეაფარა თვითმყრობელურ რუსეთს. მაშინდელი ქართული საზოგადოების მესვეურები ფიქრობდენ, რომ რუსეთი მათი მხოლოდ მფარველი იქნებოდა, კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს მათი ბატონობის განმტკიცებას. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. თვითმპყრობელურ-ბიუროკრატულ რუსეთის მთავრობამ საქართველო სულ სხვა მიზნებით მიიღო მფარველობაში: საქართველო მისთვის წარმოადგენდა დამზადებული საქონლის გამსაღებელ და ნედლი მასალის მიმწოდებელ ბაზარს.

რუსეთის შემოსვლა საქართველოს ეკონმიურ ურთიერთობაში უდიდეს გარდატეხას, უდიდეს რევოლიუციას ახდენს. მრავალი საუკუნოების განმავლობაში საქართველოში არსებული ნატურალური მეურნეობა ეჯახება რუსეთის გზით შემოსულ სავაჭრო კაპიტალის მეურნეობას. გამარჯვებული ეს უკანასკნელი გამოდის. ეს კი იწვევს ჩვენი ცხოვრების რადიკალურ გადასხვაფერებას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამის შემდეგ ადგილს იჭერს ახალი სახის დამოკიდებულებანი ადამიანთა შორის.

თვითმპყრობელური რუსეთი გაბატონდა საქართველოში თავისი მოხელეებით, მართველობის ბიუროკრატული წესებით. ქართულს ყველაფერს ფერი ეცვალა. მრავალი საუკუნოების განმავლობაში საქართველოში არსებული ტრადიციები თანდათან ისპობოდა.

ტრადიციულ წესებზე აღზრდილი ფეოდალური არისტოკრატია ვერ ურიგდება ვერაფერს ახალს. ის კარგათ ვერც კი ერკვევა მომხდარ მოვლენების ხასიათში. ის მხოლოდ იმას გრძნობს, რომ მის ბატონობას თანდათან ეცლება ნიადაგი და მის ადგილს იპერს სხვა, უფრო მომქმედი და ენერგიული ხალხი.

თავად-აზნაურობა ხედავს, რომ მის ხმალს პირი უჟანგდება, აღარ არის მოთხოვნილება მის მოხმარებაზე. საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიაც მისი გავლენა თანდათან სუსტდება, რადგანაც მათ ადგილს რუსეთის მოხელეები იპერენ.

ამგვარად, თვითმპყრობელური რუსეთის საქართველოში გაბატონების შემდეგ, ქართველმა თავად-აზნაურებმა, ქართველმა ფეოდალებმა ვერ დაიპირეს პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში ის ადგილი, რომელზედაც ისინი აცხადებდენ პრეტენზიებს, რომელიც მათ წინათ ეპირათ.

ქართველი თავად აზნაურობა, რომელიც აუცილებელ ისტორიულ მოვლენათა წყალობით უკვე თანდათან დაქვეითების და დაცემის გზისაკენ მიემართებოდა, ცდილობდა კიდევ გაბრძოლებას არსებობისათვის, თავის კლასიურ პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მთელი წყება აჯანყებებისა (მთიულეთისა—1804 წ., კახეთისა – 1812 წ., ხევსურეთისა—1813 წ., იმერეთისა—1820 წ. და 1832 წ. „რომანტიული ამბოხება“ და სხვ.), რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ, წარმოადგენდა სწორედ ამ მიზნით წარმოებულ ბრძოლას. მაგრამ ისტორიის ბორბლის ტრიალის შეჩერება ძნელი იყო.

რაღა დარჩენოდა ასეთ პირობებში ფეოდალურ არისტოკრატიას, თავადაზნაურობას?—აწმყო მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ის არ წარმოადგენდა მათთვის ხელსაყრელს, არც მომავალი უქადდა მათ უკეთეს, ამიტომ მათ ისევ წარსულს მიაშურეს.

ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი მწერლები უარყოფენ აწმყოს, ის მათთვის ტანჯვის ასპარეზია, „ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო, შენში კეთილი სად არს ფერუცელელს...“ (გრ. ორბელიანი), „ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა, მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა, ოხვრა არის შვება უბედურისა“ (ნ. ბარათაშვილი). ისინი მიისწრაფიან წარსულისაკენ და იქ ეძიებენ თავიანთ იდეალებს. საქართველოს შორეული საუკუნოები მათთვის სრულყოფილობის გამოხატულებათ ხდება: „ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი, მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი: წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე და დამაშვრალს სულისა ჩემს სიტკბო მით განუახლე“ (ა. ჭავჭავაძე), „მამული ეეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს; დიდება ივერიისა, მასთან მარხია სამარეს“ (გრ. ორბელიანი), „დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი ჩვენ თვალწინ პირქვე ტიელათ ჰყრიან“ (ვ. ორბელიანი).

რომანტიკოსი პოეტები აცოცხლებენ თავიანთ პოეზიაში წარსულ საქართველოს სურათებს, რაც მათთვის დიდებისა და ძლიერების სიმბოლოთ არის გამხდარი. (ა. ჭავჭავაძე—„გოგჩის ტბა“, გრ. ორბელიანი—„სადღეგრძელო“, „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ვახ. ორბელიანი—„არის ადგილი“, „ირაკლი

და მისი დრო'' და სხვ.), იძლევიან თავიანთ პოეზიაში ბუნების კულტს (გრ. ორბელიანი—„საღამო გამოსალმებისა'', ნ. ბარათაშვილი—„შემოღამება მთაწმინდაზე'', „ჩინარი'' და სხვ.).

ამ სახით და მიმართულებით აისახა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში ის საზოგადოებრივი მოვლენები, ის გარდატეხა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მე-19-ე საუკუნის დასაწყისში...

ვაჭრობის თანდათანობითი განვითარება და ზრდა ხელს უწყობს საქართველოს ცხოვრების შეცვლას. პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობა საბოლოოდ სიკვდილისაკენ მიექანება. საავაჭრო კაპიტალი და შემდეგ სამრეწველო კაპიტალი მტკიცედ იკავებს საქართველოს ცხოვრების ასპარეზს.

ვორონცოვის ინიციატივით და მფარველობით ტფილისში არსდება რუსეთის ფაბრიკანტების საავაჭრო დეპო, რომელიც ჰყიდის რუსულ საქონელს.

1852 წ. ტფილისში გაიხსნა თამბაქოს დიდი ფაბრიკა. 1858 წ. კიდევ გაიხსნა თამბაქოს მეორე ფაბრიკა. შემდეგ წლებში კიდევ მოჰყვა მას თამბაქოსა და სხვა რამდენიმე ახალი ფაბრიკის გახსნა.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობა გაშლილი ფრონტით შემოდის. ის ისადგურებს არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებისაკენაც მიემართება, იქაც ეძებს დასაყრდენ ასპარეზს. თამბაქოს პლანტაციების მოწყობა საქართველოს ხხვადასხვა კუთხეში, ლაპარაკობს სოფელშიაც კაპიტალისტური ეკონომიკის მიერ საფუძველის ნახვის შესახებ.

განსაკუთრებით ფართე ასპარეზი საქართველოში კაპიტალისტურ მეურნეობას ეძლევა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ.

საავაჭრო კაპიტალი მტკიცედ იკიდებს ფეხს საქართველოში. ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნის დასაწყისი წლების ცნობებიც ამის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს. 1812 წ. ერთ-ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ალექსანდრე I მეფობის დასაწყისიდან საქართველოს ვაჭრობა ყოველ წლობით იფურჩქნება და ეს ქვეყანა ისეთ ფართო აღებ-მიცემას აწარმოებს, რომლის მსგავსი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს მეფეების დროს" („Акты", ტ. 5). 1817—1821 წლებში საქართველოს ვაჭრობა საზღვარ-გარეთთან შემდეგ ციფრებში გამოიხატებოდა: ყოველ წლიურად საქართველოში შემოჰქონდათ საშუალოდ 805, 315 მან. საქონელი. ამავე დროს გაჰქონდათ საქართველოდან საშუალოდ ყოველ წლიურად 166, 767 მან. საქონელი. შემდეგ წლებში ეს ციფრები თანდათან იზრდება. როგორც სწერს ამბ. ფ. მახარაძე „ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში მარტო რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება წლიურად, საშუალო რიცხვით, 5 მილ. მანეთს აღემატებოდა... მატულობდა და იზრდებოდა აგრეთვე ადგილობრივ დამზადებული საქონლის რაოდენობაც... უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ადგილობრივადაც დიდძალი ნაწარმოები ხდებოდა ყიდვა-გაყიდვის საგნად" („მნათობი" 1926 წ. № 3).

ახალი მეურნეობის ნიადაგზე ცხოვრების ასპარეზზე გამოდის ახალი კლასი-ჩარჩული ბურჟუაზია. ის ცხოვრების ყოველ სფეროს ეპატრონება.

ჩარჩული ბურჟუაზია თანდათან აცლის ნიადაგს თავად-აზნაურობას. ჩარჩული ბურჟუაზიისაგან სესხად აღებული ფულებით ატარებენ დროს თავად-აზ-

ნაურები. სამაგიეროთ მათ ადგილ-მამულს ხელში იგდებენ ახალი კლასის წარმომადგენლები.

თავად-აზნაურობა ეკონომიური მოძრაობის ფრონტიდან უკვე იდევნება. ამ მოვლენას კი შეაქვს რღვევა მათ ოჯახურ ურთიერთობაშიაც.

გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. მათი ცხოვრება კიდევ უფრო მეტად სამძიმო და აუტანელი ხდება.

აი, ასეთი ატმოსფერის შექმნა ნიადაგს აცლის რომანტიზმის იდეებით გატაცებას. ეხლა მწერლები უკვე თავს ირთობენ არა წარსულით, არამედ აწმყოს შეჰყურებენ პირდაპირ.

ცხოვრების რეალურ მოვლენათა ასახვა—აი, რა ხდება მწერლობის ამოცანა.

გ. ერისთავის, ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძის და სხვ. შემოქმედება სწორედ ამ ახალი მოვლენების სხვადასხვა მხარეთა გამოხატვას წარმოადგენს.

გ. ერისთავი გვიხატავს რღვევის პროცესს, რომელიც გამოიწვია ფეოდალურ ოჯახში ახალი ეკონომიკის შეჭრამ („დავა", „გაყრა"), გვაძლევს ახალი კლასის—ჩარჩული ბურჟუაზიის სახეებს („ძუნწი) და სხვ.

ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" წარმოადგენს ჩარჩულ ბურჟუაზიის წარმომადგენლის ბიოგრაფიას.

დ. ჭონქაძე „სურამის ციხე"-ში ერთის მხრივ, გვაცნობს ბატონ-ყმობის საშინელებას, და მეორეს მხრივ კი, ახალი კლასის წარმომადგენლის მოქმედებას და სახეს გვიჩვენებს...

როგორც ვხედავთ მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ პერიოდში ადგილი აქვს მთელ რიგ რთულ და უდიდეს პროცესებს, რომელნიც გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყვენ. ეს პროცესები სათანადო გავლენას ახდენენ ჩვენს მწერლობაზედაც. კიდევ მეტის თქმა შეიძლება: ეს პროცესები ამოძრავებდენ საქართველოს ლიტერატურას მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე.

შალვა რადიანი

ვა, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა

ვაჲ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ქურთა,
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით!
აქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულნი,
სძრახვენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი;
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი,—
განა რითა, ძმანო?
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით.
სამეფონი ურთიერთსა მცველობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხევლობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,
და ყვავილოვნებენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით.
ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა
მისთ ყვავილთა ფერხით ლახავს გზაზედა,
რომელნი სჭკნებიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით.
გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისდავე მიექცევის,
ყველაკაი წარუვალს, განელევის,
რაცა ჰქონდა პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით.
ზოგადნიმე სარგებლის საპოვნელად
დაარღვევენ სჯულსა დაუყოვნელად;
არ დაზოგვენ მსგავსთა თვისთა საკვლელად,
შეჰკრებენ საუნჯეს
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით.

1 ანთოლოგია ტ. III
I და II ტ. 528 გვ.

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით,
ატარებენ ჟამთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
მოხელენი, მათ გარეშე მდგომელნი,
ძმათა თვისთა შურ-მტერობის მქონელნი,
ჰკვლენ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომრჩომელნი,
და შეექცევიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდდეთ მათთან თანასწორებას!
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

ვაი დრონი, დრონი!

ვაჲ დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვნენ, განჰქრენ სიზმარებრ ჩქარად;
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,
არ გიკვირსთ მხედავთ კვლავცა სულ მდგარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად?!
გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.
იგიცა მელტვის, მიბრალეთ ამით,
უსახოდ ყოფა სჯობს მისთვის მკვდარად...
მე იგივე ვარ მარად და მარად.
მე ერთმან ერთ გზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად—
მე იგივე ვარ მარად და მარად.
თუმცა მას ჩემებრ უცავს სიმტკიცე,
ვიბრალებ რაყიფს, შვრების მომცდარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.
ჰსაჯეთ: პყრობილმან უწყისა ტრფობა?
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

სახე შენი მე მახება მებადა

I

სახე შენი მე მახება მებადა,
სრულ განმძარცვა, რაც რომ ცნობა მებადა.
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს,
მღერად ოხრვა, ლხინად გლოვა მებადა.

მე მოგმართე შენ მკურნალად დანაგულს,
შენ წამლის წილ მყის მომაპყარ დანა გულს.
ზილფნი რყევით, უარის-თქმის მსახენი,
მიჩვენებდენ ბალახშის კარს დანაგულს.

გული ჩემი მუჯამარი ახალი,
სურვილს აკმევს სიყვარულის, ახ, ალი!
არ ვიკვირვო, მაშა რა ეჰყო ბედ-კრულმან,
იგი გტრფობდა, შენ მახვილი ახალი!?

რა მეხშირა შენთა ისართ მალება,
მეტმან ცრემლმან ლაჟვარდის ფერ მალება;
გლახ პყრობილი ამას ვაებს, ვალალებს,
ვერ განერა, ესრედ ვითაც მალ ება.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

ელების კარი გაზაფხულისა,
დროთა ცვალებით დანაგულისა.
ზოგიერალსთ ჟამი სიხარულისა,
თვისთანა მქონე შვება სრულისა:
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!
ეჰა ჩვეულნო ყოფნას დიდებით,
აწ რად ხართ ბურვილ ქმუნვის რიდებით?
ნუ ჰგონებთ თავთა ბედ განკიდებით...
ნიავმან ყვავილთ სუნთ მოზიდებით
გახაროსთ მოსვლა ფერად მკულისა—
ვისაც ხელთ გქონდესთ-ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.
თუმცა ზამთარი აზრობს ყვავილთა,
და აგდებს ხეთა მწარედ განძრეცილთა.
გარნა ჟამთ ცნობით მათგანვე ხილთა
ჯერ არს ველოდეთ პირველებრ ტკბილთა:
ეს არს ზნე დროთა სიარულისა!
ვისაც ხელთ გქონდესთ-ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

უწყოდეთ ესე ცნობა მყარითა,
რომ დრო მოგივალსთ კეთილ დარითა;
იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა!
თუ არ შეჰკრთებით მისის ნარითა,
სიმხნეს მოიგებთ წამლად წყლულისა.
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!
ჭი, ვინც არებთ თავისუფლებით,
ნუ ეტრფით ვარდთა გარშემოვლებით.
მიეახლენით გულისა ხლებით!
და თუ არ მოჰკვდეთ უდროდ დღე კლებით,
იხილოთ განხსნა ბედ შეკრულისა.
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!

სიყვარულო, ძალსა შენსა...

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს რომე გულსა ტახტად ოხრვას, ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!

სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

შენის უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის!
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გველევის,
მაშა ცუდია თუ მაში სიბნელეც არსით ერევის!

მაისის ვარდმან ფურჩვნილმან

მაისის ვარდმან ფურჩვნილმან,
ბეზეკმან მწვანით მკობილმან,
ბულბული ათრო სუნითა,—
რა ქნას აშიკმან თრობილმან?

მოსთქვამს: ამაყო და ზვაო,
შეუბრალეო, ქულქვაო!
ხელი რად უფრო მახელე,
ჰოჲ ჭირზე ჭირის დამრთაო?

სისხლითა ჩემით ღებულო,
ქვეყანად ამით ქებულო,
ესე რა მიქმენ უმადლოვ,
ჰოდ ვარდო, ლმობა კლებულო!

მარქვ, ეკლოსანობ ასე რად,
თუ არ გულისა სასერად!
უწყალოვ, რაზომცა ვსტირი,
ცრემლი ჩემი გჩანს სამღერად...

ვარდმან მიუგო ღიმილით:
მებრალვი გულის ტკივილით!
მაგრამ აშიკი ჰხამს იყოს
ხან მღერით, და ხან ტირილით.

შეიმცერ ცრემლთა მრავლობა,
და ვალალებით გალობა!
ნიავმან გბეროს, გაგიქროს—
თუმც არ სახმილი,—მთვრალობა!

ბ ა ი ა თ ი

ვიწყო წერა მაჯამით,
დაჰშურეს ჩემი მაჯა მით;
ლებეე, ნეკტარის ნაცვლად
მასვი, ვასტირ მა ჯამით.

მუზნო, ჩემ კერძ მომართვით
მოდით ებნის მომართვით,
გრაციის აღსამკობლად,
ლექსნი თხზულნი მომართვით.

მსურს მას ვრქვა ბაიათი
შემკული ბაიათი,
კუპიდონისა ისრებს
ვინ ისვრის ბაიათი.

ბედსა ვხედავ მზარადა,
რისხვას მირეეს მზარადა,
მიკვირს თუ კრული გული
საკვდად არის მზა რადა?

გული ეშხზე წარეგო—
მის ლახვარზედ წარეგო;
სუსტ ქმნილი დანაშთომი,
ცრემლო, შენ არ წარეგო!

ანაზდად ხილვამან მე შენმან, მზეო!

ანაზდად ხილვამან მე შენმან, მზეო,
ასე მძლია და წარმტაცა გლახ გული!
ტანო ალვავ, წვლილო სინაზით მრხეო,
სიგრილესა შემივრდომე დაგული!

უსერავს გლახ გული შენთ ისართ პირსა,
აწ გენუკვი წამლად მას ძვირ საღირსა;
გთხოვ, გულს ვაბგერ მწარის ოხვრის საყვირსა,
სიგრილესა შემივრდომე დაგული!

ვაიმე თუ არ მისმინო ლმობითა,
სევდის ჭური მით მრჩობლ შეჰქმნა თმობითა!
შემიწყალე, შენ მიერ ვარ თრობითა,
სიგრილესა შემივრდომე დაგული!

შენთან არს გული...

შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინა,
გინა ვის ეპვრეტდე, მნათობო, შენ მიდგ თვალ წინა..
ან მე ვით არ მჭირდეს,
შენს მტრფობს
ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს,
ჩემს მცნობს
ჩემგან ეს გრძნობა!
ოდეს ღიმილი, მნათობო, განგიპობს ლალთა,
მარგალიტთ მეპვრეტელთ, მნათობო, ვეშურვი თვალთა..
ან მე ვით არ მჭირდეს,
შენს მტრფობს
ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს,
ჩემს მცნობს
ჩემგან ეს გრძნობა!
როს საროს რხევა, მნათობო, წარმომიდგების,
ცნობა მელევის, მნათობო, ოხვრა ხშირდების..
ან მე ვით არ მჭირდეს,
შენს მტრფობს
ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს,
ჩემს მცნობს
ჩემგან ეს გრძნობა!

ოდეს ხმა ნაზი, მნათობო, ჰსცვავს ხსოვნით ფიქრსა,
ვეტყვი: ვაჲ ყურსა, მნათობო, არ ნსმენსა მისსა.
ან მე ვით არ მჭირდეს,
შენს მტრფობს
ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს,
ჩემს მცნობს
ჩემგან ეს გრძნობა!
ბროლის ფიცრისა, მნათობო, მახელებს ხსოვნა,
მომკლა ძებნამან, მნათობო, და სად არს პოვნა?
ან მე ვით არ მჭირდეს,
შენს მტრფობს
ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს,
ჩემს მცნობს
ჩემგან ეს გრძნობა!
აწ ჰრქვი პყრობილს, ნნათობო, თუ რასა ჰყვედრი?
სურვილსა მისსა, მნათობო, ვერ ერჩის ხვედრი...
ან მე ვით არ მჭირდეს,
შენს მტრფობს
ესრედ თმობა?
ან შენ რად გიკვირდეს,
ჩემს მცნობს
ჩემგან ეს გრძნობა!

ჰსძგერს გლახ-გული...

ჰსძგერს გლახ-გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყლავს თმენას;
ჰსცემს სურვილის წამთა ხშირად, მარამ აგრძნოს ვისსა სმენას?

გზის გუშაგად მდგომარესა ხან აჩრდილნი მაცთუნებენ,
ხან ფოთელნი შერხეულნი შრიალითა მცემენ ზრზენას;

ზოგჯერ ღამის სიწყვდიადე მომაჩვენებს გიშრის თმასა,
ზოგჯერ ცისა გაელვება ბროლის ფიცრით შუქთა ფენას.

თვით ნიავთა ნელი ქროლაც წარმომიდგენს სუნთქვას ტკბილსა,
რომელიცა ცეცხლ მოდებულს ლალით გამომბერდა ლხენას!

გახსოვს, ოდეს ტრფობის წინდად შეიწირე სული ჩემი,
ამა ბაგით შენსა ბალახშს გარდმოვიდა... ჰმადლა ზენას!

იგი ამად არ გემსხვერპლა რომე მომკლა მოშორებით,
კაეშირ ექმნა ორთა გვამთა ცხოვრებისა ერთად დენას!

ნუ თუ დაჰგმო შენსა პყრობილს თვისთა გრძნობათ ლაღად მოთქმა?!
რა ვჰყო, ენა აშიკისა არ ჰგავს სხვასა გრილთა ენას!

ჰოჲ, ვით გვემტყუნვა

ჰოჲ ვით გვემტყუნვა
სოფლისა ბრუნვა!...
წაგვიხდა ზრუნვა

მბუდარე გულსა!
ამად ეჰსტირთ წყლულსა
არ დაფარულსა...

ჵმუნავთ ბედ მწირნი.
გეხვეევიან ჭირნი
ფოთოლთ უხშირნი!

დაეიდნენ მთენნი
შარავანთ მფენნი
აწი გი მზენი.

ჰფარვიან ღრუბელს,
ავდრის საგუბელს,
წყვდიადსა და ბნელს,

ესჵმუნავთ ბედ-მწირნი,
გეხვეევიან ჭირნი
ფოთოლთ უხშირნი!

შებრყვილულს გულსა
ცრემლით ვბანთ წყლულსა,
ესრედ მორწყულსა.

მოჰსდის სამყოფი
სევდის ნაყოფი,
გონების მყოფი.

ვჵმუნავთ ბედ-მწირნი,
გეხვეევიან ჭირნი
ფოთოლთ უხშირნი!..

სხვა და სხვის ღრუის კაცი

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჵმუნვის ალთა!
რა ვიშვებით, მყისვე ესტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა,
მოვიზრდებით წიგნის კითხვით, არ გაგვიშრობს მწვრთნელი თვალთა,
ჟამი გვიროკს: „იგი გვიძახს: შეუდექით სიბრძნის კვალთა“.
რა ჰასაკსა შევალთ, ახლად ჭირი უფრო გვემრავლების!
თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას ემსჭვალების;
სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვისებრ ნების,
და გლახ შეგვიქმს პატიმარად, მკვნესარად და მთქმელად ვების.

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა:
არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვ-ა,
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა;
რა ვერ ვპოვებთ საწადელსა, შეკვეთნების შურით ჰქუხვა.
ოდეს წელთა ტვირთვის ზიდვით ქედსა მშვილდებრ მოვიხრებით,
ყოველთაევ მოვძაგდებით, ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით;
სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი მახვილ ღებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტყვის: „ახით ნაშვნო, მოკვდით ვებით!“

მ უ ხ ა მ გ ა ზ ი

ჰოჲ საყვარელო, შენგან ხელსა აწ მაქვს ზრუნვანი,
რომელ მღერითა განგიცხადო ჩემნი ჭმუნვანი!
მოვჰსთქვა თუ უძლო გულს მბუდარნი შენნი სურვილნი,
მასთანა დავრთო შენამთხვევნი სოფლის მდურვანი,
ბედმად გაგვყარნა, შემომყარნა ამად ურვანი!

ლულვალთა თვალთა განახვემდა დანახვა შენი,
მისგამე მაქვნდა სიხარული აღმონაცენი;
გულსა მომფენდა სხივ მრავალსა დღის განმათენი,
სულს მიახლებდა სახე შენი ტრფობის მაჩვენი,
აწ უბედურსა დამშთომიეს ხილვის წყურვანი.
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამად ურვანი!

ჭმუნვამან მძლივა, განმილივა ყოვლნი ღონენი;
მიმატნა ჭირნი გულის მძლევნი ძნელ საგონენი,
მიხშირნა ცრემლნი—მოყვსის მსხვერპლნი ლაწვთა მფონენი,
სევდანი ჰფლობენ გულსა ჩემსა თავ მომწონენი,
ძლეულსა გულსა აქვნდა ეშყის ალში მურვანი,—
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამად ურვანი!

გშვენოდეს ტანსა ირისებრივ მოკაზმულობა,
ლაწვ-ბაგე ვარდთა დაურთგუნავთ ჭნობა-ზრულობა.
შენსა მჭვრეტელსა გლახ მეხშირვის გულ მოწყლულობა,
მიკვირს თმათ სიგრძე, სიბნელე და ლამაზ წნულობა;
თვალთა მიბნელებს მაგა სახის ჩაცქერით ბურვანი,
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამად ურვანი.

ალვასა წვრილსა ორ შტოვანსა გული ემონვის,
ექადის ხვევნად, უჩის ვარსკვლავთ შორით ეკონვის,
საროსა ნაზსა საფაყვანოდ არ დაეყოვნის,
დენითა აფრქევს, ცრემლთ სიმრავლით ზღვას შეეწონვის.
რეტ ქმნილსა თავსა შრომის გამო აქვს ოფლთ წურვანი.
ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამად ურვანი!

ჰუსეინის გაფი

მომიეედ, მთოვარეე, შუქის მფენო,
მკვრეტთათვის განცხრომის აღმომაცენო,
მოდით მიჯნურთ დასნო მკევრისა ენით
ჩემთანა მნათობის სახის მაქენო.
მოდით, მსწრაფლად მოდით,
მისდა ქებას კრძალვით ჰხმობდით.
სასმენელთა დამიტკბობდით
მისგან ხელ ქმნილსა და ცნობა მიხდილსა..

ბნელის ღამის გენათლა არე-მარე,
ხილვით ვჰპოვე კეთილდღეობა მყარე,
აღარ ვიყავ მწარის ჭნუნვით და თმენით,
განვაგდეცა ყოველი ფიქრი მწარე.
მოდით მსწრაფლად და სხვა...

აწ მელნის ტბათ ღელვა გულსა მიშმაგავს,
ისართ სროლა გულსა და ვით მიდაგავს;
დაღწეულსა მძლე სიკვდილისა სენით,
სიხარულის ცრემლთ ღაწვთა მირეგვავს.
მოდით, მსწრაფლ მოდით და სხვა.....

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

გლახ თვალთა შენი შვება სრული
რა განიცადეს, მუნით ვარ კრული.
გკვრეტ განლიგებით თვალ დაყრული,
ნეტარ როს მომცემ, მზეო, ლხენასა?

მკვლენ შენნი სულგრძელებანი,
დამრთე ტრფიალს ნებანი,
დამიშრიტე სახმილთ გზნებანი!

მიჯნურთ გულთ მბელთა ბნელთა დალალთა,
თმა ხშირთა გრძელთა დაუთვალალთა,
შენახამებთა ბროლთა და ლალთა
არ ძალუძს ქება არვის უნახსა.

მკვლენ და სხვა...

მშვილდისა წვერსა გადმოხრილობენ,
მელნის ტბათ გარე სხვანი გრილობენ.
მათ გარეშეცა ჰინდნი ყრილობენ,
ისრით გვკოდვენ, გვცემენ თმენასა.

მკვლენ და სხვა...

ღაწვსა ჰფერობენ ვარდნი გაშლილნი,
ვის ყელად ჰქმნიან ბროლ-მინა თლილნი.
ლალთ შეუზღუდავსთ მარგალიტთ კბილნი,
ზოგთ ჰკურნვენ, და ზოგთ ჰმატვენ სენასა!

მკვლენ და სხვა...

მჭვირვალეს ყელსა რიდე ვლებულსა,
ვაქებ ბროლის ველს განათლებულსა.
მართვესა ორსა, მუნ ბუდებულსა,
უგავნ ნისკარტნი ლალის ბრწყენასა.

მკლვენ და სხვა...

ალვასა შტონი კვლავ ერხევიან,
ნეტარ მას ვისაც მოეხვევიან!
შორითგან ჭვრეტით ხედვა გვლევიან,
ნუ მივეც სევდას განუსვენასა!

მკვლენ და სხვა...

ვაჲ, ბედო შავო, შენგან გმობილსა,
რომ განმაშორე შვებასა ტკბილსა.
არ ვიგლოვ თავსა ესრეთ პყრობილსა,
გარნა სასჯელსა მას ესთხოვ ზენასა!

მკვლენ და სხვა...

შვენებანო....

შვენებანო, სახილვოდ სასურველნო,
თავთა თქვენთა კეთილ ქცევით მბურველნო,
თქვენის ქების მდომეს მებრგვილვის ენა,—
მოდით, მჭევრნო ლექსნო, სტიხთ შემჭურველნო!

აჰა თქვენ სატვირთოდ ქაღალდი ველობს
და ველსა მას ხუთი ერთითურთ მრწყველობს.
განიფინენით მასზედა მდელოებრ,
მან გცესთ სხივნი რომელი მნათობელობს.

მას მნათს უთხართ ჭმუნვანი ჩემნი სრულად,
ჰსთქვით, ვაებსთქო შენგან კოდილი მტრულად,
უშენოდ სხვისა არვისი ჰსურს ხილვა;
დღე არს თვალ ხშვით, ღამე თვალ დაურულად!

შემავედრეთ, მაკმაოს ვათა თქმანი,
მოვემხედოს, მასმინოს თვისნი ხმანი;
აქამომდე სიშორით პატიმარსა
ყელსა დამსდვას ჯაჭვადა გიშრის თმანი!

სიყვარულსა შეუპყრივარ...

სიყვარულსა შეუპყრივარ აწ შენსა,
    გეტრფის გული
    სურვილ რგული.
ამის ნაცელად რად მცემ მე სენსა?

პირო მზეო, განმინათლე ბნელ გული
    თმა გიშერო,
    ღამის ფერო,
სიგრილესა მიმეც დაგული.

მშვილდო ხრილო, ნუ მეზიდვი საკედავად;
    განშლით მყარე
    სევდა მყარე,
ახლად მექმენ სულის ჩამდგავად!

მელნის ტბათა გარ მდგომელნო მცველადა,
    შავნო ჰინდნო,
    მახვილთ მზიდნო,
ნუ მექმნებით მე გლახ მკვლელადა!

ღაწვნო ვარდნო, რად განმაძებთ ბულბულსა,
    ეშყის მსტვენსა,
    ტრფობის მჩვენსა,
ოდენ თქვენის ხედვით სულ-დგმულსა!?

ბაგე ლალო, მარგალიტებთა მცველო,
    მომემტკბარე,
    განმახარე
საამოთა სიტყვათა მთქმელო.

ბროლის ველო, ორთა მათ საბუდარო,
    მნათო ყელო,
    საველრველო,
მცირ არს, რაზომცა გემუდარო!

საროვ ნაზო, რტოთა მათ შენთა რხევა
    მტაცებს გულსა
    ხელებულსა:
ამად მაქვს მე გრძნობათა რყევა!

შვენებანო, აღსავსენო სიამით,
    მიმიახლეთ,
    განმანათლეთ,—
შემისმინეთ მკვდარსა აჯა მით!

რასტის გუშა

მსურდა ოხვრა ჩემი მდუმარს მეკრძალა,
რომელ მსმენელთ გული არ შემეალა;
მაგრამ, გლახ, ვჰსთქვი; გულმან ველარ დამალა!
რომელთაგან მქონდა სიამე-შვება,
აწ მეცა მათ უქმენ თავ შემოვლება!

ვაჲ საჰმუნვოს ფიქრით შეიწრებულსა,
ვაჲ მეცნთაგან შორ ქმნის იძულებულსა,
ესლა მრჩა ნუგეშად მწარედ ენებულსა!
რომელთაგან და სხვა...

ყოველთ ეთილთაგან იავარ ქმნილი,
ვზი და ვჰსტირ ჩემს ბედსა ცრემლით თვალ-ენილი,
ზოგჯერ ესრეთ ვიტყვი გულ ამოსკვნილი:
რომელთაგან და სხვა...

სიკვდილს ნუ მიქადით, იგი მჩანს არად;
რა თაკ მეკვეთა, მუნით ვარ მკვდარად.
ერთ არს ლეში, საცა ვეგდო სამარად!
რომელთაგან და სხვა...

მას ვჰსტირ რომ ვშორდები თვალთ დამტირებსა,
თვარა ვით შემაკრთონ ტანჯვა-ჟირებსა:
სიცოცხლე გვიძღვნია თავ გამწირებსა!
რომელთაგან და სხვა...

აწ ჰხამს ვესალმოდე მიწასა-წყალსა
ოხრვით ვაფრქვევდეცა ცრემს დაუთვალსა,
და ვათქმევდე ხმასა ჩემსა განმქრალსა:
რომელთაგან და სხვა...

ბედმან რისხვით შურდულითა გამტყორცა;
ამად გთხოვთ გახსოვდეთ, გინდ ვიყო შორცა,
პყრობილს ერთგულება გულს შემეხორცა!
რომელთაგან და სხვა...

ნუ მოგმკალ მწარედ შორ ყოფით

ნუ მომკალ მწარედ შორ ყოფით
უწყალოდ გულის დამყოფით!
ეჩვენე თვალთა მიმქრალთა,
შთაუდგ ნათელი წამ ყოფით!

მკურნალნი მხმობენ, ყოვლის ცოდნის მჩემებელნი:
ალხინნი არიან კოდილის მრთელებელნი!
და მერე თვითვე სიამისგან განშორებას
წამლად მეტყვიან, ვაჲ, ხელნი, ვაჲ ხელნი!
ნუ მომკალ მწარედ და სხვა...

ამათ მაშორეს, სიამეო, შენსა მზერას,
ესრეთ კურნებას და სიცოცხლეს ხელს ვჰხდი მე რას?
დღითი დღე ჴმუნვა მემატების რაზომც გშორავ,
მიკვირს მიმხვდარან მჴვრეტი ვერას, ვაჲ ვერას!
ნუ მომკალ და სხვა...

შენ არ ხარ სანთელ, კრულ ვარ თუც მას გადარო,
არც მე ფარვანა, რომე დამწვა, რა გეკარო.
შენ ხარ მზე, მქონე სხივთა ჩემთა მაცხოველეთ,
მე—ხე, რომელი ვჰხმე, თუ მათით არ მომზარო!
ნუ მომკალ და სხვა...

კმარა და მოვედ, ჴვრეტით შენით მალხინე,
ბაგე-ბალახში გრძნობას უმილე-ადინე,
მბერე ტკბილი ხმა, სასმენელნი განმიცოცხლენ,
სიახლით მრგე, რაზომც სიშორით მაწუნე!
ნუ მომკალ მწარედ და სხვა...

ბრძოლისათვის

აღჰსტყდა ომი საშინელი, ცემა-სროლა აღირია,
ცეცხლის გამო სიმძიმისა დამკარგავი ფრინავს ტყვია.
ფრინვად ვიტყვი, მაგრამ მასთან კლვანი მძაფრნი მოსასრვია,
უხილავად განვლის სივრცეთ და სიცოცხლე მოსაძრცვია!
მას სამი რამე ჰქონან უებრო გლახ მტერთა მისთა მომდრეკად ქედის,
გონება შორს მხედ, გამოცდით ნაწვრთი; გული უშიში, არ მპოვე ბედის;
მკლავი უძლევი, მებრძოლთა მძლევი, მდიდრად მომხმარი ხრმლისა უჴედის;
ერთი იზრახის, მეორით ჰბედის, მესამით სრულ ჴყვის თანხმად იმედის.

პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ *)

ჰკვნესს გული, ძმანო, ხსოვნად კმანო, მომხსენე ვების,
არს ცრემლით მგონე შენაღონე თქვენთანა შვების.

თქვენნი ვერ მჴვრეტნი და საშრეტნი ბინდებით თვალნი
გონებით ნახით, მაცთურთ მახით გხედავსთ ტყვედ ენების.

---

*) თქმულია, როდესაც პოეტი პატიმრად იყო.

რადგან იქება სულგრძელება, იხმაროთ რად არ?
ნუ თუ კვლავ ღმერთმან გკურნოსთ ერთმან ყოვლთ მძლემან რგების!

მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!..
თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების.

აწ მე გლახამა გამოცდამა მაცნობა ესე,
რომ ფასი მოყვასს სიშორის ჟამს მრჩობლად ედების.

ვაი, რა დრომან დაუდგრომმან მაშორა მოყვასთ,
თვარა არც გზობით, არცა პყრობით გული არ ჰსლბების.

გვერდით პყრობილი, გულ-პობილი ჴმუნვისა ლახვრით,
გახსოვდესთ მწარი მოჩივარი საწუთოს რებით!

მოვედ ამ არედ შესამკობელად

მოვედ ამ არედ შესამკობელად,
ნიავო, მქროლევ კეთილ მყოფელად.
მზე მოიწვიე დამატკბობელად.
თოვლთა, ყინულთა დასადნობელად.
ჰაერთა ცივთა განსაძობელად,
მდელოთა ყოველთ მოსახმობელად,
პირველ იასა ექმნას მშობელად,
და ჰყოს აშიკნი ლხინის მგრძნობელად,
სიყვარულისა აღმაგზნობელად.
რა აღმოცენდეს ია წყლიანი,
ქედ მოდრეკილი, თავაზიანი,
მშობელსა თვისსა მადლი გზიანი,
გამოუცხადოს დაუგვიანი;
ჰრქვას, მე შენგან ვარ კეთილ დღიანი!
შენ განგვაცოცხლენ მკვდარნი იანი,
მნათობმან მისცეს მათ დღე მზიანი!
მათ სუნს ჰყნოსვიდეს ყრმა და ხნიანი,
დასათრობელად, განსამხნობელად,
და ჰყოს აშიკნი და სხვა...
აჰა მოსრულ არს აწ გაზაფხული
სიამოვნითა გარე მოცული;
მათ შორის ჰგიეს მძლე სიყვარული,
სუნ-სუნნელებით მრთლად შესვარული.
მაშინ ჰსცნობს მისს ძალს ყოველი სული,
რა დაიმონოს მან მათი გული.

ზოგად მიუგოს ახალი წყლული,
ზოგს განუკურნოს კვლავ ქონებული
მქმნელმან ლამაზის გულის მფლობელად,
და ჰყოს აშიკნი და სხვა.
ჰივჰავთ ჰივჰივი, ბულბულთ გალობა,
რაყიფთ აქვსთ ჩხუბი ბასრვა, ბრჭალობა,
ერთმანეთისა დაუხვალობა,
სატრფოდ მოტაცვა, ფრენა მალობა,
კოცნა ალერსთა დაუთვალობა,
სიხარულისგან მოუცალობა,
ძლეულის გმობა, შეუბრალობა;
თქვენც განგიცხადდესთ დანამალობა,
კრძალვით მეჩვენნო გულის მპობელად,
და ჰყოს და სხვა.
ჰაბუკა ვინმე ჩადრით ბურვილი,
შეეალს წალკოტსა წვი, არ ურვილი;
მუნითგან მოყმე გულ შემურვილი
მოეგებების ხილვის წყურვილი.
განაგდებს ღრუბელს მზე სხივ ჭურვილი,
მიესალმების მოყმეს გულ ლბილი.
ეტყვის, წარვიდეთ გვაწვევს სურვილი,
აჰა გუმბათებრ ფოთოლ ხურვილი,
ეშხით დამცხართა დასაჩრდობელად,
და ჰყოს აშიყნი და სხვა.

ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია

ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია,
მიკვირს, თუ სული რად არ მხდომია!
ნაცვლად იმედთა მათ ჩემთა, მზეო.
ჭოგრითით ჭვრეტა შელამრჩომია.
განვშორებულვარ შენთანა შვებას,
თუმცა გონება შენთან მხდომია;
კმაყოფის გზათა ვხედავ ხლართულად,
სურვილი უქმად გულს შემჭრომია;
გამმხეცებია, ვაჰ, სიყვარული,
და გულსა მიხოკს, ვითა ლომია!
აქაით გეაჯ, მიბრუნო სული,
ვის ტრფიალებით ფერი მკრთომია.
არ გესმის ოხვრა, ოხვრის მიზეზო,
სასმენთა კარნი ჩემთვის გხშომია!

თუ აწც ვერ გპოვო შენ ჩემს მკურნალად,
ჯჰსცნო, რომ მე ბედი სრულად მწყრომია;
რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი
შემწყვიტოს, რადგან შესაწყდომია!

მ უ ს ტ ა ფ ა ნ ი

ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ქმუნვა მწარებით,
ძოწთ ვერღა მქვრეტსა, თვალ ნაშრეტსა ცრემლთა ღვარებით,
მტრფოსა ბულბულსა შემჰქვალულსა გულ დამყარებით,
აჰა მაისმან, შენწე მყისმან კეთილ დარებით
აჩვენა თვისი დამდაგისი შორ ქმნის ალებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ქმუნვა მწარებით!

მიჯნური ხელი, დამნახველი ნაზთა კოკობთა,
ზურმუხტის თალთა მდგართა ლალთა ჰსქვრეტს დამათრობთა.
შეფრფინვით შესტრფის, გარნა ეკრთის წალკოტში მყოფთა,
უბედავს ვერა ნებად ნზერა ფერ შენაწყოფთა.
ჰოჲ ბედო, ბედო, როს მიხედო მრთლათ შებრალებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ქმუნვა მწარებით!?

მოსთქვამს, რაბამთა მნახეს ჟამთა ცრემლისა მკადედ,
მე გლახ შენისა სიშორისა მწარ მოვაგლახედ!
იგი არ კმარა, რაც მომხდარა აწ ჩემდა საბრკმედ.
ვინცა ggუშაკობს, ცუდ მუშაკობს მცდარი ყოვლ სახედ,
სწყმდეს ეპვი ფრთხილი, მითც სურვილი ჰსძლევს ცდა მრავლებით
ვარდის გაყრილსა, სულ მიხდილსა ქმუნვა მწარებით,

მარა ჰე გული, განლეული სურვილის ალით!
მარად თვისისა სიკვდილისა მხედველი თვალით,
ვერ კმად ნუგეშობს, იმედს ეპობს ხვალით დახვალით:
მისწრაფე ზრუნვა, გაქვს თუ სურვა, ტრფობისა ვალით,
სულგრძობით, თვარე განმხდი გარე სოფლის კარებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ქმუნვა მწარებით.

ჭი ჟამო ძნელო, დამხლათველო ტრფიალთა გზისა,
უწყალოვ ხელო, მტრულად მშლელო მათისა ცდისა,
ხან სასოს ცემით, ხან წართმევით სრულ იმედისა,
მტანჯველო გულთა შეწირულთა ურთიერთისა,
პყრობელს როდემდე ჯერ არს ჰსქვრეტდე გულ განსალებით
ვარდის გაყრილსა სულ მიხდილსა ქმუნვა მწარებით.

საყვარლისათვის

ღიმილმან ლალთ კარ განღებით მარგალიტთ მწყობრი აჩინა,
ბაგე, ზრახვისა დამწყობი, გრძნობას ემილა, ადინა;
სილაღე კრძალვა ნარევმან ნაზად სპეკალნი განჰფინა:
თვალთა გამკრთალთა გულსა ჰრქვეს: მსგავსი ამისი სად ეინ-ა?

ჰხამს ტრფიალსა საყვარელი სულად ედგას, მით ჰსცოცხლობდეს;
მოშორვებას ვერა ჰსთმობდეს, ღაწვთა მისთვის დაილებდეს;
გულს სურვილი ეგზნებოდეს, ჭირთა ყოლე მითა ჰსძლებდეს,
ზოგჯერ ზრახვით განჰსცხრებოდეს, ზოგჯერ ტრფობით მიახლებდეს.

მუსტაზადი

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნ ი,
რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი ალ-მურნი,
ენახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი!..
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი!
გვძლიევა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი...

უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მათნი;
ურიცხვნი ტყენი, ბალახ ბევრნი, მრავალ ათასნი,
მუნა მყოფელნი, ყოვლ-მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი,
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, ჰირ-ბნელნი სათნი,
აქვსთ ყოველთვის ხელად სჯულად ძველად საფრხე, საცთურნი...
გვძლიევა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.

ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად;
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად;
მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმილთა გულთა ჰსწყვლენ მტრულად,
კაცთა მკილაენი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი,—
გძლიევა სოფელმან, ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შურნი!..

ვინც ჰხვდა მათ მახეს, ჭირთა სახეს არა აქვს შვება,
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება;
ერთგულთა ჯილდო, გულთ საბინდო მიხვდება ხვება,
ეს აქვსთ სიკეთე მათ უკეთე და ნაცვალ-გება...
მუხთლად გვაწვიეს, დაგვახვიევს თავს ბნელნი შურნი,—
გვძლიევა სოფელმან, ხელთ-მყოფელმან აწ გვაგო შურნი.

ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!
შემდგომ საცთურნი მას პირველსა უძვირესია,
სხვათ დიდ-ბოროტსა მცირე მათი უმეტესია...
დაკარგეს ყოვლი ჭირნახული გულთ-უმხნესია,
ჰქმნეს საკანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი,—
გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი!..

სახე შენი როს ვიხილო

სახე შენი როს ვიხილო,
მრისხანეო, წარბ შეხრილო?
წარბთა მტევრით თვალთ მარჩდილო,
გეაჯები შემიბრალო...

ვარდო შლილო, არა მზრალო,
ჰოჲ კეკელავ, ჩემთვის მწყრალო!
უმზერ, სპვრეტ სამს დროსა დღეში,
გქონან შენთვის ეგ ნუგეში;
არ შეიცვლი სახეს მზეში,
გეაჯები შემიბრალო და სხვა...

დრო ჰსწარმოებს, გამკობს სრულად,
შეიცვალოს, გეპყრას მტრულად.
მაშინ რა ვჰყო გნახო ზრულად;
გეაჯები შემიბრალო და სხვა...

ხომ გსმენიან სხვათ მკულება,
მათ სახეთა შემკულება,
გფუცავ, შენც ის გეგულება,
გეაჯები შემიბრალო და სხვა...

ვიცი შემდგომ მოიგონებ
მაგ შვენებას, რომელს ვმონებ;
მო, ჰყავ ნება, ნუ იყოვნებ,
გეაჯები შემიბრალო და სხვა...

ოდეს დრო გაქვს, ისიამე,
გულს რომ გქონან ის იამე;
ვიტყვ წესია ის ია მე,
გეაჯები შემიბრალო და სხვა...

ჰგავს, არა გწადს სიხარული,
მისაგმო გაქვს დაფარული
ეგ სახე მზედ მომთავრული.
გეაჯები შემიბრალო და სხვა...

აჰა გული, იძლვენ მონად
სხვათა თვისცა დასაღონად,
მტანჯავს მსხემსა გასაგონად,
გეაჯები შემიბრალო და სხვა...

აჰა ესე ვარდ-ზამბახნი

აჰა ესე ვარდ-ზამბახნი, შენთა ელფერთ მომპარველნი,
წალკოტს ვნახენ, შვენებითა სრულ აღევსოთ ხევნარ-ველნი.
მომეგონნეს სუნნელება, აღმიხსენდენ ღაწვნი მშვენელნი,
მყის შევიპყარ და შევსული, მოგართვ შენი განმძარცველნი.
ნეტარ მას, ვინცა შენს ახლოს შენ მხოლოსათვის ოხვრიდეს,
ხმისა შენისა სმენითა ყურთა ატკბობდეს, ალხენდეს;
ბალახშთა ზოგჯერ თვისდამი საამოდ მღიმრად ხედვიდეს,
ხან ვარდთა ყნოსვით სთვრებოდეს, ხან ეკლით განიფხიზლებდეს!
მას წალკოტსა მშვენიერსა, სად ნდელონი შენაკრბიან,
სად ზამბახნი სპეტაკობენ, სადა ვარდნი წითლად ჰღვიან,
შორის ბუჩქთა კუპიდონნი იდუმალად იმალვიან, —
მუნ არ ურჩევ სეირნობას ვისაც გულნი ეწყალვიან.

მეგთვრალისადმი

შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა ჰსტრფობ და ჰყვარობ,
მაგრამ წყალში ჰვრეტის ნაცვლად წითელს ღვინოს სარკედ ჰხმა-
რობ;
სახე შენი მას ღვინოში ჰსჩანს, ვით ვარდი, ზედა ხარობ,
მერე ეშყით აღნატაცი, თავსა შთანთქმად აღარ ზარობ.

* * *

როს ბულბული საამოვნოდ აღიმაღლებს ხმას და მღერობს,
გწამდეს იგი, ესრედ ტკბილად სიყვარულით არა მქვერობს.
ეს არს მისი ხელოვნება, გრძნობისაგან ჟმალ ყბედობს;
თვარა ჩემის გულის გრძნობა მის ყბედვასაც გარდამეტობს.

* * *

ჰე მთვარეო შემწყნარეო, აშიყთ გულების,
მოგვფინენ შენნი შუქნი ნელნი ჩვენ ორთა ოდენ!
რაზომცა ვლიდე, ვერსად ჰპოვო, ნუ გეგულების,
რომ ურთიერთსა ჩვენებრ მტკიცედ ვინმე შესტრფოდენ!

* * *

როს ვეჴვრეტ შენსა სიკეკლუცეს, შენსა სახეს, შენსა ქცევას,
შენს გონებას, შენს საუბარს, მოძრაობას, მიმორხევას,—
ტარიას დროს, მე არ ვიტყვი, გაქებდენ თუ გაძაგებდენ,
მარამ ნესტან-დარეჯანსა, ვიცი, აღარ ახსენებდენ!

* * *

ერთ გზის ხელმან შემბრალემან ტრფიალებით მწყურვალესა
მომცა ლალის ფიალა და მრქვა, ნუ ჰსწუხარ, შესვი ესა!
ბაგე ხარბად დაეწაფა მას შარბათსა საამესა,
მაგრამ წყურვა არ თუ მოსპო, უფროს გამიუაღრესა.

* * *

შენის გონების სხივნი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად,
შვენებაც გინა არა გქონდეს, მით იმნათობენ;
შვენება შენი ესრედ მძლეველობს ამ ქვეყნიერად,
რომე გონების უმწეოდაც ნამდვილ იმფლობენ!
მარა რას ხელ-ჰყრი, მარქვი, მაგა ნიჭთა კეთილთა,
თუ გული შენი სიყვარულსა არ მიიკარებს?
მგრძნობელობა ჰსჯობს ყოვლთ თვისებათ, ცით მოვლენილთა,
შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს!

ძვირფასო საყვარელო

ძვირფასო საყვარელო, მხოლოდ მფლობო გულისავ,
რომელსაცა სხვა მსგავსი არა სად გეპოება,
შენ გეტრფი; შენგან ვცოცხლობ, სულო ჩემო სულისავ,
მარამ სურვილი ვითა სრულად გამოითქმება!

ბუნებაში საცა რას ვხედავ შვენების მქონეს,
შენი საამო სახე ყველგან მიდგს თვალთა წინა:
არ მცილდები ხედვითგან, მარადის შენსა მგონეს,
ზეციერე გარდმოსულთა ესვერეტდე გრაცათა გინა.
ოდეს ავიღებ კალამს, ესოდენ მაქვს სასურვოდ,
რომე ვიხარო წერით შენისა სახელისა;
სხვათა ყველათ საქებრად ჩანგი მშთომია უხმოდ,
შენ მხოლო ხარ აღმსთობით აღმძვრელი მისის ხმისა.
შენთანა ვარ თუ სხვაგან, მახლობლად თუ შორს ქმნილად,
ლხინად, შვებად, განცხრომად შენი ოდენ მაქვს ტრფობა:
სოფელსა ამას შინა შენ ჩჩან ყოველ კეთილად,
გულს შენგან აქვს სიცოცხლე, და სიცოცხლეს დატკბობა!
საცა გინდა ვიყომცა, გარეთ, შინ, სოფლად, ველად,
შენი შვენების ხატი ვითა განმეშორების?
მას ჰქმნია ჩემს გრძნობაზედ სურვილი შთამბეჭდელად,
ხედვა მის მზერს ძილადმდე და ფიქრი მასთან ჰსტკბების.

რ უ ს უ ლ ი ს ი მ ღ ე რ ა

(რუსულით)

ფერსა ბნელს, ფერსა შავს
მე ვეტრფი მარად ჟამს:
არას დროს ფერსა სხვას
არ ვეტრფო, ვფიცავ ცას.
არას ძალს, არას გვამს
არა აქვს ეს უფლება,
აშორვოს ფერსა შავს
ჩემი ტრფიალება.
თუ მკითხავთ, ფერსა შავს
რათ ვეტრფიალები?
ჰგიშროებენ,—და რა ვჰყო,
- საყვარლის თვალები!
გინდ მე მან სასურვმან
მივიწყოს ამავ წამს,
მით ვტრფოდე უდრეკლათ
ფერსა ბნელს, ფერსა შავს,
ფერებში ვილოც შავს
ცხოველში მის საგანს, —
მას შევრთამ ჩემსა სულს,
მარად მის შეწირულს.

სოფლითაც განსვლის ჟამს
ვისუდრებ ფერსა შავს,
და ვიდრემდის ვცოცხლებ,
თვალს არ მოვაშორებ.

* * *

სვემ მიწვიმა მანანა:
მომივლინა მან ანნა;
მას თან მოჰყვა მანანა,
მინანავა მან ნანა.

* * *

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ!
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.

მეცა ვიყავ მოქადული,
ვიდრე ჩემად მქონდა გული;
ჭირი ვერად შემიპყრვიდა,
აშიყთ მტანჯვი სიყვარული.

თუ ვინ ვნახი ფერ მიხდილი,
შვენებისდა მონად ქმნილი,—
ვსთქვი: თუ კაცსა ვითა შვენის,
გული ესრედ უძლურ ლბილი!

მაგრამ ჩემიც სულის ძალა
ერთმან წამმან სრულად ჰსცვალა:
გნახე, და მყის შენმა სახემ
შემიპყრა და შეცამსჭვალა!

მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბუნდი;
ჯაჭვი დამსდვა მონებისა,
კისრად ვიღე და დავდუმდი.

მაშინ ვიგრძენ მეყვსეულად
სისხლი ცეცხლებრ აღზგნებულად;
ცრემლიანმან და მოხრავმან
ველარ ვიცან თავი სრულად.

მუხამბაზი ლათაიური

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიალალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიალალი!
შემოდგომამა ბახუსი,
საწნახელში ჩააყენა!

რაგინდ ზამთარი ჰყინავდეს,
გინდ ყვავიც ვეღარა ჰფრინავდეს,
ვერ შეგვაშინოს სიცივემ,
თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს.

მინდა ვსვა—საღვინე მამე,
მოძღვარო, დასტური დამე!
წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესია,
წარღვნაა ამის მოწამე.

ნოემ რა ერთხელ ინება,
ყურძნის წვენისა გემება,
თვითონ ნუნუას მიუჯდა,
წყალი პირუტყვთ დაანება.

ვაჟკაცნო მოდი დაგლიოთ,
სჯობს რომე ღვინო დავსძლიოთ.
ომამდინ სისხლად იქცევა,
მერმე ბრძოლაში დავსთხიოთ.

რა ომის ცეცხლი ასტყდება,
ბრძენი სიფრთხილით წახდება;
მაგრამ ღლეული მაშინვე,
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება!

ჭკვიანო, ნუ შვრები ყბედვით,
შენ წინ ვერ მიხვალ გაბედვით;
გულს ომამდისვე გაიხეთქ,
განსაცდელთ წინასწარ ხედვით.

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა;
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს,
და ლოთი გამარჯვებასა.

აქიმო, თუ გაქვს ქამალი,
ჰსცადე ეს ჩემი ნასწავლი:
რაც სენი უკურნალ იყოს,
ღვინოა იმის წამალი!

ბერებო, თქვენც მეთანხმებით,
ღვინის ქებისა ხსენებით,
რჯულისთვის მაინც დავლიოთ,
მაჰმადის გამოჯავრებით.

ამა სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება;
მდიდარნი ბევრნი ყოფილან,
ოხრათ რჩენიათ ქონება.

მაშ მოდით ისევ ღვინითა,
დრო გავატაროთ ლხინითა:
ქეიფი მაინც მოგვივა,
გოგრითა ესვათ, თუ ჩინითა.

როს დავესწრათ გაზაფხულსა,
ველსა ესხდეთ მწვანით შემკულსა,
ჩვენ წითელს ღვინოს ვეწაფნეთ,
ვარდი ვანებოთ ბულბულსა.

ჰოჲ საყვარლისა ვერ მნახო,
როდემდის იგლოვო ახო?
აბა შენც ჩვენთან ჩაღლივე,
თუ რომ შენც არ შემოსძახო!

ზაფხულს ღამე თუ დილითა,
ვერ ვინ ვერ იშვებს გრილითა;
ჩვენც სიცხე ვერას დაგვაკლებს,
ვსთვრეთ, გავატაროთ ძილითა! *)

---

*) შენიშვნა: რადგანაც წიგნის ბაზარზე არ მოიპოვება ალ. ჭავჭავაძის წიგნები, საჭიროდ დავინახეთ, რაც შეიძლება ვრცლათ მოგვეყვანა მისი ლექსები. ამ პოეტის ნაწერები პირველად დაიბეჭდა 1881 წ. და დღეს იშვიათად შეხვდებით. რ ე დ.

გრ. ორბელიანი

სადღეგრძელო

ანუ

ომის შემდეგ ლხინი, ერევნის ხიახლოვეს

შეწყდა ბინდისას ომი საზარი,
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა,
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი,
ურდო ცეცხლებით განათებულა!
აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა
ვითა ნუგეშსა მოგვფენს საშვებლად!
შევექცეთ ვინც დღეს გადურჩით ომსა,
კვლავცა გვექმნების ზეცა მფარველად!
ძმანო! მორიგის საესე ფიალით
გარემოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს,
ვესალმოთ, ვინცა სიკვდილის ხელით
დაეცნენ ომში დღეს რისხვით წარსულს!
და შენ, ჰე ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე,
გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინე!

მხედრები

ჰოი შენ ღვინოვ! ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე;
გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო.
ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინე!

სადღეგრძელო

ძმანო, აღვავსოთ ფიალა
წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთაც მამულისათვის
სისხლი შესწირეს აქ მსხვერპლად;

რომელთა სახე დიდების
სხივს მოგვფენს გასამხნევებლად,
რომელთა სული მაღალი
ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!
ვითარცა ცეცხლი მარტოდა
სჩანს ველსა ზედა შთომილი,
რომლისა კვამლი ჰაერში
ქარის შებერვით არს მქრალი,
ეგრედ იქნების აღხოცილ
ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო
და არ აღბეჭდა ნავალი!
ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს,
სადა სცხოვრობდენ ძველ-გმირნი?
დრომან შემუსრა, აღგავა
მიწით მათნიცა საფლავნი;
მარამ ჰსცოცხალან ჯერეთაც
დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი,
საქმენი სახელოვანნი,
—ძმანო! პატივით მივმართოთ თვალნი,
წარსულთა, ძველთა საუკუნეთა,
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!..
ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუ თუ ვეღარა უცვნია შვილი,
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?
შენ ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მიეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი!
და ივერიის აღჩნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქვა მისი გმირობა
და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!
ქრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეჰმუსრავს კერპთა, მათის ბომონით!
და განჰქრა ახალის აღთქმისა ძალით
ძველი ივერის ბნელი რწმუნება;

ქართველთ მიჰხედეს ცას სიხარულით
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!..
მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ხელსა მახვილით ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
მზად არს საომრად სახე-შერისხვით!
ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,
რომლის შეხედვით სპარსელნი თრთოდენ,
მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
მტერთა შელეწვდნენ და შემუსრავდენ!
ზეცა წყალობად, ნუგეშად,
ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა,
ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა,
მხედართ-მთავარსა უძლეველს,
გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-შთაგონებით განსწავლულს,
ენა-მდინარე მეტყველსა!..
დავით ჰსთქვი: «იყავნ ქალაქნი»,
და აღმოსცენდნენ ქალაქნი,
განვლე უდაბნო ოხერი,—
სავსედ დაბებით შეჰქმენი!
დაჰკარ წერაქვი და აღჩნდნენ
ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ
გალობით შენნი ივერნი!
ხმა ჰყავ და აღსდგა ივერი,
ფენიქსებრ განახლებული!..
დიდების სხივით შემოსილ
მშვიდობით აღყვავებული.
აღმხედრდი ლაშქრად, და ილტვის
სულთანი შეძრწუნებული.
შირვან, დერბენდი ჰყავ საზღვრად,
შენის ხმლით შემოხაზული.
ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი, სიამის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!
ვითარცა ღმერთი მშვენიერების,
ქველ-მოქმედების სახიერების,
ვით მტრედი მადლის, მშვიდი და წყნარი,
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი!

ხხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უპყრავს დიდებას და სათნოებას,
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას.

მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჰყონდიდი,
მხედართ მთავარი დიდი მხარ-გრძელი,
და გამრეკელი, ლომებრ გულადი.

თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი.

მკლავით ძლიერი ქართველი,
ვით ციხე ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურული, მეგრი მკვირცხლობით!

თამარი ლოცავს ჯვარითა,
ჯარს ამხნევს გულის უხვობით,
გული მეფისა ზღვა არის,
უსაზღვროება წყალობით!

გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა,
ერთის შეტევით მილეწეს,
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა,
მის ციხე ზღვაში გარდაგდეს;
განვლეს არეზი, თავრიზი,
ყაფლანჭუ გადაიარეს,
და მტვერი აოხრებისა
ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!

დრონი იცვალნენ... იხილეთ
ქეთევან ნაზად აღზრდილი,
მამულისათვის იტანჯვის,
სარწმუნოების დამცველი!

ხორც-დაგლეჯილი შანგებით,
მკერდზედა ცეცხლ-ანთებული,
სულის სიმაღლეს გვიმტკიცებს
ზეცად დიდებით აღმსვლელი.

ნათელ გვირგვინით მოსჩანან
კახეთის მხსნელი გმირები,
ელისბარ, შალვა, ბიძინა,
მტარვლისგან დატანჯულები!
ტარიგად შესაწირავად
მახვილით განგმირულები,
ღმერთს ავედრებენ მამულსა,
მათ უკანასკნელ სიტყვები.
აჰა, ცხრა ძმანი სახელ-განთქმულნი,
ძმანი გულითად შეთვისებულნი;
ვით წმინდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი,
ერთ ჟამს, ერთ ომში, ერთად დაკლულნი.
აჰა, ერთგული ამილახვარი,
თავ-დადებითა მეფისთვის მკვდარი!..
და მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი,
თითო ერთ ჯარად დაფასებულნი?..
აჰა სჯულისა წიგნითა
ვახტანგ სვე-დამწარებული,
სწავლის მოყვარე, მფარველი,
გონება ამაღლებული.
უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს
მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან,
ჩვენთვის კი დამიწებული!
აჰა ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისი დროისა მამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი!
წარბ შეკმუხვნილი, ხმალ-ხელ მოწვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა,
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით,
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!
დღენი იმისნი ემსგავსნეს
ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს,
მარამ ვეღარ ვმზერთ მის სახეს.
მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს!
მეფისა დროშით სად მიხვალ,
ჰე ლევან, სულით ნათელო?

შენ მხოლოდ მამის იმედო,
უდროდ მზე-დაბნელებულო!
მსხვერპლო ბნელისა მტერობის,
შეუბრალობით შეპმულო!
შეირყა ტახტი მეფისა,
რა შთახვედ საფლავს ლომ-გულ ო!
რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა მხარს,
რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა?
მთლად დაღისტანი მოაწვა
გასაოხრებლად ყვარლისა.
ოცდა-რვა დღეა, რა ისმის
ხმა ომის შეუწყვეტლისა!
გაჭირდა.. ციხე მისუსტდა...
სად არის ხელი მხსენელისა?
ორასი მხედრით სოლომან,
ოთარი და რატიშვილი,
ნოდარის ძენი დაბოსტა,
დავით და ბებურიშვილი
გაჩნდნენ... დაჰკივლეს... ხმალ-და-ხმალ
შუა გააპეს ლეკთ ძალი,
და გამოიხსნეს მბრწყინავი
კახეთის თვალი ყვარელი!
დიდებულ სახით, გულ-უშიშარი,
ვინ არს რომ მისგან მტერი იშიშვის?
ჯარის იმედი, მტკიცე საფარი,
ძლევა მის დროშას წინა მიუძღვის!
შენ ხარ, ჰე დავით, გმირი ლომ-გული,
ვინც იყავ მტრისთვის ვით ცისა რისხვა,
მარჯვენას გეპყრა სიკვდილის ცელი,
სადაც შესძახე, მუნ იყო მტერთ სრვა.
და ზაქარია, მიწისა მგელი,
ანაზდეულად მუნ აღჩნდებოდა,
სადაცა მტერი გალაღებული,
მისგან შემუსვრას არ მოელოდა!
ვითარცა ჭექა, მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ესრედ საზარლად,
სადაც იელვა მახვილმა მისმა,
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად.
გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა
სჩანან მამულის მფარველნი,
ზოგნი აზატის დამმხობნი,
ზოგნი თემურის მებრძოლნი!

აი ასპინძის გმირები,
ღირსებით თაყვან ცემულნი,
რომელთ შეჰღებეს მტრის სისხლით
მტკვრის ზვირთნი აღელვებულნი!
აი სამასნი გმირები,
დუშეთით ტფილისს მოსულნი
მეფის შეწევნად, და მის წინ
მისთვისვე შეფიცებულნი:
—„თუ გაგვიწყრება ღმერთი და
ვერა განვსდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან
შინა წავიდეს ცოცხალი“.
და გარდიწერეს პირ-ჯვარი,
ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს,
და შავარდენებრ მივარდნენ
სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შესძრეს... გაჰფანტეს... მარამა
ზედ თავიც თვისი დააკლეს!
ფიცი ვაჟკაცთა წმინდა არს...
მათცა სიკვდილით შემოწმეს...
თავ-განწირულმა გმირობამ
ვერა დასძლია შავ-მხვედრი,
წახდა ტფილისი და მასთან
დაემხო ძველი ივერი!..
და სად დასთხიეს გმირთ სისხლი,
აწ ვმზერთ სიამით ბაღთ მწვანეთ,
მუნით მოისმის ლხინის ხმა,
გულ-უზრუნველთა მოლხინეთ.
და მის წმიდასა ალაგსა,
თაყვან-საცემსა ღირსებით,
გლახ უმეცრება ფეხ-ქვეშე
სთრგუნავს გულითა უგრძნობით!..
გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული,
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება.

მხედრები

გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა,
თქვენთა საქმეთა მოთხრობით,
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული,
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!

სადღეგრძელო

ჰე მამულო სასურველო,
ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს, სიხარულის
აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს,
არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არა დააკლას თავი თვისი,
შენს დიდებად ვითა მსხვერპლი!
ვინ არ შევსტრფით მას ადგილსა,
სად აღგვეხვნეს პირველ თვალნი,
სად ჰრბიოდა მხიარული
სიყმაწვილე ნათლად ჩვენი.
სად გვფარვიდა ნებიერად
ხვევნა-ალერსი მშობლისა,
და სად აღგვენთო პირველად
გულს ცეცხლი სიყვარულისა!
სად აწ ნაზისა რხევითა
კეკლუცნი, გულის მიმტაცნი,
ტაძრად მიდიან ცრემლითა
ჩვენთვის მხურვალედ მლოცავნი.
სადა შევხარით ლაჟვარდად
ცისა კამარას მორთულსა,
მასზე მავალსა ხელმწიფებრ
მზეს, ბრწყინვით განსხივებულსა;
ღამით ვარსკლოვან ფირუზსა,
მთოვარით განათებულსა,
სიცოცხლის მომფენს ჰაერსა,
სურნელებრ შეზავებულსა!
სად მთანი ყინვის გვირგვინით
არიან ცამდე ასულნი

და მდინარენი ზაბილით
ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი;
უფსკრულნი ჩაბნელებულნი,
კლდენი თვალ-გადუწვდენელნი,
სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა,
და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნ.!
სად ველნი, ფერით ზურმუხტნი
ნაზადა ამწვანდებიან,
მათზე კასკასით წყარონი
გახარებულნი მორბიან,
მათ სიკამკამეს ყვავილნი
თავ-დახრით განცვიფრდებიან,
გულს მათი ხილვა უხარის,
თვალთ კვალად ენატრებიან!
სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი გულადი, პურადი,
მებრძოლი შაავი ბედისა?
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ადამანტისა,
მხნე, მხიარული, მოყვარე
თავის სამშობლო მიწისა.
მამულისათვის ფიალა
საესე ესვათ სიამოვნებით,
და იქმნეს აღყვავებული,
კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქმნეს მის ქედი აჭვანილ
ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყვარულის მისდამი
ვხარობდეთ გულსა აღგზნებით!
უმეტეს ჩვენთა სიცოცხლეთ
ვრაცხიდეთ ჩვენსა მამულსა,
მის დიდებისთვის სიამით
წინ შევხვდეთ ათას მახვილსა.
მოსრულმან ხილვად ჩვენთ საფლავს
ჰსთქვას ამოხვრითა თვის გულსა:
„რომელ უბრალოდ არც ამათ
„უვლიესთ ამა სოფელსა!
სოფელი იმად არა ღირს,
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერა რას არგებს მამულსა!

მის სადიდებლად ჩვენც შევხვდეთ
უშიშრად ათას მახვილსა,
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით
ვადიდებთ მისსა სახელსა!

მხედრები

ჰე მამულო სასურველო,
ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის
აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს,
არ დასთხიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი
შენს დიდებად, ვითა მსხვერპლი!

სადღეგრძელო

ვაი ვინცა ეშხის ცეცხლით
ჩემებრ გულსა მკვდრადა ხედვენ...
მარამ ჰე, შენ, მეგობრობავ,
შვების ვარსკვლავად აღგვეგზენ!
გვინათლე ცხოვრებისა გზა,
ზედა ყვავილნი მოჰფინენ,
და განვლით გულის სიმტკიცით,
შენც თანა-მგზავრად შეგვექმენ.
ჰე, მეგობრობავ წმიდაო
ფიალა აღქაფებული,
შენდა არს ერთგულ ყმათაგან
ვ-თ მსხვერპლი შემოწირული;
ხელი ხელსა, ბაგე-ბაგეთ!
განვაახლოთ სიხარული,
შევსვათ ძმანო! დავამტკიცოთ
ურთი ერთის სიყვარული..
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
თუა არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს,
არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვსდევნით ბოროტსა,
მართლის არა ვართ მფარველი,
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს,
სხვისა არ გვესმის ტკივილი?

ამ ჰაზრის გულსა დანერგვით
ვსდევნიდეთ სულ-მოკლეობას,
ვსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს
და მისსა უსამართლობას;
ვსდევნიდეთ კაცის წამბილწველს
უწმინდურს ანგაარებას,
ვსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის
კაცისა სულის მაღლობას!..

მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანის-ცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს,
და არა გვარიშვილობას.

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული,
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული!..

კმარა მოძღვრება.:. დავლიოთ,
ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს?

ნაცვლად ლხინისა, იქნება
ვისმეს გვითხრიდენ სამარეს?

ოხ, ვით ძნელ არს მეგობრისთვის
მეგობარსა რომ მარხვიდეს,
ანუ სჭვრეტდეს საშიშ ალაგს,
შემწეობას ვერ აძლევდეს!

დღე აწინდელი ამისთვის
მოვსწყვიტოთ ვითა ყვავილი,
რომლისა სუნი, სიტურფე,
არა არს ჯერეთ გამქრალი!

ხვალის იმედი არ ვკარგოთ
ეს ჟამი მალხინებელი,
თვარა მერწმუნეთ, რომ ხვალე
ხშირად არს მაცთუნებელი.

მეგობრობასა წმიდასა
შევსწიროთ სრულად რაც გვაქვნდეს,
დავლიოთ მისთვის ფიალა
და აღთქმა არა გვავიწყდეს...

ვიყვნეთ ცოცხალნი მეგობრად,
და ვინცა ომში დაეცეს,
ცრემლნი, კურთხევა მეგობართ
თან გავაყოლოთ სამარეს!

მხედრები

აწვე შეეექცეთ ჰე ძმანო!
ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს,
ნაცვლად ლხინისა იქნება
ვისმეს გვითხრიდნენ სამარეს.
ოხ, ვით ძნელ არს მეგობრისთვის
მეგობარსა რომ მარხავდეს,
ანუ სვერეტდეს საშიშ ალაგს,
შემწეობას ვერ აძლევდეს!

ხადღეგრძელო

ძმანო! ივიწყეთ მცირე ჟამს
მტერი, ომი და დიდება;
მოიგონეთ სიყვარული,
რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგვამაღლებს,
რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს,
მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!
სადა ხარ სიყვარულის დღევ,
ალარა უკმოიქცევი?
ღიმილით შენსა შეყრასა
ნუ თუ ამაოდ ვისურვი?
გულისა მნათი ლამპარი
ნუ თუ ჩემთვისა განჰქარდა,
და ჩემი ბედნიერებაც
წარსულთა დღეთთან წარვიდა?...
გული რა იგრძნობს სიყვარულს,
სიცოცხლე მაშინ აჰყვავდეს!
რა არს უამეს, როს სატრფო
თავსა ჩვენსა გვავიწყებდეს,
მას შევსტრფოდეთ, შევხაროდეთ,
თავს ვეელოდეთ, ის გვტანჯავდეს,
ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს,
ხან ლმობითა ნუგეშს-გვცემდეს,
ბედნიერება დღეთა ჩვენთ
არს სიყვარულის ყვავილი,
რა გაჰქრეს მისი სიტურფე,
სიხარულს ნულარ მოელი,
თუმცა ძნელ არს მის მოწყვეტა,
მით რომ არს ეკლით მოსილი,

მარა სიბნელე სუსტ გულს ჰკლავს,
და მტკიცე—მით არს აღზრდილი.
რა ნახოს კეთილ უგრძნობმან
ტრფობისა ძნელთა ჭირებთა,
ვის არ შეეხო ეშხი გულს,
არ ებრძვის გულის წყლულებთა?
მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს
უმეტეს სურნელებათა,
ოდეს ნიავი შეხებით
შეარყევს მისთა რტოებთა!
სიყვარულისა ალითა
ვის ჩვენში გული ეწოდეს,
და სატრფოს სახე მარად ვის
სულსა აღბეჭედით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა მას რაი,
წინა—საბრძოლვად აღუდგეს,
გულს სიყვარულით, ხელს ხმალით,
რას არა აღასრულებდეს?
ვინ არ არს მსხვერპლად განმზადებული,
თვისი სიცოცხლე ვინ არ წარწყმიდოს,
ვის მიერც უკრთის სურვილით გული
ოღონდ სიამე მას მოუსყიდოს.
ვისდამი სუნთქვა თვითოეული,
თვითოეული გულისა ძგერა,
არს სიყვარულის ჩვენისა მსხვერპლი,
იგი ჩვენს ფიქრსა სად განეშორა.
მის სახე, მის ხმა, არა გვედგება,
გინა სად ბედმა გადაგვყარნესა,
როს ვარდის სუნი მოაქვს ნიავსა,
არა ვგრძნობთ სატრფოს ტკბილსა სუნთქვასა?
ანუ როს ვხედავთ ვარსკვლავსა დილის,
მომფენსა ნათლის და მკრთოლვარესა,
ვინ არ ვსცნობთ მასში სატრფოსა გულის,
სიამოვნებით მოკინარესა.
გინდ ჟამსა ძილის, თვალთა დახშულსა,
წამსავ იგივე წარმოგვიდგების,
მაშინ სიზმარი სჯობს სიცოცხლესა,
და სინანულით განგვეღვიძების.
მაშ აბა, ძმანო, გულის სატრფოსთვის
ფიალა სავსე შევსვათ წყურვილით,
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო, ამა ფიალით!

შვებისა დღენი მისთვის არ შესწყდეს,
არ ვნახოთ იგი ჭმუნვისა ღრუბლით!
ახ, სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჩნდეს,
ენა გვემუნჯოს მეტ სიხარულით!
ჰე ჩემო ღმერთავ, აწ შენ მოგმართავ,
მისმინო კვალად შორით სიტყვანი:
ყოველ ჩემ ფიქრთა, ჩემ საუბართა
იდუმალ ოხვრათ შენ ხარ საგანი.
თუ არა შენზე, ვუბნობდე სხვაზე?
ბრალი არს ენა და მის როტვანი...
ვაი თუ ჩემმან, უდროდ შავ ბედმან,
აქ განმიზაზღვრა მეც აღსასრული,
ვაი თუ მოვკვდე მეც ობოლ-მწირად,
გულს არ დამეცეს სატრფოის ცრემლი?
არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა,
სიკვდილის ჟამის დამატკბობელი?
არა ვემთხვიო ბაგით, ძლივ ცოცხლით,
უკანასკნელად მშვენიერ მის ხელს,
რომ სახე მისი, თვალთა დახშულმან,
თანა წარვიღო იმიერ სოფელს,
მუნ საშვებელად, მუნ სანუგეშოდ,
და რათა მითვე ვსცნა უკვდავება,
რაა გინდ მოვკვდე, მაინც შენდამი,
სულს სიყვარული თანა წარჰყვება!
უკვდავება არს სულის დატკბობა,
რომელს დასასრულ არა ექნების,
მაშ სახე, სულის დამატკბობელი,
იმიერ სოფელს არ განგვშორდების.
და სიყვარული, სულის მაშვენი,
სიცოცხლესთანა არა დაჰშრტების;
თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგვიდე,
უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?
უსიყვარულოდ სასუფეველი,
ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს.

მხედრები

მაშ, აბა ძმანო, ერთიც, სატრფოსთვის
ფიალა სავსე შევსვათ წყურვილით,
ვისურვოთ, რომე მის ცრემლი ჭმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო ამა ფიალით.

ცისკარი

ცისკარმან აღმოსავლეთი
ვარდისა ფერად შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა
და ქვეყანასა შვენება!
აენთნენ ცეცხლის ალებრივ
შორს გაბნეულნი ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, ნათდება...
მასა შევნატრით მხილველნი!
ილევა ბინდი ღამისა,
ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან,
ათასის ხმებით ფრინველნი
განთიადს მიეგებიან!
ნიავიც მოჰქრის დილისა,
გულისა მაგრილებელი,
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა
და ბაღში ფოთოლთ შრიალი!
ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს
ბუნება მიძინებული;
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ...
არ გესმით, ჰგალობს ბულბული?..
ირაკლის თაფაც გამოჩნდა...
აჰა მთაც კიდობანისა!
აი მყვირალა ზანგიცა
და ბურჯნი ერევანისა!..

გათენდა

ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს,
ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ქმუნვის გამქარველს,
სიცოცხლის დამატკბობელსა!..
ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მის ფერ-უთვალავ შვენებას,
სიბნელს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!.
ურდოც შეიძრა.,. ხმაურობს...
დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
განემზადება საომრად
რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი, თოფიცა გავარდა...
აი, ჰრბის ცხენი მხედრისა!.,

ამ მშვენიერსა დილასა,
კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?
ჩვენც ავდგეთ ძმანო, და ერთიც
გამარჯვებისა დავლიოთ,
და დღეს ვინც ველარ დაბრუნდეს,
ის ცრემლით მოვიხსენიოთ!..
დასრულდა, განჰქრა სიზმარებრ
ესე ლხინიცა ღამისა...
წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს
ხმა საიდუმლო ხვედრისა!

ე პ ი ლ ო გ ი

(ალექსანდრე ვახტანგის ძეს ჯამბაკურ-ორბელიანს)

აწ სად არიან იგინი,
მას ჟამსა ლხინში ვინც იყვნენ?
ძმანი და ტოლნი ვაჟ-კაცნი,
რომელნი ხილვით გვალხენდნენ?
განგვშორდნენ გულის ნაცნობნი,
ვინცა გულითა გვიყვარდნენ,
თვალთ მოგვეფარნენ... წავიდნენ...
ძველთაგან დავშთით მე და შენ!..
ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი,
თუ რაც მინდოდა ვერა ვსთქვი?
და ვერ ვსთქვი რაცა, ის წყლულად
გულს დამშთა და მით ვიტანჯვი!..
მარამ თუ ვინმენ აქ ჰპოვა
აზრი ნაცნობი გულისა,
ვივიწყებ შხამსა, რაცა ვსვი
ეკლიან გზაზე სოფლისა!..
აწ რაღას ველი სოფლისგან,
რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ,
ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა;
დღე ყოველ, ჟამი ყოველი
მაკლებს რასამე კეთილსა,
ვმზერ მწუხარებით მომავალს
და ვსწყევლი ფუჭად წარსულსა...

1827—1870 წ.

ი ა რ ა ლ ი ს

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა,
ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!

ჯეირნის მწვადი ში'მინით
ცეცხლზედა დატრიალებდეს,
ყნოსვა დაჴტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.
კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიპრელებდნენ წინ სუფრას.
ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს,
გაცხელებულთა
ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, სცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.

გისმენდე თუ ვით მდევარის ხმაზე
ჭაბუკნი მხნობით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ მსწრაფლ შეპურვილნი.

ვაი მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ,
ვითა შურდულებრ, ტრედთ შავარდენნი
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ.

დავნატრი მათ ვინც თვისი სიცოცხლე
თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,
დავნატრი დღეთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

როს ერთგულება, სარწმუნოება,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
ოდესაც ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...
გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,
ჭაბუკ მხედარნი ყაბახსა ვრცელსა
ტურფად დარახტულ და დაკაზმულნი,
ვით ავლა რგულნი, ცხენზედ უძრავად.
ესრედ მოჰქრიან ვითა ნიავი;
ჰკრეს ნაღარასა—განიყენენ ორად,
აჰა, საამო სჩანს სანახავი.
ცხენთა გრიალი,
შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი,
ყურთ-მაჯთ ბრიალი,
ცხენით ქვე ხტომა,
ქვალად შეხტომა,
უზანგთა ცემა
და ხმალთ კრიალი!..
ზოგი არწივსა ზეცას მფრინავსა
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა,
ჯირითი ზოგის ზუზუნით მიჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა.
ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი
სიამით მარად უმზერდა შორით,
ვისცა ეწერა დიდება სახეს,
ვინცა არღა არს, ვისთვისაც ვსტირით.
წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოვლი კეთილი თანა წარიღეს,
აწ უცხო ცის ქვეშ, ზოგსა ვეჭვრეტთ ობერით,
და ცრემლით ზოგის წმიდა სამარეს!...
ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?
მაგრამ ამაო ჩემო იარალი
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
სად აზარფეშა, სად არს ნწვანილი?
ღვინის წილ—კვასი, მზისა წილ—ყინვა!

გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა
სადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურგს, მე ნოვგოროდსა,
გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი.“
გულს ეწუხების რა აგონდების
დღენი წარსულნი ნეტარებისა,
მაგრამ მოთქმითა ნუგეშ ეცემის
და ჰმუნვა მითცა შემცირდებისა.

1834 წელსა ჭ. ნოვღოროდს

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის—გიმზერ,
ვწუხვარ—და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვგრძნობდე,
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..
ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ-დროთა ძალით, ფერ წახდენილი!..
და ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავსწყდეთ ცის შემრისხავნი!.
ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე მეფევ მოველ ვედრებით;
მოხედო ბედ-კრულს
შენს სატრფოს—მამულს
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე-ამაღლებით,
ძლევის დიდებით;
სამშობლო მიწის სიყვარულითა! —
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
მარამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი,
და მე ვეღარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!..
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ უიმედოს, გაუხარებელს!..
ვაჰ თუ რაც წახდეს
ვეღარა აღსდგეს,
ვეღარ აყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი?
ჰე ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუ თუ ესღა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა-შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

1877 წ.

მუშა გოჟულაძე

რას მიყურებ აგრე გაკვირებითა,
ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა?
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერ ჩაჟანგებული,
კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..
ან რა გიკვირს?—ჩემ შუბლზედა ღარები,
წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული,
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,
დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,
უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!..
სჩანს არ იცი, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება!..
ნუ გიკვირს კი, სჯობს ჩემ გულში ჩახედო,
წაიკითხო სიმწარისა ამბები:
ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა,
მეგობრისგან იუდასი ამბორი,
საყვარლისგან—წყეული სიყვარული,
ნაზის ხელით გულს დასმულნი დაღები!..
სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
დამავიწყდა რაცა ვიყავ ოდესმე!..
და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს ბედად:
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!

ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა,
სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა...
მე ვმუშაობ.., სხვანი კი იმღერიან!..
ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!..
ბაღით მესმის ჭიანურის, ლხინის ხმა,
სავათნავას გულ-დამწველი სიტყვები...
გულით მინდა მეც აქედან ხმა მივსცე,
მარამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ?
და ღრმად ვმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
მალვით ვიწმენდ თვალში მორეულ ცრემლსა...
ეჰ, ვის ესმის, თუ სადღაც მუშა ჰკვნესის?..

მაშ ვინა ვარ, რა მქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო
და ვერ ვხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
მცირედს სხივსა სიხარულის ნათლისას...
წყეულ იყოს, ვინცა მუშა აკურთხა,
მოკლებული ყოველ-გვარის შვებასა,
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!..

რას მიყურებ დაღონებულს, ფერ-მიხდილს?
მოვხუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,
თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
რა მიამ? რომ მოვკედე რა ვინანო?..
როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!..
რად ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამყვა?
ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო?—არ ვიცი!
მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება...
რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარე?

რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუ თუ მართლა კაციც არა ვგონივარ,
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!..
მაშა მღვდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს,
ყურს რათ ვუგდებ გონება მიზიდული?
მის სიტყვები ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ-ცემისა,
ზეციურის მადლით განათებული.
გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...
ვგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...
თვალ-წინ ვხედავ დიდხანს დავიწყებულთა...
და აღარ ვსწყევ ჩემ შობის დღეს, ჩემ ბედსა!..
მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,
თითქოს ჩემ ქოხს დაჰფრინვენ ანგელოსნი...

განცხრომის ძევ, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!

ველთ სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მზის შუქი,
გაზაფხული, სუნნელების ნიავით,
შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!
შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზნი თვალებიც;
ნაზი წელი რხევით შენსკენ რონინებს;
მიმოჰქრიან შენთვის ზღვაში ხომალდნიც
ხელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველნი.
თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:
დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას,
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა,
და შორით გმზერ, კრძალვით მლოდე წყალო-
ბის...
შენ ხარ მეფე... მე ძაღლადაც არ მაგდებ!..
რათა? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარე?

რაღა გითხრა, ნუ თუ ეხლაც ვერ მიხვდი,
რა ძნელია შოვნა ლუკმა-პურისა?
როგორ ახდენს სილარიბე კაცის გულს
და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
ეჰ ძმავ, წადი, შენ შენს გზაზე სიმღერით,
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვ-ხსნი,
სად მე და შენ ვიქნებით თანა-სწორნი,
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!..

1877 წ.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ
ხმა ხარო!
ჩ ა მ ჩ ი-მ ე ლ ქ ო

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი—შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე რომ იქა ვარ!
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ“!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

რტო ალვისა, შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები—ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნთქვა,—შენი სუნთქვა მგონია.
როს მეღირსოს, ვსთქვა: „გეთაყვა ჩემი ხარ?“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვსთქვა,—შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანი ვინ არის?
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

კოჯორი, 1861 წ.

საღამო ზამოსალმებისა

მზე ჩაესვენა: მის შუქი
გამოსალმის ჟამს კავკასსა,
თავს ეხვევა ალერსით
ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ
ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან ვით დევნი, სპეტაკის
ყინულ გვირგვინით შემკულნი.

შათ კლდოვან გვერდთა შავადა
ღრუბელნი ზედ დასწოლიან,
და ბრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან.
გაზაფხულის ველითა
ტყე შემოსილი სიმწვანით,
მთებისა კალთებს შეამკობს
სატკბო სუნნელთა მოფენით.
წყალნი მთით დაქანებულნი,
ალმასებრ უფსკრულს სცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან!

შეწუხებული ვუმზერ გზას
და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა,
მიმტაცსა ყოვლის კეთილის,
რაცა გვაქვს ამა სოფელსა,
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს
ზეციურისა სხივითა,
და აღგვამაღლებს ამ სოფლით
სულისა აღმაფრენითა!
მიდიხარ სატრფოვ? მშვიდობით!
მარად დღე ჩემი კურთხევა,
ცად მიმართ შენთვის მექნება,
ვიდრემდის სული მელევა.
არღა აამონ აწ თვალთა
გული შენისა ხილვითა;
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე
უშენოდ შრომით, ზრუნვითა.

ეტლი ჰრბის, სტრფო მშორდების...
თანა სდევს ჩემი მას სული,
ვმზერ... შორს ძლიევს-ღა სჩანს... აღარ სჩანს...
რაღასა ვუმზერ შმაგ-ქმნილი?
სიშორის ნისლმა მიჰფარა
თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,
და გულით ოხვრა სიმწარის
აღმოუტევე უნებლი...
მშვიდობით! ვინცა დამატკბე
სიცოცხლის ნეტარებითა,
აწ ვისთვის გული მიკვნესის,
სული სწუხს განშორებითა,
ვის ხილვა არღა შემმოსავს

სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს
ალერსის ხმითა ტკბილითა!
მარამ ამ სოფელს შენს გარდა
ვინა მყავს მანუგეშებლად?
რომ შენც განმშორდი დამტოვე,
მწუხარებისა მე მსხვერპლად?
წახველ, წარმტაცე ყოველი
საამებელი სულისა,
და ვინ განმიღოს აწ კარი
ბედისა დაკარგულისა?
ან მე უგნურს რად მრწამდა
ბედისა დაუსრულება?
აწ დავშთი მარტოდ... მშვიდობით!
შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!
არს მწუხარება სულისა,
არ აქვს ნუგეში რომელსა,
სჯობს ენა სდუმდეს, ხმა შესწყდეს,
მოთქმით რა ერგოს გულ-წყლულსა?

შელამდა, მარტო ვზი ქმუნვით,
ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დაყრუვდა არე... მხოლოდა
ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
მხოლოდ სჩანს, მთანი მდუმარედ
აყუდებულან ცათამდის,
და ყაზიბეგსა საამოდ
ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!
წყალნი, მთით დაქანებულნი,
უფსკრულსა იკარგებიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან!

1841 წ. მაისის დღე
ვლადიკავკაზი.

პასუხი შვილთა

ჰე განუ ჯელნო,
უმადლო შვილნო,
საუბედურო ცუდ დროს შობილნო,
სადღაც მიმალვით,
რას ჰროტავთ, ჰკნავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?..

უკადრისობით
და უმეცრებით,
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს,
მხოლოდ თქვენ სიტყვებთ
თქვენვე ინანებთ,
თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა!
დრო მამებისა,
ვაჟკაცობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით,
მამანი თქვენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!..
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს
სისხლ შემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება!...

. . . .

დრო შეიცვალა,
გამეფდა სწავლა,
გაგეღოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!
სწავლის მამები,
პროფესორები,
თქვენთვის მოცლილნი, თქვენთვის მქადაგნი,..
თქვენ გასწავებდენ
და მზად გაძლევდენ
რაც შეეძინათ საუკუნოებს!..
ჩვენც ვნუგეშობდით,
გულით ვჰხარობდით
შვილი მამასა ემჯობინება!
და მოგელოდით
დიდის იმედით
სიხარულისა ღელვით აღვსილნი!
ვითმინოთ, მოვლენ,
და გაგვინათენ
სწავლისა ლამპრით დავრდომილს მხარეს!

ჩვენც მიეგებოთ
მხიარულებით,
ღირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!..
მოვიდნენ... და რა?
სულ ჩაგვამწარა...
ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!..
პირველად იწყეს,
შკოლა გამართეს...
ვსთქვით: ახლა მხარე გაგვინათლდება!..
ყმანი საწყალნი,
უბიწო გულნი,
სწავლად მისულნი, წაჰხდნენ ზნეობით!..
უსასოება
ურწმუნოება,
უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს;
„—ლოცვა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!“
და დაიწყეველა
თქვენი აქ მოსვლა,
და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი!
ღმერთი არ არის?..
შენთვის ნუ არის!
შენ რა გაწუხებს რომ სუფევს სხვისთვის?
სხვათა ხელი ჰყვეს
კეთილსა საქმეს:
სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..
ერის ცხოვრება,
მისი დიდება
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!..

ახლა რას ელით?
მამათ რად სწყევლით?
ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი!..
ძველთ უძველესი
არს ესე წესი.
რაც ვერ ჰქნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
შვილნო, გამოჩნდით,
სწავლითა, საქმით!
მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს!
ცუდ მეტყველებით
ვერ ამაღლდებით,
დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
თქვენი დიდება
ჩვენც გვიამება:
მის სხივის შუქი ჩვენც მოგვინათებს!..
აჰა დიდების
და სახელ-ქების
ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!..
რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?..
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა,
ქუხილის მსგავსმა,
შესძრას ქვეყანა მის აღსადგენად?..
ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!..
ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ-ფრაზები:
„მოყვასს—შეწევნა,
„ბოროტსა—დევნა,
„საზოგადობის—სულით აღდგენა!..

„ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
„მამულისათვის თავის განწირვა!“..

სიტყვა—სიტყვაა,
საქმე კი—სხვაა,
ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..

. . . . . .

გონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,

ნეტავი მიხვდეთ,
ნეტავი მისწვდეთ,
მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!..

და გულით ოჰხრაევს
ის, ვინცა ჰხედავს
თქვენსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს...

თქვენსა უქმობას,
არარაობას,
და უმეცრების ამაყობასა!..

. . . . . .

ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუ თუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,

რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?

ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები,
მესხი, მეველე, *)
მელიქ აღები?

1874 წ. ახალციხე.

---

*) როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ძველსა და ახალთაობას სამოციან წლებში სასტიკი შ ჯახება მოუხდათ. ამ ლექსის პასუხი იხილეთ „ანთოლოგიის“ მეოთხე ტომში, ილიას ნაწერთა შორის.

რედ.

ჩემი ეპიტაფი

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა მკითხველო,
მეცა მიყვარდა, მეც ვსტიროდი, ვილხენდი,
და დაფიქრებით დავმზერდი საფლავებსა!
მერგო რიგი, და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენ!
ამ ზენა სჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს:
ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით,
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა.
ვერც სიჭაბუკე შვენებითა შემკული
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით!
ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამიწდეს,
და მხოლოდ წრფელი სული, წმინდა, ცხოველი
მღვთადა ავიდეს ნაწილაკი მღვთაებრი.

1839 წ. გორი.

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი

„რ უ ს თ ა ვ ე ლ ი“

„რუსთაველ!
„ყოვლის ზეციურის მადლით გაბრწყინვებულო,
„და ანგელოზებრ წმინდად ამომსუნთქველო!
„ნეტავი მითხრან, ანუ ზეცითგან გადმომძახონ
„ვინ გადმოაქცია შენზედ მეტად კარგი უცხოება ნეტარებისა.
„ვინ მოგიტანა დიდ სულოვნობის რტო სასუფეველიდან?
„ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ ალმასითა
„და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩვენა?
„ვინ გაჩვენა მომფრინავი სული, დაენებული სურვილითა?
„ვინ გაურია შენს მტკივნარე ცრემლში აუარებელში, სიტკბო...
„ის ცრემლი, რომლის მაღაროში შეგუბებულია მეტად წმინდა გაბროლვილი?
„ის ცრემლი, რაც ემბაზით მიაქვს ცის კამარის მოსარწყავად მთვარე სრულსა?
„რომელს მინდორზე ილოცავდი, რომელ ცთომილთა მოგფინეს მზის პოდირი.
„რომელს მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის წადილს?
„რომელ მკურნალმა გასვა წამლად უკვდავება შენ?
„როგორ, საიდან ტკივილი სცან სოფლის გულისა?
„ნეტა რად ილმე ტკივნა მისი, დაუდგრომლისა?

„რომლის სამოთხისა. ყვავილების სურნელებით ავსილი ხარ?
„რომელ მხრის ედემის წყარო გისომს?
„რომელს სანუგეშო წალკოტში ხარ აღზრდილი?
„რამდენი გვარი ფრინველები ყოფილან შენთან მოსაუბრედ?
„რამდენი ბრძენისაგან დალოცვიხარ?
„რომელს ზრდილობიან საზოგადოს ეკუთვნი შენ?
„ვინ მოგართვა მხედრობისა გამოკვეთილი ბასრი ძლიერი?
„ის რა ტყე არის, შენგნით მოლბენ მხეც-ნადირნი გააფთრულნი?
„ის რომელი გველი იყო, შენ წინ კრძალვით ამოწკრიტა გესლი თვისი?
„იყო და ვინ გითხრა?—„აგერ, ხედავ? ცა პატივს გცემს ღრუბლის გრგვინვით!“
„იმ დროს სიგრილის ცვარიც მოვიდა გულსა მშვებელი?

„ვინ გასწავლა ცხოვრებისა წესი,—მეგობრობა, და ზნეობა?
„სიხარულით და სიკეთილით მოზღუდული, სცურავ სიამოვნებასა შინა!...

„სიმდიდრე და დიდება სულ არა სჩანს არად შენთან.
„ჩანგ-ებნები და ყოველი სამუსიკო შეგამკობენ,
„მგალობლები და მომღერალნი შემოგტრფიან.
„რა უნდა იმ შენსა მტერსა დავითს*) შენგნით?
„შენი შურით თავისი ქნარი ოკეანეს ზღვაში გადაუგდია
„და მწარედ დასტირის საწყალი ზედა...
„აი, ეხლა მესმის მთელი ქვეყნის ლექს-მგოსნების ღაღადება,
მაგრამ რუსთველის ხმოვანება უფრო აღმატებულია და სატრფიალო იმაზე!...

— 9 ივლისს, 1852 წელსა, ალგეთის ხეობაში, წმ. სამების მთაზე.

ზეთქმა მეფის ირაკლის მეოთხეზე საქართველოში.

დედიჩემის ბატონიშვილის თეკლესაგან ნათქვამია 1844 წელსა**).

ვგონებ ამ 1844 წლამდისინ, ოთხმოცი წელიწადი იყოს, როდესაც ეს მომხდარა საქართველოში:

ერთს შუა ღამეზე ცოტა ადრე, ქრისტესია ღვდელი ხლებია მეფეს ირაკლის, საიდუმლოს საქმის მოსახსენებლად, რომელიცა მაშინვე მიუწვევია. მეფის აუჩქარებელი კითხვა.

— მამაო ქრისტესიაე ამ უდროოთ რა საჭიროება უნდა გქონდესო?

ქრისტესია ღვდელის ჩქარი მოხსენება.

— ჩემო ხელმწიფეე? გაწყვეტას გიპირებენ ცოლ-შვილითაო.

მეფე დამშვიდებით.

— რას ამბობ ღვდელო, მე მაგას არ დავიჯერებ, ამიტომ რომ თავი განწირული მაქვს საქართველოს ბედნიერებისათვის, მე არავისა თვინ არა დამიშავებიარა, თვინიერ წყალობისაო.

ღვდელი კიდევ აჩქარებით: (აღარ დააცლის სიტყვის შესრულებას).

— შენი ჭირიმე, რასაც ბრძანებთ მართალია, მაგრამ პაატა ბატონიშვილს გაუბრიყვებია რამდენიმე თავადისშვილები და დავით ბატონიშვილიც აბდულა ბეგისშვილი.

— დავით ბატონიშვილი? ჩემი ახლო ნათესავი? ჩემი გაზრდილი? ჩემი საყვარელი შვილისავით? არ არის დასაჯერებელი.

— ბატონო, ღმერთს გეფიცებით, მართალს მოგახსენებთ.

ახლა კი აჩქარებით კითხვა მეფისაგან: „მითხარი, როდის აპირებენ მაგ ბოროტ აზრს?

— ჯერ არა ჩემო ხელმწიფეე

— მაშ წვრილად მიანბე!

— ჩემი მოწაფე გახლავსთ, თქვენი პატარა ძუძუთა ქალის, ქეთევან ბატონიშვილის ძიძის ქმარი, დათუნა ფეიქარი, რომელმაც აღსარებაში აღიარა, რაც დაწყობილობა აქვს პაატა ბატონიშვილს თქვენზე. გუშინ საღამოს ჟამზე დაებარებინა პაატა ბატონიშვილს, ფეიქარი დათუნა, მრავალის წყალობის დაპირების შემდგომ, ჯერ ფიცი გამოერთმევინა და მას უკან ეთქო: „შენ ხომს სამსახურში ერთგული ხარ, რადგან შენი ცოლი მეფის სასახლეშია ძიძათ, შენ უნდა

*) წინასწარ მეტყველი, ფსალმუნთ მთხზველი.
**) შ ე ნ ი შ ვ ნ ა ა ვ ტ ო რ ი ს ა.

იკისრო ჩვენი შეყვანა სასახლეში, რომ ერთიანად ამოვაგდოთ მეფის ირაკლის თესლიო. შენ ნუ გეგონება მარტოკა მე ვიყო და მარტოკა მე გეუბნებოდე ამას. ამ საქმეში ბევრი ვართ: თვით მე, აბდულა ბეგის შვილი, დავით ბატონიშვილი, თვით მეფის ირაკლის ახლო ნათესავი, დიმიტრი ამილახვარი, იმის შვილი ალექსანდრე, დიმიტრი ციციშვილი, ელისბარ თაქთაქისშვილი და იმის შვილი იასე, რომელნიც ამ ჟამად აქ, ქალაქში, ვიმყოფებითო. ახლა შენ ერთი საქმე უნდა შემოგვძღვნა, შენს მეტი ამას ვერავინ შეასრულებსო. რადგან ჩემი სანდო ხარ, ამისთვის ხვალვე უნდა წახვიდე კახეთში, ჩემს მეგობრებს ჩემი წიგნები წაუღო რომ საჩქაროდ ჩამოვიდნენ. თუ ამ ჩემს ბძანებას აღასრულებ, როდესაც მეფედ დავჯდები, შეეფიცა: აზნაურიშვილობასა და ერთს კარგს სოფელს გიწყალობებ ერთგულობისათვისო, ოღონდ ეს ჩემი ბრძანება აღასრულე და ეს ჩემი წიგნები საჩქაროდ წაიღეო.

თუმცა ის წიგნები გამოერთმევინა, მაგრამ ფიქრი მოსვლოდა, წავალ ჯერ ჩემს მოძღვარს ვნახავო. იქიდან ჩემთან გიახლა=, მთხოვა დიახ საჭირო საქმეზე მივდივარ კახეთში და გთხოვთ აღსარება მათქმევინოთო. მაშინვე ეკლესიაში შევიყვანე და აღსარება ვათქმევინე, რომელმაც პირველადვე ეს ამბავი მითხრა: კახეთში გიახლებით, სადაც გზებზე დიდი შიში არის ლეკებისა, მეშინიან გზაზედ არ მომკლან სადმე, ამისთვის ადრევ აღსარების და წმ. საიდუმლოთი გავიწმინდები და ისე წავალო. როდესაც დაასრულა და ყველა მითხრა დიდათ შევწუხდი, ბევრი ველაპარაკე და რის ყოფით დავაჯერებინე აღარ წასულიყო და ის წიგნებიც ჩემთვის მოეცა. ეს წიგნები ახალუხზე ქონიყო დაკერებული, მაშინვე აარღვია და ჩამაბარა. ახლა თქვენთვის მომიხსენებია ეს ანბავი და ახლა თქვენთვის არისო, ჩემო ხელმწიფევ!

მეფეს ებრძანა ახლავ წადი ქრისტესია ღვდელო და დათუნა ფეიქარი აქ მომგვარეო.*)

დაუყოვნად ქრისტესია ღვდელი, დათუნა ფეიქარი მეფის ირაკლი წინაშე იდგნენ და პაატა ბატონიშვილის წიგნებს კითხულობდა ზოგიერთ კახელებთან მიწერილს. მეფეს წაკითხვა რომ დაესრულებინა, მაღლა აეხედა და გულმტკივნეულად ეთქვა: „ყოველთ გულთამხილაო ღმერთო! შენ ხომ კარგად იცი, მე ქართველები როგორ მიყვარან და ან იმათთვის გული როგორა მტკივა, მაგრამ ჩემი ერთგულება და სიყვარული ვერავის ვერ დავანახვე, არ იქნა იმათი გული არ გასწორდა ჩემზედ! კარგი, ქრისტესია ღვდელო, შენ წადი ახლა მე ვიცი. დათუნა ფეიქარი კი სასახლიდან არ გაეშო, ხოლოდ ერთს დაფარულს ალაგს დაემალა.

იმ ღამესვე შესდგომია საქმეს და თავის წინააღმდეგები შეუპყრია. მე მგონია იმისთვის შეუპყრია ისე ჩქარა, რომ არავის შეეტყო, იმ ღამეს რო შეეტყოთ პაატა ბატონიშვილი და აბდულა ბეგის შვილი დავით თავიანთ ერთგულის ქართველებით გაიქცეოდნენ და მაშინ ვინ იცის, როგორ იქნებოდა საქართველოს საქმე?!..

მეფე ირაკლი იქნებ ვერ გადაეგდოთ, ვინაიდან გაძლიერებული იყო საქართველოში, მაგრამ ბევრი სისხლი კი დაიქცეოდა ქართველებისა, ამისათვის

---

*) იქნება გაიკვირვო პაატ ბატონიშვილი ასე ჩქარა და განუსჯელად როგორ ენდო დათუნა ფეიქარსაო. როგორც გამიგონია, მეტი თავხედი ყოფილა და განუსჯელი, არა სჯულიერი მეფის ვახტანგის შვილი. **შენიშვნა ავტორისაა.**

რომ, გარდა ზოგი ერთის დიდი კაცებისა, სხუაც ბევრნი რეულან ამ შეთქმაში, მეფეს ირაკლისაც შეუტყვია, ვინცა რეულან, მაგრამ აღარა დაუდევნია რა, რადგანაც კარგათ იცოდა, როგორ უნდა დაეშალა იმათი განზრახვა, ამისთვის აღარ გამოჰკიდებია. ამის ქვემოდ ჩანს რომ ასე უნდა ყოფილიყო.

დაუყოვნად იმღამესვე დაუბარებია თავისი დიდი კაცნი მეფეს. დიდკაცებს ჩვეულება ჰქონიათ, ბევრჯელ უდროოთ დაბარებისა საჭირო საქმეზედ, ამისთვის ჩვეულებისამებრ მიეღოთ, მაგრამ როდესაც სასახლეში შეყრილან, მეფე ირაკლი ჯერ გამოპრძანებული არ ყოფილა სალხინოში, ამაზედ ეჭვში შესულან და კითხვა დაუწყვიათ ერთმანეთისათვის.—„ეს რა უნდა იყოს ამ უდროოთ სულერთიან აქ შეგვყარაო?“ ამ დროს მოსამსახურეს კარები გაუღია მეფის სენაკიდან, სადაც პირველი დიდი კაცი მიუწვევია მეფესთან. ამაზედ უფრო, შეწუხებულან, მარამ ვისგან რას შეიტყობდენ?

ის პირველი დიდიკაცი მეფესთან რომ შესულა, პირდაპირ შეუხედავს, უნახავს, ოთახის თავს, ხატების თახჩას ფარდა ჰქონია გადახდილი, ხატების წინ სახარება სვენებულა, ამის მარჯვენეს მხარეს მეფის მოძღვარი მდგარა სრულიად შემოსილი და მარჯვენეს ხელით ჯვარი სჭერია, ამის ცოტა მოშორებით თვით მეფე მდგარა მრისხანეს სახით და სენაკის კუთხესთან ორი მოსამსახურენი განკრძალულები, ხანჯლის ტარებზე ხელებ დაწყობილნი.

ეს უცნაური სანახავი რომ უნახავს დიდ კაცს, შაშას ზარს აუტაცნია და დიდად შემკრთალა: ნამეტნავად მაშინდელი ღუთის მოშიშნი ქართველები, სარწმუნოების ძლიერნი მოსავნი, ამისთანა სანახავს, რომ ნახავდენ და თვის მეფეს განრისხებულს დაინახავდენ, თუნდა იმ დიდკაცებთაგანი ორგული ჰყოლიყო ვინმე, მაშინვე გული გამოეცვლებოდა.

ამასთან მეფეს ირაკლის უთქვამს მრისხანედ.—„წინ წამოდეგო“. კრძალვით და მოწიწებით წამდგარა.—„ერთგული ხარ ჩემიო?“

ახლა მე ვიკითხამ, თუნდა ორგული ყოფილიყო, შეეძლო წინააღმდეგი მოეხსენებინა პირისპირ თავის მეფისთვის?

აი იმ დიდი კაცის პასუხი.

—„ჩემო ხელმწიფეო! რას მიბრძანებთ, დედა მიწა უნდა გასქდეს და შიგ ჩამიტანოს, როდესაც თქუენს ორგულობას მე ვიფიქრებო“.

კიდევ მეფეს კითხვა.

—„შეგიძლიან შენი უკანასკნელი სისხლი შემომწირო მსხვერპლადო?“

—„ღმერთს გეფიცებით, ჩემი უკანასკნელი სისხლი, ყოველთვის მსხვერპლ ია თქუენი„.

—„მაშ მოდი ჯვარზე და სახარებაზე დაიფიცე ჩემს ერთგულობაზე და რაც გიბძანო ჩემი ბძანება აღასრულეო“.

შეფიცების შემდგომ.

—„ეხლავ შენის ამალით შეიარაღებული წადი, პაატა ბატონიშვილს შემოერტყი გარს, იმის სახლიდგან არავინ არ გაუშოთ, თორემ დიდად მეწყინება და თოფიარაღიც ჩამოართვით. ვინცობაა, თუ კითხვა რამ დაგიწყოსთ უთხარი თ თქუენ არ იცით რა, რისთვის დააპერინა მეფემათქო“.

მაშინ მეფის უპირველესნი წინააღმდეგნი სულ ქალაქ ტფილისში ყოფილან, მეფის ირაკლის საწინააღმდეგოდ.

პირველი დიდი კაცისათვის დარიგება რო მიეცა, მეორეს მოსამსმხურეს ს ხუა კარებიდგან გაეყვანა, სხუა დიდ კაცებს ველარა, გაეგოთრა იმისი ანბავი. მასუკან მეორე დიდი კაცი შეეყვანათ, რომელსაცა პირველის მზგავსად დაეფიცა ამისთვის ებძანებინა.

„შენ შენის ამალით წადი და დავით ბატონიშვილს გარს შემოერტყიო“. ..

რაღა გავაგრძელო, ყოველი თვითეულად შეუპყრიათ, მარამ დიმიტრი ამილახვარს მოუსწერია გაქცევა და ვინ იცის სად გავარდნილა.

ვინც იმასთან დიდ კაცები დარჩომილან, ხომ ალარ შეხვედრიათ გაგზავნა ისინიც დაეფიცებინა თავის ერთგულობაზე, იმათაც ისე შეფიცათ როგორც სხეებს. მას რო მორჩომილიყო მეფე, იმათთან გამოსულა და ყველასთვის უთქვამს.

„ახლა შეგიძლიანთ თქუენს სახლებში წახვიდეთ, მარამ რაც მოხდა, უბრალოდ ნურას ილაპარაკებთო“.

მეორეს დილაზედ, ქართლ-კახეთიდან თავათ-აზნაურნი და პირველი სახლის შვილები გლეხნი, აქ ტფილისში დაუბარებია, მკვირცხლის მსრბოლელებით. გარდა ამისა, რაც მთებში პირველნი კაცნი ყოფილან, ისინიც დაუბარებია.

დიდი ხალხი შეყრილა ქ. ტფილისში, მარამ მიზეზი კი არ იცოდნენ რისთვის დაებარებინა და ან პყრობილნი რად დაეპირათ?

როდესაც სულ ერთთან შეყრილან, ამ დროს ერთს საღამოზე ბძანება გამოეცა მეფეს ირაკლის: „ხვალ დილაზე, ჩემს სასახლეში უნდა შეიყარნენ ყველანი: სასულიერო წოდება და მთელი საეროვო“.

აბა ვიღა დააკლ დებოდა? დიდი ანტონი კათალიკოზი, საქართველოს მღუდელ-მთავრები, არხიმანდრიტები, სარდლები, სხუა დიდი კაცნი და მთელი საქართველოს გამოჩენილნი კაცნი, მეფის სასახლეში შეყრილან.

იმთენი ხალხი სალხინოში ხომ ვერ დაეტეოდა, რომელსაცა ოცდა ოთხი ადლი სიგრძე ჰქონია გაზანდრისა, ამისთვის გარედგან სალხინოს რუსები აუწევიათ და ბოაჯირზედ მიმდგარა ხალხი, რომ ქედევისაგან ნემსი არ ჩავარდებოდაო. ამ შეკრებილებაში, მეფე ირაკლი გამობძანებულა და თავის ადგილს დამჯდარა გაჯავრებით; ხმა არავისთვის გაუცია.

მცირეს ხანს უკან, პყრობილნი შემოუყვანიათ და მეფის წინ მოშორებით დაუყენებიათ; ამათთან და ამ შეყრილობაში, მეფეს წამოუჩოქნია, როგორც მოჩივარს, სადაც გამოძახებით უთქუამს ეს სიტყვები:

„დღეს საქართველოს დიდებულნი, სულ ერთიან აქა ხართ შეყრილნი. მე თქუენთან ვჩივი, არა მეფე, არამედ როგორც მოჩივარი; წინაშე ღმერთთან გამეცით პასუხი, თუ ჩემს მეფობას მოხედოთ. და მეფობისთვის გამამართლოთ. გევედრებით ჩემში და მათში (ხელი მიეღო პყრობილებზე) სწორე სამართალი მოახდინოთ. ჰკითხეთ: რას მემართლებოდნენ, რომ ცოლშვილით გაწყვეტას მიპირებდნენ. საქართველოს დიდებულნო და მდაბალნო! ღმერთს თავდებათ გაძლევთ, თუ ჩემზე უკეთესს მეფეს იშენით საქართველოს ბედნიერებისათვის, მე ჩემს გვირგვინს იმას დაულოცავ, და თუ ვერ იშოვნით, მაშ რას მემართლებოდნენ, რომ გაწყვეტას მიპირებდნენ. ცარიელ ლითონის სიტყვით არ გეუბნებით მე ამას. აი ამათი (კიდევ ხელით უჩვენებია პრყრობილებზე) მიწერილი წიგნები“

მდივანბეგისათვის მიეცა და იმასაც ხმა მაღლივ წაეკითხა.

წიგნების წაკითხვის დასრულებისთანვე, მთის ხალხნი აღელებულან და იმათი დახოცვა მოენდომებინათ იქვე, მაგრამ ყველანი მეფეს დაუმშვიდებია. როდესაც დამშვიდებულან, მეფე წამომდგარა და თავის საწოლში შესულა. მაშინ დიდს ანტონს ქათალიკოზს, ბევრი უყვედრებია თავის ძმისწულის დავითისათვის და მეფის ირაკლის ჭირნახული მოუგონებია იმაზე. ამასთანავე სახალხო სამართალი მომხდარა ავლაბრის ძირში რიყეზე, სადაც დღეს ნემენცები დგანან. პყრობილებს, მეფის შემცოდეობაზე თავი დაუდვიათ, რომელთაცა სახალხო განჩინება იქვე აუშენებიათ ასე:

„პაატა ბატონიშვილს მეხლმემ თავი გააგდებინოს; აბდულა ბეგისშვილს დავითს ეგრეთვე; დიმიტრი ამილახვარს ყმა და მამული ჩამოერთოს; ამის შვილს ალექსანდრეს ცხვირი მოეჭრას, გაზები დაესხიპოს და უცხო ქვეყანაში გაიგდოს; ელისბარ თაქთაქისშვილი ცეცხლში დაიწოს, ამის შვილს იასეს ცალი თუალი ამოერთოს და ერთი ხელი მოაგდებინონ და დიმიტრი ციციშვილს ენა მოეჭრას.

რასაკვირველია გრძლათ იქნებოდა განჩინება დაწერილი და არა ასე მოკლედ. ესენი სულ ბატონიშვილის დედიჩემისაგან გაშიგონია, რომელმაცა წვრილათ აღწერა. ბოლოს იქნება საქართველოს ისტორიისათვის გამოდგეს და ურიგო წასაკითხიც არ იყოს. ნუ გეგონებათ ბატონიშვილი დედა ჩემი მომსწრე იყოს ამ ანბისა?—არა. იმასაც მომსწრე პირთაგან გაუგონია, არა ერთისაგან, დიახ ბევრისაგან.

სამართლის გადაწყვეტის შემდეგ, მაშინვე საქმეს შესდგომიან და აღსრულებაში მოუყვანიათ. ეს ანბავი მეფეს ირაკლისათვის მოუხსენებიათ, ამ დროს თავადი რევაზ ჯანდიერიშვილი იქ ხლებია მეფეს, რომლისათვისაც უბძანებია: —„არ მეგონა ამისთანა უწყალოს სამართალს გადასწყვეტდნენ, თორემ თვით მე დავსჯიდი. იმ საბრალოთაო. მიშველე რევაზ, ეხლავ ცხენზედ გადაჯექ, საჩქაროდ მიდი, ჩემი ახლო ნათესავი დავით მაინც იპატიე ჩემმაგიერ, აღარ მოკლან, მე მამცენ და მე გადავახდევინებ რისაც ღირსი იქნებაო“.

სწრაფის ჭენებით წასულა, მარამ ველარ მიუსწვრია; ის იყო საცოდავისათვის თავი მოეჭრათ, რომ კიდევ ფართხალებდა იმისი გვამი და თავის სისხლში იბანებოდა.

მოსულიყო და მოეხსენებინა, რომელიცა დიდად შეწუხებულა მეფე და ცრემლები გადმოეყარა.

სხვებისა რაღა უნდა ვსთქუათ? ის უბედურნი იმ სასჯელით დასჯილ იყვნენ, რაც იმათზე დაენიშნათ.

დათუნა ფეიქარს რაღა მოუვიდა? მეფემ გააზნაურა, ყილიჯ-ყორჩობა ებოძებინა და ხალხიც მახარობელს უძახდნენ, მარა დიდ ჭირიანობის დროს, სადაც ხალხის სვრა ყოფილა საქართველოში, ისიც იმათში ამოწყვეტილა ცოლშვილით.

---

[1]) ვინც მეფის ირაკლის წინააღმდეგნი ყოფილან, ისინი თურმე ლაპარაკობდენ ჩუმათ, ვითომც მეფე ირაკლიმ ტყვილათ მოუგოლა მეფის ვახტანგის თესლის აპოსახოცად საქართველოში; ამისთვის დაახოცინა პაატა და დავით ბატონიშვილიო. სხუებსაც თურმე ბევრს ლაპარაკობდნენ ამ გვარებს.

შენიშვნა ავტორისაა.

ნიკ. ბარათაშვილი*)

ბულბული ვარდზედ

ბულბული ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი:
„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი,
მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,
მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი!“
ასე ჰყეფდა ბულბული, ოდესცა ღამე ბნელი
მოიცვამდა ჭალებსა; ჰქრიდა ნიავი ნელი;
და როს სდუმდა ბულბული, მაშინ აღმოხდა მთვარე,
ვარდმანც მაშინ მოჰფინა სუნნელება მის არე.
მაგრამ მგოსანსა თურმე მოერია გლახ რული!
აღმობრწყინდა მთიებიც და ფრთოსანთ მხიარული
გალობა ჰყვეს ჰაერში, განაღვიძეს ბულბული,—
ნახა ვარდი ფურცვნილი და მყის მოუკვდა გული!
თვალნი ემოსა ცრემლით, გული სევდის საცმლითა,
ფრთა ფრთას ჰკრა და აღმაღლდა, მსტვინავი ლმობის ხმითა,
უხმო ყოველთა სირთა: „მოდით და შემოკრბითა,
მისმინეთ, შემიბრალეთ, ვის მივმართო წყლულითა?
„განთიადით ღამედმდე შევფრფინვიდი კოკრობას,
არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, გალობას;
მქონდა მცირე წადილი, ვერ მივხდი კი ძნელობას:
მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიქრობდი დაჭკნობას!“

ზემოლამება მთაწმიდაზედ

ჰოი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს, დაშთენ ამოს, ციაგნი ნელნი!
ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!

---

*) ლექსები დალაგებულია ქრონოლოგიურად. 1834—1845.
რედ.

ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!
მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდეე, ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!
ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
Oე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან!
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ, და ჰაერშივე განიბნევიან!
მე შენსა მკვრეტელს მავიწყდების საწუთროება!
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს საღგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!
დაფიქრებული ვიდეგ სერზედა, და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!
მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!
ჰსდუმდა ყოველი მუნ არემარე; ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას;
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გადახრით შუქ-მიბინდული!
ამ გვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!
ჰოი ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!
მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი ჰსძღვენით მას შვება!
ჰოი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მკმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

ხმა იდუმალი

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?
რა ეჰსცან პირველად წუთი სოფელი,
დავჰშთე ადგილი, სადაცა წრფელი

რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის,—
მას აქეთ ხმა რამ თან ჰსდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად,
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად:
„ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვო შენი საშვენი!“
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ეჰპოვებ,
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!
ნუ თუ ხმა ესე არს ხმა დევნისა
შეუწყალისა სინდისისა?..
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა!
ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცდური ჩემი,
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვჰსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?

ფიქრნი მტკვრის პირას

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით:
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა,
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა..
იდაყვ დაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი ჰრბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?...
მაინც რა არის ჩვენი ყოფა—წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიელოს, ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?

•

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს,“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...

თუნდ კეთილ მეფე, როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევათ თვის სახელი შთამამავლობას!...
მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ ჰსთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...

. . . . . .

მაგრამ რადგანაც კაცნი—გქვიან შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა შივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!

ჩ ო ნ გ უ რ ს

შენი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,
ხანცა ოხვრანი, ხანაც ამოსკვნანი,
წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!

ჰოი ჩონგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

მაგრამ სად ენახო, შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!

ჩ ე მ ს ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ს

რად მრისხანებ, ჩემი ბედის ვარსკვლავო?
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო:
შეეთვისა სული შენსა ზოლრუბლვას,
შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!

ნუ გგონია ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ;
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
როს მიბეუტვით ნისლით გამომინათებ.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მალხინებელ დაბინდულის გულისა!

მოციმციმდი, მოდი გამომედარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე;
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაბერწკალნი ეშხისა მომაყარე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ

ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას,
და სთქვა: „აბაო ხელმწიფებამ რა შემიძინა?“
და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი თვის წინა,
მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რაღაც გარდაეფინა.

„ახლა კი კმარა, ჰსთქვა მან გულში, სურვა აღმიხდა:
სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად,
შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენათ
და დავუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად.“

„ძაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!
ძითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხნა შარავანდედი;
ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“

„მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოესწყინდე,
და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს!..
არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს:
მე მან გამზარდა, და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს?“

„ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!
რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფებდეს,
მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,
თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!„

ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:
დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს
მისს ცეცხლსა სულისა და ზღვა-გულსა განსაკვირველებს!

თავადის ჯ...ძის ასულს

ეკ...ნას

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო სულს ელხინები;
თვალთ არონინებ,
გულს داააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!
სადც ხარ, იმ არეს
მოჰფენ სიამეს,—
უშენოდ მოჰსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ლხენითა,
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!
მახსოვს სიამიდ,
ოდეს ტკბილის ხმით
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე!
პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე!

ს ა ყ უ რ ე

ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიო მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!
ჰოი საყურეო,
გრძნებით ამრევო,
ვინ ბაგეს შენს ქვეშ داიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ داგაკონოს?

ჩ ჩ ვ ი ლ ი

მიყვარს, მიყვარს, მე ტიკტიკი ჩჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურისა მის ხმის,
ოდეს იგი ენითა სასუფევლის
უალერსებს წიაღთა თავის მშობლის!

მის სოფელი უზრუნველობით ჰშენობს;
გარდა დედის ალერსისას არ რას ჰგრძნობს;
ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს;
ყოველსავე შეუპოვრად მქვრეტელობს.

არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;
იგი თავის სანუკველითა შობით
ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.

იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!

ს უ ლ ი . ო ბ ო ლ ი

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ ჰსჩივის თავისს უთვისტომობას,—
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელლა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მარამ ერთხელ დაობლებული სული,
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის;
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

კახთა მიმართ

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,..
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებრ მლხენი ეელინებოდა მტერსაც გამგმირად!
და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის
მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის,—
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმალანად,
ერთ-სულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.
როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,
ხელთ ჯამის მპყრობნი წარსრულსა დროებს მოიხსენებდეთ,..
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!

კარი პირველი

მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!—

ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაკსა თავისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის მეფისა ცრემლი!
ქართველთა ჯართა კრწანისის მინდვრად
დაებანაკათ სპარსთთან საომრად;
პატარა კახი აღა-მაჰმად-ხანს
უპირებს შებმას ძლიერ რისხვიანს.

ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი.—
ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
ზე დანათლიდა ბრძოლისა ველსა
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა მამობრივის ხმით:
«ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!

საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი;
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!»

«შენი გამჩენის ჰირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!»
შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით.
«ჩვენ თუნდ სულ ერთს დღეს დავიხოცებით
ოღონდ შენ იყავ, მეფეე, დღეგრძელი!
მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს,—
მისთვის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!»

ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
განუცხადებენ თავისს სიყვარულს!

დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალს განამხნევს, მხნეს განაღვიძებს
და მიხაჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!

შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი;
სომხეთის გმირნი, ყაფლანის შვილნი,
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი,
განუმტკიცებდნენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას,—
მაინც ვერ ჰხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!

ბინდმა განჰყარა მებრძოლნი მტერნი.
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი მამულისათვის!...
აწ საფლავიცა არსად ჰსჩანს მათთვის;
ჰაერში განჰქრა მათი სახელი,
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!...
მაგრამ, ჰოი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განაგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაიცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!

მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
«გვიჯობს რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ,
აღა-მაჰმად-ხან რა აქა გვნახავს;
ხომ ფცით ჯარი დიდ-ძალი ახლავს,
და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.—
ძველადგან ასე ნაამბობია:
«რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს ჰსჯობია!»
ყველა ეთანხმა ამაში მეფეს;
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს,
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა!

გათენდა დილა მზისა აღმოსვლად;
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად,
ბნელი მოჰფინა თფილისის არეს:
აღა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს!
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მზგრამ ვერა რა ავნო ვერსაით.—
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და თურმე ყოვლით იმედმიხდილი

ქართლიდან წარსელას დააპირებდა....
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა მან იგი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!
და მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!—
სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოყმეთა თვისთა ესდენ დამცრობა,
მყისვე აღენთო ხელმწიფე გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღა-მაჰმად-ხან, კვლავ თავმომწონე,
შემოეპარა ციხისა კართა
და მოევლინა მსწრაფულ ქართველთ ჯართა.
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა თერანის ტახტ-ხელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!

კარი მეორე

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს—შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შეჰსძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწაგანებულს მთებს,
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გადმოჰყურებს.—
მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გარდმომზირალი!
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალთა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი!

დიდხანს უჰვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ;
ბოლოს მახვრალმან უბძანა მსაჯულს:
„შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;

ბევრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხებულს;
აწ ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმეღავნებ, ვით საყვარელს შვილს!“

„არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!
და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას,
განუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე, ჩემთა ძეთა—და ვინ ახარეს!..“

„ამიერითგან გაქეზებული,
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ჟამი შეჰსწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს,
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!

მეც თუნცა კვლავ ვჰგრძნობ სულის სინტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს:
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახავარ!
აბა, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..
ჰოი ღმერთო, ღმერთო, ამაზე მეტად
ნულა განჰსწირავ ქართველთა ტანჯვად!..

„აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგათ იფიქრე, შვილო ერთგულო;
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი—სარწმუნოება,—
მას მსურს რომ მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილ-დღეობა!“

ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უჰვრეტდა მეფეს, განცვიფრებული:
მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.
„რასა მიბრძანებ! ჰკადრა მან მეფეს,
ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!“

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს;
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი,
ვინღა ახსენოს აწ საქებელი?

ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“ —

„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის,
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვჰფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე,
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა ჰსურს რომ თვისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უქვრეტდეს იგი ომსა დღე დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი:
რა ჰქმნა ამ ერთმა დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
ქალაქს დაჰსჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღივსო მან საწყაული!“

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს
საფლავზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!—“

ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს, აღშფოთებულმან:
„განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვსთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“.

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ აბა ჰსთქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს

მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?...
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!"

ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულ-მტკივნეული,
ქართლისა ბედსა განსამართლებდენ,
ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდენ!

ამ დროს აღმოჰხდა ბადრი მთოვარე
და სიამითა მოჰფინა არე.
ცამ, მოუედილმა ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმან, სავსემ შვებითა,
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთა,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
გულს აუშალეს დარდები ბატონს,
ოხვრა დამართეს, ვით კაცსა ლიტონს.
მას მოაგონდა დრო ყმაწვილობის,
განტარებული თვისთა კახთ შორის,
როს ჯერ არ ეღო ტვირთი მეფობის,
როს ჰქონდა ჟამი უზრუნველობის,
და საყვარელი კახეთის გმირი,
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!

დიდ ხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.
შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:
„ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი,
მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,
შევიტყო კახთა საჭიროება,
ვსცნა ჰაზრთა მათთა აწ ვითარება;
ჰშენ კი აქედან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამზადი."

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული:
ვიდრემდის იყო შიშიანობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა,
და მომავალმა აწ ქალაქისკენ,
გამოიარა თავის სახლისკენ.

მეფის ჰაზრთაგან სულით ღელვილი,
ჰზრახვიდა გულში მამულის შვილი:
„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება—
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება.
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!...“

„იქნება მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
იქნება ამან აჰყარა გული
ბატონს ქართლზედა, შეუორგული?...
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.
მაშ რამ უცვალა მას გული მყარი,
ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი?..
მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება:
ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების!“

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი;
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენიერება, გულ-კეთილობა.
რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე შეცვლილი, მონაწყინარი,
ამბავი ჰკითხა მყის ირაკლისა,—
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

„ვეჭობ, სოფიო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;

მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული!
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შვილების ამა ურჩებას:
ვეჭობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.
მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,
როს საცხოვრებლად დიდ-კაცთა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ?
ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფვნეულება,
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!
ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის.
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთათვის გულ-გასართობლად.
მაშინ კი ვისლა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!—"

„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე.
სადაცა ვერვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
და ველად იგი ამხანაგთ შორის,
ჭირსაც ვით ლხინსა ერთგუარ დამღერის
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლღება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება;
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!"

„რად დაგერჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი
გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი.
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
მწუხარებათა სანუგეშებლად,

რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში!

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
და აწ, რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით
გარდაეხვია მას მხურვალებით.—

ჰოი დედნო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ეხლა თქვენგუარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?...

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უქვრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
პალატნი მისნი გადმონგრეულან,
სახლნი, სამშობლო დანაცრებულან;
მიდამო ჰსედავს უპატრონობას!
აღოხრებასა და ნატამლობას!
დუმილი ჰსუფევს მის არემარე!
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!

აღავსო კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანება ჰსცნა ირაკლისი.
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა!

წარვიდენ წელნი მოსვენებისა
და კვლავ ირაკლიმ ხრმალი ბრძოლისა
აღიღო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად-
სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;

კვლავ ასახელა თავის სახელი;
მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის!

სატრფოვ, მახსოვს

სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით ჭკრთოდენ,
და ბაგენი მდუმარენი
ხვაშიადსა მიმალვიდენ!
მაგრამ სულო, იგი ცრემლი
არ ჰსტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ხორციელსა!
აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას;
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას!
ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,
გულ-ამოსკვნით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა!

ჩემი ლოცვა

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ ღელვილი!
ნუ თუ მამასა არცა ჰქონდეს გულის ტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?
ჰოი სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვით ადამმაც ჰსცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,—
გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება.
ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნაესა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!
გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე
და—ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთთ შენდა სათქმელად?
მაშა დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად.

* * *

აღმოჰხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,
შცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საავდრო და მეც გლახ გული
ჰსწრაფულ განმითენა, შავ ბედისგან დაღამებული!

ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობ ლად;
ნუ თუ შენ ჰფინო შვების სხივი ჩემს გულსა კვალად;
კვლავ აღმიტეხო გულის ჭირნი, მიყრუებულნი,
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულნი?

მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი ესრეთ საზარი!
მეცა ხელი ვჰყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევაერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!

დავმღერდე მას დროს, როს ვარსკვლავი მშვენიერის ცით
მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;
მოეჰსთქვამდე, თუ ვით მიმეფარა იგი მჰსწრაფულ ღრუბელს!
ბოლოს ვუმღერდე შუქსა შენსა, შვების მომფენელს!

ვჰფუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ჰოი მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო,
მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება!

* * *

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალებიანო,
დღითი მზევ, ღამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!
შენის ლოდინით ვსულდგმულვარ, თაყვანს ვსცემ შენსა სახელსა,
დედის ერთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა,

ყარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად—ბასრი ხანჯალი,
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის:
მის ფასი კიდევ საუნჯე ცას ქვეშეთს განა იმყოფის?

* * *

დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;
დრომ უეამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი!

აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაკნობს,
მოძულებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკბობს.
ვაგრამ მსწრაფლადვე გახშირდენ მწარენი ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

* * *

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ლიმილით გევხარ მაისის დღესა,
მე შენს თვალებში ვჰსჭვრეტ სამოთხესა
და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

როს უბედურ მყოფს მე მოშორება,
გონება მტაცის მშვენიერების,
ვსთვლი მოწყინებით ჟამთ მჭმუნვარების
და სევდა გალხ გულს დამეფარება!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,
ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,
ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

ცისა ფერს

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს
სიყრმიდგან ვეტრფოდი.
და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ მე —არ ვეტრფო
არ ოდეს ფერსა სხვას.
თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოჰკრთის სიამით.

ფიქრი მე სანატრი
ბიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.
მოვჰკვდები—ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს,—
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!
სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას—
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

საფლავი მეფის ირაკლისა

(კნიაზს მ....პ....ძეს ბარათაევს)

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო!
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმინდას აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშო შვილსა!

თაყვანს ვჰსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხრა ქართლს დაობლებულს?
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,
და ესჰამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენნი ძენი:

ჟამ-ვითარებით გადახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული,
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მრსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა;
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყელვა;
შავის ზღვის ზვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,
და თაყვანსა-ჰსცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!

სუმბული და მწირი

მ წ ი რ ი

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მჭვრეტელს არ გააჩნდა დილა, საღამო?
მარქვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,
რომლით ათრობდა სიცოცხლის ჟამთ ლამაზი ველი?

ს უ მ ბ უ ლ ი

მწირო, ხომ ჰხედავ, მოვჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ ჰსწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს:
აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას;
ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!

მ წ ი რ ი

ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;
სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გაჭკნობს და სიცივეც ველარ დაგზარავს?

ს უ მ ბ უ ლ ი

მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი:
არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი;
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა მიჩრდილებს?

მ წ ი რ ი

სუმბულო ტურფავ, მოიგონე მკაცრი ზამთარი.
მისგან შენ ახლა იქნებოდი უწყალოდ მკვდარი:
ნახე, რა ძალუძს შენთვის მზრუნველს კაცისა ხელსა,
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

ს უ მ ბ უ ლ ი

ჩე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო,
შაგრამ ამას ვწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო!
ზამთრით ბუნება არა ჰკვდება,—სევდით იმოსვის,
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა განეშორების!

და მყის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
ახ, როდის ენახო მეცა ველად ჩემი ბულბული,
რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

მ წ ი რ ი

მშვიდობით, წავალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა;
ისიც შენსავით განაშორეს სამშობლო ველსა!
ვაი, თუ მასაც უდროდ აჭკნობს უწყალო ხელი,
და არლა მომხვდეს სუნი მისი, ჭირთ-უკუმყრელი!

* * *

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას:
რომ არ გემჰსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა,—
ჰგავს არ პასუხს ჰსცემ შენ მას სულით მშვენიერითა.
სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
და ვით ყვავილი თავისს დროზე მსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალვბადია, წარმავალი და უმტკიცები!
მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მგოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელათ დამტკიცებულსა!
მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი,
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება,
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!

ჩემს მერანს

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვალოდ, ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი,
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სვალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო ფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა, —
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკლავთა, თანმავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხრის,—
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა, დამეცეემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცელად, მივალალებენ სვავნი მყიეარნი!
გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის სამძღვარი,
თუ ჯმომდე არ ემონა მას, არც აწ ვემონოს შენი მხედარი!

დაე მოვჰკიდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვალოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გაჰსწი, მერანო. შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

* * *

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ კაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედ გადამიქცევდი!
მარქვი, რა იქნენ საკურველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?
წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთ აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი, ჩემთ გულის თქმათა
მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!
განვედი ჩემგან, ჰოი მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ. მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი?
ვაი მას, ვისაცა მოჰხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

* * *

შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევჰსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!
მისთ თვალთა ჰხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი!
ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად!

ძია ბ....სთან

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სარტრფონი მისნი შემოგარენი
გადახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!
მაგრამ გაჩნს კიდევც გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო, უცხო თემად იარე,
მრავალი კარგი ნახე ამბავი.—

მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა ის ღამე, ოდეს სატრფონი
ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თან-ზრდილნი ჰსწორნი.—

ჩემთ მეგობართ

ჭაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ
და სიყვარული გულის ჭირთაც გისიამოვნებთ,
არ დაიჩნიოთ შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი.
აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ალსა!
სასაცილოა ბერი კაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!
მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინცა კმარა დადუმება გულის თქმათა,
კისრად ტვირთება წუთის სოფლის მძიმე ზრუნვათა!
ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს!
მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს ჭირი:
არ შეემსჭვალოთ, მოკისკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა!
აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!

* * *

არ უკიჟინო. სატრფოო, შენსა მგოსანსა გულითთქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;
მინდა რომ ვიყო ვარკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი;
მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელო სიცხითა დამჭკნარი;
რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს,
და ერთად შესხივებულნი, შვებას მოჰფენდენ სიცოცხლეს;
არეს ავსებდენ სიამით, მცენარეთ განმაცხოველებლად,
იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად!

ნუ თუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?
მაშინ მზეც უსხივ, უცეცხლოდ, შეიძლებს ნათვას ვარსკვლავებრ;
მაშინ ვარდიცა განთიადს ვერღარა გარდაიშალოს,
და ცისა ცვარმან მდელოი არღარა გააბიბინოს;
მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავსები!
მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?..
მაგრამ მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დაჰსდვან კაცთა სახელი!

* * *

ვჰპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ, შევჰსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მეგონა ვჰხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდ-ხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი—და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისპო მჰსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი?
არა, მოჰსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

* * *

მიყვარს თვალები, მიბნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;
მაგრამ როს ვუჰვრეტ, ზამბახ-ვარდთ ველად
განეწონვიან მათი ისრები.
მიეხდი თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის თქვენგან გაქცევას?
ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგრძნობელსა,
უწყალოდ ჰსტანჯვენ უენო მსხვერპლსა,
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,
მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა!
თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერსა ბასრობას,
თუ არა ჰსჰვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?

* * *

შენნი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!
ოდეს ნიავი ლამაზს დალალებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა ის ავალალებს!

ღამე უაბახზედ

მიყუარს ყაბახის არემარე, თვალათ საამო,
მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოჰფენს ყაბახსა და კოჯორი დაჰქრის ნიავით,
და მომდინარე ხან ზვირთთ ცემით, ხან ნელად მტკვარი,
მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ჟამთ მოჩივარი!
ამ გუარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე,
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა იქ ქალნი
პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც-მოსილნი,
და მათ გარემო შეჰფრფინვიდენ ყმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დაბვძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი;

„თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა:
როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.—
„ჰსთქვი რამ, ეტყვიან ყაფლანს ზოგნიერთნი ქალები,
„თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები.—“
ყაფლანც სულდგმული აშიკობით დაიღიღინებს
გულის საკლავად და თან და თან ყელს მოიღერებს.
ვის არ ჰსმენია ლექსი ესე რომ, მყის სევდები—
არა აშლოდეს ჩვენსა ქალსა—ტრფობის ჭირები!
უეცრად მათში დავინახე თეთრ კაბიანი
და—მეყვსეულად მან მიმიღო ჩემნი ცნობანი.
არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?
სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
მას აქეთ თვალი ვეღარ მოვჰკარ და ახლა ერთი
ჰსდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,
ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი გულთა ჭირისა!
თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვჰსდეგი წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მეღირსა კვალად
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად.—“
„გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ:
ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ.—“
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები.“
ამა სიტყვაზე ვარდი ლაწვთზედ მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიავმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა;
ამ დროს მთვარემაც შუქი თვისი მისტეხა ბროლსა,
რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი—თვალსა!—

...ნა..., ფორტოპიანოზედ მომღერალი

ხმა საკრავისა
ნელ ნარნარისა
სულს განახარებს
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს!

ვეკრეტდი ლამაზსა;
სევდითა ნაზსა,
და შეევეტრფოდი;
ყოველთ გრძნობათა,
ყოველთ გონებათა,
მას მივაპყრობდი.
ღაწვნი ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ,
თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმკებოდენ.

ჟუჟუნა თვალნი
გულთა მომკვლელნი
მოცინარობენ,
პაწაწა ტუჩნი
ვარდებრ ნაფურცვლნი,
ლხენას მოჰბერვენ!

ჩ ი ნ ა რ ი

განმარტოვებულს ფრიალოს კლდეზე ჰსდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი,
მრავალ-ზტოვანი, მაგრილობელი ჰაეროვანი, ტურფა მაღალი.
საამო არის მის ჩრდილში ოცვნა, და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა,
და წყალთ დუდუნზე უკუღმართისა ამა სოფლისა ჭირთა დათმენა!
მოქშუის მტკვარი, მოჰქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა,
და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!
მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!
ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა ევლების,
და აღმოარხევს უფსკრულებიდამ და აღელვილი კლდესა ეხლების!
მაგრამ ჩინარი, მაღლად მჩინარი, დგას მედიდურათ და სიამაყით,
და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდიღებს სევდიანისა შერხევის სახით.
რამდენ-ჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენ-ჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს,
თითქოს სიშურით შეშფოთებული, და კლდის პირებზე ზვირთთა შემუსრავს.
ესრეთ იდუმალ, მაგრამ ძლიერად დაიტანჯების მარად მიჯნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი ციური.

გ ა ყ რ ა

კომედია

მოქმედნი პირნი

თავადი ანდუყაფარ დიდებულიძე, ქვრივი.
პავლე, ძმა მისი.
ივანე, ძმა ანდუყაფარისა, რუსეთში გაზდილი და ვარშავიდგან ახლად მოსული.
მაკრინე, ცოლი პავლესი.
ნინო, ქალი პავლესი.
მიკირტუმ გასპარიჩ **ტრდატოვი,** ვაჭარი, მეგობარი ანდუყაფარისა.
თათელა, ამისი ცოლი.
შუშანა, ქალი მიკირტუმასი.
რამაზ, სეკრეტარი სუდისა.
ბარძიმ, ნათესავი დიდებულიძისა.
ბარამ, მოურავი ანდუყაფარისა.
კომისიონერი, ძმა თათელასი.
გაბრიელ, მსახური ივანესი.
ყარდაშვერდი, გოგო ნინოსი.
მედიატორები, სტუმრები და მსახურები.

მოქმედება სოფელში.

მოქმედება პირველი

ოთახი გაულესავი. ფანჯარა, რომელნიმე ქაღალდ გაკრული. ცალგვერდზედ დგას დიდი ტახტი

გამოსვლა პირველი

ანდუყაფარ

ანდუყაფარ ზის ტახტზე. მუთაქა უძევს კალთაში, ორის ხელით არის დაბჯენილი მუთაქაზედ ფიქრობს.

ანდუყაფარ. აი ოჯახის დაღუპვა, გვარის დამცირება! გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთში, კარგს რასმე ჰსწავლობენ... აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა, არც დედ-მამისა! ნეტავი დამეშავებინოს რამე მაინცა... ოჯახი წავახდინე, ვალი ავიღე? აი ჩემი ოფლის სამაგიერო: სახლები არ ვარგაო, გამეყარე, ცალკე უნდა ვიცხოვროვო! ოჰ! რა ცუდი დრო არის ოჯახებისათვის! ტყუილი-ღა არის, უნდა გავეყარო!... გავეყარო? რაღა ვიქნები! აი თუ მტერი ნიშანს მომიგებს.

(ოხრავს და იწმენდს ოფლსა)

ჰეი ოჯახო, კარგო ოჯახო!
შემდგომ გაყრისა ვის დავენახო?
ახ, ვეღარ დავცემ კარავსა მკაში,
უნდა ვიმალო მე მამითადში!
სად ვნახავ სამასს ნამგლის ტრიალსა,
ჰოპმის გუგუნსა, ყანის შრიალსა!
იათაშვილის ერთი კიჟინი
თითქო არისო ცხენის ჭიხვინი?
ძერყორე-შვილი გაცოფებული,
რვა ჯამისაგან გამგელებული,
ცეცხლივით ყანას მოედებოდა.
კაცი ყურებით გაგიჟდებოდა.
აი ესენი სულ უნდა მომეშალონ; სახლიც იმას უნდა დარჩეს.
ეს ჩემი ზვარიც უნდა გამიყონ?
მაშ სასაფლაოს ეხლავ წამიღონ.
თერგ დალეული ჩემი ძამია
ილაჯს მიწყვეტამს, შემომდგომია,
აღარ ისვენებს, არ იშლის გაყრას,
სახლს ის წაიღებს, მიპირებს აყრას.

(სიცილით)

ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას
ვაზების წილად თუთების ჩაყრას.

გამოსვლა მეოთხე

ანდუყაფარ და ბარამ

ბარამ შემოდის ქუდით, დადგება და ხანჯალზე დაიწყობს ორსავ ხელებსა.

ანდუყაფარ. (ფიქრობს). რას იტყვი ბარამ.

ბარამ. თქვენს დღეგრძელობას, თქვენს კარგა ყოფნას, თქვენს სიცოცხლესა!

ანდუყაფარ. მაშ შენ არ იცი ბარამ?

ბარამ. რა მოგახსენო, შენი ჭირიმე. მე არაფერი...

ანდუყაფარ. მაშ მე შენ გეტყვი (ოხვრით) ივანე გაყრას მიპირებს!

ბარამ. (შეშინებულის სახით) ნუ მიბრძანებ, შეი ჭიიმე, ნუ მიბრძანებ, განსვენებულის მამის თქვენის საფლავის მზესა!...

ანდუყაფარ. რა ვქნა, ძმაო არა შვრება. რა გაეწყობა, ვერა მომიხერხებია რა, რუსული კარგათ იცის, რუსის დიდ კაცებთან დადის, მერე ჩემი რძალიც იმისკენ არის.

ბარამ. ვაი შენს ბარამს, როგორ ვერა მოგიხერხებია რა!...

(დაფიქრდება და იმღერის)

მოდი ისე ვქნათ, ყმა მიეაბაროთ;
ჩვენ ვხნათ და ვთესოთ, ვენახი ვბაროთ.

ანდუყაფარ. რა სულელი ხარ... ხალხს გადამირევს. ზვარს დამიკაფავს, სახლსაც დამინგრევს.

ბარამ. მოდი უშოვნოთ ზასედატლობა.

ანდუყაფარ. როდი კადრულობს, უნდა მარშლობა!

ბარამ. (ცოტა ფიქრს უკან) მაშ იცით. შეი ჭიიმე, რა მოგახსენოთ! შევაწეროთ კაცებში ფული, ერთი ოთხასიოდ თუმანს ავკრებთ ხელათ. ოთხასი თუმნით (მხიარულებით) აბა რას ბრძანებ, შეი ჭირიმე, თავი დღეში გაგვყრიან? ხა, ხა, ხა!

(იმღერის)

ასის თუმნითა, აბა რას ბრძანებ,
სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ.
ჩვენ სუდიასა—აიმ კუკნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქნასა,
და სეკრეტარსა მე ოც თუმნადა,
გნებავთ გაგიხდი მაიმუნათა.

ანდუყაფარ. (წამოჯდება მხიარილის სახით, ქუდს შეიკეცავს მაღლა) ვთქვათ ორი წელიწადი არ გაგვყარეს, მერე ხომ უნდა გაგვყარონ..

(ამ დროს ისმის ხმა ივანესი: ლა, ლა, ლა, ლა, ლაა, ლა, ლაი-და და ლა ლა!)

გამოსვლა მესამე

იგინივე და ივანე

ივანეს წკეპლა უჭირავს; შემოვა, გააკეთებს ანტრაშას, პირუეტს; ცალფეხით შემოტრიალდება. მერმე მივა ანდუყაფართან. ისინი განცვიფრებით უყურებენ.

ივანე. ბონჟურ, ყოფარ, კაპარ! კაკ იმია, ტაკ ი ონ დიკარ!

ანდუყაფარ. მოდი, ძმაო, დაჯექ, გვითხარი რამე გვასწავლე რუსული იკომონია.

ივანე. ტო იესტ აგრონომია? რასტოლკუიკა იემუ რა კაცია!

(იმღერის)

როგორ გასწავლო ირრიგაცია
ვით გავაკეთო კარგი გუანო.
ჯერ გამეყარე, ადამიანო,
მაშიმ გაჩვენო და დაგასწავლო,
ეს დიდი ზვარი როგორ დაჰკვალო!

ანდუყაფარ. (ოხვრით). ბევრი ღვინო კი მოგივა, თუ რუსული გზები გააკეთე სასეირნოთა!..

ივანე. ღვინო! ქართული ღვინო! ეტო გლუპოსტ! რა ღვინოა, ჰსწორეთ კლუკვენი კვასია! კლუკვას რა ჰქვიან? ძა...ძახველი; ან რა შემოგდით? დასალევათაც არ გეყოფათ!

ანდუყაფარ. ჩვენ ხომ ვსვამთ, არ ვყიდულობთ, თავადის შვილს პური და ღვინო თუ აქვს—მდიდარია...

ივანე. ფული რომ დაგჭირდებათ, უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მიკირტიჩ გასპარიჩა!

(ამ დროს ისმის მეორის ოთახიდგან პავლეს ხმა).

პავლე. ბიპო, ბიპო, შენ ეი, ბერუავ! სწრაფიას აპამე, ყორანასთან ჩხუბი არ მოუვიდეს; ჰაა, შე რჯულ-ძაღლო! ნძა, არ შეპამო ე კურდღელი.

ივანე. აა, პავლე მოსულა ნადირობიდან, წავიდე ვნახო, რა დაუპერია. ხლოპეც დობრ და გლუპ. (გავა)

ბარამ. (სიცილით) შენი რისხვა მქონდეს, თუ მაგას მთელი ჭკუა ჰქონდეს.

ანდუყაფარ, არ ვიცი, რა ემართებათ, ამ რუსეთში, იწამლებიან, თუ რა არის. ბიპო, საკურველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიჟებულვარ.

ბარამ. უთუოდ რუსეთის ყინვით ტვინი ეყინებათ.

(იცინის)

ანდუყაფარ. (ადგება და მიდის). კარგია მამა გიცხონდება, არ გაგვიგონოს!..

გამოსვლა მეოთხე

ბარამ, მარტო, ფიქრობს

ბარამ. ახლა გინდა, ბარამ მოურავო, გონება; გაიყრებიან ბატონები. საუფროსოთ იქნება არ ამიყვანოს დიდმა ბატონმა?.. პავლეს რომ ვერგო: დედაკაცთან ძნელია, იმას გროშს ვერავინ მოჰპარავს, მაშინ გოგოები უნდა გავიმეგობრო!

(იმღერის)

თუ ბრძანებლობს სალხში ქალი,
სულელი ჰყავს ვისაც ქმარი,
ვეზირს უნდა ჰქონდეს თვალი,
საით არის ღია კარი;
ვინც მოახლე მას უყვარდეს
და სიტყვას დაუჯერებდეს,
გინდა იყოს მახინჯ მკვდარი!
გახდი იმის მეგობარი!..

რუსეთის გიჟს რომ ვერგო! ოჰ! ღმერთმა დამიფაროს, როზგითა მცემს სიბერის დროსა... მაგრამ გაბრიელა ამბობს, კარგი გულისა არისო! მერე თუ თავის პლანები მოჰყვა, რასაც დასთესს, სულ ჭინჭრათ გადაიქცევა... მას უკან ან ზასედატლათ წავა, ან პოპოშნიკათა...

(ისმის ხმა კარებიდგან და ხველა; ბარამ კულისაში დაიმალება)

გამოსვლა მეხუთე

მიკირტუმ გასპარიჩი

მიკირტუმ შემოვა, ხელში უპირავს დავთარი, იყურება აქეთ აქით.

მიკირტუმ გასპარიჩი. ვა, სად აყრილან, ბევრი დაიმალოთ, მაინც, ემე, უნდა პერემენაით ქნათ ვექსილმა.

(იმღერის ღიმილით)

ამ დიდ ბატონს მართებს ფული,
მე ხელში მყავს მისი სული,
ორი წელი მომატყუა,
რა კაცია გიჟ ვრაცუა!

მეორე ძმა ჰყავს ტუტუცი,
ასი იმანაც მივეცი!
კურტყელს იქერს, ყვირის: უა, უა!
აი კიდევ გიჟ ვრაცუა.
ერთი ძმაც ჰყავს რუსეთუმე
ტანცი მანცი ლავ ხალუმე [2]),
ამე თავში არა აქვს ჭკუა,
ისიც ისევ გიჟ ვრაცუა!

(დაფიქრებული დადის)

ეს რა კარგი ფიქრი ვქენ; ამათ გაყრას
შვრებიან; ეგება ეს ფრანტს ჩემი შუშანა
მივცე. ბალქამ ეს არის: (შუბლედ და ჯიბეზედ დაიკრავს ხელს) ესტი ჩკა! ენდი ჩკა!..[1]) მაგრამ ჩემი შუშანი კნეინი დაუძახონ: კნეინო! კნეინო! ბაზარშიაც დიდი რამე იქნება, დიდებულიძიანთ ხნამე! ბუღდანიჩინ აჭკით-კუ ჰანიმ!..[2]).

(ამ დროს შემოვა ბარამ)

მიკირტუმ. აა, მურავო, მშვიდობით ბძანდები, კარგათ ბძანდები.

ბარამ. გახლავართ პარუნ, მაგრამ რასაცა ფიქრობ, უჩემოთ კი არ შეგიძლიან.

მიკირტუმ. (შემკრთალი). ეა! რა ფიქრი... ეს თამასუქები პერემენათი უნდა ქნან შენი ბატონები...

ბარამ. რომ გაგისაღო ეგ ხუთასი თუმანი,რას მომცემ!

მიკირტუმ. კარგი, კარგი წაღები ჩაგაცმევ! (ბარამ იცინის). ეა, ქუდიც დაგხურამ-ელი...

ბარამ.არა ბევრი ამბავი არ ვიცი, თუ გაგისაღე—ოცი თუმანი მომეც.

მიკირტუმ. ინჩე ასუმ [1]), ესეც გიჟ ვრაცუე.

ბარამ. მაშ შენი ნებაა, ხომ უნდა იჩივლო, ორი და სამი წელიწადი გავა, იმისი სარგებელი კანონიერი შაურის მეტი არ მოგეცემა, აი რამდენი დაგა კლდება.

მტკირტუმ. (ანგარიშობს). ოხტ-ვიც! ლავ ასუმე,დრუსტ ასუმე [2]). ჯინი წაგივიდეს, აი.

ბარამ. (თავს იქნევს). ოც გროშს არ დაგიკლებ.

მიკირტუმ. ჰა, ხუთი თუმანი, ელი!..

ბარამ. ჯანი გავარდეს მაიტა ათი.

მიკირტუმ. ვი, რა კაცი ხარ მურავო ბევრი ფლიტს ფლუსტი გაუშვათ, ოვა თუმანი, ჰა ხელი დაჰკარ—ტრაქ, ტრაქ და...

ბარამ. რა გაეწყობა (ხელს დაჰკრავს). ყაბული მაქვს, ერთი, კაბაც ჩამაცვი

მიკირტუმ. კარგი, კაბაც ჩაგაცმევ.

---

[1]) ქართველია.
[2]) კარგად თამაშობს
[1]) აქ არ გახლავს! იქ არ გახლავს!..
[2]) თვალს მოვთხრი!..
[1]) რას ამბობს;
[2]) შვიდი-ექვსი! კარგად ამბობს, მართალს ამბობს.

ბარამ. პატიოსანი სიტყვა!

მიკირტუმ. ინჩე ასუმ, მეთქი, შენმა მზემ... მლთუმ როგორა იქ?..

ბარამ. ისე ვიქ როგორც შენ გინდა.

მიკირტუმ. ისე ჰქენ, რომ ფული მოიყვანე ხუთასმა თუმანი.

ბარამ. მოდი, მიკირტუმ ერთი საქმე ჰქენ... შენი ქალი დიდ ბატონს მივცეთ, თამასუქიც დაუხიოთ. ცოტა კიდევ მოუმატე.

მიკირტუმ. (სიამოვნებით). კარგი, მაგრამ დიდი ბატონმა ქვრივია, შვილებმა ჰყავს. ჩემი შუშან მიკირტუმოვნა ყმაწვილია, მურავოჯან, შენ კარგი კაცი ხარ, ამ ფრანტს მივცეთ. ჩემი ქალმაც ნასწავლია, ტანცი იცის.

ბარამ. აიმ რუსეთის გიჟსა?!

მიკირტუმ. არაფერია, ყმაწვილია, თამამე; ქარი მარი გავა. დიდ კაცებში პრაფერანს კუ ხალა, ერთ ყალამათ ლავ ფესაცუა! [1]).

ანდუყაფარ. (ოთახიდგან). ვინ ლაპარაკობს მანდა..,

ბარამ. მიკირტუმა გახლავსთ.

ანდუყაფარ. აა, მიკირტუმ გასპარიჩ, რატომ არ მობრძანდები; აქ შემოდი ვაჟო, რამდენი ხანია არ მინახავხარ?

მიკირტუმ. (მარტო ჩუმათ). პლუტ ვრაცუა, ჰა (მაღლა) კნიაზ გაუმარჯოს! (შევლენ ანდუყაფარის ოთახში).

ბამოსვლა მეექვსე

გაბრიელ, მარტო

გაბრიელ. ფუ, რა სკუჩნობაა ამ სოფელში! ნეტავი ქალაქში მაინც ვიდგეთ. ნეტავი ჩემი ბატონი ისევ ვარშავში ყოფილიყო და... საკვირველი ეს არის, იქ რომ ვიყავ, საქართველოში მინდოდა მოსვლა... ახ, როდის განათლდება ჩვენი ხალხი... რა უბედურება არის, გოგოსათვის ხმა ვერ გამიცია?! ტოლი დელო ვარშავა! საღამოზე როცა დრო მქონდა, და როდის არ მქონდა დრო,—ბატონისად იყო ხოლმე, დავვრეოდი ვარშავის ქალებში... რა რიგად არიან გაზდილები: ორ კვირაზედ პოლშური მასწავლეს, მერე ტანცობა და რამდენი რამეები. შაბათობით ვერცხლის ზალაში თითო შაურით არის შესვლა; მუზიკა; ქალები გიყდებოდენ ჩემთვის; რა ზდილობით მექცეოდენ; „პროშუ-პანა [1]) გაბრიელა, ნამაჭურე, ობერ ტასა“ [2])—ესენი სულ დამავიწყდება. (ოცნებობს. ამდროს შემოვა ყარდაშვერდი, გვერდით დაუდგება, გაბრიელ ვერა ხედავს). ახ იულიავ, იულიავ! სადღა ვნახავ შენს ლამაზს ხმასა „კოხანი [3]) გაბრიელო!“ მეტყოდა ხოლ მე. (ოხრავს). ნეტავი იმ დღესა, რომ მე სიყვარული გამოუცხადე; პოლშურათ დაუჩოქე წინა, აი ასე. (დაიჩოქებს ყარდაშვერდის წინა). ოო, იულიავ, იულიავ! შენა ხარ ვარსკვლავი ჩემის ცხოვრებისა!

ყარდაშვერდი. იი, მეხი კი დაგეცა.

გაბრიელ. ოჰ! შენ ხარ, ვარდო?.. ვარშავა მომაგონდა.

(წამოდგება)

---

[1]) გთხოვთ. ბატონო.
[2]) პოლონური ცეკვის სახელწოდებია.
[3]) სიყვარულო.

ყარდაშვერდი. თვალი შენ დაგიდგა და ვარშავასაცა

გაბრიელ. აი ეგ არის ქართული სიყვარული.

ყარდაშვერდი. მაშ რუსული სიყვარული როგორ უნდა?

გაბრიელ. მე რუსეთში პატარა ვიყავ, არ ვიცი; თუ გინდა პოლშურს გასწავლი.

ყარდაშვერდი. (მხიარულათ). აბა როგორ უნდა?

გაბრიელ. აი ჯერ ასე თავს დაგიკრავ, შენც ასე დამიკარ თავი, ამას ჰქვიან კნიკსი.

ყარდაშვერდი. აი თვალებზე დაგაკარ ფისი.

გაბრიელ. მაიცა მერე მოვალ, ესე ხელზედ გაკოცებ. (დაიჩოქებს). სიყვარულს გამოგიცხადებ.

ყარდაშვერდი. კარგი, თვალი დაგიდგება, არავინ დაგვინახოს.

გაბრიელ. მაიცა, გითხრა რამე.

ყარდაშვერდი. თქვი ჩქარა.

გაბრიელ. ოჰ! ყარდაშვერდი.

გამოსვლა მეშვიდე.

იგინივე და ივანე

ივანე შემოვა უეცრად, ყარდაშვერდი დაიკივლებს და გაიქცევა. გაბრიელი დაჩოქილი დარჩება

ივანე. რას შვრები, ფურაკო?

გაბრიელ. ვინავათ, ბარინ.

ივანე. გავარი ფურალეი. (ფეხებს დაუბრახუნებს)

გაბრიელ. სიყვარული გამოუცხადე, ბარინ.

ივანე. (იცინის). რა პასუხი გითხრა?

გაბრიელ. რა მითხრა,—იგინება.

ივანე. ნუ ტაკ პრაშჩაი, არა ჰყვარებიხარ!

გაბრიელ. კაკეე, ბარინ ქართული სიყვარული სულ გინება გახლავთ. (გაბრიელი გავა).

ივანე. (იცინის). მართალს ამბობს; ჯერ საქართველოში სიყვარულის მაგალითი არა ყოფილა! რამანიც არ დაიწერება!.. რამან ბეზ ლიუბვი — ეტო უეასნო...

(იმღერის).

ჩვენთა ქალთა უგრძნობართა,
სიყვარულის უმეცართა,
ტრფობისათვის არ აქვთ სული,
სხვა რისთვისმე უცემსთ გული!
საყვარელსა, ვით ბაშმაკი,
მოსწყინდებათ იმათ რაკი,
რა გულით ამოიღებენ,
ვით ძველსა გადააგდებენ.
ჩვენნი ყრმანიც გულ გრილები,
თითქო იყვენ ანგლიჩნები,

გამხდრები, ძალათ ყვითლები,
პირ-ბრინჯ-ფქვილ შეგლესილები.
ცოლს არ ირთვენ, ჭლექდებიან.
უდროოთ სნეულდებიან,
ლანცკნეტის თამაშობითა
ვგონებ სულ გაკოტრდებიან!
ჩვენი ვაჭრების შვილები
შეიქნენ ჩინოვნიკები,
მამის მოგებულს ფულებსა
ჰფანტვენ, ვითა ჩალა-ბზესა.
ვაჭრობას არ კადრულობენ,
ბალში ფრანცუზ კადრილობენ,
ბლოტის ფერჩატკით ფრანტობენ,
თავის ოჯახს კი ამხობენ.

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და მიკირტუმ

მიკირტუმ. ზდრავი ჟელაიმ, კნიაზ.

ივანე. აა, მიკირტუმ გასპარიჩ, კაკ ვაშე ზდოროვიე?

მიკირტუმ. ბლღდარიმ პუკურნო!

ივანე. რისთვის გარჯილხარ, ჩემო მიკირტუმ გასპარიჩ!

მიკირტუმ. მე, კნიაზჯან, ცოტა ვექსილი პერემენიათ უნდა ჰქნან შენი ძმები.

ივანე. (მოწყენილის სახით). რა მართებთ სულა?

მიკირტუმ. ანდუყაფარ—ხუთას ორმოცდა ორი თუმანი და ორი მანეთი; პავლემ—ასი და რვა აბაზი...

ივანე. სარგებელს რას ართმევ, ჩემო მიკირტიჩ!

მიკირტუმ. (აქეთ-იქით იყურება). ცოტა—სამი შაური

ივანე. ეტო უეასნო, მიკირტიჩ! ეტო ნე ჩესტნო!

მიკირტუმ. (იცინს). კნიაზ, ერთი ჩესტის ლათაიას გითხრამ! (იმღერის).

კტუ ნა სვიტე ჩესნა ბუდით,
ბუდით ნასიტ ხლება გუდით!

(იცინის).

რა ექნათ, კნიაზჯან, ჩვენი ყმა, გუთანმა, პური,—ფულის სარგებელია. აი ნაღდი მომცეს თქვენი ძმა... კუზუნ პროცენტ ყაბული ჰა... რამდენი წელიწადია მართებს, დასიხპორ კაპეიკ ნეზნაით, ცხენის ქირამ გამაკოტრა, კნიაზის მზემ, ზა ოდნა კუნეც პალტარა რუბლი პლაჩუ. ისე ვენდე შენი ძმა, არც აბეზპეჩითი რამე მაქვს. კნიაზჯან, რატომ შენ არა იქ ყმის პრავიტსა... მაგრამ ჭორი გავიგონე, ძმები გაყრასა შერებით?

ივანე. დიახ, უნდა გავეყარო!

მიკირტუმ. (ჩუმათ). შენ ჭკვიანეს, არ მოტყუვდე; ანდუყაფარ ყალბე გებნები, ჰა!

ივანე. ვინ მეუბნება! უნდა ავიტანო, ამისთვის რომ მართალს ამბობს, ბოეე მოი!

მიკირტუმ. ერთიც გითხრამ, რომ დავიდარაბე ძმები მორჩეთ, მერე სამსახურში არა იქ? ზასედატელ, გრდნიჩ. ჯამაგირი კარგი რამეა და!..

ივანე. ნეტ, ბრატ! მე მინდა ვიხიზაინო; მე სამსახურის თავი არ მაქვს.

მიკირტუმ. (იქით). გიე ვრაცუა (მოწყენით). კნიაზჯან, პური კარგი მოურავიც მოიყვანს, საჩსახურ ლავე, პატივე; ზასედატელი ასი თუმანი აქვს, ასიც ისე მოვლენ!

ივანე. ქრთამი უნდა ავიღო?

მიკირტუმ. ვაა. ინჩის ასლმ!*) ჩემთვის რომ საქმე ჰქნა, შენი ოფლისათვის ოცი ოქრო მოგცე—ეს ქრთამე?

ივანე. მე მაგის მქნელი არა ვარ!

მიკირტუმ. კნიაზჯან, თუ ხაზაინ მაზაინობა იქ, ცოლიც შეირთამ.

ივანე. იქნება... მაგრამ ნადა პრეექდე ელიუბიტსა.

მიკირტუმ. კიდეე ლათაია გითხრამ.

(იმღერის).

ლუბით ნადა კრასავიცა
ფული მოგცეს მეტი ვინცა;
თუ არა აქვს ფული, ცოლი,
უნდა ჭამო ხომ კონჩოლი!*)

ივანე. (იცინის). ბრავო მიკირტიჩ! ბრავო!

მიკირტუმ. დიახ, კნიაზჯან, ფული, ეს სოფელმა სულ ფული, სხვა ყველამ ტყუილია; შენი ხაზაინი მაზაინობაც ფული უნდა...

ივანე. ტაკ ჩტოე, ბანკიდან ავიღებ. ეხლა ხომ ბანკი გვაქვ!

მიკირტუმ. ოჰ კნიაზჯან, ბანკი! ჩემმა მზემ, მანამ აიღებ, ჭლექი მოგივა. ერთი წელიწადი ჰსწერა ჩვენი იუანემ; რამდენიც ოპისი ქნა, იმდენი დაუწუნეს, მერე ბრაზი მოუვიდა, დახია. ვა, დავიდარაბას გახდიან, თუ ვინ მოგცა ყმა, რა ყმები, გვიჩვენეო. ჩვენი ფული ჰსჯობიან, კნიაზის მზემ: ესთქვეთ რომ აიღე, ასტროჩით რომ იქ, ერთ ნიმუტში ტრანქ, ჩაქუჩი დაჰკრამენ, ყმა ტორგში იქმონენ, ვაა, ჩვენ უსტუპიტს გიზამთ... მაგრამ ჰრაშჩაი, კნიაზ, ღმერთმან ქნას, თქვენი დავიდარაბა კარგა მორჩე. (გავა).

მოქმედება მეორე

ბრძელი ტახტი, ხალიჩა; გაფენილი ზოგან მუთაქა გდია, ზოგან ბოხჩა, ზოგან ბალიში.

გამოსპლა პირველი.

ნინო მუთაქაზეა წამომჯდარი. ტახტის კვევით ხის ყარდაშვერდი.

ნინო და ყარდაშვერდი

ნინო. (ოხვრით). იქნება დედა ჩემმა იმ მაიმუნს მიმცეს?

ყარდაშვერდი. ვისა?

ნინო. აიმ სუდის სეკლეტარსა?

*) რას ამბობ.
*) წყალში ჩამბალი პური.

ყარდაშვერდი. უი დამიდგა თვალები. იმასა?

ნინო. იმ დღეს ისე რიგათ გადაჰკრა ლაპარაკში დედამ, რომ მე იქვი შემიეიდა.

ყარდაშვერდი. უთუოდ საქმე ექნება ქალბატონს და ატყუებს!

ნინო. (იცინის). ღმერთმა გიშველოს, მეც გამიკვირდა; დედაჩემი აგრე გიჟი არ არის.

ყარდაშვერდი. (ნეკზე მოიკვერს კბილსა). ახლა კი ვიცი: ბატონები იყრებიან და უთუოდ დიატორათ უნდათ!

ნინო. (მხიარულებით). უი, ქა! მართლა, შენ ვინ გითხრა, რომ იყრებიან?

ყარდაშვერდი. (გაწითლდება). გაბრიელმა.

ნინო. (თითით ანიშნებს). შენ როგორლაც ეკურკურები იმას!

ყარდაშვერდი. (გაწითლდება ხელზედ დაუწყებს კოცნას). გენაცვალოს ყარდო, ცოლ-ქმრობის პირობა მივეც.

გამოსვლა მეოთხე.

იგინივე და რამაზ.

რამაზ შემოვა და ნინოს თავს დაუკრავს.

რამაზ. კნეიტნას ვახლავარ უმორჩილესი მონა. მექმნება ბედნიერება, ვიკითხო სიმრთელე ბრწყინვალებისა თქვენისა!

ნინო. (თავს დაუკრავს ჩუმათ). თვალიც დაგიდგება. (გავა ბუტბუტით).

გამოსვლა მესამე

იგინივე და მაკრინე

მაკრინე. აა, კნიაზო, მშვიდობით ბრძანდებით? რა ამბავია, ასე დაგვიეწყეთ?

რამაზ. მრავალთა საქმეთა გამო არა მქონდა დროება. სხვა გვარ, კნეინავ, როგორ არის გარემოება თქვენის საქმისა?

მაკრინე. როგორ არის? ნულარ მიბრძანებთ, თქვენი ძმა, როგორც მოგეხსენებათ, დაუდეგნელი არის... არა იცის რა. ივანე ცდილობს გაყრას, მაგრამ მე თქვენზედა მაქვს ფიქრი, თქვენს გონივრებაზედ, თქვენს სინდისზედ. სწორედ მოგახსენო, მე ისე არ დავეშურებოდი გაყრას. თუ მიზეზი არა მქონოდა; ქალი გასათხოვარი მყავს, ყველანი ერიდებიან გაუყრელობის მიზეზით... მოგეხსენებათ ჩემის მაზლის სიმძლავრე.

რამაზ. დიახ, უმჯობესია გაყრა... მე, სწორე მოგახსენო, არ მიყვარს გარევა მაგ გვარ საქმეში, მაგრამ თქვენ თხოვნას უარი არ ეთქმება. მერე ჩემის სულის თვისება გახლავსთ დავიჭირო მხარე დაჩაგრულთა; გაყრა ადვილი არის; ეცადენით, სინიდისით აღმოირჩიოთ მედიატორენი.

მაკრინე. რა საკვირველია, ჩვენ სინდისით გამოვირჩევთ, მაგრამ ძნელი ეს არის, შემდგომ გაყრისა კარგი მოშენება და მოვლა უნდა სახლსა. როგორც მოგეხსენებათ, უთაურობა ძნელია; ნეტავი ასეთი საქმრო უშოვნო ჩემს ქალს და შევიყვანო სახლში...

რამაზ. დიახ, გმართებთ მაგაზედ ფიქრი. თქვენ გინდათ სასიძოთ კარგი მცოდნე რუსულისა, და სასამართლოს რჯულები იცოდეს: ჭკვიანი, ზდილი, თავადი შვილი...

მაკრინე. სწორეთ... მაგისთანა ბედს ვინ მომცემს! ერთის სიტყვით ღიმილით,) თუ თქვენსავით კარგად არ ეცოდინება კანონები, რაც უნდა დიდის კაცის შვილი, ყმა და მამულის პატრონი იყოს.—არ მივცემ.

რამაზ. ფრიად გონიერათა სჯით. აი კნიაზიც მობრძანდება.

ზამოსვლა მეოთხე

იგინივე და პავლე

პავლე. ბატონს რამაზს ვახლავარ. მშვიდობით ბრძანდებით, კარგათ ბრძანდებით? მამა ნუ წაგიწყდება, ბიძაშენს მწევარი თურმე ჰყავს კარგი, აგება გამომირთო...

მაკრინე. აი უბედურება ოჯახისა! ოჯახი მეღუპება, შიმშილით ვიხოცებით, ტიტვლები, გასათხოვარი ქალი შინ გვიზის, აგერ ოცის წლისა შესრულდება და მიბერდება,—ერთხელ ამათთვის იფიქრე; მე ხომ სასამართლოში ვერ ვიელი! რა უბედურობაა: ძაღლები და ძაღლები. (რამაზს). თქვენ მაინც უბრძანეთ რამე...

პავლე. ოჰ, ოჰ დატრიალდა ჯარა! (ფანჯრიდან უძახის). ბიჭო! ბიჭო! შენ ეი ფილიპე! სწრაფიას ფეხები დაუზილე; ვეჟო, ჯერანამ საყელო რა უყო! ეგ რჯულძაღლი, აკი არ დაიყენებს!

მაკრინე (ჭოჭოლას აყრის). აბა რა ვქნა მე დედაკაცმა! ბატონო, ამისთანა უბედურება იქნება, ოჯახში პურის ნება არა ჰქონდეს გლახას მისცეს. (ქმარს) შე კურთხეულის შვილო, ერთხელ შენ ამოიღე ხმა, სულ მე სად ვიჩხუბო!

პავლე. მითომ რატომ არ ამოვიღებ? აბა გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო; ასე ვილაპარაკებ დიანბეგთანა, პოპოშნიკთანა, ნაჩალნიკთანა, სუდიასთან, როგორც შენთან, ჩემო მაკრინე, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

ზამოსვლა მეხთუე.

იგინივე და ანდუყაფარ.

ყველანი წამოუდგებიან ანდუყაფარს. ის მივა რძალთან და დაჯდება; ჩუმათ ლაპარაკობენ. რამაზ და პავლე წინ სცენაზედ ლაპარაკობენ.

რამაზ. (ნელის ხმით). რატომ არ მიბრძანდებით, უთუოდ კნეინა და ანდუყაფარ გაყრაზედ ლაპარაკობენ.

პავლე. (სიცილით). გაიგონე შენ ეი, რამაზ! ბიჭო! თითქო შენ ჭკვიან კაცს გეძახიან! დედაკაცი სულ ევას ჩამომავლობა არის; ვითომ ანდუყაფარ ჰსჯობს ადამსა თუ? ჩემ მაკრინეს სატანაც ვერას დასტყუებს, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ვითომ ენაზედ ქალი მოედება თუ, აი ღმერთი არ გაგიწყრეს, ესე დაუკრავს, როგორც ჩონგური, ვაი არა აქვს შენ პავლეს, ჰო!.. მამა ნუ წაგიწყდება, რა მაგის პასუხია, ბიძის შენის შეფის მწევარი ლამაზია? კურდღელს კარგათ იჭერს?

რამაზ. (გაჯავრებით). ძალიან აქებენ და მე, ჰსწორე მოგახსენო, არა ვარ ახოტნიკი მხეცების ტანჯვისა.

პავლე. შენ ეი, გაიგონე! სულ ზაკონები სად გაწერინო; შენ, ძმაო, სულ კაცებს აჭერინებ ნაობახში და.

რამაზ. უნდა ავხოცო ბოროტება!

პავლე. (იჭით). თქვენმა მზემ, თავის მამას დაჰკარგავს ციმბირს ერთ თუმ-ნათ, ეს კეთილი კაცი, ვაი არა აქვს შენს პავლესა!

ანდუყაფარ. რამაზ, ერთი ინებე, აქ მობრძანდი (დაუწყებს ჩურჩულს).

პავლე. (ფანჯარას გააღებს). ანდუყაფარ! ოო! ოო! ერთი შეხედეთ-და ჯერა-ნას ნავარდსა! ეი, შენი გულისა, ტა, ტა, ტა! ბიჭო, შენ ბონჯურავ, თქვენი ტრ, ტრუ, მეძებარი ჰსჯობს ჩემ ხალიასა თუ?! ასან აღამ მაჩუქა, შვილო! რო დაუვლის, თითქო ცეკოს თამაშობსო; მამალაა ხალი! მამალაა ხალი; თქვენ ძაღლს ფრანგულის მეტი არა ესმის რა, ეხლა სად ვისწავლო: ჩერჩ-ტრუე, ჩერჩ!

მაკრინე. (ჭოჭოლას აყრის ქმარს). ეგ არის ძაღლები და ძაღლები!

პავლე. რა დაგემართა, ხვალ მოვიდნენ ეგ შენი დიატორები, ასე დავ-ტრიალდები, როგორც ჩალხი, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

(რამაზ და ანდუყაფარ გავლენ).

გამოსვლა მეექვსე

პავლე და მაკრინე

მაკრინე. (ნელის ხმით). ხვალ მედიატორეები მოვლენ. მომიხერხებია, ჯერ ვეჯი უნდა გავიყოთ. ივანეს წილი არა აქვს; ორთა უნდა გავიყოთ, არაში მო-სტყუვდე; თუ რამაზმა ქალისა გითხრა რამე, შენ შენებურათ უთხარ, ჩემმა მაკ-რინემ იცისთქო!

პავლე. როგორ თუ ქალისა, იქნება ჰფიქრობ, იმ მაიმუნს მისცე?

მაკრინე. (მღიმარებით). რა უჭირს, კარგი მცოდნე არის.

პავლე. (გაჯავრებული). რა? მაშ მე მამა არა ვყოფილვარ? ვაი არა აქვს შენს პავლეს, ჰო. ჩემი ნინუცა! დედაკაცო გაგიჟდი თუ?

მაკრინე. შენი საქმე არ არის.

პავლე. ფე, როგორ თუ ჩემი საქმე არ არის! მაშ მე სახლში გზირი ვჰყო-ფილვარ. ნუ გამაჯავრებ, გამიგონე, მაკრინე, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო!

მაკრინე. (ჩუმათ ეუბნება). მედიატორათ ვირჩევ, ვატყუებ, აგება ჩემკენ იყოს, თორემ ყარდაშვერდი გოგოს არ მივცემ.

პავლე. (პავლე სიხარულით). აი დედაკაცი! აი ჭკვიანი! შენ კი გეთაყვანე მაგ თვალებში!.. ჯან, დედაკაცო, აკი ვთქვი ეგაზედ ჭკვიანი არის ჩემი მაკრინე მე-თქი, ვაი არა აქვს შენს პავლეს... ბა! ბა! ბა! როგორ იფიქრე?

მაკრინე. რა დიდი ფიქრი უნდა... (გავა).

პავლე. ჩემი ცოლი თამარ მეფის დროს რომ ყოფილიყო, ვეზირობას მის-ცემდენ! არ გაგონილა, რაც უნდა ჭკვიანი კაცი იყოს, პამპულათ გახდის. არ გაგონილა, ეგ რო კაცი ყოფილიყო, დიდებულიძეებს სულ აჰყრიდა... წავიდე, მიმინო სახადელზე მოვიყვანო.

მოქმედება მესამე

ანდუყაფარის ოთახი, ტახტის წინ დგას სტოლი.

გამოსვლა პირველი.

რამაზ ზის ტახტზე; ორნი სხვა მედიატორენი, ანდუყაფარ და პავლე ჩამომჯდარნი არიან გვერ-დით. ივანე ზის სკამზედ.

ანდუყაფარ, პავლე, რამაზ, ორი მედიატორე და შემდეგ იმერელი.

რამაზ. (კითხულობს განაჩენსა). ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერთა, აღმორჩეულთ. სინდისით მედიატორეთ დამტკიცებულის სუდსა შინა № 875-თა...

(ამ დროს იმერელი შემოვა ტირილით).

იმერელი. დევიმსე, დევიმსე, ვაჲ, ვაჲ, ვაჲ!

ყველანი. (ერთობით). რა არის, რა ამბავია?

იმერელი. (ყვირის). ვაჲ, დევიმსე, ბატონო!

ყველანი. (ერთობით). რა არის? რა ამბავია?

იმერელი. ქორი გამიფრინდა, ბატონო!

პავლე. როგორ თუ ქორი!? გამიშვით. (იპერენ სეკრეტარი და ანდუყაფარ). გიჟი ხართ, მაპუტაძის გამოგზავნილია, რა დროს გაყრა არის! (პავლე გავა და პტარა ხანს უკან შემოვა, ქორს შემოიყვანს, დაჯდება და ფალერსებს. ერთი მედიატორე ჩუმათ ეუბნება, რომ ქორი გაიყვანოს; ადგება და იმერელს მისცემს. მერე შემოვა და თავის ალაგს დაჯდება).

რამაზ. (დაიწყებს კითხვას). ჩვენდა მოცემულის თავადთა: ანდუყაფარ, პავლე და ივანე დიდებულიძეთაგან განვჩხრიკეთ ყოველნი მათნი დავანი გარეშენი, რომელ ვალი არის აღებული თავადის ანდუყაფარ დიდებულიძისაგან ორმოც და ხუთი თუმანი 1825 წელსა მიკირტუმ გასპარიჩი ტრდატოვისაგან, ჟამსა თავადის ივანე დიდებულიძის პეტერბურღში გაგზავნისათვის, რომელიც ეს ვალი შემდგარა თამასუქის გამოცვლით ოთხას ოცი თუმანი 1842 წლამდე. აგრეთვე დიდებულიძეს აუღია სამოცი თუმანი ჟამსა თავადის ივანეს ვარშავაში წასვლი-სა, ესე იგი 1849 წელსა და შემდგარა 120 თუმანი. ზემოხსენებულნი ვალნი დაშთნენ ჩვენის კეთილის სინდისით თავადს ივანე დიდებულიძეს.

ივანე. (წამოხტება). ეტო ტვოი კაერზი, მარტიშკა!

რამაზ. (მოუბრუნდება სხვა მედიატორებსა). ბატონებო იყავით მოწმად. (ივანეს). თქვენო ბრწყინვალებავ, მაგ აბიდისათვის სტატიით 125 უგოლოვნაღო ულოჟე-ნია ო ნაკაზანიან, ეი ბუდეტე ლიშენი: ჩინა, ზვანია ი სოსლანი ვ სილკუ.

ივანე. მე შენ დუელში გამოგითხოვ!

რამაზ. დუელნი აღკრძალულ არიან სტატიით 532-თა.

ივანე. ს ეტიმ სოზდანიემ ნიჩევო ნე ზდელაეშ. (მედიატორეთ). უფალნო თქვენ ძალიან სინდისიანი ბრძანებულხართ, დაგიკარგავთ მცირედი ნაპერწკალი კეთილ-შობილებისა, რა სამართალი არის, ამ რაზბონიკს—(უჩვენებს ანდუყაფარს). და ეტო ჩისტი რაზბოი—900 კომლი კაცი ოც წელიწადს ეჭირა, მე ამ ოც წელიწადში ასი თუმანი მხოლოდ მისარგებლია ჩემის მამულიდგან. ღმერთი არა გწამს? ფუ, კაკაია ნესპრავედლივოსტ! არა მე წავალ ღუბერნატორთან, მთავარმართებელ-თან, ხელმწიფესთან, თქვენს მაშენიკობას გამოვაცხადებ. (გამოვარდება კარზედ).

პავლე. ეი! გამიგონე, ღმერთს გეფიცები, ერთ აბიდას გვაკმევს მთავარ-მართებელთან... (ჩუმათ). ეს ჩემი მაკრინეს მოხერხებაა, ვაჲ ერა აქვს შენს პავ-ლესა, ჰო, ეი, ჯან დედაკაცო!

(ამ დროს მოაქვსთ ბიჭებს: თოფები, ხმლები, ბუთილკები, ყანწები, საფენი, მუთაქები და ვერცხლეულები. რამაზ ჰყოფს).

ანდუყაფარ. (რამაზს) ეგ მინები სულ ჩემი ნაშოვნი არის.

მაკრინე. (პავლეს კულისიდგან ეუბნება). ყველაში წილი გვაქვს, არ დაანებო

პავლე. (გაცხარებული). მე კი არ მიშოვნია რა თუ? ვეეჟო! ჩემი ნანადირევით გამოდიხართ, ვაი არა აქვს შენს პავლესა. მაიტა ნახევარი ჩემია... (შუბლზე მოისვამს ხელსა). ესე ვიწურამ ოფლსა და ისე გამომყავს ჩემი ცოლ-შვილი.

ანდუყაფარ. (მივარდება მინებს და დაამტვრევს). აი ეხლა გაიყავ... ეს ოხერი ახალციხეს ვიშოვნე... ეს ჩემმა ცოლის ძმამ მომცა... ესენი ქალაქს ვიყიდე...

პავლე. რო იყიდე შენი პენციიდან მიე თუ? კახიშვილი რომ აიკლე, იმითი არ წახველ ქალაქსა, ჰო! [მივარდება რამაზს]. ეგ მუთაქა ჩემია, სად მიგაქვს? გამიგონე შენ, ეი: მამა არ წამიწყდება, არ მოგცემ. ბიჭო! ეგ ჩემი ახალუხის დანარჩენი არის! (აიღებს მუთაქას, ანდუყაფარ მივარდება, ართმევს; პავლე წაართმევს, გადილაჯებს მუთაქაზედ და ხანჯალს ამოიღებს). აბა მობრძანდი და წაიღე!

ანდუყაფარ. (გაჯავრებული შევარდება, გამოიტანს ხმალს, ქალები კივიან, ანდუყაფარ ყვირის). გამიშვით, დავჩეხამ მაგ სულელსა!

ბარამ. (და ბიჭები იჭერენ ანდუყაფარს). მამა შენი ნუ წაგიგწდებათ, ღმერთი გადღეგრძელებთ, აბა რა საკადრისია.

მაკრინე. (ქულისიდან პავლეს ეუბნება). არ დაანებო, თორემ ლეჩაქს დაგხურამ, კაცი არა ხარ?

პავლე. (გაბრაზებული). მომიტანეთ ერთი დიდი თოფი! აი, ქალაჩუნა დედაკაცო, ნახე. ჩახმახი შევაწკაპუნე.

ივანე. (ბარამს). რა ამბავია, ჩტო ზა რაზბოი?

ბარამ. აი შეი ჭიიმე, ემ მუთაქაზედ ჩხუბობენ.

ივანე. (იცინის). ფუ, კაკაია ნიზოსტ! (მოვა პავლესთან, წაართმევს ხანჯალს, მერე მუთაქას გასპრის შუაზედ, ერთს გადაუგდებს ანდუყაფარს). ნა ტებე, ბალშოი რაზბონიკ! (მეორეს გადაუგდებს პავლეს). ნა ტებე, დურალეი! (ბიჭებს უყვირის). გაიტანეთ, გადაყარეთ. ეს ჩიხამახოები,—თქვენთვის მიჩუქებია; ჩემს სახლს ნუ აჩირქიანებთ, სახლი ჩემია. (ბიჭები ჰკრეფენ საჩქაროდ. ივანე რამაზს). ა ტი ვონ, ისჩადიე ადა! (გავა)

რამაზ. მოიცა, თვალი მაშინ დაგიდგება, როცა შენს ძმისწულს შეეირთავ! (ყველანი გავლენ).

გამოსვლა მეოთხე

გაბრიელ და ყარდაშვერდი

გაბრიელ. (ხელში უჭირავს მაკრატელი. ტირილით). ბოჟე მოი, ბედნი ბარინ მოატყუეს რაზბონიკებმა; ონ ტეპერ ნიშჩი. ექვსასი თუმანი ვალი არგუნეს, ეტო უჟასნო! და ის დალოცვილი დადის და ვარშაულათ ჰფიქრობს გააკეთოს ბაღები. მალ-მალ მეტყვის, პო ვარშავსკეღო, ა პო ვარშავსკეღო ფულები უნდა. აი გუშინ მომცა ეს მაკრატელი, ამითი ხეები დაკვეცეო; აბა კაკალი როგორ დავკვეცო?! (შემოვა ყარდაშვერდი, გაბრიელ მიირბენს იმისკენ). ჰო, პანა იულიავ!

ყარდაშვერდი. კარგი, თვალი დაგიდგება, რალასაც მეძახი!

გაბრიელ (ყარდაშვერდის) გეთაყვა, ნუ ჰსჯავრობ, ეს წყეული ენა დაჩვეული არის, ან გადავეჩვევი, ან მოვიჭრი.

ყარდაშვერდი. ყველა კარგი, მაგრამ შენს ბატონს არა მოახსენე რა?

გაბრიელ. როგორ არა, ჩემო ვარდო! მიბძანა, მე ვთხოვ ჩემს რძალს, რომ ყარდაშვერდი მოგცესო, ჩემს ახლო დაგაყენოთო.

ყარდაშვერდი. რა საკვირველია... სასახლის ახლო დავდგე, რომ ქათმები მაზდევინოს! . აგება მოურაობა გიბოძოს.

გაბრიელ. მოურაობას იმასთან სამსახური არა ჰსჯობია?

ყარდაშვერდი. რათ ემჯობინება, მაგდნიც არ იცი. რუსეთი კი დაიარე.

გაბრიელ. მოურაობა რა ხელობა არის, რა პურს მაჭმევს?

ყარდაშვერდი. ქაა, რა პურს გაჭმევს! პური შენს ხელში იქნება და ღვინო, შემოსავალი. ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია, ერთის სიტყვით ბატონის მონახევრე არის.

გაბრიელ. როგორ თუ აკლება? კარგს რასმე მასწავლი! მე რომ ბატონს აკლება გავაგონო, დამარჩობს. განა ბატონი რაზბონიკია! არა, ჩვენ მაგისთანეები არ გვისწავლია!

ყარდაშვერდი. მაშ შენცა და შენი ბატონიცა მშიერი დარჩებით. ერთის სიტყვით თუ მოურაობას არ იშოვნი, არ მინდიხარ, შენისთანა მშიერებს მე ბევრს ვიშოვი... მშვიდობით. (გავა).

გაბრიელ. ვოტ ჟენშჩინა... ნეტავი აგრე ლამაზი არ იყოს... მაგრამ ბოროტი დედაკაცი გამოვა... აი რას მირჩევს: რაზბონიკათ გავხდე, ბატონს ულალატო, მოვპარო! ნეტ, ბატონი კი არ არის—მამაა, დედა, ერთი სიტყვით შვილივით გამზარდა და უყვარვარ, კაცი გამომიყვანა მეხრეობისაგან. ნეტ, ბარინ, მე შენ არ გიღალატებ, ია ტებია ნე ასტავლიუ; კ ჩორტუ სიყვარული!

გამოსვლა მესამე

გაბრიელ და ივანე

ივანე. (შემოვა, როცა გაბრიელ ტირის). შტო ტი პლაჩეშ?

გაბრიელ. არა, შენ ფეხ ქვეშ მოვკვდები, ბარინ; მე შენ ვერ გიღალატებ, ვერ გაგიშვებ.

ივანე. ეს რა მესმის! ნე პოდკუპილი ლი ი ევო. (გაბრიელს) რას ამბობ, ბიჭო, როგორ თუ გაგიშვებ, შენ ხომ მე მერგე?!

გაბრიელ. (წამოდგება, თავს იკნევს). ის არ არის გაზდილი, ანჩხლი არის!

ივანე. ვინა ბიჭო?

გაბრიელ. ჩემი კოხანკა [1]) ყარდაშვერდი.

ივანე. რაო, რას გეუბნება?

გაბრიელ. რას მეუბნება, მოურაობა სთხოვე ბატონსაო.

ივანე. (იცინის). ტაკ ჩევოჟე? ჟალუიუ ტებე მოურაობა.

გაბრიელ. (ტირის). ნეტ ბარინ, მე ჩესტნი ვარ, არ გავპადლეცდები.

ივანე. მეც ამისთვინ გაძლევ, რომ ჩესტნი ხარ.

გაბრიელ. ნეტ, ბარინ! მე შენ კაცების აკლებას ვერ გირჩევ.

ივანე. ონ პროსტო რეხნულსა! როგორ აკლება? ვინ გასწავლა ეგ სიტყვა?

გაბრიელ. ყარდაშვერდიმ.

---

[1]) საყვარელი ქალი.

ივანე. მაშ ბოროტი დედაკაცი ყოფილა... გაბრიელ! იცი რას გეტყვი, ბროს ეიო!

გაბრიელ. ბროშუ, ეი ბოღუ, ვსიო რუგაეტსა; უნდა რაზბონიკობა დამაწ-ყებინოს.

ივანე. მაშ ხელს აიღებ? მართლა მითხარ.

გაბრიელ: სიტყვას გაძლევ, ბარინ!

ივანე. მაიტა ხელი, ბუდემ პო პრეეენემუ დრუზიამი. (გაბრიელ ხელზედ ჰკოცნის და გავა. ივანე დარჩება მარტო, დადის ოცნებობს). დაა! სასიამოვნო არის, ჰყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი! მომეც შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა. კაკაია პოეზია ბიტ დობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ! დაგლოცვიდენ შენი ყმანი... მეც ვეცდები... თუმცა ჩემმა ძმებმა იმაშენიკეს... ნო ბოლ ს ნიმი! კაი მამულები მერგო. (გააღებს ფანჯარას. ფიქრში იმღერის; ამ დროს შემოვა მიკირტუმა და გვერდით დაუდგდება).

გამოსვლა მეოთხე

ივანე და მიკირტუმ

ივანე. ია რაზდელიუ პოლე ნა სემ.

მიკირტუმ. მაგითი ფული ვერ გასცემ.

ივანე. აქ მომივა კაპუსტა.

მიკირტუმ. ა ვ კარმანე ბუდით პუსტა.

ივანე. ტუტ მადია სატი ტავა.

მიკირტუმ. ჯიბიდან ფულები გავა.

ივანე. აქ ბესედკა გაკეთდება.

მიკირტუმ. უფულოთ კი არ იქნება.

ივანე. ეს ლაბირინტათ უცხოა.

მიკირტუმ. კიდევ გითხრამ გიე ვრაცუა! (მიკირტუმა მივა, დაადებს ნელა ხელს მხარზედ). სუყველა კარგა ფიქრობ, კნიაზ! მაგრამ ფული, სულ ფული... ფული...

ივანე. (ჩუმათ). მოვიდა სატანა, მოსწამლა ჩემი ფანტაზია! (მაღლა მიკირტუ-მას). აი ეხლა ავიღებ ბანკიდან და თავში მოგარტყავ შენს ვალს, მე მარგუ-ნეს...

მიკირტუმ. აკი გითხრამდი, კნიაზ, ანდუყაფარ ყალბია.

ივანე: და, ახლა მჯერა, რომ შენზედ ყალბია.

მიკირტუმ. კნიაზ, ჩემმა მზემა შენთან არა ვიქ ყალბი. ერთი რასშჩიტაით ვქნათ, უგოდნო პერემენათი ვექსილმა, უსტუპიტს გიზამ.

ივანე. მადლობელი ვარ.

მიკირტუმ. (დაფიქრებული). კნიაზ! ერთი რამ გითხამ: მუქთათ შენი ვექსი-ლი გიშოვნო?

ივანე: კაკ ეტო?

მიკირტუმ. ფულიანი ცოლი გიშოვნებ.

ივანე. ლამაზსაც?

მიკირტუმ. ესეთი ლამაზი, თეთრი, როგორც ლიბასტრი.

ივანე. თვალები შავი აქვს?

მიკირტუმ. (მხიარულათ). კნიაზ, ლათაიას გითხრამ:
თვალები აქვს იშტარხნის ხიზილალა,
ტუჩი ტკბილი, როგორც რომ ყანდის[1] ჩალა[2]),
ტანი წვრილი, იშპაანის ყალამი[3]),
ვინცა ნახამს ყველა უთხრამ სალამი,
ყელი თლილი, რუსეთული შუშანი...
უნდა ნახო, კნიაზ, ჩემი შუშანი!

ივანე. კაკ შენი?

მიკირტუმ. (სეცილით). ეჰ, კნიაზ, ზირთი ფირთი გაუშოთ. ჰსწორეთ გითხრამ, ჩემი ქალია. კნიაზ! პუტრუ ჩემთან წამობრძანდი, ჩაიზედ პუკურნო პროშუ. (დოინჯს შემოიყრის). კნიაზ, კომისიაში ოქმი შემიტანია, მეც კნიაზი გავხდე,ჰა...

ივანე. (იცინის). ხა! ხა! ხა! მართლა?

მიკირტუმ. ვა, ჩვენი ჩამჩიანი წაიკითხე, ჩვენი გვარი ჰწერამს ტრდატ, დიდი ტრდატ!..

ივანე. ღორის ყურები რომ გამოესხა?

მიკირტუმ. (იქით). ვა, რა ნაკითხია და! (მაღლა). ჰო, სწორეთ იქიდან წამოვდივართ ჩვენი გვარი.

ივანე. (სიცილით უყურებს). მაშ ნიშანი უნდა გქონდეს; აბა ვნახოთ, ღორის ყურები გასხია, თუ არა?

მიკირტუმ. ეე, კნიაზ! მასხარაე ჰა! კნიაზჯან, ერთი ერთი ნსტეცექ[1]) (დასხდებიან) ექვსასი თუმანი შენი ვალი, ეს დავხიოთ; ხუთასი თუმანიც რამეები მზითევი მოგცე; ასი თუმანიც ჯიბის ფული, კნიაზის მზემ, ასე აზიზი შეგინახამ, სულ, სულ ყაბლუ ფლავს გაჭმევ. ჩემი ცოლი ასეთი რამეები იცის: მურაბე, ნუყლი...

ივანე. პოსმოტრიმ, ესლი ანა ხარაშა.

მიკირტუმ. ლამაზია გითხრამ განა,
არ ვინ არის იმისთანა;
ტანცი იცის ვალციანი,
ბუდიშ ლუბით მოი შუშანი!
კიდევ გითხრამ ლათაია:
შენ ვარდი ხარ, შუშან—ია,
ლამაზია, ფულიანი...
ბუდიშ ლუბიტ მოი შუშანი.
მოდი, კნიაზ, ხელი დაჰკარ,
ანდუყაფარს თავში ჩაჰკარ,
გახდება ეკპაჟიანი,
ბუდიშ ლუბით მოი შუშანი!

ივანე. პასმოტრიმ.

მიკირტუმ. კნიაზ, კარგი ფიქრი ჰქენ.

---

[1]) წმინდა შაქარი; [2]) ღერო; [3]) ლელი.
[1]) დასხედით; [2]) ნუშის გული დაშაქრებული.

მოქმედება მეოთხე

ოთახი მიკირტუმას სახლში

გამოსვლა პირველი

თათელა და მისი ქალი სხვედან და ბრინჯს არჩევენ

მიკირტუმ, თათელა, შემდეგ **ბარამ, ანდუყაფარ, პავლე, ბარძიმ** და **გოგო**

თათელა. ყაირათი [1]) ქენ, შვილო. დღეს არა ხვალ ტანტიკიამა [2]) გახდები; ვინც რომ შენ წაგიღოს, უთხრას, თუ ოჯახის ქალი ყოფილა იმან. შენზედ ყმაწვილი ვიყავ, ის ცხონებული ქალბატონუამ რამდენი რამეები ყაირათი მასწავლა.

მიკირტუმ. (შემოვა). თათელი!... თათელი!..

თათელა. ჰა-მე!..

მიკირტუმ. ვახშმათ რა გიქნია?

თათელა. ვა, ახარ, ემ რა საკითხავია? თათარ იახნი [1]), ნიმრო [2]) თალიში ხახვი.

მიკირტუმ. კარგი, კარგი.

თათელა. აღაჯან, შენ ძალიან გახარებული ხარ!

მიკირტუმ. კარგი რამეს გახარებ: შუშანი გაგითხოვე.

თათელა: უჩემოთ იმან ვის მიე? ქალს კაი ფიქრი უნდა, ახარ, სოდა [3]) ხომ არ არის?.. ვიცი, ვის მისცემდი.

მიკირტუმ. აბა გამოიცან.

თათელა. თუ გამოვიცნობ? ტოტლოვიან ღაღო?

მიკირტუმ. არა, მაღლა.

თათელა. ციციკოვიანთ ნიკო?

მიკირტუმ. არა, კიდევ მაღლა.

თათელა. (ღიმილით) ციმბურცკი, შენმა მზემ.

მიკირტუმ. არა, ქართველი კნიაზი, დიდი კაცი.

თათელა. ვუი ქუ აჩკინ [4])! კუტრი ქართველი?

მიკირტუმ. ვა! ჩემისთანა მურავები, თათელას მზემ, თავზე ადგას.

თათელა. ეგეც მჭამელები, აღამ ჭკვა წააგო!..

მიკირტუმ. ვა, რა კაცია! აი დედაკაცის ჭკუა; დღეს-ხვალ მეც კნიაზი გავხდები, მაშ მუჟიკი მივცე ჩემი ქალი?

თათელა. (სიხარულით). აღაჯან, მართლა?!! შენმა მზემ, ბუღდანოვიანთ ხამფერას შურობით ორივ თვალები დავარდება, მე რომ კნეინა ვიქნები.

მიკიუტუმ. აჰა მაშ, მე გიჟი საქმე ვიქ!?

თათელა. მულათი ქენ, აღაჯან, და ახარ ვინმეებს დაუძახოთ, დედაანთ დაუძახოთ.

მიკირტუმ. თათელჯან! მე შენი ყაირათის, შნოს იმედი მაქვს.

---

[1]) მომჭირნეობა; [2]) დიასახლისი.
[1]) ბულიონი; [2]) კარტოფილი; [3]) ნარდად ვაჭრობა.
[4]) უი შენს თვალს.

თათელა. (დაუძახებს გოგოს). ვარდო, გოგო, შე გულმკვდარო! (გოგო შემოვა). დროზე ყადიფა აიღე, შვილო, ჩანგალი ჩაიგდე; ჩემი ძმას ცოლი, უთხარი, მობრძანდი, უთხარი, ვიცი გიამება, უთხარი, ჩემი შუშანა გავათხოვე, უთხარი, შენც მობრძანდი, უთხარი, ვისაც თავი უნდა მოიტანოს, უთხარი, თავისი რძალი კეკლუსაც დაუძახოს, უთხარი, იმანაც ვისიც თავი უნდა მოიტანოს, უთხარი, შნოიან, შვილო, იმან რამეს გაჩუქებენ.

გოგო (მიუბრუნდება). ქალბატონო! როგორა? სად წავიდე?

თათელა დედაანთას, სულილო, უთხარი შნოიან, ლაზათიან... (ქმარს) აღაჯან, ახარ, ასე ხომ არ იქნება, შენი სახლიც ერთი რამეა; დღეს არ, ხვალ კნიაზ ტრდატ გახდები.

მიკირტუმ. ყველა დაძახილია.

თათელა. (ეძახის ბიჭებს). ივანიკა! ყარამანა! კვირიკე! (ბიჭები შემოიტანენ საფენსა, დაუწუებენ შლასა. შემოდიან სტუმრები და ულოცვენ თათელასა; ამ დროს შემოჰყავსთ ქალებს პატარძალი და დასმენ ტანტზედ).

მიკირტუმ. (შემოვა მორთული). აბა ესე უნდა, როგორც მე, ერთი საქმე დამრჩა, კნიაზმა გავხდე. ბუღდან ბუღდანიჩინ აქკი კუ ჰანიმ. (ამ დროს გავარდება დამბაჩა, ისმის ხმა: მახარობელი, მახარობელი!)

ბარამ (შემოვა და მიკირტუმას). სიძე მოგდისთ. (მიკირტუმ სამახარობლო ფულებს ჩაუდებს პირში. აზარფეშით ღვინოს მიართმევს და მხარს აუხვევს შალით; ისმის ხმა მაყრულისა. შემოვლენ მეფე და მაყრები).

თათელა. (რომ დაინახავს, სცენისაკენ იტყვის). თქვენი ჭირიმეთ, ძროხას შესჭამენ.

მიკირტუმ. (მიეგებება მეფეს და აკოცებს. რეკომენდაციას მისცემს ცოლსა). კნიაზ, სიძეჯან, ეს გახლავთ თქვენი სიდედრი (მეფე მიესალმება სიდედრსა. ხელსა სთხოვს, თათელა ხელს არ აძლევს).

თათელა. არა ვღირსვარ, შვილო, ღმერთმა აღას §შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, აღასავით მომგები გქნას, შვილო, თუ ღირს ვარ.

მიკირტუმ. (მიიყვანს ანდუყაფართან თათელასა). ეს გახლავთ თქვენი მძახალი,

ანდუყაფარ. თავს დაუკრავს.

თათელა. კნიაზჯან, შენი მადლობისა თვინ, შენი დიდკაცობისთვინ მამეკია, შენმა მზემ, ჩემი ჭარუმადათი [1]) შუშანი, შენ იცი შენი დიდკაცობა, როგორც აზიზი შეინახამ.

მიკირტუმ. ბულბულა ბულბული ჩტი მერნემ!

ანდუყაფარ ჩემო მძახალო, დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ როგორც ჩვენ სახლს ეკადრება, ისე შევინახამთ თქვენს ქალსა. (მიკირტუმა მიიყვანს ანდუყაფართან კამისიონერსა—ანდუყაფარს და პავლეს გააცნობს).

მიკირტუმ. კნიაზჯან ძახალო, ეს ჩემი სიმამრის ვაჟია, კაი ვინმეა, ჩინოვნიკია. (ანდუყაფარ თავს დაუკრავს).

პავლე. (მივა და ეღრიჯება). მამა ნუ წაგიწყდება, თუ ჩემი მოყვრობა გინდა, აგება თქვენ უფროსებში რუსული მეძებარი მიშოვნო...

კამისიონერი. ეა! რა დროისია, კნიაზო! ძაღლები განა იქნება? რა დროსია? ახარ, ჯერ ქორწილია.

---

[1]) ჭკუიანი, მოხერხებული.

პავლე. შენ ხომ კურდღლის ხორცი არ გეჭმება, იმისთვის გეჯავრება ძაღლები განა?

კამისიონერი. (სცენისაკენ) ვა, რა ფინთი ვინმეა! (მიკირტუმა მიიყვანს მეფეს და დასვამს ზუშანასთან. ამ დროს წამოდგება ბარძიმ, ყველანი წამოდგებიან).

ბარძიმ. უფალო მიკირტუმ გასპარიჩ, ნისი ბრწყინვალება უფალი კაპიტანი თავადი ივანე ამირინდოს ძე დიდებულის ძე გთხოვთ თქვენს საყვარელს ასულს. თანხმა ხართ? თანხმა ხართ? თანხმა ხართ?...

მიკირტუმ. კნიაზ ბარძიმ, მოახსენე, უთხარ, მისი ბრწყინვალება, უთხარ, დიდათ მადლობელი ვარ, უთხარ, რომ ჩემი სახლი მაღლიანობა, უთხარ, ხარისხოვნება, უთხარ, ხარისხოვანება შვილობით, უთხარ...

თათელა: მეტი შნო მოგცეს, აღაჯან.

ბარძიმ. (მიკირტუმ გასპარიჩს). მოდი, დალოცე.

მიკირტუმ. სიძეჯან, გაძლევ ჩემი ქალი ლამაზმა, ჭკვიანი, ტანადი; შენ იცი შენი დიდკაცობა, როგორც აზიზი შეინ ახამ... ამინი იყოს თქვენ თავზე.

ბარძიმ. რადგანაც ღმერთმა მხიარულება მოაყენა სახლს შენსა, გმართებს შენც მხიარულება.

მიკირტუმ. (საზანდრებს). ლეკური... მე და თათელა ვითამაშოთ.

(დაიწყებენ თამაშობას, აგრეთვე სხვანი თამაშობენ ლეკურს. მერე მიკირტუმ იტყვის კუპლეტსა):

ჩესნი პუბლიკი პრაშჩაი,
პუტრუ პროშუ ვას ნა ჩაი,
ბუდეთ უგაშჩათ კნეინა...
ახლ კი წაბრძანდით შინა.

მიკირტუმ, ავტორის მაგივრად.

ბატონებო, შემინდევით, თუ ჰპოვეთ რამ ნაკლულება,
ამად ვმხნეობ, აქ ბრძანებელს ყველასა გაქვსთ განათლება,
და ამისთვის მაპატივებთ სუსტსა ამას პირველ შრომას,
არ შეისმენთ რომელთამე უსწავლეთა წყენა, წყრომას.
მე დაკწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრუდი...
ჩვენც ვეცადნეთ და განვდევნოთ, რაცა არის ჩვენში ცუდი.

(ფ ა რ დ ა)

დ ა ვ ა*)

ანუ

ტოჩკა და ზაპეტაია

მოქმედნი პირნი

ამირინდო, თ. ღაზნელი.
ბეგლარ, იმისი შვილი, პოეტი, პეტერბურღში გაზდილი.
იაია, თ. ჭიორელი, მეგობარი ამირინდოსი.
ლომინ გოდობრელიძე, იმერელი,
ონოფრე, თ. ხარაძე.
მიხეილ, იმისი შვილი პეტერბურღში გაზდილი.
სიდონია, ცოლი ონოფრესი.
ნინო, მათი ქალი.
აბუა, გამზდელი ამირინდოსი.
ათანვერდი, გამზდელი ონოფრესი.
მარქიტა, გიგაურის ცოლი, შემლოცველი.
რაფაელ არზიმანოვი, არზის მწერალი.
სარქის ბუღდანიჩ კუმუხელოვი, პერევოდჩიკი სუდისა.
ხარიტონ ფილიპიჩ-ვზიატკინი, სტრიაპჩი, ანუ ვექილი.
ფილიპე, ზასედატელი.
სოროზან, მოურავი ამირინდოსი.
აბრამ, ბიჭი ბეგლარისა.
ბერუა, ბიჭი ამირინდოსი.
ნენე, გოგო ნინოსი.
ივანე, ბიჭი სტრიაპჩისა.
მსახურები და მოახლეები.

მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

ოთახში ზის ამირინდო, დაფიქრებული; მოშორებით დგას სოროზან მოურავი. წინა სცენისაკენ, ქეჩაზედ ზის აბუა გამზდელი, რომელიც ყაკს ართავს და პატარა სათვალები ცხვირზე უკეთია.

ამირინდო, სოროზან და აბუა.

ამირინდო. მოდი, სოროზან, დაჯექ.
სოროზან. კარგათ გახლავართ, შენი ჭირიმე.
ამირინდო. კარგი, დაჯექ, თუ ღმერთი გწამს, (სოროზან დაჯდება). საკვირ-

*) სანიმუშოდ ვბეჭდავთ მხოლოდ პირველ მოქმედებას.

რედ.

ველია, რაფიელ უნდა მოსულიყო, ერთი ეს არზა მეჩვენებინა; არ ვიცი, რათ დაიგვიანა.

სოროზანი. რაღა არზა არის, სუდში აკი მოვრჩით! ჩალიანი [1]), თქვენ დაგრჩათ.

ამირინდო. აბა რას ამბობ, მამა გიცხონდა, ათას კუდს გამოაბამენ! ამბობენ, ტრაპჩს დაუყენებინებია, იმის ნაცოდილარი არისო.

სოროზანი. პატარა იმასაც ჩავაყლაპოთ ოქროს აბები.

ამირინდო. ჰე! რას ამბობ, ჩემი ოჯახი ამათზე მიდის, მაგრამ არა მეშველა რა; სწორეთ აუვსებელი ხაროა.

სოროზანი. ღმერთი გადღეგრძელებთ, ნუ გამიწყრებით ამ მოხსენებაზე, მაგრამ მორიგებას კი გირჩევთ.

ამირინდო. განა არ მინდოდა, აკი ვაძლიევ ასი თუმანი?

სოროზანი. შე დალოცვილო, ას თუმნათ?

ამირინდო. არა იქს, ას თუმანსაც დავხარჯავ და მაშინ დარჩება ისევ ცარიელი! (გაჯავრებით) მამაჩემი არ წაწყდება, მეც დავიღუპები და იმასაც დავღუპავ! ონოფრემ უნდა მაჯობოს? მაშ, მე ამირინდო არ ვყოფილვარ!

სოროზანი. ჩემ სულელურ მოხსენებას რომ დაიჯერებდეთ, მე კი მოყვრობას ვარჩევდი თქვენში.

ამირინდო. როგორ მოყვრობას! ჩემი მოსისხლის ქალი შევრთო ჩემ ბეგლარს! კაცო რას გადაირიე, კიდეც რომ დავმოყვრდეთ, მტერი იქნება. არ გაგიგონია, ნათქვამია:

მოყვარე, მტერი მოყვრისა,
მტერზედან უფრო მტერია!

ერთი გადმოვიდეს ჩემი ბეგლარ! სასამართლოები იმას მოვახვიოთ, ჩვენ დავსხდეთ და შევექცეთ, ჩემო სოროზან... მერე შენი ონოფრე]დამიდგეს წინა; მართალია, არზის წერაშიღა გამივა ფული. კრუსი დაუსრულებიაო უნივერსში, ჩინი მიუციათო, (გამზდელს). პეტერბრუხიდგან რომ წიგნი მოგვივიდა ბეგლარზე, ის წამიკითხე.

აბუა. ააჰ, ააჰ? არ მესმის.

ამირინდო. (მაღლა) - პეტრებრუხის წიგნი.

აბუა. წიგნი?! აი გმირისეული მწერს (კითხულობს): „შენი ბეგლარის ქება რაღა მოგახსენო, ქვეყანა იმას აქებს, ასე ნასწავლია თურმე, ყველანი თითით უჩვენებენ, აი პოეტიო, მითომ ყველაზედ მეტიო!“ შენ კი გენაცვალოს შენი აბუა. ერთი ამ ბრმა თვალებმა განახონ, ერთი შენის ნახვით გამახარე, და მერე შენის ხელით მეღირსოს დამარხვა.

ამირინდო. პოეტი ჩინი იქნება, ჰა! თუ ტატისა არის, ზაკონები ეცოდინება...

სოროზანი. რა მოგახსენო, შენი ჭირიმე, მე იმათი არა ვიცი რა.

---

[1]) მამულის სახელია.

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და ბერუა

ბერუა. რაფაელმა და სარქისამ მოკითხვა მოგახსენეს.

ამირინდო. სოროზან, გადი ერთი გახედე, სთხოვე, მობრძანდითთქო. (სოროზან და გამზდელი გავლენ).

გამოსვლა მესამე

ამირინდო, რაფაელ და სარქისა

ამირინდო. აა, ბატონს რაფაელს გაუმარჯოს! ვეჟო გელით, გელით, მე ჩემი დამემართა...

რაფაელ. ჭეშმარიტად უკაცრავათ გახლავართ, რომ ასე დავიგვიანეთ...

ამირინდო. დაბძანდით! (დასხდებიან). ახალი რა არის ჩვენ პატარა ქალაქში?

სარქისა. ახალ-ახალი ზეთისხილი მოსულა ახალციხიდგან და ნალები.

ამირინდო. (გაიღიმებს). შე შეჩვენებულო, სულ უნდა იმასხარაო? ახალ ამბავს გკითხამ.

სარქისა. ამბავი ეს არის, რომ თქვენ თუთუულოვისთვის არზი პისატი გიქნეინებიათ. კნიზ, მე თქვენგან დავალებული ვარ, შენი პურმარილი აქამდის არის (ყელზე უჩვენებს). რო არ გითხრა, შენთან ყალბი გამოვალ, აი რაფიელიც იცის-თქვენი მწერალმა ონოფრეს უწერამს ჩალიანის თავობაზე.

ამირინდო. იქნებ მართლა?... ბიჭოვ. ბერუავ! (ბერუა შემოვა). ერთი ჩემი ყუთი მომიტანე (ბიჭი გავა). კარგი რომ მითხარ... (ბიჭი შემოუტანს წითელ თალათინის ყუთს გააღებს, ამოიღებს ერთ ღერბის ქაღალდზე დაწერილს არზასა და აძლევს რაფაელს)... აბა ერთი წაიკითხე. (რაფაელ გამოართმევს არზას და კითხულობს. სარქისა უყურებს გაკვირვებულის სახით).

სარქისა. ვა�ა! ხედავ, რა დაუკლია და!

რაფაელ. ოჰ! შეჩვენებული, სულ დაგვღუპავდა...

ამირინდო. აჰ, რას ამბობ, როგორ დამღუპავდა?!

სარქისა. ვა, რა დაუკლია და? მამაშენის საფლავის მზემ, ამ არზის მიცემა და ჩალიანის ონოფრეს მიცემა ერთი იქნება.

ამირინდო. როგორ? არ მეტყვით, რა დაუკლია? თხუთმეტი თუმანი მიეცი იმ, იმ, იმ... ურიასა!

სარქისა. კიდეც იმიტომა. შე დალოცვილო, პელაციის არზა თხუთმეტი თუმანი!..

ამირინდო. ბიჭო რა აკლია, აჰ, არ მეტყვით?

სარქისა. (რაფაელს). თქვენ უთხარ და.

რაფაელ. (განცვიფრებული). რა აკლია?! მამიფქვენის საფლავის მზემ, ვერ გაგიბედამთ, მაგრამ უნდა გითხრათ, ერთი ტოჩკა არა ზის.

სარქისა. ვა! კარგა ჩაიხედე, არც ზაპეტაია ზის!

ამირინდო. (წამოხტება). ხედამთ იმ მამა მახინჯს! ზაპეტაია რა არის? ზაკონებია განა?

რაფაელ. ზაპეტაია არს ნიშანი არზის ჰაზრს თუ ჰანგები თუ ვითარ წარმოდიან კანონი და სუდში სამჯავროსა შინა წარმოება საქმისა.

ამირინდო. მაშ დამღუპამდა... მამა ჩემი ნუ წამიწყდება თუ ხელში ჩამივარდა, ტყირპი ვერ დავაგდებინო, შენი ამირინდო აღარ ვიქნები. ერთი მითხარით, ახლა რა მეშველება, ჰა?

სარქისა. რაფიელ, ახარ, ჩვენ უნდა მოვახერხოთ.

რაფაელ. თუ სუდიამაც არ ჩააელო თვალი, არ იქნება.

სარქისა. ვა? მეტათ ხარბი არის, ბევრი გვთხოვს.

რაფაელ. მართლა, მაგრამ გადაჭრილია მაგაზე, თითო ტოჩკა და ზაპეტაია ოქრო არის.

ამირინდო. ჯანი გავარდეს, რასაც ითხოვს, მივცემ, ოღონდ მტრის გულისად ნუ გამხდით!

რაფაელ. მერე კიდევ გამოგადგებათ საქმეში, რაკი ერთი დაახლოვება გექნებათ.

ამირინდო. აბა რა უნდა მივცე, მითხარით?

რაფაელ. სარქის ბუღდანიჩ, აბა დათვალეთ!

სარქისა. (სთვლის). ადინ, 10, 20, 30, 40, 50, 60... სამოცი მეტია, მაგრამ ღმერთი არ არის...

რაფაელ. კარგი, სხვა არა უნდა რა.

ამირინდო. შემოდით ჩემს საწოლში, ფულსაც მოგცემთ, და ერთი რჩევაც მინდა გკითხოთ (გავლენ).

გამოსვლა მეოთხე

სოროზან, მარტო

სოროზან. ღმერთო, შენ შემიწყალე, რაზე იჭირებს საქმეს, ან თითონ რაზედ იღუპება, ან იმ უბედურს რაზე ღუპავს? ეი, ბევრი არ შესძლებია ფულსა. ეი, ფულო, ფულო, სოფლის ბომონო.[1]) ნათქვამია:

ეს სოფელი სულ ასეა...
უფულოდ სად არს წესია
თუ ფული გაქვს, დამიჯერე,
მომკი, რაც არ გითესია.
ვისაც ბედმან მისცა ფული,
გინდა იყოს ბოროტ სული,
კვირდებიან და იტყვიან:
აქვსო უცხო, კარგი გული.
ნიჭი, სახელი, დიდება
ფულთან სუყველაა ფუჭი:
უგუნურიც გამდიდრდება,
თუ ოქროთ აქვს სავსე მუჭი!
(სოროზან გავა თავის ქნევით).

---

[1]) კერპის.

გამოსვლა მეხუთე

ხარქისა

ხარქისა. აუსვით!

ღმერთი უშველის ქართველებს.
ცარიელი აქვთ თავია,
თითონ და იმათ შვილებსა
აკლიათ ზაპეტაია!
უნდა ნახოთ, თუ აქვსთ ფული,
ყველაკა აქვს დიდი გული,
მაგრამ თუ გამოელიათ...
ტოჩკა და ზაპეტაია!
როცა გვთხოვენ ჩვენგან ფულებს,
ყველა ჩესტნი ქართველია!
თუ კი, მოსთხოვთ ნასესხულებს...
ტოჩკა და ზაპეტაია!

გამოსვლა მეექვსე

ამირინდო და რაფაელ

ამირინდო. სადილად ბარემ აქ იქნებოდით, სადღა უნდა წახვიდეთ.

რაფაელ. კვლავ გიახლებით, ეს საშური საქმე არის, ვადა არ გაგიგვიდეთ. (მიდიან).

ამირინდო. კიდევ კარგათ გადავრჩი ამ სულის წერბედობას... ჰაი თუ თუთულოვი ჩამივარდა ხელში, სიცოცხლე გაქვს, ჩავჩეჩქო. მამა არ წამიწყდება, ფულითა ვცემ! საკურველი რამ ყოფილა ფულით ცემა. ერთმა, ყმაწვილო, ქრთამი მთხოვა; გაჯავრებული ვიყავი. ჩავყარე ათი თუმანი გრძელ პარკში, მივდექ ზურგში, ასე ვცემე, მამა ჩემი არ წამიწყდება, რომ გული შემოეყარა. ავდექ და პარკი მიუგდე; მერე ადგა, ყმაწვილო, მადლობა მითხრა და საქმეც გამიკეთა!

გამოსვლა მეშვიდე

იგინივე და ბერუა

ბერუა. ბატონო, დროგით ვილაც მოდის, ხარები უბია; მგონია, პრავნიკი არის.

ამირინდო. არიქა, ბიჭო, კაბა, წაღები, სარტყელი. სოროზან! (შემოვა სოროზან, ამირინდო თან იცვამს და თან ელაპარაკება). აბა პრავნიკი მოდის, სადილათ რა გვაქვს?

სოროზან. ბოზბაში, ჩიხირთმა და მწვადები.

ამირინდო. აბა, კიდევ მიუმატოთ რამე, შემწვარი და ჩახოხბილი ქათმები, ფლავი, ბატკნის ლულა ქაბაბი, აფხაზური. შენ კი ბერუავ, მემარნეს უთხარი: სამოციანი მოხადოს, წმინდათ ამოიღოს; შენ იასაულებს და ყაზახებს კარგა დაუხვდი, ვინძლო დაათრო.

ბერუა. მოგეცა, კარგა მე ისინი დავანაყრო! (კარებიდან ისმის ზარის ხმა).

გამოსვლა მერვე

ამირინდო, სოროზან და ბეგლარ

ბეგლარ მგზავრულათ არის ჩაცმული. ამირინდო თავს დაუკრავს.

ამირინდო. დრასტი! დრასტი! ღოსპოდინ სუდრი, დრასტი, იზბოლით, იზბოლით (ხელს უშვერს სკამზე).

ბეგლარ. ვერ მიცანით, მამავ, თქვენი შვილი ბეგლარ!

ამირინდო. (დაიყვირებს). აჰ! შვილო, ბეგლარ! (მოეხვევა ტირილით). მამა ჩემი არ წამიწყდება, ოჰ, შვილო, რა ბედნიერი ვარ! რა რიგათ გაკეთებულხარ, ბიჭო, მამა არ წამიწყდება, სუდიასა გევხარ. (ბეგლარ მოეხვევა სოროზანს, სოროზანი ხელზე ცდილობს კოცნას).

ბეგლარ. სოროზან, ჩემო სოროზან, ხომ კარგათა ხარ, ჯერ ყოჩაღათა ხარ, არ დაბერებულხარ?

სოროზან. ვმადლობ ღმერთსა, თქვენ მშვიდობით გნახეთ, ახლა რაღა დამაბერებს.

გამოსვლა მეცხრე

იგივე და აბუა

აბუა. (შემოდის ხელებ გაშლილი). შვილო ბეგლარ, შვილო ბეგლარ, ჩემმა მოხუცებულმა თვალებმა კიდევ გნახეს, შვილო, კიდევ ცოცხალს შენი ნახვა მეღირსა?.. (ეხვევა). ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მშვენიერო, ჩემო... სამოთხის კარებო (დადგება უკან, სათვალეებს გაიკეთებს). შვილო, შემომხედე, აგრემც შენი აბუა გენაცვალოს, რა რიგათ დაკაცებულხარ, იი! შენი ჭირიმე, რა რიგათ უხდება. დარბაისლობა, შენ კი გენაცვალე, ჩემო ფრანგის სურათო.

გამოსვლა მეათე

ბეგლარ. (ბოიხსნის შარფს, დაჯდება ტახტზე, აბრამას შემოაქვს ჩამადანი და ჭართული მაფრაშა).

დღეს ვგევარ აწ მე ახალ შობილსა,
ვხედავ რა სახლსა ჩემის მშობლისა.
დღეს ვიწყებ ახლად სოფლის ცხოვრებას,
და მასთან ვნებათ ზღვის მღელვარებას.
უნდა ვიბრძოლო ღელვაში ნავით,
უსვა ნიჩაბი მე სუსტის მკლავით!

(დაფიქრდება. ამ დროს ჩუმათ შემოვა მიხეილ და ყურს უგდებს).

იქნება ბედმან,
თვალით ვერ მხედვან.
უდროვოთ მოსთვლას ჩემი ცხოვრება?
იქნება ერთა[1]),
გონების მტერთა,
მოსწამლონ ჩემი ნიჭიერება!

(ღრმად დაფიქრებული წარმოდგება და შევა ოთახში).

---

[1]) კაცთა.

გამოსვლა მეთერთმეტე

მიხეილ

მიხეილ. მიყვარს ყურება, როცა ჩემი პოეტი დაფიქრებული არის... საბრალო პოეტო! Тебя здесь не поймут! შენს გრძნობიერს, თბილს გულს გააცივებენ. Да, ძნელია, ებრძოდეს მაღალი გონება გაუნათლებლობას... საკურველი არის ეს ვოენის სამსახური: ყველას ბედნიერი ხასიათი გვაქვს; გინდა, ქვეყანა უკან გადატრიალდეს, ჩვენთვის ბურტყლი ბუნბული არის! ჩვენი ქარიანი ხასიათი სჯობს პოეტობას. საკურველია, უნდათ, რომ ყველა კაცი ანგელოზათ გახადონ! აბა ეს ჩემი პოეტი ეცადოს, თავის მამა გახადოს ანგელოზათ? ტყუილათ კი არ ამბობდა ჟან-ჟაკ-რუსსო, უსწავლელობა სჯობსო. ამ კლიაოზნიკს რო ესწავლა, მთელ უეზდს აჰყრიდა. მაგრამ მე ჩემის პოეტისათვის ვარ... თითონ ვერ გამოიცნო თავის ბედი.

ჩემო პოეტო!
რა შეიმატო
მაგ მაღალ ნიჭით?
ვის აგრძნობინებ,
შეატყობინებ
ტკბილ ჩანგის ჟღერით
შენს ნიჭსა გულის!
მაღალის სულის
სად ჰპოვებ პასუხს?
რომ წავიკითხოთ,
გარდავიკითხოთ
პოეტთ ვარსკვლავი,
ბედნიერებით
და მყუდროებით
არვინ შობილა!
პოეტის ბედი,
სოფლის იმედი,
არ ბადებულა.
მათი ცხოვრება
კაცთ ეკვირვება,
რა განჰსჩხრეკს სრულად!
ხან სოფელს სტირის,
ხან მაღლა ყვირის,
არ არს კმაყოფით;
ხან ვითა ჩვილი,
გულით უბრყვილი,
ხარობს სოფელსა!...

გამოსვლა მეთოთხმეტე

მიხეილ და ბეგლარ

მიხეილ. ბეგლარ! (ეხვევიან ერთმანეთს).

ბეგლარ. მიშელ, მიშელ!..

მიხეილ: ეს არის ეხლა შევიტყვე შენი მოსვლა და გამოვაჭენე ცხენი, как я рад. მე ოტპუსკში ვარ აქა, კარგათ გავატარებთ დროს, несмотря нато, რომ მამა ჩვენები ჩხუბობენ და ერთმანეთს მტერს ეძახიან.

ბეგლარ. (უსიამოვნობით). როგორ თუ ჩხუბობენ, რა აქვსთ საჩხუბარი?

მიხეილ. Ах, братец, მასუკან გიამბობ. მე შენი ნახვა მიამა, შენ ჩემთან ხომ მოხვალ?

ბეგლარ. მაგას რა კითხვა უნდა. Но, დაჯექ, მიამბე... პირველათ მითხარ, ხომ სუფველანი კარგად არიან? ნინუცა გაზდილა Я думаю теперь она невеста?

მიხეილი. Ах, братец, чудо девка! ის მტირალა ნინუცა ხომ აღარ არის, გახსოვს... უნდა ეხლა ნახო ქალაქის ინსტიტუტში გაზდილი! Такая, умница, прелесть! ერთი მოდი, ნახე. Прошу не влюбляться: мы теперь Монтекки и Капулетти. მაგრამ შენ რა ეშმაკი შეგაყვარებს: ведь у вас какие-то идеалы, шиллеровския девы! აი ჩვენი საქმე სხვა არის: საწყალი პროზაიკები, რაკი პატარა ფერ გათხუნულ ქალსა ვნახავთ, прощай, გულო Ах, братец, как меня черные глаза истерзали! ცეცხლს მიკიდებენ...

ბეგლარ. Счастливец, შენ კიდევ ჩემი ქარიანი მიშელი ხარ; მგონია შენ დააბერებ დროს, შენ დრო ვერ დაგაბერებს?

მიხეილ. რა ეშმაკისათვის მინდა სიბერე? შენ მებრალები, რომ დაგაბერებენ. იცი, რას გეუბნები; ღმერთს გეფიცები, შენ ხომ სულ ქარიანს მეძახი. არ იჯერებ, მაგრამ კარგს რამეს გირჩევ: მოდი ჩვენ პოლკში შემოდი, тебя там поймут, полюбят,თორემ მასხარათ აგიგდებენ.

ბეგლარ. საძასხარაოს რო არასა ვიქ.

მიხეილ. შენ ხომ შენს პოეზიაზე ხელს არ აიღებ. ჯერ დიდ ქვეყანაში სულელს გეძახდენ, აქ დაღუპული კაცი ხარ. Ну прощай, приедешь завтра к нам?

ბეგლარ. Непременно буду (მიხეილ გადის).

გამოსვლა მეცამეტე

ბეგლარ და აბუა

აბუა. ის მატრაბაზი იყო აქა. ონოფრეს შვილი? როგორ შემოუშვი, მოხუცებულს მამა შენს ეწყინება.

ბეგლარ. რათა, აბუავ, უცხო ყმაწვილი კაცია, ნეტავი იმისთანა საქართველოს ყმაწვილი კაცები ბევრი გამოვიდნენ.

აბუა. უი, დამიდგეს, თვალები, რას ამბობ, მამაშენის მზეს! მაგისთანა გარეყვნილი ყმაწყილი კაცი თურმე არსად არის, მერე თურმე ასეთი ბრიყვია, შენმა დაბერებამ, უნდა თურმე ნახო სტუმრებში, ქალებთან ფეხებზე ფეხს შემოიდებს, თითქო სარდალი იყოს, მერე საშინელი ურჯულოც თურმე არის.

(პირჯვარს დაიწერს). ღმერთო შეგცოდე, დიდმარხვაში ხორცითა და კიბოთი თურმე სკდება... აი შეარცხვინოს ღმერთმა. მამი შენის მზეს, იმათსა არ მიხვიდე, თორემ მოგწამლავენ. გამზდელი ჰყავთ ერთი კუდიანი, ჯადოებით სავსე არის...

ბეგლარ. რას მიზამს?

აბუა. შეგილოცავს და სიყვარულის წამალს დაგალევინებს.

ბეგლარ. ოთხმოცი წლის დედაკაცს რათ უნდა, რომ შემიყვაროს?

აბუა. რას ამბობ, ყმაწვილო, გენაცვა, განა თითონ? ონოფრეს ერთი გონბიო ჰყავსო, ნინო ჰქვიანო... იმას შეგაყვარებს.

ბეგლარ. რა მენაღვლება; ამბობენ ლამაზიაო.

აბუა. ლამაზი? არა, შენმა გაზდამა, თვალის უკან კილოები დაწეული აქვს, ზეითი ტუჩი მოკლე აქვს, რომ ლაპარაკობს, თითქო ძალით იკრიჭებაო. (საიდუმლოს ხმით). მერე ისეთი ურცხვია თურმე, რომ, ვინც უნდა მივიდეს, ნათესავისავით ელაპარაკება. ინტიტუტში გაზარდეს, რას ისწავლიდა, გენაცვა იმათში.

ბეგლარ. Ах, как я рад! верно она хорошо образована! (იჭით) ხვალ უთუოდ ვნახავ. (გავა)

აბუა. ღმერთო, დაგვიხსენ მტრის დაცინებისაგან! რა ვქნა, აქ აღარავინ არის? რაზე მატირეს! ცხრა წელიწადი ამ ყმაწვილის მოშორებაზედ! რა ასწავლეს? დაუბე რებიათ, მეჩრაღაცას მოველოდი, ისევ ის ბეგლარ არის...

ლ ე ქ ს ე ბ ი*

ხ. ფ ლ ი ს ს ი მ ღ ე რ ა

არაგველთ შეთვლა მეფე ირაკლისადმი.

ოდეს აღამაჰმად ხან შემოადგა ტფილისს, არაგვში ჩაგდეს მოციქული, რომ ვითომ უფრო ჩქარა მივიდოდა და ეს უმღერეს.
შენიშვნა ავტორისა.

აგრე იარე მცხეთამდინ,
მცხეთას კი გაგივაკდება
ვაიდი ვალალი ვალალო.
(ორ ჯერ)
წიგნები არ დაასველო
ბატონი გაგიჯავარდება
ვაიდი ვალალი, ვალალო.
ყველი და პური თან მიგაქვს,
წყალიც არ შემოგაკლდება!
ვაიდი ვალალი ვალალო.
სავარცხელი უბეში გაქვს,
წვერი არ დაგიხავსდება.
ვაიდი ვალალი ვალალო....
ბატონის კარზე რომ მიხვალ,
ნაზირი კარზედ დაგხვდება.
ვადი ვალალი, ვალალო...
წვერზედ ხელი ჩამოისვი
გულზე კარგა დაგადგება.
ვაიდი ვალალი, ვალალო!
ჯოხი შინ არ შეიტანო,
დიდი სირცხვილი იქნება.
ვაიდი ვალალი, ვალალო...
ბატონი რომ დაინახო,
მოახსენე გამარჯვება.
ვაიდი ვალალი, ვალალო...
მიდი და მუხლზედ აკოცე,
ბატონი გაგიღიმდება.
ვაიდი ვალალი, ვალალო...

---

*) გიორგი ერისთავი უფრო დრამატურგათ ითვლება ჩვენში ნაგრამ იგი ჩინებული მგოსანიც არის ნიმუშად მოგვყავს რამდენიმე ლექსი.

რედ.

არ იცი მეფის ღიმილი,
ხალხში როგორ დაფასდება?,
ვაიდი ვალალი, ვალალო.
მის წინ კი არ ჩაახველო,
ბატონს როდი იამება
ვაიდი, ვალალი, ვალალო...
მოახსენე შენებურად,
რაც რომ ჩვენგან გევალება
ვაიდი ვალალი ვალალო...
მოახსენე არაგველთა,
აქვთ შენთან, მეფევ, ვედრება.
ვაიდი ვალალი, ვალალო...
სიბერემ არ შეგაშინოს,
არ იღო ქვეყნის ვედრება.
ვაიდი ვალალი ვალალო...
თუში, ფშავი და ხევსური
შენ სულ თავს შემოგევლება!
ვაიდი ვალალი, ვალალო...
შავარდნებსავით დავესხნით,
და ხოჯა შეგვიშინდება!
ვაიდი ვალალი, ვალალო.
თუ ჩვენზე ღმერთია მწყრალი,
თათრობა გადმოვარდება
ვაიდი ვალალი, ვალალო...
თუ შენი კარგი ქალაქი
ურჯულოსგან აოხრდება.
ვაიდი ვალალი, ვალალო...
მაშინთვე ჩვენკენ მოგვმართე,
მთის ხალხი გაგიმაგრდება.
ვაიდი ვალალი, ვალალო.
თუში, ფშავი და არაგვი
შენ სულ თავს შემოგევლება.
ვაიდი ვალალი, ვალალო...
მანამ ცოცხალი იქნები.
არაგვი გემსახურება!
ვაიდი ვალალი, ვალალო
შენ შემდგომ საქართველოში,
ვნახოთ ვინ გაირაკლდება!
ვაიდი ვალალი, ვალალო.
ვაიდი ვალალი, ვალალო...

ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის გარდაცვალებაზე

ჰოი, ჭაბუკო, ახლად სოფელს კნინ გადაშლილო,
ყოვლის სიკეთით აღსავსეო, მამულიშვილო!
რა სოფელს შეხვედ სათნოება ისხივ - ცისკარე
შენ მშობელ მამულს რად შემოსწყერ, ალბად დაგვტოვე?
ანუ ანგელოსთ შეიშურეს და აღგაფრინეს,
თვისთა გუნდ შიგან დაგამკვიდრეს, ფრთანი შეგასხეს?
რა მიგვეფარე, ცას შეეცქერი, რა დღე ბნელდების
უყურებ ტატო *) რომელ ვარსკვლავად გამობრწყინდების,
თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან,
ანგელოსთ დასნი გესვიან, ყურს დაგიგდებენ,
მერე ცის სივრცეს ლაჟვარდოვანს, განავარდებენ!
ვგონებ ჭმუნვითა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას:
ხედავ რა შენ ძმათ შორისა, მტერობას!
მაგრამ შეგვინდონ... შეგვაჟედრე ცისა მცხოვრებთა
და ნუ მოგვკითხვენ სოფლიურთა ჩვენთა, ცოდვებსა.

დედა და ქალი

ქალი ნუ მიკერავ, დედილო, წითელ კაბასა,
ან რად მიდებ ქათიბზე ფარჩის ქობასა,
რათ მიღებავ ინითა მე შავსა თმასა,
არ შევირთავ, დედილო, ცოცხალი ქმარსა!

დედა. უიმე, თქვენ გენაცვალეთ, ხედავთ სულელსა
ქრმად იწუნებს, ტუტუცი დიდ იარანალსა!
ვარსკვლავი აქვს გულზედა, ყელზედ ჯვარები....

ქალი. არ შევირთავ, დაუდგეს იმას თვალები!

დედა. რას მიჰქარავ, დაჩუმდი, მაგას ნუ ჩმახავ,
გაიწყვიტე ხმა, თორემ ერთი კარგა მიგჯოხავ!
სთქვი, შეირთავ, თუ არა, შე დაწყევლილო?

ქალი. იყოს შენი ნებაჲ, მაგრამ მოვკვდები!

დედა. არ მოკვდები... საწოლში რო გაგორდები
მაშინ სცნობ არს ტკბილი ქმარისა ყოლა,
ხვევნა, კოცნა, ალერსი, ახლოს მიწოლა..,

ქალი. მაგას ვსტირი დედილო, რომ ფასი ვიცი:
არ მინდოდა შემერთო ბებერი კაცი!...

---

* ნ. ბარათაშვილს შინაურები ტატოს ეძახდენ.

* * *

ერთი კაცი წვა სნეული, თითქმის რომ სული ხდებოდა
თავს უჯდა ცოლი ყმაწვილი, სტიროდა ზედ აკვდებოდა.
ცოლს უთხრა მომკვდავის ხმით:

„ადე და დახურე კარი,
მოდი აქ დაჯექ... ხომ ვკვდები? მაშ, ჰეშმარიტად მითხარი:
ჩემმა ტოლებმა ჩხუბშია წამომაყვედრეს, ვითომცა
ფილიპემ სეირნობაში სამჯერ ტუჩებში გაკოცა!
ნუ ჩამაყოლებ დარდათა, მართლა ხომ არა გყვარობდა,
იქნებ გაცდინა და მისთვის ისე გულითა ხარობდა“
ცოლმა მიუგო წუწუნით: მე სწორედ გაგიტყდებოდი,
თუ-კი ვიცოდე, რომ ახლა უთუოთ შენ მოკვდებოდი!...

შექმნა სეკრეტარისა *)

(რუსულით)

ერთხელ სატანა ჯოჯოხეთს იყო,
ტახტზედან მჯდომარე.
დას-დასად მწყობრად ეხვივნენ,
ეშმაკთა დასი მას გარე.
ჰფიქრობდა მაღალ ღმერთზედა,
თუ ვითა შექმნა სოფელი,
არარისგანა დაჰბადა კაცი და მის სამყოფელი.
— არ შეიძლება ვიპონო მეც მისგან თავისუფლება
და ჩემის ჭკუით დავფარო
განთქმული მისი დიდება?
სთქვა: უმჯობესსა რასა ვიქ, მოდი დავბადო მეც კაცი
და დავასრულო მას ზედან რაცალა ოდენ კი ვიცი.
ადგა, საჩქაროდ წავიდა იგი თვის აფთექაშია —
ექიმებიც ჰყავთ, აფთექაც აქვთ ეშმაკთ, ვითა ჩვენშია —
სატანამ აფთექაში სულ წამლები გადმოჰყარა,
ჯოჯოხეთის აფთექრებსა შიშით გული შემოჰყარა!
ხან იგრიხა, ხან იფშვინა,
შრომით ოფლი მოიდინა
— ვიპოვნეო! — დაიყვირა
ჯოჯოხეთი გააკვირა.
მღიმარებით მან დაიწყო გაკეთება მიქსტურისა:
გამოწურა ბალახები სიგიჟის და სიმშურისა,
აკლებისა, სიცრუისა, კაცთა კვლისა და ქრთამისა.
შეაზავა ლენცოფასთან ნაწვეთალი კალამისა!..

---

*) სეკრეტარი იყო ის მოხელე, ძველი რეჟიმის დროს, რომელიც მთელ კანცელიარას თავის ნებაზე ატრიალებდა.

ეშმაკთ შექნეს მუშაობა: ზოგი ფხეკს და ზოგი ნაყავს...
თვით სატანა ტალახისგან კაცის სახეს გამოხატავს.
რა მან კაცი გააკეთა, დააშვენა, გამოკუთხა,
მერე პირში ჩაუბერა, ერთი კარგი ჩააფურთხა.
ამა მოქმედებისაგან, განცხოველდა თიხის კაცი.
თვით შემქნელისთვის შეიქნა მეტად დიდი გასაოცი!
უთხრა: ჩემო ქმნილებაო, მსგავსი შენი ჯრსით არი,
რადგან არ გაქვს შენ წოდება,
მოდი იყავ სეკრეტარი! ..
სეკრეტარმა თაყვნება და თავის კვრა გაუხშირა;
ორი ხელი მოწიწებით მან სატანას გაუშვირა.
თავის დაბადებისათვის, თვით მეუფეს სთხოვა ქრთამი.
გაურისხდა მას სატანა, არ აჰყოფა ერთი წამი.
ჯოჯოხეთით სეკრეტარი განრისხებით გამოაგდო,
ჰკრა პანღური ეშმაკური, ჩვენს ქვეყანას ამოაგდო!

ბარბარე ჯორჯაძე

ა... წ... ს.

პოეტო! ჰსაცანი, ამ ჩემს გულზედა,
კუბოს კარამდინ ტანჯუა ჰსწერია
და ემატების წყლული წყლულზედა,
მისთვის ხვედრს შვება არ უმღერია!

ეს ხვედრი თითქოს მე, ყოველს დღესა,
სევდის ხმაზედა ჩანგს მიწკარუნებს,
და მისი ძალა მოშხამულ-გესლსა
გადმოცემს სხეულს მთელს მიძაბუნებს...

მივილტვი ხოლმე ადგილს უდაბურს,
სადაც ასს წლოვანთ ხეთ დაურჩდილავს
და სალს კლდეებსა, ქარიშხალთ სადგურს,
მცირე რამ ველი შემოუზღუდავს.

ანუ ძველს პალატთ, ჩამონგრეულთა,
რომელნიც ფიქრზედ ფიქრს მომიმატებს.
და სასაფლაო წინაპართ ჩემთა;
აჩრდილს ცხოვლათ რომ წარმომიყენებს!

ვჰგონებ მე მითომც მუნ განსვენებას
ვჰპოვებ, ვშორდები ამ სოფლის ღელვას,
მაგრამ იქ ახალს მეტს უმუნვარებას,
შევიმოს ტანჯვით, სულისა წრწოლვას.

სურვილი ჩემი ყოვლგზით უთანხმოდ
უკუღმა, უქმად მიიქცევიან,
გულის წადილი უსიტყოდ, უხმოდ,
ცეცხლის ნაკლივით შიგ ფერფლდებიან..

ე ლ ე გ ი ა

ნისლი გარს მომეხვა!.. სრულად გარეშე ბნელი
დააწვა მთებს მკვეთნვარედ ვით ღამის საბერველი;
ქალაქი მიმაჩნია, ვითა სამარე შავი,
ჩრდილოს მხრივ ცაში ბეჭედს ბზოლოდ ერთი ვარსკლავი.
მიყვარხარ შენ, მთიებო, შენ ხარ ჩემი სიცოცხლე;
შენ ყოფილ ხარ ბრავალჯერ ჩემის ტანჯვის მოწამე!
მიყვარს ღამის მნათობო, შენი თალხი სხივები,
მათ გააღვიძეს ჩემში იდუმალი ფიქრები!
მახსოვს აღმოსავლა შენი, ტურფა მეობელს მხარეს,
იქ, სადაც ალაზანი ღელვათა მოაქანებს;
სად მრავალ ფეროვანი, მშვენიერი ბუნება,
ვით ჭაბუკი თვის სატრფოს, კავკაზს ელამუნება!
იქ ერთხელ მეც სიამით დღეთა განვატარებდი,
და შენცა სხივებითა გზასა განმინათებდი!

რას იბღინძები?

რას იბღინძები, რას იკიმები?
თითქოს ვერ გიცნობთ, ვინცა ბრძანდები!
მხრებ აწეული ამპარტავნულად
შენს მოძმეებსა რად უმზერ მტრულად?

—

თუ აღგამაღლეს, მორჭმული დაგსვეს
და შენატრიან ყველანი შენ სვეს,
მაგისთვის რა ვქნათ, უფრო არ გშვენის
შენ თავმდაბლობა და რგება ქვეყნის?

—

კაცი ის არის, ვინც მოსამართლე
ღარიბ ოხრისა იყო მოწყალე
თორემ ზვაობა და ზიზღით ღრეჯა
საქმის მთხოვნელთა ხომ არის დასჯა?

—

ფეხ ქვეშ გათელავ შენ დაჩაგრულებს
და ეს გგონია რომ გასახელებს?
არა ძამიავ, მაშ შავ რვეულში,
ჩაიწერები დამღუპავთ რიცხვში.

—

სიმართლეს ვიტყვი და ნამდვილს აქ მე:
ამგვარად არის მსაჯულის საქმე.
დიდ ორშაბათის ყეენად დაგსმენ,
მაგრამ მურსაც კი მალე წაგისმენ!

---

*) ეს ლექსი დღესაც ბევრ თანამედროვე ნწერალ—მოღვაწეს ახასიათებს.

რედ.

დ. ჭოტნაძე

სურამის ციხე

ამ ზაფხულის იმ საშინელ სიცხეში, როდესაც ქალაქში მცხოვრებნი ეძებდნენ სიგრილეს ქალაქის გარეთ, აქ რამდენთამე ყმაწვილთა, რომელთა რიცხვში ერია თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, დადეს პირობა მთელ ზაფხულს, ყოველ საღამოს, შეყრა რიყეზედ, ანჩისხატის გასწვრივ, და იქ დროების გატარება კარგა შუაღამემდინ, იმ პირობაში, სხვათა შორის, იყო ერთი მუხლი, რომლითაც მორიგე პირს უნდა ეთქვა ერთი მოთხრობა, ან არაკი, ან სხვა რამე, ჩვენი საქართველოს ცხოვრებიდან.

იყო ერთი იმ მშეენიერ საღამოთაგანი, რომლითაც, სიცხის გარდა, ისე მდიდარია ჩვენი საქართველო. ყმაწვილებმა ის იყო იბანეს და ზოგი ჩაის მიირთმეედა, ზოგი იცვამდა, ზოგნი შემოხვევიყვნენ და ყურს უგდებდნენ დ. ბ., რომელსაც მუხლზედ ედო თარი, უკრავდა და დაბალის ხმით დაღიღინებდა. შემდგომ რამდენიმე ხნისა, როდესაც ყველამ მიირთვა ჩაი და ბიჭები შეუდგნენ ვახშმის მზადებას, ყმაწვილებს მოაგონდათ, რომ მორიგეს ჯერ არ აესრულებინა თავისი რიგი. მოიკითხეს მორიგე. გამოჩნდა, რომ რიგი გათავებულიყო. სთხოვეს ერთს, სთხოვეს მეორეს, მაგრამ არავინ არ მიიღო თავზე ეს ვალდებულება. მივარდა საქმე წილის ყრაზედ. ერთი ჩვენგანი წამოდგა და სთქვა: იწილო, ბიწილო, შროშანო... და სხ. და დააბოლოვა ნიკოზედ.

— ოჰ! ნიკოს გაუმარჯოს, მოგვილოცავს!—დაუძახა ყველამ.

— უკაცრავად, ყმაწვილებო, დღეს მაპატიეთ! თქვენმა მზემ, არ ვიცი, რა ვთქვა, არ მოემზადებულვარ.

— ეჰ, ნიკოჯან! აღსენე ღმერთი, დაიწყე: იყო და არა იყო რა-თქო... და სხვას ღმერთი გიშველის, გარწმუნებ!—უთხრა დარიგებით სიკომ.

— მაშ კარგი, სმენა იყოს და გაგონება—და დაიწყო.

I

. . . . . .
იკითხეთ გლეხთაც კარგი ქალობა!
სოფელსაც,—ხედავ?—აქვს ჩვილი გული,
სოფელმაც იცის, სცან, სიყვარული.
შენ კი . . . . . .

ფ. ქერესელიძე.

— აი, ის სახლები მუხრანბატონიანთი არის, ხედავთ?—და გაიშვირა ხელი მუხრანბატონიანთ სახლებისაკენ.

— დიახ, დიახ, გახლავსთ,—უპასუხეს ყმაწვილებმა.

— ის სახლები ეხლა დაქცეულები არიან, არ ვიცი რათა. პატრონები ჯურს აღარ უგდებენ, გული აუცრუვდათ იმათზე, მაგრამ მაგათაც ჰქონდათ თავისი დრო; ერთხელ ეგენიც იყვნენ პირველი სახლები ჩვენს ქალაქში და ყოველი ჩამომსვლელი უთუოდ ნახავდა, სხვათა შორის, ამ სახლებსაც. მაგრამ მხოლოდ ეს სახლები არ იყვნენ ჩინებულნი. ამბობენ, რომ იმისთანა ტანოვანი, ლამაზი, ზრდილი და ჩაცმული მოსამსახურეები არსაიდგან არ გამოვიდოდნენ, როგორც ამ სახლებიდან. თვითონ ხელმწიფეს, თურმე, შურდა იმათი მსახური. ამ მსახურთაგანი იყვნენ—ვინმე დურმიშხანი, ძალიან ყოჩაღი და ლამაზი ყმაწვილი კაცი, მუხრანბატონის ნაზირი, და ქალი—გულისვარდი, საყვარელი გოგლ მუხრანბატონის მეუღლისა, მე ისე ვერ ავწერ იმ გოგოს სილამაზეს, როგორც ცხონებული ჩემი გამზრდელი, რომლისაგანაც გამიგონია ეს ამბაგი, და ამიტომ დავანებებ თავს: ალვის ხესავით ტანი, შავი გიშერისავით თვალები, ბროლის შუშა თითები. ერთი სიტყვით, სიკო, შენს კატოზე უჯრო ლამაზი!..

— კარგი, იმათ შეუყვარდათ ერთმანეთი, სხვა?—უპასუხა სიკომ.

— დიახ, შეუყვარდათ ერთმანეთი ისე, როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიანთ სიყვარული. მაგრამ, უკაცრავად, შეუყვარდა მხოლოდ გულისვარდს, ხოლო დურმიშხანს როგორც ყვარებია, ამას შევიტყობთ შემდგომ. საწყალი გულისვარდი სულით და გულით მიეცა სიყვარულსა, იმისთვის, გარეშე თავისის სიყვარულისა აღარ იყო ცხოვრება. რამდენჯერ ეს მტკვარი ამ ადგილას, სადაც ეხლა ჩვენ ვლაპინობთ, იყო მოწამე იმათი სიყვარულისა. საწყალი ქალი რას იფიქრებდა, რომ იმის დურმიშხანს იმ დროს, როდესაც ის ელაპარაკებოდა თავის სიყვარულს, გულში სულ არა ჰქონდა სიყვარული და ეძებდა შემთხვევას, მოხერხებით ეთქვა იმისთვის თავისი გულის პასუხი.

ერთხელ, როდესაც ჩვეულებისამებრ დურმიშხან და გულისვარდი შეიყარნენ აქ და ლაპარაკობდნენ თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე, ამ დროს უეცრად უთხრა დურმიშხანმა:

— იცი, გულოჯან, მე სადაური ვარ?

— მე ვარ იმერელი, წერეთლიანთ ყმა, ეგრე როგორც შენ, იმისთანა გოგოს საყვარელი ერთა შვილი.

— ახლა რა ვუყოთ, იმიტომ ხარ კარგი ჩემო საყვარელო.

— დიახ, მაგრამ იცი, მე აქ როგორ გადმოვედი?

— არა, არა, შითხარ, გეთაყვა.

— ერთხელ ჩემი ეხლანდელი ბატონი ბრძანდებოდა იმერეთში მაშინდელ ჩემ ბატონთან. იმ დროს, როდესაც ისინი ეწეოდნენ ქეიფს, აკი მომიხდა მე შესვლა იმ ოთახში, სადაც ისინი ისხდნენ და, რაღაცა ჩემი უბედურების წერა იყო, მომიწონა მუხრანბატონმა და მაქო. ის იყო, ჩემი საქმე გათავდა. მეორე დღეს, რომ მიდიოდა შინ მუხრანბატონი, იმისი ბიჭის ცხენს უკან შემსვეს და გამომაყოლეს უკან. საწყალი დედაჩემი, უნდა გენახა, რანაირად იკლავდა თავს, გულოჯან. მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს. მე, ტუტუცს, მიკვირდა ის მწუხარება. რა ვიცოდი, რო ის იყო უკანასკნელი ჩემი ნახვა დედის. რა გამოვსცადე შემდგომ იმისა, შენ ვერ წარმოიდგენ, ვარდო. და რა არ

გამოვსცადე: შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინვა და სხვა ბევრი ამისთანა გამოვსცადე, თქვენ საქართველოში. ვინც რასმე დააშავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვინ დასცინიან იმერელის ბიჭს. ვისა სცემენ გაჯავრებულ გულზე? იმერლის ბიჭს. ვის გასაჯავრებლად სთქვან იმერლების დასაცინი ანდაზები? იმერლის ბიჭისა. მე, ვარდო, ბევრჯელ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯელ მიტირნია მწარე ცრემლით, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი? არავინ, თვით ღმერთი, ეს ყოვლად მოწყალე ნუგეშის მცემელი, არ იყო ჩემთვის, იმისთვის, რომ არ ვიცნობდი იმას. ასე, ჩემო ვარდო: სანამ შენ გაგიცნობდი, ერთი კაცი არ მყოლია, რომ შემეჩივლა ჩემი გულის დარდები.

— რა საჭიროა ეგ ლაპარაკი, დაანებე თავი, შენი ვარდო გიბრძანებს!— უთხრა ვარდომ და აკოცა ერთი იმ გვარად, როგორს კოცნასაც ბევრი ჩვენგანი თავის სიცოცხლეში ვერ ეღირსები... ბედნიერი დურმიშხან!...

— იცი, დურმიშხან, მე რა მოვიგონე? როცა ჯვარი დავიწეროთ, დავეთხოვოთ ჩვენს ბატონებს ერთი სამი თვით წავიდეთ თქვენსა; რანაირად გაეხარდება საწყალ დედა შენს!

— უფრო იმაზე, რო მივუყვან ჩემს გულისვარდს, არა?

— ჰო, ამაზედაც.

— მერე მოვალთ დედა-ჩემისაგან, თუ ისევ ცოცხალი მაინც არის, ჩემო ვარდო?—დაფიქრებით უთხრა დურმიშხანმა.

— მერე რა? შენ დაიწყებ ნაზირობას, მე ჩემს საყვარელს ქალბატონს დაუწყებ მსახურებას.

— მერმე წავა დრო, ვაგვიჩნდება შენსავით ლამაზი ბიჭი; შენ გაზდი დიდი ამბით. განა გეყვარება ჩემი შვილი, გულო?

— ძრიელ, ძრიელ!—საჩქაროთა სთქვა ვარდომ.

— წარმოვიდგინოდ, რომ ერთხელ მოვიდა ვინმე ჩვენ ბატონთან და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?

ამ კითხვამ შეაკრთო გულისვარდი: საწყალს არას დროს არ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო, წაერთმიათ იმისთვის შვილი.

— ეგ არ შეიძლება! ქალბატონი სადა მყავს, განა ჩემი ქალბატონი ისე დამივიწყებს? არ იქნება!—რამდენსამე ხანს შემდეგ სთქვა ვარდომ ჩაფიქრებით.

— წარმოვიდგინოთ, რომ შენი ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა, იმის ფეხს სულ არ უყვარხარ, მაშინ?

— ოჰ! ეგ არ შეიძლება, დურმიშხან, არა! უწინ დღე დამელიოს!

— ქვეყანაზედ შეუძლებელი არა არის რა, გულოჯან; სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება. უთხარი შენს ქალბატონს, რომ, თუ შენი ბედნიერება უნდა და გწყალობს, მე განმანათავისუფლოს, უთხარი, რომ უმისოთ ჯვარს არ იწერსთქო.

შემდგომ ამ ლაპარაკისა გავიდა ერთი კვირა და შეყვარებულნი აქვე შეიყარნენ. დურმიშხანს ედო უბეში განთავისუფლების წიგნი.

— აბა ახლა, ჩემო დურმიშხან! აკი გითხარ, რომ შვილებს არავინ გაგვიყიდის-მეთქი? ახლა ჯვარი როდის დავიწეროთ?

— ჯერ ასე ჩქარა არა, ჩემო ვარდო, მოითმინე. აჩქარებით საქმე არ გაკეთდება.

— ახლა რაღა მიზეზი იპოვე, ჩემო ბრძენო? მოითმინე! ხან რას მოიგონებ და ხან რასა!

— რა ვქნა, ჩემო სიცოცხლევ, კიდეც დამცინი, რომ შენი ბედნიერებისთვის ვზრუნავ? ასე გვონია, მე კი არა მსურს, რომ ჩქარა დაგიძახო ცოლი, ჩემო ფურჩნულო ვარდო, მაგრამ დროება ითხოვს მოთმინებას, მერე ჩვენი ბედნიერება უფრო საფუძვლიანი იქნება.

— ვარდოჯან, ნუ ჯავრობ, მშვიდობიანათ დამიგდე ყური, შენ თითონ გამამართლებ.

— სთქვი, სთქვი ჩქარა!

— ვარდოჯან. ეხლა თავისუფლები ვართ; მართალია, მაგრამ იცი რო რაც ზედ გვაცვია, იმისი მეტი არა გვაქვს რა?

— რა ვუყოთ! შენ ინაზირე, მე ჩემს ქალბატონს ვემსახურები. განა ვერ ვიცხოვრებთ? აქამდინ როგორ ვცხოვრობდით?

— არა, სანამ ჩვენ იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რომ სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არის.

— მაშ, რა უნდა ვქნათ, ჩემო დურმიშხან? ოჰ, ღმერთო!

— შენ არაფერი, შენ შენს ქალბატონთან უნდა იყო, მე კი, მე უნდა წავიდე, ვიმუშაო, რაც იქნება, რითაც იქნება. ღმერთი მომიმართავს ხელს, ჩემო ვარდო. წიგნი ვიცი, ენები და რამდენიმე ხელობა. წავალ, ვიშოვნი ფულს, გავმდიდრდები და ისე მოვალ შენთან. დჰ, რა ტკბილად გაკოცებ მაშინ, ჩემო სიცოცხლევ!—დაუპირა თავი და აკოცა ტკბილად თვალებში.

— მაშ, კარგი, თუ შენ გინდა ეგრე, მე რა მეთქმის! როდის გინდა წახვიდე?—ნაღვლიანად ჰკითხა გულის ვარდმა.

— ბევრი ცდა აღარ უნდა, ყოველი საათი დაგვიანებული აგვიანებს ჩვენს შეერთებას, სჯობია ავჩქარდე. ხვალ წავალ.

— ხვალ? მაშ ხვალ წახვალ, საწყალო ჩემო დურმიშხან! ვინ მოგიყვლის უჩემოთ, ვინ გაგირეცხს, ვინ დაგიკერებს, და ან ავათ რო გახდე, ვინ მოგიყვლის, ჰა?—და აკოცა შუბლზე.

— აკოცე, ტკბილათ საწყალო გულის-ვარდო, განაგრძე ეგ ლაპარაკი, ეგ არის უკანასკნელი შენი ბედნიერების საათი... ამის შემდეგ შენი პირიდან აღარ ამოვა სიტყვა სიყვარულისა. ახ, რა ბეთნიერი იქნებოდი, რომ ეხლა მომკვდარიყავ, ვარდო, მიტევების სიტყვა ბაგეზე, უშანკო სიყვარული გულში, ვით უმანკო ყმაწვილის ძილი, მშვიდი იქნებოდა შენი სიკვდილი და ბევრნი ჩამოაგდებდნენ დანანების ცრემლებს შენს საფლავზე, მაგრამ მერმე?.. მაგრამ რათ უნდა წავირბინოთ წინ.

მეორე დღეს დურმიშხანი, ლამაზათ მორთული, ვერცხლის ყანწებით, შეერცხლილი იარაღით შეკაზმული, კარგი შავი ცხენით, გავიდა ქალაქიდან. შემდგომ წასვლისა სწორეთ ერთი თვის უკან, დურმიშხანჰა გამოგზაკნა წიგნი გულისვარდთან და შემდეგ თითქმის მთელს სამს წელიწადს ყოველ თვეს უგზავნიდა ვარდოს წიგნებს, რომელშიაც სწერდა ყოველთვის ჩქარა მოსვლას.

ბევრმა წყალმა ჩაიარა ამ სამს წელიწადში, ბევრი ცვლილება მოხდა ქვეყანაზე. არ შეიცვალა მხოლოდ გული ვარდოსი. იქ ისევ ისე ენთო წმინდა სიყვარული დურმიშხანისა, როგორც პირველ დღეს მათი გაცნობისას. ვარდომ შეინახა წმინდათ თავისი სიყვარული, თუმცა კი ეარშიყებოდნენ და თხოულობდნენ ბევრნი კარგნი კაცნი. დურმიშხანი რაღას აკეთებდა ამ დროს? იმან მესამე წლის შემდგომ ტფილისიდან წასვლისა, დიდის ამბით დაიწერა ჯვარი სურამში და შევიდა ზედსიძედ. დი აი, ერთხელ, სამის წლის შემდგომ, ქალბატონმა დაუძახა ვარდოს და, ვარდო რომ მივიდა, უბრძანა მოტანა სარკისა. ვარდომ მიართო სარკე. ქალბატონმა ჩაიხედა სარკეში, გაისწორა კავები, ლეჩაქი და უთხრა ვარდოს:

— კიდეე ლამაზი ვარ განა, ვარდო?

— ლამაზი, ძრიელ ლამაზი ბრძანდები, ჩემო სიცოცხლევ, შენამც გენაცვლებიან რაც ქვეყანაზე ლამაზი ქალები არიან!—უპასუხა ვარდომ და აკოცა ხელზე.

— რათა, გოგო, შენც ხო შიგ ჩაყვები, შენც ხო ლამაზი ხარ?

— განა მე კი არ მეკადრება, მე უფრო არ მინდა გენაცვალო, ჩემოდენათვის უყვარხართ?

— კარგი, კარგი, ჩემო ვარდო! შენ კარგი გოგო ხარ, ლამაზიც და ამიტომაც ბევრნი გთხოულობენ.

— ეჰ, რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, ქალბატონო! დაიცადეთ, თუ დურმიშხანთან არ დაგაბეზღოთ, ღიმილით უთხრა ვარდომ.

— რო აღარ მოვიდა შენი დურმიშხანი! მოდი და თავს ნუ დაანებებ! რომ დაგივიწყა! მე გავიგონე, ვითომც სხვაც შეერთოს და...

— რა არის ქალბატონო, სულ მაგით მაშინებ! შეერთოს და შეერთოს, კაცი იმაზე ხო არ ჩამოკიდებულა! მე ჩემი ბედი არ დამემალება.

— ოჰ, ეგ მიყვარს, ჩემო ვარდო! რო ღმერთმა გაგაშოროთ ერთძანეთს, მოითმინე, შვილო, და, ღმერთი შენი მოთმინებისთვის ისე გაგაბედნიერებს, რომ დურმიშხანი არა, იმაზე კარგებიც დაგნატრიდნენ.

ეს სიტყვები ვარდომ, მართლა, ვერ გაიგონა-კი, რისთვის იყვნენ ნათქვამნი, მაგრამ შეიტყო, რომ კარგს არას მოასწავებდნენ. მართალია, ვარდო ვერ წარმოიდგენდა, რომ იმისი დურმიშხანი უორგულებდა მას, მაგრამ ეგონა, რომ ის ან ტყვედ ჩავარდნილიყო და ან მომკვდარიყო. ამისათვის შეეშინდა რა უბედურების, უნდოდა ჯერ არ შეეტყო სრულებით და გადაეხვაფერებინა სიტყვა, მაგრამ გულმა ვეღარ გაუძლო და ისე აჩვენა თავი ქალბატონს, ვითომც რასაც ის ეუბნებოდა, ის მაინც იცოდა დიდი ხანია.

— რა ვქნა, ქალბატონოჯან, რაც ღვთის ნება არის, ის იყოს, თქვენ კარგათ ბრძანდებოდეთ, ალბათ ჩემი წერა ასრე იყო: რა ვუყო, უნდა მოვითმინო.

— მაშ იცი, რაც უნდა გითხრა?

— ვიცი, ქალბატონო, იმ დღეს შევიტყე, მაგრამ არ ვიცი, როგორ ყოფილა საქმე.

— რაღა როგორ ყოფილა, შვილო. აი იმის წიგნი. მე მეცოდებოდი, იმიტომ ვერ გითხარი აქამდინაც. ნუ იწუხებ, შვილო, ეხლა შენი თავი ჩვენმა აზნაურმა მთხოვა.

სინამ ქალბატონი ამას ეუბნებოდა, ვარდომ დაუწყო კითხვა დურმიშხანის წიგნს, მოწერილს სურამიდგან.

აი იმ წიგნის სწორე პირი:

„ჩემი დიდი ქალბატონის, თავადი წერეთლის ქალის მარიამის, დიდი მუხრხნბატონის მეუღლის ჭირი მისცეს ღმერთმა მის უკანასკნელ ფეხის მტვერს დურმიშხან წამალაძეს. მერმე მოგახსენებთ, ჩემო ქალბატონო, შენი ჭირიმე, მე თქვენგან რო წამოვედი, ვაჭრობა დავიწყე; იქით-აქეთ დაედიოდი, ჩემ გულში ვამბობდი, რომ ცოტა რამ ფულს მოვაგროვებ და მემრე წავალ და ჩემთვის ვიცხოვრებ-მეთქი, არც ბატონს შევაწუხებ და ვარდოსაც ცოტა რამ ექნება-მეთქი. მაგრამ ცოტა ფულს რომ მოვუყარე და წამოსვლა დავაპირე, ერთს ღამეს დავრჩი სურამს, ავთანდილიანთ ეძახიან, ერთი გლეხ-კაცი გახლავს, ამისთანა. აქ ჩემი აღა, რომელზედაც ვარდოს ვწერდი ხოლმე წიგნებში, ჩამომეკიდა, რომ არ იქნება, იმ კაცის ქალი არ შეირთოო. იმის ნათლული იყო და ამიტომ უნდოდა იმისი გათხოვება, და მეც ხათრი ვეღარ გაუტეხე და იმ კაცის ქალზე ჯვარი დავიწერე და ზედ-სიძედ შევედი. ასე ჩემო ქალბატონო! ბარემ მინდოდა, რომ ვარდოზე დამეწერა ჯვარი, მაგრამ ალბათ ღვთის ნება არ იყო. ახლა ჩემ მაგიერ ვარდოს უთხარით, რო კარგი კაცი ითხოვოს და რაც უნდა, ჩემგან მოითხოვოს. სხვა, თუ ჩემ ამბავს იკითხავთ, მშვიდობით გახლავართ. ერთი ბიჭი მეყოლა“.

იმ საათს მეხი რო დასცემიყო, ისე არ შეკრთებოდა ვარდო, როგორც შეკრთა ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ. კითხვის დროს იქამდინ რომ მივიდა, სადაც დურმიშხანი სწერდა თავის ჯვარის წერასა, თვალები დაუბნელდა, ვეღარა დაინახა რა და მიეშო ტახტზე მარჯვენა ხელზე დაყრდომილი. თავჩამოკიდებული, საშინელი ყვითელი ვარდო გვანდა წუხილის სტატუიას და იყო ჭეშმარიტად მშვენიერი, ისე მშვენიერი, თვით ქალბატონმა რომ დაინახა, გულმა ვეღარ გაუძლო და აკოცა შუბლზედ.

— ვარდო, შვილო! გოგო, ვარდო! პირჯვარი დაიწერე, შვილო!—შეკრთომით ეუბნებოდა ქალბატონი და უსრესდა ცხვირის ნესტოებს და ყურებს— გოგოებო! ბიჭებო! ვინ ხართ მანდ, მიშველეთ!

ამ ხმაზედ რამდენიმე გოგო შემოვიდა და იმათი მეცადინეობით რამდენსამე ხანს უკან მობრუნდა ვარდო, გააღილა თვალები და ამოიოხრა.

— პირჯვარი დაიწერე, შვილო, შეეხვეწე ღმერთს, რომ მან განაქარვოს შენი მწუხარება!—არიგებდა ქალბატონი, მაგრამ ვარდოს არ ესმოდა იმისი დარიგება, ის სტიროდა მწუხარედ.

—საწყალი ვარდო, შესანდობარი დავლიოთ ყმაწვილებო, დღეისათვის ეყოფა.

— ვინც არ დალიოს!...—დაიძახა ერთმა ჩვენთაგანმა.

— აგრე იყოს!

— კიდევ განაგრძელოს!—დაიძახეს სხვათა.

— კიდევ რაღა? იმავე დღეს ენახათ, რომ გულისვარდი რაღასაც ჩუმად ელაპარაკებოდა ერთ განთქმულ მკითხავს.

რამდენიმე წუთის შემდეგ კახურმა ღვინომ და ცხონებულ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებმა დაავიწყეს ყმაწვილებს ვარდოც და ისიც, რომ უნდა დაე-

ლიათ მისი შ ,სანდობარი. ახალგაზრდას არ ახსოვს სიკვდილი და ეჯავრება ისიც, რაც მოაგონებს იმას.

მეორე დღეს ყმაწვ ,ლები ჩვეულე`რივს დროზე ადრე შეიყარნენ და როგორც-კი მოვიდა ნიკო, მოსთხოვეს გაგრძელება; მაგრამ რადგანაც ნიკოს რიგი აღარ იყო, ის აღარ ამბობდა. მოიკითხეს მორიგე, გამოინდა, რო სიკო ე—ს უნდა ეთქვა. სიკომ ბევრი აღარ ათხოვნინა, ჩაიკეცა ქუდი, მოითხოვა ყურადღება და დაიწყო:

— ახლა ყმაწვილებო, გთხოვთ ცოტა უკან მიებრუნდეთ.

— დაიხიეთ, ყმაწკილებო! --დაიძახა ალექსი პ—მა, რომელსაც ჰქონდა ხასიათი, სულ ყველა აზრზე ეთქვა რამე წინააღმდეგი, რომლისთვინაც ჩვენ დავარქვით იმას საშ ნელი ფილოსოფოსი.

— თუ არ ვსტყუი,—დაიწყო ისევ სიკომ,—მგონია დურმიშხანი ჩვენი ვარდოს საყვარელი, უფალმა ნიკომ გაუშო შარა-გზაზე ქალაქის გარეთ. ქალაქიდან რომ გავიდა დურმიშხანი... მაგრამ მოითმინეთ... იმისი ჩამომავლობა.

— ახლა შენ თვითონ დაიხიე,—უთხრა ალექსიმ.

— კარგი, ალექსი, აღარ ვიტყვი.

— ალექსი! ხო გახსოვს ჯარიმა. ის ყანწი ისევ ცოცხალია,—დაუძახეს ყმაწვილებმა.

— ჰო, კარგი, მერე?

— დურმიშხანი იყო ძ ,ჯერ ადამ და ევასი, მერმე ნოესი და არვიცი ვისი, და მერმე, როგორც თვითონ უთხრა ვარდოს, წერეთლიანთ გოგოსი, და იმავე წერეთლის შვილისშვილი. დურმიშხანის დედა იყო ისე უბედური, რომ მოეწონა თვრამეტი წლის წერეთელ ს ვაეს და ამის შემდეგ გაჩნდა დურმიშხანი, თვით სახიერი მსგავსი ცოტათ წერეთლისა. კეთილი ზნითა, ჩაცმული ყოველთვის სუფთათ, დურმიშხანი იყო ყველას საყვარელი, თვით დიდი ბატონიდან უკანასკნელი ბიჭამდინ და ვ ,ნ მოიგონებდა, რომ ბატონი გამოიმეტებდა იმას გასაცემათ. ამიტომ მეორე დღეს, როდესაც შეიტყეს, რო მუხრანბატონისათვის მიურთმევიაო, ისე შეწუხდნენ ყველანი, როგორათაც თავის შვილზე, ან ძმაზე. ისტორია არ აჩვენებს რა იყო მიზეზი დურმიშხანის ისე ადვილად გამეტებისა ბატონისაგან, იმიტომ რომ. როგორც ატყობდნენ შინაურები, ბერიკაცს უყვარდა ისა და ბევრჯელ ეთამაშებოდა ხოლმე და უყვავებდა. ეს სიყვარული გამოჩნდა, სხვათა შორის, მაშინ, როდესაც დურმიშხანს აშორებდნენ დედას. ამბობენ, ვითომც დიდ ბატონს მარჯვენა ულვაშმა დაუწყო კანკალი და თვალებზე ცრემლივით რაღაც დაუნახესო. მოსამსახურენი, რომელნ ,ცა ყოველ შემთხვევაში ეძებდენ დასაწყის მიზეზს, ჰპოებდენ ორ მ ,ზეზს იმის გაცემისას: პირველს, რო ვითომ ბატონს უნდოდა ჩაეგონებინა შვილისათვის ყოველივე ურიგოება, რომელიც გამოვა გოგოსთან კ ,ვშირისგან, და მეორეს, ვითომც უნდოდა დაესაჯა დურმიშხანის დედა იმისთვის, რომ იმან გაბედა აშიკობა ბატონის შვილთან. მაგრამ ისევ მოსამსახურენი ამბობენ, რომ ახალგაზრდა ბატონმა სულ არ იწუხა შვილის დაკარგვა და იმავე დღეს, როდესაც მამამ იმისმა სხვას აჩუქა იმისი შვილი, ის წავიდა სანადიროთ მიმინოთი და ძლიერ მხიარულად ნადირობდა. საწყალი დედა დურმიშხანისა! ის მოკვდა სწორეთ დურმიშხანის წაყ-

ვანია ერთი წლის შემდეგ, სიკვდილით. შემდგომი ცხოვრება დურმიშხანისა იცით ისე გამოიზარდა, როგორათაც ეხლა იზრდებიან იმისი მსგავსი უპატრონო ბიჭები, რომელთა ცხოვრებას სრულებით არავინ დასდევს.

მეორეთ რომ იყივლეს მამლებმა, დურმიშხანი ადგა, ახსენა ღმერთი...

— ოჰ, შენმა მხევ, თუშური სკუპი არის,—დაიძახა ალექსიმ.

— რა ვქნა,—ლოღიკის კურსი არ გამიგონია შენგან, ჩემო საშინელო ფილოსოფოსო და რა ვუყო,—უპასუხა სიკომ გაჯავრებით.

— თქვი, კაცო, მაგას ყურს ნუ უკდებ!—უთხრეს ყმაწვილებმა.

— მეორედ რომ იყივლეს მამლებმა, ადგა დურმიშხანი, ახსენა ღმერთი, გამოიყვანა თავლადგან ცხენი, დააურვა, აკამა ქერი და შეკაზმა. რასაკვირველია ამ დროს გულისვარდიც არ იყო უსაქმოდ და შკელოდა დურმიშაანს, რითაც შეეძლო. მამალმა რომ მესამედ იყივლა, დურმიშხანმა მოუკირა ცხენს მოსართავები, დაადო ხურჯინი, გამოვიდა და გაუდგა გზას. საით? იმ დროს რომ გეკითხნათ თვითონ დურმიშხანისთვის, გარწმუნებთ, ვერ გეტყოდათ, საით მიდიოდა. სადა ჰქონდა იმას დრო, რო ეფიქრა ამაზე! იმას სურდა მხოლოდ ჩქარა გასულიყო ტფილისიდგან, იმიტომ რომ ტფილისი და თავის-თავის ყმობა იყვენ იმისთვის ერთი, იმიტომ რომ ტფილისი აგონებდა იმას იმ მწარე დროებას, რომელიც გაატარა აქამდისინ, ამიტომ რომ უკანასკნელ უნდოდა ჩქარა გამოეცადა ის ცხოვრება, რომელზედაც კაცი არ აძლევს ანგარიშს სხვა თავისთანას, და იხმარებს თავის დროს, როგორც უნდა და როგორც უკეთ მიიჩნევს. და აი, მიდის ჩემი დურმიშხანი... შეხედეთ, როგორ კოხტათ ზის ცხენზე, ტახტის აზნაურს არა გავს? და ვისი ეშინიან, რომ კოხტად არ იჯდეს, ვის შეუძლიან, რომ ხმა გასცეს. რაა, რომ აზნაური არ არის?

ეს და ბევრი ამისთანა აზრები რიგ-რაგად მოსდიოდა დურმიშხანს და ისე ავიდა ძეგვს, რომ ვერც-კი გაიგო. მაგრამ გზასა აქვს როგორიღაც ხასიათი, რომ როგორც გინდა მხიარული იყო, მაინც შემდგომ რამდენიმე ვერსის გავლისა, როდესაც ცოტათ დაიღლები, როგორღაც შეკრთება გული და აგეშლება ფიქრები, მაშინ ან უნდა იმღერო და ან ძლიერ ჩაფიქრდე. შემხვედრი პირველზე იტყვის, რომ ვითომ ძლიერ მხიარული იყო, მეორეზე კი ვითომ ძლიერ დაღონებულიაო, მაგრამ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში სცდებიან გარეშე შემხედველნი, იმიტომ რომ ორსავე შემთხვევაში ძლიერ მუშაობს მგზავრის ფანტაზია და იმაზედ არის ეს დამოკიდებული, რამდენ ზეციერ ცეხეს ააშენებს მაშინ მგზავრი, რამდენ რასმე მოიგონებს იმისთანას, რომელიც არას დროს არ აუსრულდება იმას, მაგრამ ის არის მაშინ კმაყოფილი, და არა თუ კმაყოფილი, არამედ ის ჰპოვებს იმაში ბედნიერობას.

ძეგვს რო მიუახლოვდა, დურმიშხანი იყო სწორეთ ამ მდგომარეობაში. აი იმან დაინახა მშვენიერი ყანა, რომელიც ქარს ეთამაშებოდა, როგორც მორცხვი პატარძალი თავის დანიშნულს. ქარი ეხვევა, უჟუჟუნებს სიყვარულის სიტყვათა, მაგრამ ყანა, ეს კეკლუცი პატარძალი, ვითომ მორცხვობს და აშორებს თავს. აი ცხვარი, მოგროებული შუადღეს ერთი ხის ქვეშ. შეხედეთ მეცხვარეს, როგორ სრული კმაყოფილებით უკრავს სტვირს და ეუბნება ქებას თავის მურიას. უყურეთ მურიას, როგორ გულისხმის გადევნით უგდებს ყურს თავის პატ-

რონს, ვითომ უნდა, რომ არც ერთი სიტყვა არ დაივაწყოს და ყოველივე სიტყვა აკრიფოს მარცვლებივით. აი გუთანი ათუღელა, თავის მოუშორებელი ოროველათი. შეხედეთ გუთნის დედას! კრეზი თავის სიმდიდრით არ იყო ისე კმაყოფილი, როგორც არის ხოლმე ის მაშინ, როცა უბრძანებს მეხრეებს ხარების გარეკას. ხარები? შეხედეთ, როგორ აუყოლებიათ ოროველასათვის ფეხები, როგორც კარგს მოთამაშეს ცეკვაში მუზიკისათვის. ჩვენი კამეჩი? შეხედეთ, რანაირ ბრძენივით ჩაფიქრებული მიდის, თითქო ერთი სწყვეტდეს პითაგორის, თეორემას.

გესმით შორიდგან ბულბულის სტყენა? კაცი უნდა იყოს ყრუ, რომ იმ სტვენაში არ გაიგონოს ხმა სიყვარულისა, უნდა ედვას ქვა გულის მაგიერ, რომ ამას არ შოაგონდეს თავისი სიყვარული, იმიტომ რომ არ შეიძლება ახალგაზრდა ყმაწვილს არავინ უყვარდეს.

ყოველთავე ამათ დურმიშხანსაც მოაგონეს ის მცირედი დროება, რომელიც გაატარა იმან თავისი გულისვარდთან და ჰგონებდა, რომ იმ დროს უყვარდა ისა, და არა თუ გულისვარდი უყვარდა ეხლა დურმიშხანს, არამედ გამზადებული იყო ისა, რომ მისალმებოდა მთელ ქვეყანას.

— „მართლა და კარგი იქნებოდა,—ფიქრობდა დურმიშხანი,—რომ მქონდეს ორიოე დღის მიწა, მყვანდეს ერთი ყევარი ხარ-კამეჩი და ჩემი... ჩემი გულისვარდი“.—მაგრამ ეს ფიქრი შესცვალა სხვა მძიმე ფიქრმა, რომ ყოველ იმას, რის მოპოებას ფიქრობდა დურმიშხანი, უნდოდა ფული, რომელიც არ ჰქონდა იმას. რასაკვირველია, რამრდენიმე მარჩილი, ნაშოვნი დურმიშხანისაგან ნაზირობის დროს დიდი შრომითა, და იქნება უსამართლობითაც, არ ეყოფოდა იმას თავისი განზრახვისათვის და დურმიშხანი ჩაფიქრდა ძრიელ; მხოლოდ ეხლა წარმოიდგინა იმან ყოველივე უმწეობა თავისი მდგომარეობისა.

— „ჰე, რა უშავს, ღმერთი მოწყალეა!—სთქვა თავის გულში დურმიშხანმა,—ეს იყო ძნელი, ეს წყეული, ყმობიდან გამოხსნა თავისა, რორემ ახლა მე ვიცი...“—და დაიწყო ფიქრი, რა ცხოვრება უნდა აერჩია. შემდეგ რამდენიმე ხნის ფიქრისა დურმიშხანმა გარდასწყვიტა, რომ უნდა დასდგომოდა ვისმე ვაჭარს მოჯამაგირეთ. მაგრამ ვის? ჯერ ეხლაც ძნელია შოვნა ალაგისა ვაჭრებში, უმეტესად უცნობი კაცისთვის, თუ გინდ რომ ბრძენი იყოს, და მაშინ, რასაკვირველია, უფრო ძნელი იქნებოდა, უმეტესად დურმიშხანისთვის, რომელიც იყო უპატრონო და უთვისტომო. მაგრამ დურმიშხანი არ იყო იმგვარი, რომ იმისთანა შემთხვევას შეეშინებია.

— „და რა ბევრს ვფიქრობ? თუ დამიყენა ვინმემ მოჯამაგირეთ, ხო კარგი, თუ არა, გავყიდი ცხენს, იარაღს და იმ ფულითა და რაც მე მაქვს, იმითი გავხსნი სადმე დუქანს... ხა, ხა, ხა! მე თვითონ გავხდები ვაჭარი, მე თითონ მეყოლება ბიჭები. „ბიჭო! ჩამოუსხი ტეტიას ღვინო!“ „არა, დედავ, მე თვითონ უფრო ძვირათ მიყიდნია, ხელს არ მომცემს“, წარმოიდგენდა ის, ვითომც ჰყიდდა.

ამ ფიქრებით მივიდა ერთ წყაროსთან, რომელიც უნდა ყოფილიყო მგზავრების დასასვენი ადგილი, და, რადგანაც ჯერ პური არ ეჭამა, ჩამოხტა ცხენიდგან, მოხადა ხურჯინი, შეუყარა ცხენს დუშაყი და გაუშო საძოვრად. თითონ

მოუხსნა პირი ხურჯინს, ამოიღო იქიდგან პური და ყველი, გაშალა სუფრის მაგიერ ხელსახოცი და დაუწყო პურს ჭამა.

ეს იყო პირველი პურის ჭამა დურმიშხანისა, რომელიც არ იყო ბატონის ნასუფრალი, და, უნდა გენახათ რა გემრიელი იყო ის პური!

საკვირველია, ღმერთმანი, კაცის ცხოვრება. ბევრჯელ, როდესაც ის აირჩევს ცხოვრების გზას და დაადგება იმაზე გავლას, უიცრათ გამოუვარდება რამ, ჭკრავს ხელს, გადააგდებს იმ გზიდან და დააყენებს სხვა გზაზე, რომელსაც სულ არ მოელოდა. ასეთი შემთხვევა მოხდა დურმიშხანის ცხოვრებაშიაც.

დურმიშხანმა რომ გაათავა პურის ჭამა, დაინახა, რომ ცხენს ჯერ არ დაესვენებინა და ამისათვის გაშალა ნაბადი და წამოწვა. ამ დროს იმ წყაროსკენ მიბრუნდნენ სამნი ოსმალნი. დურმიშხანს ეგონა, რომ ისინი მტრები იყვნენ და გასაძარცავათ მიდიოდნენ და ამიტომ გაიშინჯა იარაღი და მოემზადა პასუხის საგებლად. ოსმალნი მივიდნენ წყაროსთან, მიესალმნენ დურსიშხანს და ჩამოსხდნენ.

— უკაცრავად ნუ ვიქნები, ყმაწვილო, შენი ჭირიმე, კითხვისთვის, საიდგან მობრძანდებით?—ჰკითხა ერთმა იმ ოსმალთაგანმა, რომელიც სჩანდი, იყო იმათი უფროსი.

— ქალაქიდან გიახლები, ჩემო ბატონო,—უპასუხა დურმიშხანმა.

— იქაური ბრძანდები?

— არ ვიცი, როგორ მოგახსენო, იქაურიც გახლავარ და არც გახლავარ იქაური.

— როგორ ეგ?

დურმიშხანმა უთხრა ყოველივე თავის გარემოება თავიდგან ბოლომდისინ.

— ბედნიერი ხარ, ყმაწვილო,—უთხრა ოსმალმა, რომ გაათავა დურმიშხანმა,—რა გინდა, უსისხლოთ განთავისუფლებულხარ მონობიდგან. ბევრს არ ერგება ხოლმე ეგ ბედნიერება. ღმერთო! ის ბავში არ მაძლევს მე მოსვენებას დღე და ღამე მიდგას თვალწინ და არ ვიცი, საით გავიქცე... ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, ერთხელ მეც შემეძლო შემეხედნა წმინდა სინიდისით ცისთვის, მაგრამ ეხლა... კაცის მკვლელი, ქრისტეს ორგული, რა ცა შემირიგებს მე!—დაიწყო იმან ლაპარაკი თავისთვის.

დურმიშხანი უყურებდა იმას გაკვირვებული.

— რას მიბრძანებთ, ბატონო? მე სრულებით ვერა გავიგონე-რა, მხოლოდ იმის მეტი, რომ თქვენ ოსმალი არ უნდა ბრძანდებოდეთ.

— ქართველი გახლავარ,—დაღონებით უთხრა ოსმალმა.

— მაშ რა არის ეგ თქვენი ოსმალური ტანისამოსი, ან იმათი ქცევა რათ მიგიღიათ?

— სხვათა-და-სხვათა მიზეზთა გამო.

— თუ უზრდელობაში არ ჩამომართმევთ კითხვას, შეიძლება მიბრძანოთ ის მიზეზები?

— ის მიზეზები?—ჩაფიქრებით სთქვა ოსმალმა, აიწია რიდე ზევით და მოიწმინდა შუბლიდგან ოფლი. ის მიზეზები? რატომ, შენ შენი ცხოვრება მითხარი, მეც ჩემი უნდა გითხრა. ამბობენ, შენი ჯავრი რო სხვას შესჩივლო,

ნახევარი სიმწარე დაგეკარგებაო. გამოვსცდი, ვგონებ, ყმაწვილო, თავს არ მოგაწყენ.

— არა, შენი ჭირიმე. რას მიბრძანებ?!

— მე ეხლა მქვიან ოსმან-აღა, დაიწყო ოსმალმა...

— ხვალ, ხვალ!—დაიძახეს ყმაწვილებმა,—ხოლო ალექსი იტყვის,—და ჩაცაჩუმეს სიკო.

III

ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲐᲦᲐ.

ᲘᲣᲐᲕ ᲚᲔᲨ.
ᲘᲔᲖᲣᲘᲢᲗᲐ ᲙᲐᲮᲝᲜᲘ.

— ყმაწვილო, თქვენი სახელი?

— დურმიშხან.

— საარაგვოზე გიელიათ როდისმე?

— არა, არსად.

— მაშ შენ არ გინახავს მშვენიერი ქვეყნის ერთი კუთხეთაგანი, ჩემთვის მაინც! ამ საარაგვოზე, ზედ არაგვის პირზე, ბორდონას და ნაოხას შუა, არაგვის გაღმა არის სოფელი გ. ეს სოფელი, თითონ პატარა, დიდი სჩანს თავის ვენახებით. ამ სოფელზე, რომელიც არის სახასო, იდგა მამაჩემიცა, ჩემ საუბედუროთ, ბატონის ყმა. თითონ მხნე, მყოლელი ყეევარი ხარ-კამეჩისა და რამდენიმე მწველელი ძროხისა; ეგრეთვე ჩქონებელი სამი დღის ვენახისა. მამა-ჩემი ირიცხოდა თავ კაცად ჩვენ სოფელში და არა დავი, ანუ სხვა რამე შესახები სოფლისა არ გადაწყდებოდა ჩვენ მეზობლებში, რომ არ და კითხებოდენ ზალიკას,—ეს იყო მამი-ჩემის სახელი. ახ, რა იყო ის დრო! რა კმაყოფილებით დავუჯდებოდი ხოლმე მე ულელზე და უზრუნველად დავძახოდი ოროველას! წავიდა ის დრო, უმანკოებისა, ჟამი წმიდისა სინდისისა და ის ყმაწვილი, რომელსაც გუთნისდედა უბძანებდა ხოლმე ოროველას მღერას და ამხანაგები შურით ისმენდენ იმის სიმღერას, არის ოსმალის იანიჩარის ასის თავი, მქონებელი დიდის სიმდიდრისა, მაგრამ გასვრილი ქრისტიანის სისხლში. ახ, სიხარულით დავანებებდი თავს ჩემს ყოველსავე ეხლანდელს სიკეთეს, რომ შეიძლებოდეს მობრუნება უწინდელი ჩემი დროსი, როდესაც ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს.

მაგრამ ბევრს ხანს არ გასწია ამგვარმა ჩვენმა ბედნიერებამ. ერთხელ მამა-ჩემი წავიდა ძნის მოსატანად, უნდა ჩამოეტანა ძნა თავდალმართზე, ჩვეულებისამებრ მოუძღოდა ის ურემს წინ, რო არ დაქანებულიყო. მაგრამ ურემი დაქანდა, ხარ-კამეჩს თავი ვეღარ დაუჭირა, კამეჩებმა წააქციეს და ურემმა გაჭყლიტა. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენი სახლიც გადაბუნდა გულაღმა. ბატონმა ჯერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რო აღარ შეგვეძლო მოვლა, მერმე თითო-თითოდ ხარ-კამეჩი და უკანასკნელად უბრძანა დედა ჩემს, რო გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ. საწყალი დედა ჩემი! უნდა გენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გვარათ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ესმოდა.

— იტირებს, იტირებს და დაუჭდებაო!—აი აზრი მებატონეთა; იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არ გვაქვს გული, არ შეგვიძლიან გასჯა.

— დედა-შვილობას, აგრეთვე ღმერთი გიცოცხლებს შვილებს, შენი ღვთისგულისათვის დამანებე თავი, დამანებე თავი!—ეხვეწებოდა დედა ჩემი,—რა მოსამსახურე უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვრებისა არავიცირა. ჩემი შვილები აქედგან უფრო გემსახურებიან. რასაც მოვიყვანთ, სულ შენ მოგართმევთ, ჩვენ ნაცარს ავფშრუკავთ და იმას ვჭამთ, ოღონდ ნუ მოგიშლი ოჯახს! საწყალო ჩემო შვილებო!—და იმან მიგვიკრა ვულზე იმგვარათ, თითქოს ის იყო გვდებდნენ სამარეში.

— ეჰ, დედაკაცო, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი! ხვალვე მზათ იყავი!—უბრძანა ბატონმა და გაიცინა, იმიტომ რომ ერთმა მწეარმა რაღაც სასაცილო ქნა. ოჰ, რა საზარელი იყო ის სიცილი დედა-ჩემის მწუხარებასთან! მე დარწმუნებული ვარ, რომ მასში იცინოდა ეშმაკი. იმისთანა დროს, მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება.

რაღა თავი მოგაბეზრო ბევრი ლაპარაკით, მეორე დღეს ჩაგვყარეს ურემში და მიგვიყვანეს ბატონთან. ქალბატონთან რო წაგვადგინეს, იმან გაგვშინჯა და გვბრძანა, რომ მე და ჩემი და (ერთი დაცა შყვანდა მე) უნდა ვყოფილვიყავით პირის მოსამსახურეთ, დედა-ჩემს კი უბრძანა პურის მცხობლად ყოფნა. ასე გავატარეთ დროება თითქმის ხუთს წელიწადს. თვითონ მოსამსახურე, შენ იგრძნობ, რანაირ დავიტანჯებოდით იმ სამსახურში! მ გრამ ამბობენ, კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო. ჩვენც შევეჩვიეთ ჩვენს ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი, იქება იმიტომ, რომ უარეს ცხორებას მოველოდით.

ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთიდან. იახშამზე რომ ვემსახურებოდი მათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე. მღვდელმა ამხედა, ჩამხედა და ბატონს დაუწყო რაღაცა ლაპარაკი ჩუმათ. ირ ვიცი რათა, მაგრამ რომ დამიწყო ყურება, ერუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა გულმა იგრძნო, რომ ჩემ თავს მოელოდა რაღაც უბედურება.

მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედა-ჩემი და უბრძანა, რომ მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდლის გასაყოლად.

— რათა, შენი პირიმე?

— რათა? გავყიდე და იმიტომ!

რასაკვირველია, ეს გამჟღავნება მე მივიღე ისე, ვითომც მცოდნიყოს და შევჩვეოდე იმ აზრს და, რაკი აღარ გამიკვირდა, დედა ჩემმაც არ დაიწყო ტირილი. მხოლოდ შეპარბაცდა ცოტათ და მე დამჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შეეტყე, რომ ჰქონდა ცივი ყინულივით და უკანკალებდნენ.

შემდგომ რამდენიმე წუთისა დედა-ჩემი დაემხო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს, ისე, როგორც შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ ართმევენ შვილსა. ბატონმა უბრძანა ბიჭებს, რომ გაეგდოთ ის კარში. დედა ჩემი ადგა და გამოვიდა, მხოლოდ ჰკითხა ბატონს, საროდიოდ მოვემზადებიეთ. ბატონმა უბრძანა, სახვალიოთო.

იმ ღამეს, შუაღამისას, როდესაც სულ ყველამ დაძინა, დედა-ჩემი ადგა, ჩუმათ გამაღვიძა და შემდგომ და შემდგომ დარიგებისა—სად მომეცადნა, გამგზავნა კარში. ცოტა ხანს უკან გამოვიდა ჩემთან ღედა--ჩემი დით.

— აბა ახლა, შვილებო, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ გზას!—გვითხრა დედა ჩვენმა, გადაგვწეოა პირჯვარი და გაგვიძღვა წან,

ღამე იყო შემოდგომისა, ბურუსიანი და ბნელი. დედა-ჩემმა იფიქრა, თუ საძებნელათ გამოგვიდგებოდნენ, მოგვძებნიდნენ უფრო უალაგო-ალაგას და ტყეში, და როკ ირაჟრაჟა, ჩამოვედით ღართისკარის ქალაში. აქ დედა-ჩვენმა აგვსვა ჩვენ ერთ დიდ მუხის ხეზე, რომელიც სხვებზე უფრო იყო შემოსილი ფოთლით და გვითხრა, რომ ვყოფილიყავით იქ ჩუმათ, მოელი დღე გავატარეთ იქ და, რომ დაღამდა, ჩამოვედით და წამოვედით ქალაქში.

შემდეგ მე მიკვირდა, რატომ ბატონი არ გამოგვიდგა მეთქი, და ან დედა-ჩემმა ქალაქისაკენ რათ წამოგვიყვანა და არა ფშავისკენ, სადაც დედა-ჩემს ჰყვანდნენ დედის ძმები; მაგრამ გამოჩნდა, რომ ბატონი მართლა გამოგვდგომიყო საძებნელად მეძებრებიო და ვეძებნეთ ფშავის გზაზედ. დედა ჩემი მიხვდა, რომ ასე იქნებოდა, და ამიტომ წამოგვიყვანა ქალაქს.

ქალაქს რო ჩამოველით, ერთი კვირა ისე გაგვიძნელდა ცხოვრება, რომ კინაღამ შიმშილით დავიხოცენით. სოფლიდგან რაც ხორაგი წამოვიღეთ, ის მესამე დღესვე გამოგველია და მერმე თუმცა მათხოვრობა დავიწყეთ, მაგრამ არავინ არა მოგვცა რა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათხოვრობასაც თავისი ოსტატობა უნდა, რომ შეაბრალოს თავი, რომელიც ჩვენ არა გვქონდა, და მეორე—არ გვქონდა იმისთანა ნაკლულოვანება სხეულისა, რომ შეებრალებოდით ხალხს. მაგრამ განგება ღვთისა არსად აგდებს კაცს უნუგეშოდ. ერთ კვირას უკან დედა.ჩემმა დაგვაყენა ერთ ბერძენთან მოჯამაგირეთ, თითონ-კი დაიჭირა კლდის უბანში ერთი პაწაწა ოთახი და დაიწყო პურის მცხობლობა. დამავიწყდა მეთქო: დედა-ჩემმა დაირქო სომხობა და სულყველას სახელები გამოგვიცვალა: თითონ დაირქ ი მათუა, მე დამარქო კარაპეტა და ჩემს დას—შუშანა. ესე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი, ჩემ და გაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს, ჩვენც დავდიოდით სომხის საყდარში, მაგრამ არც მე და არც დედაჩემი არა ვზიარებულვართ იმ ხუთ წელიწადში, იმიტომ რომ სომხის საყდარში არ გვაზიარებდნენ, როცა შეიტყობდნენ, რომ ქართველები ვიყავით; ქართულ ეკლესიაში კი ვერა ვბედავდით ზიარებას, იმიტომ, რომ გამოჩენისა გვეშინოდა. ერთხელ, მარიამობის მარხვაში, დედაჩემი ატყდა, თუ არ ვეზიარე არ იქნებაო. მე ვთხოვე, რომ მღვდლისათვის არ ეთქო სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მომცა პირობა, მაგრამ ეტყობა, სინიდისს ძლიერ შეეწუხებინა, რომ ვერ გაეძლო და ეთქო სულ ყველა. იმავე დღეს, როცა თქო აღსარება, ვიღაც კაცები დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ.

რომ მივყვანდით, საწყალ დედაჩემს სცხვენოდა ჩემი და თვალებით მეხვეწებოდა, რომ მიმეტევებინა იმისათვის ეს შეცდომა. საწყალი დედა!...

ბატონთან რო მიგვიყვანეს, იმან, შემდგომ სხვათა და სხვათა სასტიკთა ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში, ისე როგორც აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადგეს კისერზედ, მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა

მსუბუქად, იმიტომ რომ გუთანში ხარები დადიოდნენ ძრიელ ნელა და ვერ დავიღლებოდით. და იმ-სთვის მეორე დღეს შეგვაბა კევრში. კევრზე დაჯდა თვითონ და გვერეკებოდა. ცოტაც რომ დავმდგარვიყავით ამ ოსუნ ქვესათვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მოგეხსენება, რამდენი სირბილი შეუძლიან კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორც იყო დედაჩემი. თითქმის ათჯერ შემოურბინა კალოს ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან. მეთერთმეტედ რომ უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედაჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედაჩემს არც კი დააცალეს მშვიდათ მომკვდარიყო. ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა იმას და იმიტომ სახრით დაუწყო ცემა, რომ აეყენებინა, და ასე სახრის ქვეშ ამოუვიდა სული.

— გამოუშვით, ბიჭებო, ეგეცა, ხომ ხედავთ, ამხანაგი აღარა ჰყავს!—უთხრა ბიჭემს ბატონმა ჩემზე.

ბიჭებმა გამომიშვეს. საღამოზედ მომცა საშინელი სიცხე, შუაღამემდე ვიწვალე საშინლად. მე მეგონა ცოცხალი ჩამაგდეს ჯოჯოხეთში მეთქი; შემდგომ შუაღამისა კი აღარა მახსოვს რა, გავხდომილიყავი ავათ შავი საოფლით. ჯერ ისე ავად რომ ვყოფილიყავ, ვინ იყო ჩემი პატრონი, ვის სტკიოდა ჩემთვის გული, რომ სოფელში, ამ საშინელ შესაყარ ავადმყოფობაში, ვინმე მომკარებიყო. მაგრამ არ ვიცი, როგორ, მხოლოდ სამ კვირას უკან მოვედი გრძნობაზე. ერთმა რეგვენმა დედაკაცმა, რომელსაც არ ესმოდა არც სიცოცხლე, არც სიკვდილი და არც ავადმყოფობა, და რომელიც თურმე მივლიდა მე ავადმყოფობაში, შემატყობინა, რომ ჩემ გარდა კიდევ სხვანც ბევრნი იყვენ ჩემსავით ავად. ამ ავადმყოფობით ჩემი ბატონის სახლში მოკვდა სამი კაცი; იმათში ერია ერთი პირმშო შვილი ჩემი ბატონისა.

გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ. ბატონიც შემირიგდა, ეგონებ იმიტომ, რომ ჰპოვა ჩემში სასარგებლო ნივთი. და რა უნდა მოგახსენო: ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებული იყო, რომ მე ვიყავი იმის ერთგული; ხა! ხა! ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში... საკვირველნი არიან, შენმა გაზდამ, მაგ გვარი კაცნი!

მე შემისრულდა ოცდა სამი წელიწადი. ამ დროს ქალბატონს ჰყვანდა ერთი გოგო, სახელად ნატო. წაბლის ფერი გრძელი თმა, ბამბასავით თეთრი პირისახე, ცოტათ მსხვილი ტუჩები, მშვენიერი თეთრი კბილებით, ტანი შუათანაზე უფრო დაბალი და წვრილი. ნატო იყო მართლა-და ლამაზი, მაგრამ რა იყო იმაში უფრო მშვენიერი,—ეს იმის თვალები. არ ვიცი როგორ გამოვსახო ეს თვალები. შენ სხვაგან სადმე რომ ჰყოფილხარ დიდხანს და რომ მოსულხარ, შეგინიშნავს, როგორ უყურებია შენთვის დედაშენს?

— მე დედა არ მახსოვს,—უპასუხა დურმიშხანმა.

— ჰო, უკაცრავად, დამავიწყდა. ნატოს თვალები იყურებოდნენ ისე, ის თვალები იყვენ ცისფერნი და ისე სავსე საიდუმლოთი, როგორადაც ცა. ის თვალები რომ შემოგხედავდნენ, თითქო გიყვავებდნენ, თითქო გთხოვდნენ შეწყალებას, თითქო გეუბნებოდნენ; ახ, რა კარგი კაცი ხარ. მე ვიყავ, ნატო რომ მიყურებდა ხოლმე სწორედ კატის მდგომარეობაში, როდესაც იმას უსობენ ზურგზე ხელს. როცა ის მიყურებდა ხოლმე, ღმერთს ვეხვეწებოდი, რომ იმას

ეყურებინა დიდხანს, მაგრამ საწყალი ნატო არ იყო იმისთანა, რომ სულ ყველასათვის ეყურებინა სხვა გომბიოებივით. მე დარწმუნებული ვარ, ბუნება შეცდენილიყო, რომ ის დაებადა მოსამსახურეთ, ჩვენი ქალბატონი კი—ქალბატონ.თ.

ერთხელ მე და ნატო ერთად ვიყავით ქალბატონის ოთახში. ქალბატონმა, რაღაზედაც გაჯავრებულმა, ნატოს უბრძანა, მოეტანა რაღაცა. ნატო გაიქცა მოსატანათ, მაგრამ ის ნივთი ვერ იპოვნა დროზედ.

— ოჰ, შე მამაძაღლო! ოჰ, შე უნამუსო!—შეუტივა ქალბატონმა ნატოს, რომ მოვიდა,—ნეტავი საქმელი იყოს, რომ ჩქარა იპოვნო. რაზე ვექმევი ამ აზარქლებს, რაზე ვაქლექებინებ თავს! გაგ ყიდი, შე უნამუსო, აღარ შემიძლიან შენი გაძლება!

— ქალბატონო, მაპატივე, შენი ჭირიმე, დროზე ვერ ვიპოვე ბატონის მზემ.

— შეხე, შეხე ამ უნამუსოს, როცა ტყუილათ უნდა დაიფიცოს, მაშინვე ბატონს მივარდება ხოლმე.

— არა, ღმერთმანი...—და ტირილით ვეღარ დაასრულა სიტყვა.

მე ვეღარ შევსძელ ყურება და გამოველ კარში. ცოტა ხანს შემდეგ გამოვიდა კარში ნატოც.

— ნატო, ძალიან გაწუხებს ქალბატონი?—ვკითხე დაღონებით.

— ისე, რომ ლამის თავი მოვიკლა,—მიპასუხა იმან და დაწყო ისევ ტირილი.

— ნუ სტირი, ნატო. ღმერთი მოწყალეა, რაც გინდოდეს ხოლმე, მე მომკითხე: როგორც შევიძლებ და რათაც, შეგეწევი. იმის შემდეგ შენ—და, მე—ძმა, მეც შენისთანა ობოლი და უპატრონო ვარ.

უნდა გენახა, რა მადლობის თვალებით შემომხედა მაშინ ნატომ.

— ჩემო ძმაო!—მითხრა ნატომ, გამომართო ხელი, მაკოცა და შევარდა შინ გაწითლებული.

მე გული ისე არ შემიკრთა, როგორც შეუკრთება ხოლმე დის კოცნაზე. იმ წლოვანებაში, რომელშიც მე და ნატო ვიყავით, ყოველივე დაძმობილება გარეშე პირთა დასრულდება ხოლმე ცოლქმრობით, თუ არამ დაუშალა.

შენთვის საჭირო არ არის მოგახსენო ყოველივე ბოდვა სიყვარულისა, და სწორე მოგახსენო, ეხლა ვერცკი შევიძლებ მოგონებას.

კარგა ხანი რომ გავიდა ჩვენი შეყვარებისა, ერთხელ მოვახელე დრო და ვსთხოვე ბატონს ჯვარის-წერის ნება.

— რას მიჰქარავ, ბიჭო? ჯვარის დაწერა კი არა მამა გიცხონდა!

— შენი ჭირიმე, ბატონო!

— ვისზე უნდა დაწერო ჯვარი?

— იმას არა გთხოვ,—შენი ჭირიმე!—ქალბატონის გოგოზე.

— ქალბატონის გოგოზე?

— დიახ.

— დიახ!—გამაჯავრა მე ბატონმა,—დიახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რომ შინაური არ მოძებნო?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ეს მომეწონა და.

— რაო? მოგეწონა? მოგეწონა, თითქოს ბატონის შვილი იყო, სხვა არა როგეწონა რა, მამა მიგცხონდა?!

— ბატონო!...

— წადი, დაიკარგე, არ შეიძლება! მოსამსახურეს შინიდგან არ გაუშვებ და არც შენ მოგცემ ნებას, შინ მინდიხარ!

რას ვიტყოდი?! შენი მტერი იყოს ისე, როგორც მე გამოვედი ბატონის ოთახიდან. ნატო, თურმე, კარში იდგა და მიცდიდა, რა ამბავს გამოვიტანდი— გამოსული რომ დამინახა, აღარც-კი მათქმევინა, დაიწყო ტირილი.

შემდეგ ეს ჩემი ლაპარაკი, რომლიდანაც მოველოდი ბედნიერებას, გახდა წყაროდ ჩემი უბედურებისა. აი როგორ: ჩემ ბატონს აქამდისინ ხეირიანად არც-კი შეეხედნა ნატოსთვის და თითონ ნატოც თურმე ერიდებოდა იმას; მაგრამ მე რომ ესთხოვე იმაზე ჯვარის-წერა, მაშინ გაეშინჯა და მოსწონებიყო.

ვრთხელ ჩემთვის ვიჯექი და ვრიჭრობდი, როგორ მომეხდინა ნატოზე ჯვარის წერა. უეცრად მომვარდა ნატო და ჩამოშეკიდა ყელზე.

— ნოდარ, შენი ღვთის გულისთვის, მიშველე. რა ვქნა: ჩვენი ბატონი როგორღაც მიყურებს, თითქოს მეარშიყება. ისეთი თვალებით მიყურებს ხოლმე, რომ საშინელია. რა ვქნა მითხარი?

ამ სიტყვებმა მე თმა ამიშალეს და სისხლი მომიყვანეს ყელში.

— თავი მოარიდე. ნუ შეხვდები ხოლმე!—ვუთხარი მე.

— ეგ მეც ვიცი, უწინ დღე დამელიოს, სანამ მე იმისი აშიკობა მივიღო, მაგრამ მემრე რა ვქნა?

— ღმერთი გვასწავლის მერმე.

ამავე დღეს ბატონს გაემეორებინა ნატოსთვის აშიკობა. ნატოს, რასაკვირველია, იმისთვის არ მიეცა პასუხი. გავიდა სამი კვირა და ბატონს აღარა უთქვამს რა ნატოსთვის.

სამი კვირის შემდეგ დამიბარა ბატონმა, მომცა ერთი წიგნი და მიბრძანა წაღება იმისი ქალაქს ერთ იმის მოკეთესთან და იქიდან მოტანა იმ წიგნის პასუხისა. მე გამოვართვი ის წიგნი და წევედი ქალაქს. იმ წიგნში თურმე სწერდა ბატონი, რომ მე დავეჭირეთ ქალაქში სამი კვირა. სამი კვირა რომ გავიდა, წამიკითხეს წიგნი და მითხრეს, რომ წავსულიყავ სოფელში. მე მაშინვე შევიტყვე, რისთვისაც იყო ეს საქმე მოხდენილი. როგორც-კი მოვედი სოფლის ბოლოს, შემხვდა ერთი ბებერი დედაკაცი.

— დედაშვილობას მიოხარი, ჩვენი გოგო რასა იქს?—ვკითხე იმას.

— ეჰ, შვილო, ნუ მკითხავ. შენი მტერი იყოს, ის რომ არის!

— რა ამბავია? მითხარი ჩქარა, დედაშვილობას!—შეკრთომით უთხარი მე.

— რა ამბავია, შვილო... ჩვენი ბატონი გააშიკებიყო იმას, და იმ წაწყმედილს დაყოლიებით რომ ვერა ექნა-რა, ძალა ეხმარა და შიშით, თურმე, უნდოდა შეეყვარებინა თავი. საწყალ ქალს ჯერ-კი ეთმინა, მაგრამ შემდეგ მოთმინებიდან გამოსულიყო და წყალში ჩავარდნილიყო. აი ნაოზას თავში, თურმე იპოვეწ საცოდავი.

მე ვეღარ გავიგონე უკანასკნელი სიტყვები, გაცხარებული მივვარდი ბატონთან.

— ბიჭო, რა ამბავია?—დაიძახა იმან,—ეშმაკს გიგავს ეგ სახე!

— არაფერი! სად არის ნატუა?

— ეშმაკმა იცის შენი თავი! სულ შენი საქმეა, შე ძაღლი-შვილო, უთუოდ...

მე აღარ დავასრულებინე სიტყვა და მივვარდი ხანჯლით.

— რას შერები, შე მამა—ძაღლო?! მიშველეთ, მოკლა!—დაიკივლა ბატონმა.

ეს იყო იმისი უკანასკნელი სიტყვა. შემდეგ დაიწყო სასიკვდილოთ ხრიალი. ბატონის შეკივლებაზე გამოვარდა ქალბატონი და, ეს ამბავი რომ დაინახა, შეჰკივლა და შევარდა თავის ოთახში. იმის ხმამ მოშაგონა, რომ კიდევ მყავდნენ ჯავრის ამოსაყრელნი პირნი და გამოვუდეგ იმას. ოთახში რომ შეევარდი, დავინახე რომ ქალბატონი გარდახვევიყო შკილს და იფარავდა.

— ნოდარჯან, მე მომკალ, ჩემ გიგოს ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია-რა შენთვის!—მითხრა ქალბატონმა ხვეწნით.

მაგრამ მე არ მესმოდა იმათი ხვეწნა, სისხლისაგან გაგიჟებულმა მე დავაკალ დედა შვილსა. შემდეგ გამოვვარდი კარში, შევჯექ ცხენზედ და გამოვიქეცი. საღამოზედ დამეწია მდევარი და, რასაკვირველია, არა თუ იმითგანმა დამიჭირა ვინმემ, ან მოინდომა მოკვლა, არამედ თითონვე მასწავლეს, რომ გადავვარდნილიყავ ახალციხისკენ. მე მართლა დავიჯერე იმათი დარიგება და მესამე დღეს მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე გამოვცხადდი მუფტისთან და მოვახსენე სურვილი მათი სჯულის მიღებისა. მეორე დღეს დიდის ამბით მივიღე თათრობა, ვგმე ქრისტე. აქ ყველა ოსმალოს დიდკაცებმა დამაჯილდოვეს, მირჩიეს სტამბოლში წასვლა და იანიჩარის ჯარში გამწესება. მე წავედი და გავმწესდი. უნდა მოგახსენო, რომ იქ ჩემი გარეგანი ცხოვრება იყო ძრიელ კარგად, მაგრამ რა სრულდებოდა ჩემს გულში, ის უწყოდა მხოლოდ ღმერთმა.

მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მაძლევდენ მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მაიარულებაში, ძილში, ომში, ან თუ საცა გინდა, ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალმობით.

— მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?

რამდენჯერ ვეძიე ომში სიკვდილი, რამდენჯერ გიჟივით გადავვარდი გაცხარებულ ომში, რომ ჩქარა გავშორებულვიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არა მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთაობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ დამიმშვიდდა სინდისი. შემდეგ, იმ ფიქრით, რომ გამექარვებინა ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა, მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სინდისი მაინც არ დამშვიდდა.

— ღმერთო მომეტევება როდისმე მე ჩემი შეცოდებანი?—სთქვა ჩუმათ ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა—საიდუმლო ხმა მეუბნება, რომ არაო.

— ღმერთი მრავალ-მოწყალეა,—უთხრა დურმიშხანმა,—მე გამიგონია, რომ არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევოს, თუ წმინდა გულით მოინანიებსო.

— არა, ჩემთვის არ არის მოტევება,—ჩაფიქრებით სთქვა ოსმან-აღამ,—არა სჩანს მოტევება.

— სასოწარკვეთილებას ნუ მისცემ თავსა, ღმერთი მრავალ-მოწყალეა,—გაუმეორა დურმიშხანმა.

— ეჰ, გვეყოფა! უკაცრავად მოგაწყინე, —დაღონებულის ღიმილით უთხრა ალექსანდრ-ალამ და უბრძანა ბიჭებს ცხენების მომზადება.

— შენც ჩვენთან წამოხვალ, ვეკონებ?—ჰკითხა დურმიშხანს,—გზაზედ მოვილაპარაკებთ შენ მომავალ ცხოვრებაზე.

— გიახლები.

რამდენიმე წუთის შემდეგ შესხდნენ ცხენებზე და გასწიეს. ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

— ოჰ! ეგ შენ არ უნდა გეთქო!—უთხრეს ალექსის, რომ გაათავა.

— მაშ, ვის უნდა ეთქო?

— კნიაზ-ლიბერალს.

კნიაზ ლიბერალს ვეძახდით კნიაზ ლ. დ—სა, იმიტომ, რომ დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება და ყოველსავე ამბავს ბატონ-ყმობაზე შეიტყობდა ხოლმე სულ ყველაზე წინ.

— ხვალ სთქვას იმან.

— ხვალ კნიაზ-ლიბერალმა... კნიაზ-ლიბერალო, მოემზადე, მაგრამ მაღალ ფრაზებს-კი თავი დაანებე.

— თქვენი გამოჯავრებული ბატონ-ყმობაზე სულ არას ვიტყვი,—სთქვა კნიაზ-ლიბერალმა.

IV

— ნათლიმამ, გაბედე-მეთქი, გაბედე!

— ხმ, ხმ! დედა-კაცო, გადააბრუნე ე მწვადი, სულ დასწვი!

— კარგი, სიტყვა ბანზე ნუ ააგდე, შენ გეუბნები!

— რასა, შენი ჭირიმე?

— გაბედე-მეთქი ჩემი ნათლულის გითხოვება.

— აკი ვბედავ, თუ მთხოვა ვინმემ.

— აი მეც მოციქული.

— არა, შენი ჭირიმე, არა, მე იმას ვერ მივცემ!

— რატომ?

— არ ვიცი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ... ეჰ, ბევრი მიზეზია, რატომაც არა.

— მაინც რა არის, ვითომ ბიჭი არ ვარგა?

— ბიჭი კარგია, მაგრამ...

— დაანებე თავი მაგ მაგრამებს.

— მაგრამ უთვისტომოა.

ამ სიტყვებზე პირველი მოლაპარაკე დაიღრიჯა ისე, თითქო უჩხვლიტარამემო.

— რა უშავს, რომ უთვისტომოა, იმიტომ კაი ბიჭი არ არის? ჯერ ორი წელიწადია რაც ჩემთან არის და ას თუმნამდის ფული იშოვნა, კარგი არ არის?

— კარგია, მაგრამ მე, ხომ იცი იმ ქალის მეტი არა მყავს-რა, მინდა რომ ერთ ხეირიანს მივსცე ვისმე.

— ვინ არის შენში ხეირიანი?

— ვისაც ღმერთი მომცემს. მე მინდა ერთ საწყალ აზნაურს მივსცე ვისმე.

აქ პირველი მოლაპარაკე ისევ დაიღრიჯა ისე, თითქო გულიდგან მოსწყვიტეს რამეო.

— ახლა რა არის, რომ აზნაური არ იყოს?

— აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ, წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ გამოაცხობს.

— განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლიან, რომ იყოლიოს გოგო—ბიჭი?

— რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს, აზნაურს თავისი ეყოლება..

— თუ აგრეა, ხვალვე ვუყიდი ყმებს!

— უყიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— მერე ხო მისცემ?

— არ ვიცი! უმოკეთოა, ნათლიავ, უმოკეთო! მეც ოჯახის შვილი ვარ, მტერი მყავს და მოკეთე, მინდა იმათში თავი გამოვიჩინო სიძითაც და მოკეთითაც.

— სულ ტყუილია, ჩემო ნათლიმამ. ასეთ ქორწილს ვუზამ, რომ პირველ თავადის შვილს არ ჰქონიყოს.

— რა გამოვა იმითი?

— ის გამოვა, რომ ამ დროებით შენ მტრებს იმითი თვალებს დაუყენებ, მერმე დურმიშხანი ისევ დაიწყებს ვაკრობას, მოიგებს ფულს და, ხომ იცი, ფულს რა შეუძლიან?

— ფული გვარიშვილობას ვერ გამოუცვლის.

— მართალია, მაგრამ, რომ ის გვარიშვილები დაჰნატროდნენ იმას, ის გვარიშვილები რომ თავზე ადგნენ იმას, რომ იმათ ასესხოს ფული?

— ოჰ, შენ შენი მოჰყე! ახლა ვინლა გელაპარაკება.

— ვსტყუი თუ?

— არ სტყუი, მაგრამ რომ ისეთი იყოს, როგორც შენ ამბობ, შენ დურმიშხანს უნდა ჰქონდეს ბევრი ასი თუმანი.

— ექნება.

— საიდგან?

— თავისი ვაჟ-კაცობით... და მე ვიცი რითაც. მე მივსცემ ჩემი ქონების ნახევარს!

— რათა?

— ის მე ვიცი! აკი გეუბნები, რომ უნდა შევუდგე ღმერთსა: იქნება კიდევ მეღირსოს მოტევება.

— ოჰ, მოჰყევ კიდევ; როდის დაანებებ შენ აოდვას თავს?

— როცა მოვკვდები.

— კარგი, მამა ნუ წაგიწყდება, მაგისთანა ლაპარაკს თავი დაანებე.

— მაინც რას მეტყვი?

— მერმე, მერმე! ჯერ ვახშამი ვჭამოთ. სუფრა გაშალეთ. ვინა ხართ მანდა!—დაუძახა მეორე ოთახში.

— ეგ „მერმე", ეს ერთი წელიწადია მესმის შენგან.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ჩემო ნათლია, ვერ გამიბედნია და რა წყალში ჩავვარდე?!

ასე ლაპარაკობდნენ ორი ხნოვანი კაცი სურამში, ქრისტეშობის ღამეს, შუადღემი ქართული დარბაზის კერის პირას. პირველი ამათგანი იყო, თუ იცანით, ჩვენი ნაცნობი ოსმან-აღა, რომელმაც შემდგომ შეხვედრისა დურმიშხანთან, ის დაიჭირა მოჯამაგირეთ და იხმარებდა ვაჭრობაში, მეორე იყო სურამის მცხოვრები გლეხი სახელად... მაგრამ რად გინდათ სახელი.

დასხდნენ ვახშამზე. პირველად დაჯდა ჩვენი უსახელო. მერმე იმისი მეუღლე, შემდეგ იმისი ქალი და უკანასკნელად ოსმან-აღა.

— აბა, ნათლულო, არ გათხოვდები?

— კარგი, ნათლიას მზემ, დამეხსენ,—და მორცხვობით დაიხედა ძირს.

— მტყუანს რა ვუთხრა, რომ კიდეც გიამება ხოლმე, რომ გეტყვი!

— კარგი, თორემ წავალ აი!—უთხრა ქალმა და დაჰკრა ხელი მუხლზე.

— რა საქმრო გიშოვე, რომ იცოდე?

— თვალი იმასაც დაუდგება, მე ქმარი არ მინდა!

— რატომ, ქალო?

— არა და იმიტომ.

— მაინც? მოლოზნათ ხომ არ უნდა წახვიდე?

— არა.

— მაშ ქმარი რატომ არ გინდა?

— არ მინდა, მე დედასთან უნდა ვიყო.

— მაშ შინ უნდა დაბერდე?

— ჰო.

— ნუ, მამაშვილობას, აგრე ნუ გაწყრები!—ღიმილით უთხრა ოსმან-აღამ

— მაშ ნუ მეუბნები ხოლმე შინც და არც მე გეტყვი.

— ჰო, ვიცი: მამა-შენმა რომ გაკათხოვოს, კი არ გათხოვდები, მაგრამ მე რომ გიშოვნო საქმრო, იმას-კი შეირთავ განა?

— არა.

— ახლა რა არი, შენი არა და არა?

— დურმიშხან, აქ მოდი!—დაუძახა მეორე ოთახში.

დურმიშხანი შემოვიდა.

— გადახტი, აკოცე ჩემს ნათლულს, და ხელზე რომ ბეჭედი გაქვს, მიეცი ნიშნათ!—უთხრა ოსმან-აღამ დურმიშხანს ყურში. დურმიშხანი გადახტა, აკოცა ქალს და მისცა ბეჭედი. ქალმა შეჰკივლა, წამოხტა სუფრიდგან და გავარდა კარში.

— უი, დამიდგა თვალები! ეგ რა ჰქენით?—სთქვა დედამ, შეხედა ოდნავ ღიმილით და ტუჩებზე მიიდო თითები.

მამამ შეხედა ოსმან-აღას გაჯავრებით და დაინახა იმის თვალებზე ორი ცრემლი. საწყალს იმას მოაგონდა, რომ იმისთვისაც შეიძლებოდა ამ გვარი ბედნიერება თავის ნატოსთან.

— რას შვრები კაცო? სტირი? ეს რა მიყავი, რაზე შემარცხვინე? გამხილებს შენვე შენი სინდისი, თუ არა?

— არა, ნათლიმამ, ეს სხვა ცრემლი იყო. დაუძახე ჩემს ნათლულს გამოვიდეს. მომილოცავს სიძე. მოდი დურმიშხან, დაჯექი. ეხლავ გამოვა შენი დანიშნულიც.

— რაღა ხუნრობაა! აბა თუ კაცი ხარ ეხლაც ნუ მოგვცემ შენ ქალს! ღმერთმანი გავალ და მთელ სოფელში თავს მოგკრი.

— მართლაც, დედაკაცო, ტყუილი-ღა არი, წადი, შემოიყვანე შენ შენი პატარძალი.

— აგრე უეცრად როგორ იქნება? აკი გითხარი, ცოტა დამაცალე—მეთქი!

— კეთილ საქმეს ცდა არ უნდა,—უპასუხა ოსმან-აღამ.

რამდენიმე ხნის შემდეგ შემოიყვანეს ქალი და მოუსვეს დურმიშხანს გვერდით.

— ჰე, ასე ჩქარა არ მინდოდა, მაგრამ რა კი მოხდა. რაღა გაეწყობა.. ღმერთმა დაგლოცოთ შვილებო, და მე მაღირსოს გახარება თქვენის ბედნიერებით!—უთხრა იმათ ქალის მამამ.

— ადექით, ხელზედ აკოცეთ!—ასწავლა ოსმან-აღამ.

ახალი დანიშნულნი ადგნენ და ხელზედ აკოცეს, როგორც ქალის მშობელს, აგრეთვე ოსმან-აღას.

— ღმერთმან გაკურთხოსთ, შვილო...—ეღარ დაასრულა და გადმოსცვივდა ცრემლები ოსმან-აღას.

მეორე დილას, აღარ იყო სურამის გარშემო სოფელი, რომელშიაც დიდი და პატარა არ ლაპარაკობდა ამ ამბავს. კიდევ გამოვიდა ცოტა ხანი და ისევ სოფლელები შეიყარნენ დურმიშხანის ქორწილში. და აი, დურმიშხანი დგას ეკლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პირობას თავის მეუღლეს სიკვდილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას თავისი დანიშნული? არა, იმას არ უყვარდა არც ეხლანდელი თავისი დანიშნული, არც გულისვარდი და არც ოსმან-აღა, ღირსი სიყვარულისა იმ კეთილისათვის, რომელიც უყო იმან დურმიშხანს. იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა. რათ უნდა იმას სიყვარული, როდესაც აესრულდება თავისი ოცნება, ის იქნება მდიდარი, პატივცემული და დამოუკიდებელი. რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთეს, იმას არ ჰქონდა საჭიროება გამოკითხვისა. და აი სიმდიდრისთვის მამაკაცი ჰყიდის თავს, როგორც ერთი კურტიზანთაგანი. საწყალი ოსმან-აღა! იმან მისცა დურმიშხანს ნახევარი თავისი ქონება იმ აზრით, რომ ის ერთხელ მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს სანთელს, იმის ცოდვეშის შესამსუბუქებლად და იმის საფლავზე ჩამოაგდებდა ერთს ერთგულს ცრემლს. საწყალო ოსმან-აღა! რა მწარედ მოსტყუვდი შენს ფიქრებში.

ოსმან-აღამ ორი თვე დააცალა დურმიშხანს და შემდეგ წაიყვანა სტამბოლში თავის ქონების ნახევრის ჩასაბარებლათ, რომ მოვიდნენ სტამბოლში, ოსმან-აღამ თავის ნახევარი ქონება მართლა მისცა დურმიშხანს, მეორე ნახევარი კი შესწირა ეკლესიას, თვითონ კი შემდგომ დალოცვისა პატრიარხისგან, ცხადად აღიარა ქრისტე. მოგეხსენებათ, რა წვალებას მიიღებდა ის მაჰმადიანთაგან? იმ აზრით, რომ როგორმე მოექციათ ისევ მაჰმადიანთა სჯულზე, ოსმალთ მოლებმა იხმარეს ყოველი შესაძლო მათგან ცბიერება, მაგრამ რომ სიკეთით ვერ შესძლეს იმისი მოქცევა, მერმე ძალა იხმარეს და ამისთვის მოღალეს იმაზე სხვადასხვა ტანჯვანი, მაგრამ ამითაც რომ ვერას გახდნენ, შემდეგ კრეს შაყა,

ისე იგი გასპრეს შუაზე. დურმიშხანი კი ამ დროს, როდესაც იმას აწვალებდნენ და შემდეგ ისე საშინლად მოჰკლეს, არა ფიქრობდა არც ერთს ღონისძიებას იმის შეღლისათვის და შემდეგ სიკვდილისა იმდენი ვერ შეიძლო, რომ გაბოეთხოვნა სტამბოლის მართებლობისათვის იმისი დამარხვის ნება. საწყალი ოსმან-აღას გვამი ეგდო რამდენიმე ხანი სტამბოლის ქუჩებში, სანამ შეწუხებულთ იმის სუნით არ მოიგონეს იმისი ზღვაში გადაგდება.

სად ჰქონდა დურმიშხანს დრო ქალაჩუნასავით ტირილისა, ან რბენისა ეკლესიაში ოსმან-აღას სულის გასასვენებლათ! იმ დროს, როდესაც ოსმან—აღას აგდებდნენ ზღვაში, ის იდგა ბოსფორის პირზე და ელოდა გემს ყირიმიდგან საქუდე კალმუხის ტყავებით, დაკვეთილს ოსმან-აღასაგან. იდგა და ფიქრობდა გაყიდვით სად უფრო მოიგებდა, იქვე, თუ უკეთუ წამოიღებდა საქმრთველოში.

— ჯერ აქ ვივაჭრებ,— თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ,—და მერმე წავალ საქართველოში.

ამ გარდაწყვეტილების შემდეგ, დურმიშხანი დარჩა მართლა სტამბოლში რვა თვე და ისე გაერთო ვაჭრობაში, რომ არც ერთხელ არ მოაგონდა ცოლი და არ შეატყობინა, რომ კიდევ იყო ცოცხალი. რვა თვის შემდეგ დურმიშხანმა მთელი ქარავანი სხვადასხვა ფარჩებისა წამოიღო სტამბოლიდგან და წამოვიდა შინ. ცოლმა დაახვედრა მშვენიერი ვაჟი... საწყლას ქალს ეგონა, რომ იმითი გაახარებდა დურმიშხანს, ის მოეხვევოდა და აკოცებდა ტკბილად ვაჟის დედას, მაგრამ დაჰხედა ყმაწვილს, გაიღიმა და ჰკითხა დედას:

— ჯერხომ არ მოგინათლავთ?

— არა, მაგრამ ჩვენებიანთ გოგია მთხოვს, მე მოვნათლავო — უპასუხა ცოლმა.

— გოგია კი არა მოგია არ გინდა; უთხრი, რომ თავადიშვილს უნდა მოვანათვლინო-თქო

— თავადიშვილი რაღა არის, ის გოგია უფრო მოკეთობას არ გიზამს?

— შე რა იცი, რაც არის?! შენ შენი საქმე იცოდე შენ ჩემ კითხვაში ნუ შემოდიხარ!

— მაინც კი ვიტყვი, რომ ჩვენ თავადიშვილი მოკეთობას ვერ გვიზამს.

— რა იცი შენ? ერთხელ რომ დიდმა თავადმა დაგიძახოს ნათლიდედა, ერთხელ რომ იმისმა ცოლმა გამოგარჩიოს სხვა დედაკაცებში და მოგიკითხოს, აბა მითხარი რად ღირს, ჰა? შემდეგ გაიზდება შენი შვილი, ვინ იცის მაშინ როგორ უპატრონოს. შენ რა იცი, დედაკაცო—და დურმიშხანი დაფიქრდა და წარმოიდგინა როგორ გაზდიდა შვილს. აი, ხედავს, რომ ის ზის ცხენზედ, ახლავს თავის ნათლიას. დიდ მეიდანზე გდია დიდი ქვა და იმაზედ დგას ვერცხლის თასი, აი გამოაკენა ერთმა თავადიშვილმა ცხენი, წამოიგდო თოფი, ესროლა თასს, მაგრამ ააცდინა; აი მოდის მეორე, ოჰ, იმანაც ვერ მოარტყა: აი ამის ნათლიამ გამოაქროლა ცხენი, სტყორცნა თოფი და ვერ მოარტყა.

აქ მოაკენებს ცხენს იმისი შვილი. კოტტათ გადმოიგდო თოფი, ესროლა და გადააგდო თასი. კითხულობენ; ვინ არის ეს ყმაწვილი, თითონ მეფე იკითხავს იმის დედმამს და გამოჩნდება, რომ ის არის დურმიშხან წამალაძის შვილი, რა ბედნიერი იქნება მაშინ დურმიშხანი! ან— იმისი შვილი, ჯერ ჭაბუკი, შევიდა

ბერათ. შეხეთ რა მშვენიერი ანგელოზივით სახე აქვს, ყური დაუგდეთ რა მშვენიერი ტკბილი ხმით კითხულობს მარხვანს, შეხედეთ ამ კითხვაზე როგორ გასწირეს თავ სული მლოცველნა, ხოლო აქა იქ ისმის ბერების ქვითქვითი. აი ერთხელ იმისი ნათლია შეხვდა კათალიკოზს და თავის ნათლულის კითხვას აქებს ამასთანა. აი შენიშნა კათოლიკოზმა, წაიყვანა თავისთან, აკურთხა იღუმენად, არხიმანდრიტათ და ეპისკოპოზად, აი დურმიშხანის შვილი, ეპისკოპოზი, ზის ცხენზე და წინ მიუძღვის დროშას და მოჰკავს საეკლესიო ჯარი ბატონის მოსაშკელებლად. კითხულობენ: ვინ არის ეს ახალგაზრდა ეპისკოპოზი! დურმიშხან სოვდაგრის შვილი. ოჰ! რა ბედნიერი იქნება მაშინ დურმიშხანი. ან ვინიცის, იქნება კათალიკოზადაც გახდეს. ოჰ! მაშინ კი დურმიშხან ალარ დაუკრავდა თავს არც ერთ თავადს.

მეორე დღეს სურამში ალარ იყო თონე, რომელშიაც არ იცხობოდა პური და ნაზუქი დურმიშხანის შვილის ნათლობისათვის. მართლა-და საგანგებო ნათლობა რამ თურმე, გაიკეთა. თავის დღეში რაც რამ კი ენახა ჩვენ საქართველოში, თუ თათრებში, ყველა მოამზადებინა და თითქმის დღის სავალზე ალარ იყო სოფელი, რომლიდანაც დიდი და პატარა არ მოიპატიჟა. ყმაწვილი მონათლა თავადმა ქაიხოსრო აბაშიძემ, რომელიც იმ დროს იყო იმ მხარეს, და დაანათლა ვრთი კომლი კაცი. ნაცვლად ამისა მკლავის ძღვნათ გაუგზავნა დურმიშხანმა ერთი უმშვენიერესი არაბული ცხენი, აკიდებული სხვადასხვა ძვირფასის ფარჩებით.

სწორედ ამ დროს იყო დაწერილი ის წიგნი, რომელიც წაიკითხა საწყალმა გულისვარდმა.

მართლა, გულისვარდი! ის კი დაგვავიწყდა; ეხლავ მოგახსენებთ იმის ისტორიასაც. დაეხსენ გაიზარდოს მანამ ზურაბი, ეს სახელი დაარქვეს დურმიშხანის შვილს. დაეხსენ გაიზარდოს, ჩვენ კიდევ შეეხვდებით იმას, როდესაც ის იქნება მშკენიერი ყმაწვილი კაცი, სიამპარტავნე მამისა, ნუგეში დედისა და ოცნება ბევრ ლამაზთა ქალთა.

V

ავლაბარში, სუფ-კარაპეტის ეკლესიის აღმოსავლეთის მხრით, ზედ გორაზე, იმ დროს, როდესაც ხდებოდა ეს საქმეები, რომელთაც ეხლა მე მოგახსენებთ, —სთქვა მორიგემ,—იდგა მხოლოდ ერთ-ოთახიანი იაქათიღის სახლი, რომელსაც ჰქონდა ორი ფანჯარა დასავლეთისაკენ, მაგრამ იქიდან არა სჩანდა რა, იმიტომ რომ ის ფანჯრები იყვნენ, გაკრულნი ზეთწასმული ქაღალდით. ეს სახლი ცოტა რომ მიეღაგ-მოელაგებინა კაცს, გარედგან ქაღალდის მაგიერ ჩაესვათ მინები ფანჯრებში და გაელესნათ, იქნებოდა სასიამოვნო შესახედი. მაგრამ ეხლანდელს მდგომარეობით იცქეროდა დაღონებით.

იყო იანვრის დილა, ჰქროდა ქარი და წუწუნით აყრიდა ნაშქერს ფანჯრებს. იმ სახლში მცხოვრებნი, ორი ქერეი დედაკაცი, ის იყო ამდგარიყვნენ და ერთი ჰგვიდა სახლს, მეორეს კი წამოესხა სინჯაფის ქათიბი, ქურაში შეეყო ფეხები და თბებოდა. პირველი იყო კარგა მოხუცებული, თითქმის სამოც-და-ათი წლისა და წლოვანობით ცოტათ მოხრილი ტანში, მაგრამ პირისახეზე სჩანდა, რომ ის თავის დროზე ყოფილიყო არა უვარგისი. მეორე იყო ასე ოც-და-ხუთ-

მეტ წლამდე: ცოტა დიდი ცხვირი, ხმელი პირისახე, წვრილი, თითქო დასცინიან ვისმე, იმისთანა ტუჩები, თვალები შავი, მაგრამ იმისთანათ შემოგხედავდა. იტყოდი, რომ ეს დედაკაცი ჩემ სულსაც კი ხედავსო. ეტყობოდა რომ ის არ ეკუთვნოდა იმგვარ ქალთა, რომელნიც თავის ცხოვრებაში არ გაირჯებიან არც ერთი საგნის გასასჯელად.

— არა დედიჯან, მე აღარ შემიძლია ეს, რაც გინდა მიყავ, ისევ სხვა ხელობას დაეიწყებ, —უთხრა უმკროსმა ქალმა მოხუცებულსა.

— რატომ, შვილო. რა არის?

— რა არის და, ბევჯელ ისე შევწუხდები ხოლმე, რომ არ ვიცი რა ვქნა.

— რისგან, შვილო?

— იმისაგან, რომ ადამიანი მოდის, მართლა საჭიროება აქვს, ტირის, გეხვეწება, გაფიცებს, რომ მართალი უთხრა და შენ-კი უნდა დაიწყო ეშმაკმა იცის რა?

— რა ვქნათ, შვილო, ჩვენი მამა-პაპაც ეგრე ეოფილა და ჩვენც ეგრე უნდა ვიყვნეთ.

— აი ეხლა იმ საწყალ გოგოს მივეეცი ‹პირობა, ხვალ მოდი და ხვალ გეტყვი-მეთქი, რაც უნდა ჰქნა ამაღამ სიხმარში ვნახავ მეთქი, მე წუხელი სიზმარი სულაც არ მინახავს, ის-კი ახლავ მოვა, აბა რა უნდა ვუთხრა?

— ვინ გოგო, მე არ მახსოვს?.

— აი ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო არ მოვიდა, რომ ტიროდა კიდეცა.

— ჰო, მე კარში გავედი მაშინ. მერმე რა იყო?

— საშინელი ტირილით მითხრა, რომ დანიშნულმა მომატყუაო, ოჯერ მე შემიყვარდა და მერე სხვაზე დაიწერა ჯვარიო.

— ახლა რა ვუყოთ? ცოტა მოხდება ხოლმე მაგისთანა მაგალითები?

— იმას ჰგონია, რომ ის იყო პირველი მაგის მაგალითი.—დაღონებით თქვა უმცროსმა.

— მერე, რა მინდაო?

— გინდა თუ არა ერთი იმნაირი რამ მასწავლეო, რომ მეც ისე მოვუკლა იმას გული, როგორც იმან მომიკლაო.

— შენმა მზემ, ვერას ეტყოდი, გიჟივით ტირილს დაიწყებდი იმასთან.

— არა, თუმცა მომდიიდა ტირილი, მაგრამ მაინც კიდეე გავუშალე ქერი და ვუთხარი, რომ გორიჯვარი და არბოს წმინდა გიორგი ელოცნა და ისინი დასჯიდნენ იმის ორგულს.

— ცოტა შორს უნდა გაგეგზავნა, უნდა გეთქო სპარს-ანგელოზი, ან ლომისა, ან ლაშარის ჯვარი, ისე რომ ასრულება გაძნელებულიყო.

— რას ბრძანებ, იქაც არ მიდის; ჩემ და ღმერთ შუა ერთი აღარა არისრაო, მე იმისთანა რამე მასწავლე, რომ ეშმაკის ძალით ასრულდესო.

— მერმე, რა უთხარი შენ?

— რას ვეტყოდი: ვუთხარი დღეს მოსულიყო და აი, საცაა მოვა და არ ვიცი რა ვუთხრა-

— მაშ, როცა მოვიდეს უთხარი, რომ დედა გიკითხავსთქო.

იმ დროს, როდესაც ესენი ასე ლაპარაკობდნენ, გულისვარდი დაეთხოვა თავის ქალბატონს და წამოვიდა ამათთან. ეს იყო იმის მეორე დღეს, როდესაც შეიტყო დურმიშხაიის დაქორწინება.

გულისვარდმა გაყინულ ხელებით დააკაკუნა კარები.

— ვინი ხარ? მოდი!

— უკაცრავად, შეგაწუხეთ, უდროოდ გიახელი,—სთქვა გულისვარდმა, როცა შევიდა შინ.

— არაფერი, შვილო, არა უშავს რა, მოდი გათბი, მოდი ქურასთან,— უთხრა უფროსმა დედაკაცმა.

გულისვარდი მივიდა, გაიხადა ქოშები, ავიდა ტახტზე, ასწია საბანს და მიუჯდა ქურას.

— აი, დედავ, ის ქალი, წუხელ რომ გითხარი,—უთხრა უმცროსმა ქალმა დედას, გულისვარდი რომ გათბა მაშინ.

მოხუცებულმა დაათვალიერა გულისვარდი.

— იმ უღმერთოს შენზე ლამაზი ვინღა უნდოდა. მზის უნახავს ხომ არ იშოვნიდა?

გულისვარდმა მორცხვად დაღუნა თავი და თვალები აევსო ცრემლებით.

— ნუ სწუხარ, შვილო,—უთხრა იმავე დედაკაცმა,—ნუ სწუხარ შენ არა ხარ მაგისი პირველი მაგალითი.

— ჰო, შენ არა ხარ მაგისი პირველი მაგალითი,—დაუმატა უმცროსმაც ნაღვლიანათ.

— ახლა რა გინდა, შვილო?—უთხრა უფროსმა.

— შენ ქალს ჰკითხე, რაც მინდა.

— ასწავლე იმისთანა,რომ შური იძიოს.

— შურისძიება ცოდვა არის, შვილო, ღმერთზედ მიანდე, ღმერთი ილოცე, რომ იმან გადაუხადოს მაგიერი.

— არა, დედი, მე თითონ უნდა გადაუხადო მაგიერი, გადავუხადო ისე, რომ იცოდეს, ის მე ვიყავ და არა სხვა ვინმე.

— მაშ რა ვქნათ, შვილო? აი რას გეტყვი: ჯერხანობით არ შეიძლება გადახდა. უნდა მოიცადო კარგა ხანი.

— რამდენიც გნებავთ, თუნდა სიკვდილამდე, ოღონდ კი ბოლოს მოვუკლა იმას გული.

— მაშ, იცი რას გეტყვი?

— მიბრძანეთ.

— ისწავლე მკითხაობა, როდესაც ყოველივე მკითხაობის საიდუმლეობას შეისწავლი, მაშინ შენ თითონ მოიგონებ, რაგვარათაც დასაჯო შენი მტერი გინდა?

— მინდა!—ცოტა ხანს უკან სთქვა გოლისვარდმა.

— არა, შვილო, ჯერ ეგრე ჩქარა პირობას ნუ მომცემ, ჯერ მოიფიქრე კარგა,

— ფიქრი აღარ უნდა! მე ერთხელ შევიძლებ დავსაჯო ჩემი გულის მკვლელი, სხვა რაღა მინდა?!

— იცი, შვილო, რას იწყებ? არა, აი მე რა გითხრა: ეხლანდელი დღით შენ ეყრები ქვეყანას, ამის შემდეგ გახდები კუდიანი, მკითხავი. ამის უკან ყველა დაგიწყებს შენ ყურებას არა როგორც ადამიანსა, არამედ როგორც რასმე კაცსა და ეშმაკს შუა. გიფიქრია ეს?

— მე ფიქრი აღარ მინდა!

— არა, ამაღამ კიდევ იფიქრე, თუ შეგიძლიან ღმერთსაც შეეხვეწე და ხვალ მითხარი რასაც გადაწყვეტ, ახლა მშვიდობით.

ამ ლაპარაკის შემდეგ გულისვარდი გამოვიდა და წამოვიდა შინ.

— ეგლა გაკლდა,—უთხრა უმცროსმა ქალმა დედას დაყვედრებით, ვარდო რომ გამოვიდა კარში,--აბა რაზე მოიხვიე თავზე სხვისი შვილი, რომ შენი თავის შენახვაც გიძნელდება?

— რა ვქნა, შვილო! მე მეგონა რომ ჩვენი ხელობა შეაშინებდა და დაანებინებდა თავს თავის განზრახვას. სჩანს, რომ არა ხუმრობს, საწყალი.

— ახლა რაღას იქ? ხომ ნახე, რომ მე არა მგავს.

— შენ რა? ის რაღა კარგს შვრება, ხორცით დაღუპულმა, სულიც უნდა დაიღუპოს.

— მაინც კიდევ ბარაქალა, ქალო, თუ დაიღუპა, ისე მაინც, რომ უმტროს თავის მტერს!

— ახლა რით უნდა უმტროს ვითომ, თუგინდ ჩვენი ხელობა ისწავლოს?

— მაშ, არას ასწავლი?

— არა, მე იმედი მაქვს, რომ ამ ერთ წელიწადს დაავიწყდეს თავის განზრახვა და გახდეს ისევ პატიოსან დედაკაცად. იმით დაეიხსნით ჩვენ ქრისტიანის სულს ჯოჯოხეთიდგან და ღვგება იმისთვის ღმერთმა დაგვიმადლოს.

— რომ არა ქნას და მოინდომოს სწავლა?

— ვასწავლი, სულ ვასწავლი რაც-კი ეიცი და მერე თითონ იცის როგორც მოიხმარს ჩემს სწავლას. ამას გარდა, შვილო, რას გეტყვი? ეგ გოგო კიდეც გამოგვადგება ჩვენ, ხომ იცი, რომ თავადების გოგოა. ვისაც ჩვენ დავეირდებით მოასწავლის ჩვენთან და იმითი ერთ ლუკმა პურს ვიშოვნით.

სანამ ესენი ამას ლაპარაკობდნენ, გულისვარდი მივიდა შინ, შევიდა ქალბატონთან და სთხოვა განთავისუფლება.

— რათა, გოგო, განა შეგძულდი?—ჰკითხა ქალბატონმა.

— არა, ქალბატონო, ღმერთმანი, არა,—უპასუხა ვარდომ არევით.

— მაშ, რისთვის მანებებ თავს? ხომ არავინ არას გაწუხებს, ჩემო ვარდო? მითხარი, შვილო.

— არა, მაგრამ..

— მაგრამ რაღა არა, მითხარი ჩქარა, რათ გინდა განთავისუფლება.

— იქნება უფრო კარგმა კაცმა მითხოვოსო,—უნდა ეთქვა გულისვარდს, მაგრამ ტირილში ვერ გამოეთქო.

— რაო, რაო, გოგო?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა შემირთოს'—განუმეორა გულისვარდმა.

— ჰო. თუ აგრეა, ხვალვე თავისუფალი იქნები. მაგისთვის რას სტირი, ტუტუცო? ამაღამ ბატონი რომ მოვა, ვეტყვი და ხვალვე წიგნს დავაწერინებ, სად უნდა ეიხოვრო?

— ჩემ დეიდასთან.

საწყალმა გულისვარდმა ამითი დაიწყო ტყუილის ლაპარაკი. აქამდინ არც ერთხელ არ ეთქო განზრახვით ტყუილი.

მეორე დღეს განთავისუფლებული გულისვარდი მიადგა ჩვენ ნაცნობ კარს ავლაბარში და დაუწყო კაკუნი. შიგნიდან ხმამ შეიპატიჟა.

ნუ შეხვალ, საწყალო გულის ვარდო. დაიწერე პირჯვარი, ახსენე ღმერთი, შეაფურთხე ეშმაკს და გაბრუნდი უკან!

არ ესმის! ბევიდა, საწყალი გულისვარდი!

— მოვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ უნდა ვისწავლო,—უპასუხა გულისვარდმა.

— ბარაქალა, ქალო, მე არ მგვანებიხარ,—უთხრა უმცროსმა.

— ეს რაღა კარგს შვრება. ყმაწვილები ხართ ჯერ თქვენ ორთავე, საწყალებო, სისხლი გიდუღთ—უპასუხა მოხუცმა.

— კარგი, შვილო,—მიუბრუნდა გულისვარდს,—თუ არ დაგიშლია, გადმოდი ჩემთან. ღმერთმა ქნას, რომ არ ინანო ეს შენი განზრახვა.

— ხვალე გადმოვიტან ჩემს ბარგს!—უპასუხა გულისვადმა.

ამის შემდეგ მთელი ერთი წელიწადი იმსახურეს ამ მკითხავებმა გულისვარდი, მაგრამ მკითხაობისა არა ასწავლეს რა.

— ყმაწვილია, ქარი გაუვა თავიდან და მერმე კიდეც დამიმადლებს, რომ არ გავრიე ჩვენ ცოდვებში,—ამბობდა მოხუცებული, მაგრამ იმ ერთი წელიწადის შემდეგ არა სჩანდა ცვლილება გულისვარდის განზრახვებში.

ამ ერთის წელიწადის შემდეგ მოკვდა მოხუცებული მკითხავი და უმცროსი დარწმუნდა, რომ გულისვარდის დათხოვნა ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა

და ამისათვის, რაც კი რამ საიდუმლეობა ეცოდა მკითხაობისა, სულ ყველა ასწავლა და მიაჩემა კითხვა ყოველთათვის, ვინც კი მოვიდოდა საკითხავად. არ გავიდა ბევრი ხანი, რომ დაბალ ხალხში დაიწყეს ლაპარაკი ვარდუას მკითხაობაზე და აუარებელმა ხალხმა დაიწყო დენა საკითხავად.

ათ წელწად შემდეგ გულისვარდი, აჩრდილი უწინდელ გულისვარდისა დაჭმუჭნული და გამხდარი პირისახით, იჯდა ორ სართულიან, ძვირფასი ხალებით მორთულს სახლში და უკითხავდა რამდენიმე პირთ. რამდენიმე ქართველი და და კახელი თავადიშვილი, მოსულნი მხოლოდ იმისთვის, რომ ეკითხავებინათ ვარდუასთვის, იჯდენ მეორე ოთახში და ელოდნენ რიგს.

— ვინ არის შენი შეყვარებული?

ქალმა უთხრა ვინც იყო.

— ნუ სტირი, ღმერთი მოწყალეა. მოვახერხებთ, როგორმე, შეგიყვარებს შენ შენი საყვარელი, მაგრამ ქორწილში კი უნდა დამპატიჟო.

— ოჰ, უთუოდ, უთუოდ, ღმერთს გეუიცები, ოღონდ კი ამისრულო და!

გულისვარდმა აასრულა იმ ქალის თხოვნა ერთი კვირის უკან უთილისმოთ.

— აბა, მიკითხე, ჩემო ვარდო, ჩემი ალექსანდრე რასა იქს? ერთი თვეა წიგნი არ მომსვლია,—ეუბნებოდა ვარდუას უწინდელი იმისი ქალპატონი, რომელმაც, შემდგომ ვარდოს ხელობის შეტყობისა, არა თუ აიყარა სიყვარული, არამედ სიყვარულინ იგრძნო იმნაირი შიში იმისი, რანაირათაც ეშინოდა ქრმისა .

ვარდუამ გაშალა ქერი.

— ალექსანდრე, ქალბატონო, ეხლა ცხენზე ზის და ჯირითობს. აი მეფეც იქ არის და უყურებს ყმაწვილების ჯირითობას. აი ალექსანდრემ გააჭენა ცხენი. ჰო, ბარათაანთ თეიმურაზი გამოუდგა, ესროლა ჯირითი. ყოჩაღ ბატონო! ჯირითი დაიჭირა და გააბრუნა ცხენი. გააჭენე თეიმურაზ, ცხენი გააჭენე! მოვიდა, მოგეწია, ბატონო! აი მეფემ აქო ალექსანდრე. ქალბატონო! უყურეთ მეფემ აქო ალექსანდრე. სხვა რაღა გინდა?

--- არაფერი, შვილო, მადლობელი ვარ!—განცვიფრებულმა უთხრა ვარდოს.

მე აღარ შეგაწყენთ თავს გულისვარდის მკითხაობითა. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ვარდომ ამ დროს შეიტყო ბევრი იმისთანა, რაც იყო შესარცხვენელი კაცთა ჩამომაელობისათვის.

გავიდა კიდევ ათი წელიწადი. ათი წელიწადი ხუმრობაა? ათი წელწადი! ამ ათ წელწადში დაიხოცნენ ბევრი მათგანი, ვისთანაც გვქონდა ჩვენ შემთხვევა გაცნობისა ამ მოთხრობაში, დარჩნენ მხოლოდ თავნი პირნი: დურმიშხანი თავის ცოლშვილით, ესე იგი ერთი შვილით და ვარდო თავის განთქმული მკითხაობით, დარჩნენ ისე, როგორც ორი ფალავანი შუა მოედანზე, მომზადებულნი დასაჭიდავად.

ვნახოთ ვინ ვის ძოერევა.

VI.

აპრილის საღამოს ის იყო ჩავიდა მზე სურამის გორის იქით და იქიდან შადრევანივით ისვროდა სხივებს, რომელნიცა ერეოდნენ რა ჰაერს, ხდიდენ იმას ცეცხლის ალივით. ბუნება, გართული მზის სალამში, არც ერთი სიოთი არ შეარყევდა ფოთოლთა. აქა-იქ მოდიოდა მხოლოდ ჭიკჭიკი ყოველთვის მოუსვენრად მოჭიკჭიკეთა, რომელნიც ღამისთვის ეძებდნენ მოხერხებულ საჯდომსა და ამიტომ ერთმანეთს ართმევდნენ ალაგებს. მენახირეებმა ის იყო ტყიდან გამორეკეს ნახირი შოლტის ტლაშა-ტლუშით და სიმღერით მოერეკებოდნენ შინ. ნახირი მოდიოდა შინ გაჩქარებული, ჩუმათ, მხოლოდ აქა-იქ კი შეღლავლიდნენ ხოლმე დროითა და და დროით ძროხები, თავიანთი ხბორების მკტის ძეტისმეტი სიყვარული რომ მოაგონდებოდათ ხოლმე მაშინ. რამდენსამე დედაკაცს მხარზე ედგათ კოკები და დამწკრივებულნი მიეშურებოდნენ წყალზე დუმილით.

ამ დროს დურმიშხანის სახლის გვერდით მწვანე ხავერდივით მინდორზე ძვირფასი ხალი იყო გაშლილი და იმაზე იყო წამოწოლილი ჩვენი დურმიშხანი. ცოტათ მზისაგან გაშავებული და ხმელი პირისახე, აგრეთვე ძარღვიანი ხელები და სრულებით გამხდარი ტანი ჩვენებდნენ. რომ ის კაცი არ იყო შინ ჯდომას მოყვარე. ხოლო რამდენიმე ხაზი პირისახეზე, ჭაღარა თმაში და ულვაშებში უმოწმებდნენ, რომ ის არასდროს არა ყოფილიყო უსაქმო და დაესვა იმაზე თავისი ბეჭედი. მაგრამ რასაკვირველია, ასე ჩვენ ვხედავთ დურმიშხანს თითქმას ოცი წლის შემდეგ.

დურმიშხანმა ის იყო მოსწია ერთი ჩიბუხი მშვენიერი სტამბოლის თამბაქო, გადააგდო ჩიბუხი იქით, გადაბრუნდა გულაღმა და დაუწყო ყურება მოწ-

შენდილ ფირუზივით ღია ლურჯ ცას. იმან უყურა, უყურა ცას და ჩაფიქრდა. იმას მოაგონდა თავის სიკმაწვილე, როდესაც დადიოდა კონკებში და ყველა მსახური სცემდა თავში, ძოაგონდა შემდეგ პირველი გაცნობა გულისვარდისა, იმისი სიყვარული.

— რა ძლიერ ვუყვარდი საწყალს! — ფიქრობდა დურმიშხანი — ის რომ არა ყოფილიყო, ხომ არ გამანთავისუფლებდა ბატონი. რა კარგად მოვიქეცი, რა ნაირად ვაჩვენე თავი, რომ ვითომ მიყვარდა, მაგრამ ღმერთმანი ღირდა სასიყვარულოთ. რამდენი ვატყუე საწყალი, რომ მოვალ-მეთქი. მართლა, ფულს რომ დავპირდი უკანასკნელ წიგნში, რატომ არ გიუბზავნე? ეჰ, რათ უნდა ფული, ჩვენთვის უფრო საჭიროა. ნეტა სად იქნება საწყალი? ვინ იცის როგორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა. ნეტა მომიგონებს ხოლმე კიდევ? მომიგონებს კი არა და მგონია ერთმა ბიჭმა ვინმემ შეირთო და შკილებით აივსო. სად ეცლება ჩემ მოსაგონებლად... საწყალო ოსმან-აღა! აბა თუ ერთი სანთელი აუნთე! სორცხვილი შენთვის, ჩემო თავო! იმ საწყალმა ნახევარი თავის ქონება მოგცა, იმის წყალობით ხარ ასე ბედნიერი! რავქნა, ღმერთმანი, ფული კი არა მშურს, მაგრამ მოცლა არ არის. რა ვუყო. ვეუ! რა საშინელი იყო საბრალო მოსაკლავათ რომ მიჰყვანდათ; რანაირად შემომხედა, თითქო მეხვერწებოდა რასმე. რა იქნებოდა რომ დამემარხა? მე და ჩემმა ღმერთმა, არ ვემართლება...

— მამაჩემს ვახლავარ, — უთხრა ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც ის იყო ოთახიდა საიდანღაც და შორიახლო ჩამოხტა ცხენიდან.

— ოჰ, შვილო ზურაბ, შენ?! — წამოიძახა დურმიშხანმა, წამოხტა ყმაწვილივით და აკოცა პირზე. — რასა იქ, შვილო, ხომ კარგათ ხარ?

— კარგათა ვარ. დედა სად არის?

— აქ არის. ჯერ არ გინახავს?

— არა, პირდაპირ შენთან მოვედი.

— ბარაქალა, შვილო! ყოველთვის წინ მამა უნდა გაახარო ხოლმე. სხვა რა ამბავია, როგორ რასმე მოიარე, როგორ რასმე დახვალ ამხანაგებში?

— ნულარ მეტყვი, მამავ! ალარ შემიძლიან ამ საშინელ ამპარტავან თავადებში ცხოვრება.

— რა არის, რას გიშლიან ისინი?

— რაღა რა არის? ხმას ამოვიღებ, ან ხუმრობაში, რაშიმე გავერევი იმათში, მაშინვე ჭირისავით მომშორდებიან ხოლმე და დაიწყებენ ბუტბუტს; „კუმ ფეხი გამოჰკო, მე-ც ნახირ-ნახირაო“...

— რატომაო? რითა გჯობიან შენ ისინი; შეძლებით, სილამაზით, გაზრდილობით თუ ვაჟკაცობით?

— არც ერთით.

— მაშ რა უნდათ? რითა გჯობიან?

— ჩამომავლობით.

— ჰმ, ჩამომავლობით... ჩამომავლობით. — ჩაფიქრებით გაიმეორა დურმიშხანმა — აბა ერთი ჰკითხე იმათ, იმათგან თავის ‘კაცობით ვინ იშოვა ყმა და მამული? ვინ იშოვა იმდენი ფული, რომ რომელიც უნდა თავადიშვილის მამული იყიდოს?

დურმიშხანი თავის გამდიდრებას აწერდა მხოლოდ თავის ვაჟკაცობას.

— მაგას არა ფიქრობენ,—უპასუხა ზურაბმა.

— შენი ვალია, რომ ჩააგონო. იმათი მამები არ არიან, რომ მეხვეწებიან ხოლმე შვილის მონათელას, იმისთვის რომ ელიან კარგს კუნკულას. როცა ფული სჭირდებათ, დაბლა მიკრავენ თავს? მოიცადონ! შენ ეს მითხარი, მეფემ -ვერსად შეგნიშნა?

— ვერსად. არსად არ მოხდა იმისთანა შემთხვევა მაგრამ ეხლა რაღაცას იძახიან, ვითომ ომი იქნებაო. აბა, მაშინ შევიტყობთ, ვინ კუ ყოფილა და ვინ ლომი.

— შენ კი გენაცვალე, შვილო! იმედი მაქვს, შვილო, რომ მამა შენს არ შეარცხვენ, მაგრამ ეს რა სთქვი! ომი!? ვისთან უნდა იყოს ომი!?

— არ ვიცი; მგონია, რომ ოსმალებთან უნდა იყოს, მაგრამ სწორეთ არავინ იცის რა.

— ეგ ევრაფერი ამბავი მოიტანე, შვილო. შვილო, ომი ვაჭრობის მტერია. უეცრათ რომ ომი მოხდეს, დავიღუპებით.

— აი აკი გითხარი, თითქო მე ვიყო ომის მიზეზი, იმნაირ საყვედურს მეუბნები.

— კარგი, კარგი, ბარაქალა!—და დურმიშხანი დაღონდა. დაინახა რა ეს ზურაბმა, გამოესალმა და წავიდა დედასთან. დურიშხანმა, რომ შეხედა მიმავალ ზურაბს და დაინახა მშვენიერი ვაჟკაცის ტანი, სიამპარტავნით გაიღიმა.

— რასაკვირველია, შეიშურებენ ჩვენი თავადიშვილები! ვინ იქნება იმათში ჩემი ზურაბისთანა?—სთქვა სიამაყით დურმიშაანმა თავის გულში და შემდეგ დაიწყო ფიქრი თავის ვაჭრობის საქმეზე—ეს კი ავი ამბავი მოიტანა ჩემმა ბიჭუნამ! თუ ხვალვე არ მიეშველე ჩემ ქონებას, სულ დავიღუპები. აბა მაშინ ნახე დურმიშხანის აზნაურიშვილობა!

მეორე დილით დურმიშხანი ადგა ადრე, გაიყოლა თავისი ოსმალთაგანი სამი ბიჭი და გასწია სტამბოლისკენ.

მიდის დურმიშხანი ქონების შესაძენად; ის კი არ იცის, რანაირი უბედურება გროვდება იმის თავზე.

ბევრი დრო აღარ გასულა დურმიშხანის წასვლის შემდეგ, რომ მეფემ დაიბარა თავისი პირველი ვეზირი და უბრძანა საქართველოს საზღვრების გასინჯვა ოსმალოს მხრისკენ და, საცა საჭიროდ ჰპოვოს, ააშენოს ციხეები. ვეზირი წამოვიდა, გასინჯა საზღვრები და სხვათა შორის ჰპოვა ციხის აშენების საჭიროება სურამში. ძაშინვე საჩქაროთ მოაგროვეს მასალა, დასწვეს კირი და შეუდგნენ შენებას.

— აბა და ახლა თუ იქნება რამე, უთუოდ უნდა გამოვიჩინო თავი,—სთქვა ზურაბმა და ამ აზრით მიაშველა რამდენიმე ურემი. მაგრამ საკვირველი იყო, რამდენჯერაც აიტანეს ციხის კედლები ერთი ხუთიოდ ადლამდე, იმდენჯერ იქექა და გასკდა შუაზე; რაღაც ავი სული უშლიდა იმ ციხის გაკეთებას. მღვდელს ახდევინეს პარაკლისი, მაგრამ მაინც კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ გასკდა კედელი. უკანასკნელ ყოველი ღონისძიება მოიხმარეს, მაგრამ არაფრით არ, იქმნა რა; კედელმა თავისი არ დაიშალა. რა ქნან?!

საც კი მოუნდებოდა რამა. რასაკვირველია, თუმცა დაკარგულად არა ვრიცხავ ჩემს ეაცემულებსა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისევ ნაღდი სჯობია იმას.

— ცხონებით გამიძღები, რაც შენ ხელი და გული ღია გქონდეს!... მაშ ჩემთვისა გაქვს თვალები დაბრმავებული და გული მოხურული?... ერთხელ ერთი ბეჭედი არ ვიცი შენგან. მაშ ისევ მე უფრო გამფთხილებელი ვყოფილვარ შენზედ. მე კიდევ მეპოება ათ თუმნამდინ.

— ათი თუმანი! მითომ ზღვაში ერთი კაპლი მეტი ყოფილა; ეგ სულ ერთია, მითომ სულ არა გქონია რა, ჩემო თვალის სინათლევ; მაგრამ თუ შენ ერთ რაშიმე შემეწევი, ჩვენ კიდევ შეგვიძლიან ბედი დავიმეგობროთ. გამიგონე ლამაზო, აქეთ მოიწიე, ყური არავინ მოგვიგდოს... შენ უნდა იცოდე, რომ ჩვენი ბატონი ოთარი ძალიან ძაღლი კაცია; იმასა სურს, შეიტყოს, მართლა ცოლი ატყუებს იმას თუ არა. იმან გამომგზავნა მე აქა, იმიტომ რომ მე აქ უთვალთვალო ყველასა და რაც მოხდება, ანუ რასაც ვნახავ, იმას მოვახსენო ხოლმე. თუ რომ წარუდგენ ბატონს ოთარსა საბუთს რასმეს იმაზედ რაზედაც ის ეჭვში არის, მაშინ მივიღებ იმისაგან, ოც და ათ თუმანს საჩუქარს, დანაშთენის წყალობის გარდა... ახლა, ჩემო სიცოცხლევ ალვისსახარ, შენზედ არის დამოკიდებული მივიღოთ ის ფული და რაკი ამას მიუმატებთ შენს ოც და ათს თუმანსაცა...

— მე ოც და ათი თუმანი არ მითქვამს და არცა მაქვს მეთქი! ათი თუმანი მხოლოდ.

— შენი ათი თუმანი და ისიც ოც და ათი, შეადგენს ორმოცსა, ჩემო ბედის ვარსკვლავო, ჩვენ შევიძლებთ ჯვარის წერასა და შემდეგ ვაპრობასაცა.

რა ეს თანხები მოისმინა მარტირუზასაგან, მაშინ ჭკუა მსუბუქმა და ანგაარმა ალვისსახარმა მოუთხრო მარტირუზას თავის ქალბატონზედ ყოველი, რაც კი იცოდა რამ, და იცოდა ამან მეტად ბევრი, ამიტომ რომ ანუკას განსაკუთრებით უყვარდა იგი და განუშორებლივ ამას იმსახურებდა ხოლმე. სხვათა შორის ალვის სახარამ უთხრა ისიც, ის თავის ჩვეულებრივ კარებიდგან ყურს უგდებდა და შეიტყო, რომ ქალბატონი ხვალ თუ ზეგ აპირებს ცისკარზედ გაენდოს ზაქარია დეკანოზსა.—მარტირუზამ იცოდა უკვე უფრო მეტი -იდრე რაც საჭირო იყო; მაგრამ ეს გოგო არა ჰსცხრებოდა ყბედობისაგანა, ვითარც ზოგი ერთი ბლიაძენი, რომელნიც ერთის შაურისათვის დაიწყობენ და ერთ მანეთით აღარ გაათავებენ.— რა მარტიუზამ ნახა, რომ იმისი ყბედობა აღარა ღირდა ყურის გდებათა, მან დაიწყო თვლემა, და ალვისსახარი მხოლოდ მაშინ გაჩუმდა, როდესაც მას შემოესმა ხვრინვა თავის საქრმოსი.

— ეხლა რომ ამას არ ესიამოვნება ჩეჩი ლაპარაკი და ხვრინვა ამოუშო, როცა ჯვარს დაიწერს ჩემზედ, მაშინ რაღასა იქს? სთქვა ალვის სახარამ თავისათვის და გაჯავრებულმა რა ერთი კარგად უჩქმიტა მძინარეს, გავიდა იმ სახლიდგან.—

ღამე იყო წყნარი და ნათელი; ამ მშვენიერს ღამეს ერთი კაცი ფრთხილად მიიპარებოდა გრემის ეიწროს ქუჩებში, მთავარ ანგელოზის ეკკლესიისაგან, და რა შემოუხვია საყდრის გალავანსა, მივიდა ერთის სახლის კარებთან, რომელიც დააკაკუნა მან ჩუმად; გავიდა რამდენამე ხანი და ხმა არავინ გასცა; მერმე განიმეორა კარის კაკუნი უძლიერესად.

— მაშ, რა ვქნა, რა უთხრა ვეზირს?

— უთხარი, რომ თითონ მოვიდეს. საჭირო არის თქო!

ყმაწვილი მაშინვე შეჯდა ცხენზე და გასწია უკან.

გულისვარდი ჩაფიქრებული შევიდა შინ და მლოდნელი ყველანი დაითხოვა უთხრა, რომ მისულიყვნენ ხვალ. იმავე დღეს გავარდა ქალაქში ხმა, რომ ჯარიდან მოვიდა კაცი ვარდოსთან საკითხავად და იმის შემდეგ ვარდუა დაჯავრიანდაო.

— აბა, ჩემო თავო,—ფიქრობდა ვარდო,—აბა ეხლა მოვიდა დრო შენი შურის ძიებისა... აბა თუ შეგიძლიან რამე, ახლა შეეტყობა. ჰოი, წყეული იყავ დურმიშხან! რისთვის დამლუპე მე საწყალი! რა გინდოდა ჩემგან, რა დაგიშავე, რისთვის ჩამაყენე ამ მდგომარეობაში!? საწყალო ჩემო თავო! დალუპულო ხორცით, სულითაც უნდა დაიღუპო,—და დაიწყო საწყალმა ტირილი მწარეთ.—აი შე ლაჩარო, ჩემო თავო! შეგეშინდა?—ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარაკი:—აბა შენი გულის მკვლელი ჩაგივარდა ხელში, აბა რა წვალებას მოუგონებ. იმის სიკვდილი? ცოტაა მაგისთვის. დეე ეწვალოს ისე, როგორც მე ვეწვალე ამ ოც წელიწადში.

როგორც-კი მოიხსენეს ამ მკითხავის პასუხი, ვეზირი მაშინვე შეჯდა ცხენზე და შინაც აღარ მიბრუნდა, ისე პირდაპირ მივიდა ვარდოსთან.

— აბა, ჩემო საყვარელო, მიკითხე რა უნდა ვქნა?

— შენ ბრძანდები ვეზირი?—ჰკითხა იმას ვარდომ.

მე ვარ.

— აბა თუ შენ ბრძანდები და პასუხის გებაც შენ გაქვს ბევრი. საწყალო ბატონო! რა ავ დროს გრგებია შენ ვეზიროობა. ღმერთო, რას ვხედავ! წყეულო უსჯულონო, სად მოსდიხართ, რა გინდათ ჩვენი საწყალი საქართველოსაგან? ღმერთო! რა დავაშავეთ და რა შეგცოდეთ, რისთვის გვსჯი ასე საშინლად? ვაი ვაი, რამდენი მოდის! ღვთის მშობელო დედაო, შენ დაგვიხსენი. ღმერთო! ჰხოცენ, აი დედებს ართმევენ შვილებს და ქათამივით ჰკლავენ. ნუ მისცემ, საწყალო ქალო! ნუ მისცემ შენ შვილს. ოჰ! წაართო წყეულმა, უშველე, ბატონო უშველე თორემ დავიღუპებით!

— რა ვქნა, მითხარი?—ოცნებით უთხრა ვეზირმა.

აი ეხედავ,—განაგრძო ვარდომ:—უსჯულოთ ჯარი შემოეხვია ჭიანჭველასავით სურამის ციხეს. ჩქარა, ჩქარა ააშენეთ, მხოლოდ ის დაიკერს ჯარს. თუ რომ ის არ არის, აქ მოვლენ. ღმერთო, რა მოგვივა მაშინ! შენი წვრილ-შვილი მაინც შეიბრალე, ბატონო, შენი წვრილ-შვილი, ნუ დაახოცინებ უსჯულოთ,—და ვარდომ დაიწყო ტირილი.

მართლა ტიროდა თუ ტყუილად, არ ვიცი. ოცდაერთ წელიწადში ისწავლა ისეთი აქტიორობა, რომ ღმერთმა შეარცხვინოს იმასთან ეხლანდელი განთქმული აქტიორები.

— რა ვქნა? რა უნდა ვქნა? მითხარი ჩქარა უთხრა ვეზირმა.

— უნდა როგორმე ააშენო სურამის ციხე.

— აკი ვაშენებ, მაგრამ მექცევა და რა ვუყო?

— ამოყარე ის საძირკველი, რომელიც ჩაგიყრია, ორ ადლზე კიდევ მოთხარე, გაანათვლინე ლედელს, მაგრამ... ამას რას ვხედავ? ღმერთო, შენ დამიხსენ! ბატონო! ჰოი წყეული იყოს ის დღე, რა დღესაც მე მკითხაობა დავიწყე! ბატონო, ნუ გაიგონებ, რასაც გეტყვი. არა; გაიგონე, კარგა ყური დამიგდე, რასაც გეტყვი, საჭიროა რომ იცოდე. იმის ასრულებაზე ჰკიდია საქართველოს ხსნა, საქართველოს გამარჯვება.

— მითხარი, შენი ღვთის გულისთვის, მითხარი ჩქარა!

— ციხეში, ხურდის მაგიერად, დედის ერთა ვაჟი უნდა დაატანოთ: დურმიშხანის ვაჟი, ზურაბი.

— როგორ თუ ვაჟი?! როგორ თუ ზურაბი?! რას ამბობ. დედაკაცო?!— შეკრთომით ჰკითხა ვეზირმა.

— ზურაბი! დიახ ზურაბი უნდა დაატანოთ კედელში! უიმისოთ კედელს ვერ ააშენებ! ჰოი, დედამიწავ, გასკდი და ჩამიტანე, რომ ამისთანა სიტყვა ჩემი პირიდან ამოვიდა! შე საწყალო, დედაჩემო, რათა მშობე ქვეყნის საწყეად?!

— რათა, დედავ, შენ რასაცა ხედავ, იმას ამბობ. შენი რა ბრალია,— დაღონებით უთხრა ვეზირმა და საშინლად ჩაფიქრებული გამოვიდა იქიდან და, შინაც აღარ მიჰხედა, ისე წავიდა უკან.

— კარგს ძღვენს არ მოუტანს ჩემს დურმიშხანს ვეზირი! ნეტავი იკითხოს მაინც, ვინ გაუგზავნა. დეე გაიგოს, რაც შეუძლიან საწყალ გოგოს. სუ, ჩემო გულო! ოცი წელიწადი მეტია ღმერთს გავეყარე, რას მაშინებ მე იმით!

VII.

მიდის ჩვენი ვეზირი სურამს საშინლად ჩაფიქრებული და დაღონებული. მზე-კი მხიარულად იყურება, თითქო იცინის კაცის მწუხარებაზე, ვითომც არაფერი კავშირი არა აქვს კაცთ ცხოვრებასთან. ვეზირი რომ მივიდა სურამს, იმავ დღეს გასცა ბრძანება, რომ იმავე დღეს ძველი საძირკველი ყოფილიყო სულ ამოყრილი და საძირკველი ამოთხრილიყო კიდევ ორ ადლზე. ბრძანება რასაკვირველია, მაშინვე აღასრულეს და მეორე დღეს, შემდგომ პარაკლისისა, ჩაყარეს ახალი საძირკველი და ამოიყვანეს მიწის პირად. საქმე მივიდა იქამდინ, როცა ვეზირს უნდა გამოეცხადებინა უკანასკნელი რჩევა მკითხავისა.

ძნელია ოდესმე ვალდებულება უპირატესთა ამა ქვეყნისათა! რა სიხარულით დაუტოვებდა საწყალი ვეზირი თანამდებობას. ოღონდ-კი იმას ნუ გამოაცხადებინებდნენ და ნუ გარევდნენ ამ საშინელ საქმეში! მაგრამ რა ჰქნას? მამული არის განსაცდელში, ჩუმად უნდა იყოს გული. სჯობს ერთი მოკვდეს მამულისათვის, სანამ დაიხოცნენ ათასნი. ამ ფიქრებით გამაგრებულმა ვეზირმა დაუძახა ოსტატებს.

— რასაც გიბრძანებსთ თქვენ ბერო, უნდა აასრულოთ დაუყოვნებლადა,— უთხრა იმათ—ვინც ჩაფიქრდება, ან აუკანკალდება ხელი ასრულების დროს, ის მაშინვე ჩემი ბიჭებისაგან მოიკვლება. გესმით?

— გვესმის, შენი ჭირიმე,—უთხრეს ოსტატებმა.

— წადით, ახლა ამის მეტი სათქმელი არა მაქვს-რა. შენ კი, ბერო, აქ მომიცადე—უთხრა ვეზირმა ოსტატების უფროსს.

— მიბრძანე, შენი ჭირიმე.

— სასიამოვნოს არას გეტყვი, ჩემო ბერო,—უთხრა იმას ვეზირმა—რაც უნდა გითხრა, ისე საშინელია, რომ ვერც-კი მითქვამს.

— რა უყოთ, შენი ჭირიმე! სასიამოვნოა თუ არა, მიბრძანე, შენი ჭირიმე, და თუ იმისი ასრულება ჩემზე ჰკიდია, კარგათ მოგეხსენება, რომ თავს არ დავზოგავ.

— კედელში ცოცხალი კაცი უნდა დავატანოთ! — სიჩქარით სთქვა ვეზირმა.

— ნუ მიბრძანებ! შენი ჭირიმე,—შეკრთომით წამოიძახა ბერომ.

— რა ვქნა, ძმაო, მამულის კეთილ-მდგომარეობა მოითხოვს ამ მსხვერპლს, უმისოთ ციხეს ვერ ავაშენებთ. ერთი სიტყვით, მზათ იყავი! ახლა-კი წადი.

— ღმერთო! ცოცხალი კაცი კედელში!—ჩაფიქრებით სთქვა ოსტატმა, გამოდიოდა რა ვეზირის ბინიდან.

ვეზირმა კი დაიბარა ვინც თავადისშვილები იყვნენ და გამოუცხადა რა ყოველივე, იმათაც უბრძანა რამდენსამე, რომ იმათ მიეყვანათ საცა უნდოდათ ზურაბი, ხელი ეტაცნათ, შეეკრათ და მიეცათ კალატოზებისათვის. ხოლო სხვებს უთხრა, რომ ამ დროს ჯარი მზათ ყოფილიყვნენ და შემოხვევიყვნენ იმ ადგილს, საცა მოხდებოდა ეს საქმე.

შემდგომ რამოდენიმე ხანისა ზურაბი მკვდარივით ყვითელი, ხელებშეკრული იდგა კედელში და კალატოზები სიჩქარით აშენებდნენ იმის გარშემო კედელსა.

— ღმერთო! რა დავაშავე, რისთვის მმარხავთ ცოცხალს!—დროითა და დროით ამოიძახებდა ხოლმე ზურაბი დაოსებულის ხმით.

კეთილი თქვით, თორემ ავი ხმა ჩქარა გავარდება ხოლმე ქვეყანაზე. ზურაბი არ ამოეშენებინათ მუხლამდის, რომ იმისი დედა მორბოდა ციხისკენ, თმა-გაშლილი.

— არიქა, მაგრა შეკარით, არ დაანახოთ საწყალ დედაკაცს!—დაუძახეს ჯარს.

— გამიშვით, თქვენი ღვთის გულისათვის, გამიშვით! შვილო ზურაბ, სადა ხარ? ვის რა დაუშავე, რას გემართლებიან, გენაცვალოს დედა! გამიშვით, ქრისტიანი ვინა ხართ, ჩემ შვილთან! იმასთან დამმარხეთ, იმასთან მომკალით!

— ნუ გეშინია. დედი, არ მოჰკლავენ; გულადობაში უნდა გამოსცადონ!—უთხრა ერთმა ჯარის კაცთაგანმა დაღონებით.

— გამიშვით ჩემ შვილთან! გამიშვით ჩემ ზურაბთან!—იძახოდა ზურაბის დედა და მიიწევდა იმისკენ.

ზურაბმა გაიგონა დედის ხმა:

— მიშველე, დედი! შენს ზურაბს ცოცხალს მარხავენ!—დაუძახა დედას ზურაბმა.

— შვილო, ზურაბ, სადამდინ?

— ვაიმე, დედავ, მხრებამდინ!—უპასუხა ზურაბმა.

— კარგი! არ ეყოფა? არ შეიტყვეთ იმისი გულადობა? მომეცით შვილი, მომეცით ჩემი ზურაბი! შვილო ზურაბ, სადამდინ?

— ვაიმე, დედავ გავთავ...—აღარ დაასრულებინეს და მსწრაფლ დააყარეს რამდენიმე თაბახი კირი.

— ვაიმე! —შეჰკივლა ზურაბის დედამ და მკვდარივით დაეცა დედამიწაზე.

გულ შეწუხებული წაიღეს საწყალი შინ და თითქმის სამი საათის შემდეგ ძლივს მოაბრუნეს გულწუხილიდგან.

— ახ, ნეტავი-კი მომაგონა! რაღაც დამავიწყდა—ქა!—სთქვა საწყალმა ზურაბის დედამ, გულისწუხილიდგან რომ მობრუნდა, გაიღიმა ერთი იმ ღიმილით, რომელიც ტირილს უფრო მიემსგავსება, სანამ სიცილს. საცოდავი შეცდა ჭკუაზე!

— შე საწყალო, რაღა უნდა მოგაგონდეს, შენი ზურაბი ცოცხალი დამარხეს!—დაიწყო ერთმა მოხუცებულმა დედა-კაცმა და შემოსძახა ტირილით.

— ახ, ნეტავი-კი მომაგონა—და!—სთქვა ზურაბის დედამ და თავის ამღვრეული თვალებით უაზროთ შეხედა იმ მოხუცს.

ამ დროს დურმიშხანი მოდიოდა შინ ფრიად დაღონებული, თუმცა-კი არა ჰქონდა იმას სწორე მიზეზი ჭმუნვისა. სასარგებლოთ გაათავა თავისი ვაჭრობა, ჯიბე აივსო ფულით, მიდიოდა ცოლშვილთან, რომელიც ძლიერ უყვარდა, უმეტესად შვილი. ვგონებ, რომ არა ჰქონდა მიზეზი ჭმუნვისა, მაგრამ ამბობდნენ გულთმისანიაო.

დურმიშხანი რომ მოუახლოვდა სურამს და დაინახა სურამის ციხე თითქმის გათავებული, სთქვა თავის გულში:

— ეტყობა აღარ ხუმრობენ, შენმა მზემ! შეხედეთ, რამოდენა ციხე აუშენებიათ, ეტყობა საშინელი ომი უნდა იყოს. ახლა თუ გინდ მთა-მთას ეხალოს, მე ჩემი საქმე გავათავე. ნეტავ ვინ იქნება ამ ციხის კეთებაზე ზედამხედველი? ნეტა ზურაბმა დაჰპატიჟა? უნდა ეთხოვნა ჩვენსა დამდგარიყო, შემდეგ გამოადგებოდა; მაგრამ უჩემოდ ვერ გაბედავდა. ჯერ ყმაწვილია, არ იცის ანგარიში. ეხლა მე რომ მივალ, ჩემს მისვლაზე გავაკეთებ სადილს, დავპატიჟებ და გავიცნობ, ვინც გინდა იყოს. ერთი კარგი სტამბოლური ნიეთი რომ მივართო ფეშქაშათ, მაშინ ხომ სულ დავავალებ.

ამ ფიქრებით დურმიშხანი მიადგა თავის სახლს. მოსამსახურეებმა და რამდენთამე კაცთა იმ სოფლის მცხოვრებთა, დაღონებით მიიღეს ის. რა არის ეს? უწინ რომ მოვიდოდა ხოლმე, სულ ყველანი დიდი და პატარა მოეგებებოდნენ იმას მხიარულად; არ იცოდნენ, ვის ცხენი გამოერთო, ვინ მიშველებოდა ცხენით ჩამოსვლის დროს; ახლა-კი, თუმცა მიეგებნენ, მაგრამ რა არის ეს კაეშანი? დურმიშხანმა რომ დაინახა ეს, თავზარი დაეცა, ის დარწმუნდა რომ სახლში მომხდარიყო უბედურება რამე.

— რა ამბავია, ხომ მშვიდობაა შინ?—ჰკითხვა იმან მიმგებთა შეკრთომით,—ჩემი დედაკაცი სად არის?

— მიბრძანდით, შინ გახლავთ! უპასუხეს მათ დაღონებით.

დურმიშხანი შევიდა შინ სახლში, დედამიწაზე გაშლილ საფენზე ისხდა რამდენიმე მოხუცებული დედაკაცი შავებით და შუაში უჯდა დურმიშხანის ცოლი. უკანასკნელი იყო გართული რაღაც აზრში, სჩანდა, რომ ცდილობდა რისღაც მოგონებას. აქეთკენ იდგა მღვდელი შავი ოლარით და ჯვრით.

დურმიშხანმა რომ დაინახა ყოველივე ესე, გახდა მკვდარივით, საშინელმა სიყვითლემ გადაჰკრა პირისახეზე და დასუსტებული მიეშო ტახტზე.

— რა არის ჩემ თავს? მითხარით ჩქარა!—წამოიძახა ტირილით,—მითხარით ჩქარა, ნუ მიკლავთ გულს!

იმას კიდევ რისიღაც იმედი ჰქონდა. როგორღაც დარწმუნებული იყო, რომ ეს უბედურება არ ეკუთნოდა იმის ზურაბს...

დედაკაცებმა უთხრეს ტირილით ყოველივე სიმართლე და დურმიშხანი იმ წუთს მოხუცდა თითქმს ათის წლით.

— დედაკაცო, რა უყავ ჩემი შვილი?! რა უყავ ჩემი ზურაბი? რატომ იმასთან არ მიკვდი, შენ საყვარელ ზურაბთან! ვაიმე, შვილო, ზურაბ! ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლეე! იქნება ამბანაგებმა გიმტრეს, შვილო, შენ ისე სჯობდი იმათ, შვილო! რატომ არ უთხარი, რომ მოხუცებული მამაშენი მოეკლათ, შენთან რა უნდოდათ, ჩემო თვალის სინათლეე! ვაი, ჩემს დღეს!

— გამხნევდი დურმიშხან,—დაიწყო დარიგება მღვდელმა,—შეხედე შენ მაცხოვარს, რამდენი ტანჯვა მიიღო შენთვის, მოიგონე, რომ არის სხვა სიცოცხლე,—სიცოცხლე საუკუნო, სადაც ნახავ და ყოველთვის ერთად იქნებით შენ ზურაბთან.

— დედაკაცო! რა უყავ ჩემი ზურაბი, რატომ არ გაუფუთხილდი: მითხარი ჩქარა: სად არის ჩვენი ზურაბი?—ტირილით ჰკითხა ცოლს დურმიშაანმა და გამოსწია კაბის სახელო.

— ახ, ნეტავი მომაგონა! დამავიწყდა, რაღაც უნდა მეთქო,—უპასუხა იმან და შეხედა თავისი ამღვრეული თვალებით.

— ვაიმე ოჯახო დაქცეულო!—განაგრძობდა დურმიშხანი,—ეს რა მომსვლია! ვის რა ვაწყენინე, რატომ მე არ მომკლეს, რატომ მე არ წამართვეს ჩემი სიმდიდრე, იმან ვის რა დაუშავა, უმანკო მტრედმა. ვაიმე შვილო, ზურაბ! რათ მოვადგა, შვილო, ეს დღეს?! სწორე სიკვდილი არც-კი გეღირსა, სწორე დამარხვა. ცოცხალი დაგმარხეს, შვილო! ვაიმე ჩემს სიცოცხლეს!

— კარგი, გეყოფა დურმიშხან, განა არ იცი, რომ მწუხარებით არას მოუმატებ!—არიგებდნენ იმას რამდენიმე პირნი.

— დაიცა, შვილო, თუ ცოცხილი ვარ, ვიპოვნი შენ მტერს, ვიპოვნი მას, ვინც ეგ დღე დაგაყენა და ვაი იმის სიცოცხლეს.

— მაცხოვარი ჩვენი გვიწერს მტერთა მიტევებას,—უთხრა მღვდელმა,—თვითონ მოგვცა მისი მაგალითი; ის ჯვარზე ლოცულობდა თავის მტერთათვის.

მაგრამ მღვდლის სიტყვანი აქ იყვნენ ამაო, იმ დროს დურმიშხანმა დაიწყო ფიქრი, რომ ხვალვე უნდა წასულიყო იმ მკითხავის მოსაძებნათ, რომელსაც მიეცა ის საშინელი დარიგება ვეზირისათვის, რომლისაც მსხვერპლი გახდა იმისი ზურაბი, და იმისათვის გამოეკითხა ამისი მიზეზი.

მართლა-და არც იგლოვა ჩვენებურად, არც საყდარს გავიდა ჩვეულებრივ, როგორც ეკუთნოდა დარბაისელ ოჯახის შვილს, არც წირვა უყო თავის ზურაბს, დურმიშხანი ისევ შეჯდა მეორე დღესვე ცხენზედ და გამოსწია აქეთკენ. როგორც-კი ჩამოვიდა ტფილისში, მაშინვე იკითხა ვარდუა მკითხავის სახლი. ვარდო იმ დროს ისე განთქმული იყო მთელ ქალაქში, რომ თითქმის პატარა ბავ-

შვებმაც-კი იცოდნენ იმისი სახლი და ამიტომ, რასაკვირველია, პირველმავე შეხვედრმა ასწავლა დურმიშხანს იმის სახლი.

დურმიშხანი მივიდა.

— დაიწყო, ყმაწვილებო, ქუხილი, ქექა, მეხი. მოემზადენით!—დაიძახა დაცინებით ალექსიმ.

— წყეული იყავ, მეფისტოფელო!—უთხრა იმას სიკომ, რომელიც სჩანდა. დიდი გულისხმის მიმდევნებით უგდებდა ყურს—თქვი, კაცო!

დურმიშხანი მივიდა და იკითხა ვარდო. საკვირველია, ვერც ერთმა ვერ იცნო ერთმანეთი, ისე გამოცვლილიყვნენ ორივე, შემდგომ გაყრისა.

დურმიშხანს აჩვენეს ვარდუა.

— არ შეიძლება ცალკე მოგახსენო რამე?—უთხრა იმას დურმიშხანმა.

— რატომ, აი ეხლავ გავათავებ და გიახლები.—უპასუხა ვარდომ.

— თუ შეიძლება, დაითხოვე სულ ყველანი, მე ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან,—უთხრა დურმიშხანმა ამღვრევით.

— ბატონი ბრძანდებით!—უპასუხა ვარდუამა. იმან არ უგდო ყური იმის ამღვრევასა, იმიტომ, რომ ბევრჯერ შეხვედრიყო იმას ნახვა იმისთანა 'მავალითისა.

რამდენიმე მინუტის შემდეგ ვარდო და დურმიშხანი შეიყარნენ ერთად ცალკე ოთახში.

— მიბძანე, ბატონო,—დაიწყო დურმიშხანმა,—შენ უკითხე ვეზირს, რომ ჩემი შვილი დაეტანებინათ სურამის ციხეში?

ამ ლაპარაკში ვარდომ გააპარა ხელი და გამოიღო პატარა ხანჯალი მუთაქის ქვეშიდან.

— მე ვუკითხე,—უპასუხა ვარდომ სრულებით მშვიდათ.

— რათა?! შე წყეულო, რათა! რა დაგიშავა?!

— დურმიშხან, აბა შემომხედე! ვერ მიცნობ? შენ მომიკალი გული, მე მოგიკალი შვილი! ახლა გავსწორდით!

— ოჰ, შე წყეულო, გულისვარდო, შენა ხარ?—სთქვა დურმიშხანმა ჩუმათ, მივარდა და ყელში ნაუჭირა ხელები. სიმწარით აღარ მოაგონდა რომ მოეხმარა სხვა იარაღი.

— მოდი ჩემო დურმიშხან, ოცი წელიწადია ამ დღეს ველი!—სთქვა ვარდუამ მოეხვია და ბეჭში ჩაურჭო ხანჯალი.

რამდენსამე საათს უკან მოსამსახურეთ ეპოვნათ ისინი მკვდარი, მიწოლილნი ტახტზე, როგორც ორი საყვარელნი მოხვეულნი ერთმანეთსა. ეტყობოდა, რომ არც ერთი მათგანი არც ცდილიყო სიკვდილისაგან დაცვას.

დურმიშხანის ცოლს, ზურაბის დედას, შემდგომ შეცდენისა შეუყვარდა სურამის ციხესთან სიარული. მივიდოდა ხოლმე საწყალი, იდგა, ფიქრობდა რაღასაც და შემდგომ გულმოსაკლავი დაღონებით იტყოდა: – ახ, ნეტავი-კი მომაგონა... და დაღონებულივე წამოვიდოდა შინ. ესე გაიარა თითქმის სამმა წელიწადმა. შიშმაც გადაიარა ისე, როგორც ხანდისხან გადივლის ხოლმე ქუხილი ქუხილი ბევრი იყო, წვიმა სულ არა, ზურაბის დედამ ერთხელ, როდესაც ჩვეულებრივ იდგა სურამის ციხის წინ და ფიქრობდა, მსწრაფლ დაიძახა საშინე-

ლის ხმითა:—ვაიმე შვილო, ზურაბ!—და შეუწუხდა გული. დასუსტებულმა სხეულმა ვეღარ აიტანა ის გულის წუხილი. საწყალი მოკვდა. დამარხეს ისე, როგორც ეკუთვნოდა დამარხვა ერთს იმათგანს, რომლის შვილმაც ესე საშინლად შესწირა თავი მამულს.

ამბობენ ვითომ იმ ადგილას, საცა დატანებული იყო საწყალი ზურაბი, სურამის ციხე არის ნოტიო და ცრემლივით ჩამოდის წვეთი და თითქმის აქამდისინ მთვარიან ღამეში გამოდიოდა ერთი თმა-გაშლილი დედაკაცი შავი ტანისამოსითა და ტირილით მისძახოდა:

სურასისა ციხე,
სურვილითა გნახე.
ჩემი ზურაბ მანდ არის,
კარგად შემინახე!

ახ, მთვარეო, მთვარეო!

(რომანსი)

ახ, მთვარეო, მთვარეო! დამწვართ იმედო,
მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო,
მთვარეო! ხომ გახსოვს ის ტკბილი ღამე?
მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მოწამე.

—

შენის ვერცხლებრივ ნათლით მოსილნი,
ხის ძირს ვისხედით, გვდიოდა ცრემლნი.
გახსოვს? რა სიტყვით იგი ბედს სწყევდა,
რომელიც იმას მე მაშორებდა.

—

იმისი ფიცი, იმის იმედი,
ახლაც ყურთ მესმის და მიკვნესს გული.
მაგრამ სად არის ჩემთვის ის ბედი,
რომ განმიახლოს მან სიყვარული?!

—

ნუ თუ ის სიტყვებს სწერდა ყინულზედ?
მაშ, მე რად შემრჩა ესრედ ღრმად გულზედ?
მთვარეო! შენ მოგთხოვ ჩემ საყვარელსა,
მონახე იგი ყოველ-მხარესა.

—

თუ ნახო, მთვარეო, ჩემი მტანჯველი,
უთხარ იმ ხის ძირს ყოველ ღამ ველი
უთხარ, რად მტანჯავს, რად არ მიბრალებს
რატომ არ მოვა და არ მახარებს?

—

თუ ნახო, მთვარეო, უალერსებს სხვას,
ნულარას ეტყვი, სულ ნუ გასცემ ხმას.
მაშინ იმ ხის ძირს მე მოვიკლამ თავს
და ქვეყნად მოვფენ ჩვენ მწარე ამბავს.*)

---

*) ამ ლექსის გარდა, რჩეულიშვილის კალამს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე სხვა ლექსიც, როგორც მაგალითად „ზესალმი ჩემ თვალის სინათლეს", ხალხი დუღსაც სევდიანად მღერის, ამ ლექსებს, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ეს ლექსები გრ. რჩეულიშვილისაა. რ ე დ.

ანუკა ბატონის შვილი

ისტორიული მოთხრობა.

თავი პირველი *)

როდესაც კახეთის მეფეს ლევანს ეთხოვნა ცოლად მამია გურიელის ქალი თინათინი და გურიიდგან მოჰყვანდათ გრემსა ჯვარის დასაწერად, ამ ქალმა მომავლობაში გზაზედ იხილა სიზმრად თეთრ-წვერიანი ბერი, მდგომარე საუცხოვის მწვანით მოსილს ველზედ, რომელმაც, რა მიაწოდა ამ ქალს პატარა შტო თეთრის შინდისა, უთხრა მას:

„შვილო! შენ შეიქმნები ცოლი დიდებულის კაცისა; მაგრამ შენი დიდება არა მდგომარეობს ქვეყნიერების კმაყოფილებაში, არამედ მოჰძებნე ხე ამა შვინდისა და მუნ აღაშენე ტაძარი ღვთისა; იგი იქნება შენი დიდება და მფარველი". სიზმარი ესე ჰქონდა ამ ქალსა შთაბეჭდილი გულში და არავის არ უმხელდა მას, მაგრამ მოვიდა დრო, როდესაც საჭიროდ დაინახა ამ ქალმა ძებნა თეთრის შვინდის ხისა.—ქმარი მისი ლევან იყო დიდი ვაჟ-კაცი, ჰყვანდა ლეკნი დამონავებული ისე, რომ იმის დროს კახეთში ძროხა არ დაიკარგებოდა; მაგრამ ბევრთა კარგთა ხასიათთა შორის, აქვნდა მას ბევრი ბიწიცა: თინათინ დედოფალი, აღვსილი ყოველის კეთილის სათნოებითა და ღვთის მოშიშარი, უთმენდა ლევანს მთვრალს ავ საქმესა. მაგრამ ის კი ცდილობდა გამოეყვანა ცოლი მოთმინებისაგან. მობეზრებულმან ლევანის ცუდის ყოფაქცევითა, თინათინმა სთხოვა ერთხელ მას—მისცეს ნება აღმოირჩიოს თვის საცხოვრებლად მონასტერი. ლევან მეფე სიამოვნებით ეთანხმა მასზედ. მაშინ დედოფალმა გაგზავნა საძებნელად იმ თეთრის-შვინდის ხისა, რომელიც ენახა მას სიზმარში, და რამდენსამე დღეზედ მოართვეს მას მსხმოიარე ტოტი თეთრის შვინდისა, რომლის ხეც დგომილიყო უცხოს ალაგსა შუა მთაში. დედოფალმა ქმრის შემწეობით და თავის მზითვით იქ აღაშენა ჩინებული მონასტერი და შვილითა თვისითა მცირე წლოვნის ალექსანდრეთი განშორდა მუნ სიკვდილამდინ.—

ხოლო ლევან მეფემ თინათინის სიკვდილის შემდეგ ითხოვა ცოლად შამილის ასული, რომელიც მონათლა ქრისტიანულად. ამასთან მიეცა ორი ქალი და ოთხი ვაჟი: გიორგი, ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო. უფროსმა ქალმა მისმა მოუპოვა მას სიძედ ქართლის მეფე სვიმონ; მაგრამ ეს მხიარულება არ იყო ლე-

*) ამ თავიდან გამოტოვებულია დასაწყისის შემდეგი ორი პწკარი: „შუა მთის მონასტერი დავალებული არის თვის აღშენებით თეთრის შინდისაგან", რაც წმინდა რუსიციზმია.

რ ე დ.

ვანისთვის ხანგრძლივი. სეიმონმა სთხოვა მას შემწეობა განსაყრელად ქართლიდგან სპარსთა, რომელთაც ეპირათ მრავალნი სიმაგრენი და ხშირის დარბევით აწუხებდნენ ქართლს, ხოლო ლევანი იყო იმ ჟამად მეგობრად სპარსეთის შაჰთამაზისა და ამის გამო თვითონ ვერ გაბედა მიეცა თავის სიძისთვის შემწეობა, არამედ ჩუმად გაუგზავნა მას შვილი თვისი გიორგი ჯარითა. ამათ დაესხათ ძეგვთან აღდგომა ღამეს შავედრი სულთანი ჯარით; ბრძოლაში მოკლეს გიორგი და ამოწყვიტეს მრავალნი კახნი.—შვილის უბედურების მსმენელმა, ლევან მეფემ ვერ აიტანა მწუხარება და ჩქარა თვითონაც შთავიდა საფლავად.

სადაც ბევრნი ბრძანებელნი არიან, იქ ცოტა გამგონენი ეყოლებათ. ლევან მეფის შემდეგ თუმცა შვილნი მისი განაგებდნენ კახეთსა, მაგრამ ხშირად იყო ხოლმე მათში განხეთქილება პირველობაზედა.

ლევანის უფროსს შვილსაც, თინათინისაგან შობილს ალექსანდრეს, შესწყინდა დაბადების კითხვა მონასტერში. მამის შემდეგ მან შემოიკრიბა ზემოკახეთი და წავიდა ქართლის ბედის საძებნელად. აქ დაუმოყვრდა ალექსანდრე ბარძიმ ამილახვარსა; ესა და ქსნის ერისთავი ელისბარ ეყვნენ მას შემწედ და ალექსანდრე დიდის ჯარით მოვიდა კახეთის დასაპყრობლად. მისი ძმანი: ელიმურზა, ვახტანგ და ხოსრო შეებნენ მას თორღასთან, მაგრამ იძლიენ; თვითონაც ბრძოლაში ამოიხოცნენ და ალექსანდრე 1574 წელსა მარტო შეიქმნა მპყრობელი მთელის კახეთისა. სატახტო ქალაქი მაშინ იყო გრემი.—

თავი მეორე.

გრემს, მაღალს კოშკში, რომელიც იყო გარე-შემორტყმული ქვითკირის კბილებიანის გალავნითა, ეჩოქა ძვირფასის ხალებით მოფენილს ოთახში, ღვთისმშობლის წინაშე, ყმაწვილი ქალი მშვენიერის სახისა, მცირე ფერ-მიხდილი; ეს ფერ-ნაკლებობა თითქოს უფრო ამშვენებდა ამ ქალის დიდრონს შავს თვალსა, დაწითლებულთა იმ ჟამად ცრემლისაგან, რომელსაც გაევლო რამდენიმე სველი ხაზი მის ლოყებზედ.—

— ოჰ, წმინდაო ქალწულო მარიამ! წარმოსთქო კვალად ამ ქალმა: ნუ მისცემ ეშმაკს ჩემზედ ძლევასა; მომეც ძალა მოთმინებისა; ნუ გამომილევ შენს შიშსა, და ნუ გამხდი მოღალატედ ჩემის ვალდებულებისა, ჩემის ქმრის, ჩემის შვილისა!... მე აღარ შემიძლიან ბრძოლა ჩემს გულთან, ჩემს სიყვარულთან, რომელიც არ მაძლევს არც დღე და არც ღამე მოსვენებასა, რომელიც მიხრუკავს გულ-ღვიძლსა, რომელიც მინთია ესრედ იდუმალად... დედაო მარიამ! შენ განანელე ეს ცეცხლი, შენ გამიგრილე ეს გული, რომელშიაც ვინც ჩაიხედოს, აღშფოთდებიან სირცხვილით... მაგრამ სული ჩემი დუმდება ამ ბრძოლაში სისხლი მეწვის სიყვარულისაგან. მე ვგრძნობ, რომ ახლოვდება ის დრო, როდესაც განიხსნება ჩემ ფერხთ ქვეშა უფსკრული და იგი შთანთქავს ჩემს ნამუსსაცა, ჩემს პატიოსნებასაცა, ჩემს მოვალეობასაცა, ჩემს სულსაც...

ამ დროს ოთახის კარი გაიღო ჩუმად და მაღალის ტანის კაცი, მამაცურის შეხედულებისა, წაადგა თავს ამ ქალსა.

— ანუკა! წარმოსთქო მან.

ქალი შეკრთა ამ ხმაზედ; იგი გაყვითლდა, ტუჩებმა დაუწყეს ცმაცუნი, თვალნი მიხუჭნა თა თითქოს ლამობდა გულის წასვლასა.

— ანუკი! განიმეორა კაცმა: შენ რაღაცა გაქვს გულში, რომელსაც მიმალამ... ნუ თუ ჩემი სიყვარული ეგრე მცირე არის შენს თვალში, რომ ვერ მოგინდვია ჩემთვის შენ საიდუმლო?.. ანუ შენა გგონია, რომ მე ვერ დავფარავ მას? მაგრამ, მე უგუნური, რასა გკითხავ? მე უკვე მიეხვდი, რაზედაც ლოცულობ ეგრე მხურვალედ, თვალ-ცრემლიანი. შენ ლოცულობ განთავისუფლებაზედ სიყვარულისაგან, ესე იგი, ლოცულობ ჩემს სიკვდილზედა!.. ილოცე ანუკი, ილოცე! მეც შემოვაერთებ ჩემს ლოცვასა. შენის სიყვარულის დაკარგვასთან მეც მომესპოს სიცოცხლე! და ეს კაციც დაეცა მუხლებზედ ამ ქალთან.—მაგრამ ეს არ იყო ის წმინდა ლოცვა, რომელიც ამსუბუქებს და ანუგეშებს ნაღვლიანს გულსა. არა სიმშვიდე და დაწყნარებაᲜ, არამედ მხურვალება ეწერა მათ სახეზედა, და მათ ლოცვამა, აღესილმა ქვეყნიერების სიტკბოებითა, ვერ მიახწია სამოთხის კარამდე. თვით მლოცველთ ეშინოდათ, რომ არ უსმინოს მათ უფალმა და სურდათ დაებრუნებინათ უკანვე ყოველი თავიანთი ნათქვამი სიტყვა. შემდეგ მათ შეხედეს ერთმანეთსა, კლავნი მათნი გადეხვივნენ, ტუჩები შეეწებნენ ერთმანეთსა, და ლოცვა მათი დასრულდა ფიცით ერთმანეთის საუკუნოდ სიყვარულში.— სახლობის კავშირი, სახელი პატიოსნებისა, შიში ღვთისა და დაზრახვისა—ყოველი დაავიწყდა მათ. მაგრამ განგებამ დაწერა მათი საქმე იმ ფურცელზედ, რომლისაგანაც არა იწმინდება რა უსისხლოდ.—

ეს ყმაწვილი ქალი ანუკა იყო, ალექსანდრე მეფის დაი, მამით ერთნი და დედით ცალ-ცალკენი, ესე იგი, შამილის ქალისაგან ნაყოლი.—იქნებოდა ოთხი წელი, რაც ამ ქალის ქმარი, ოთარ ჩოლოყაშვილი, გაეყოლებინა მეფე ალექსანდრეს სპარსეთში თავის შვილის კონსტანტინესთვის, რომელიც მოეთხოვნა შაჰაბაზს ძევლად კახეთის ერთგულებისა თვისდამი.

მაღალი კაცი, რომელსაც შეეპყრა გული ანუკასი, იყო კეთილ-შობილთაგანი, სიყრმით შეყენებული თვის დედისაგან ბერად, და თუმცა იგი კიდეც იყო შესული უდაბნოში, მაგრამ ჩქარა აღმოაჩინა მან თავისი საქებური ხასიათი, რომ იგი ცოცხალთ ცოდვილთ ქალებს უფრო თაყვანსა სცემდა, ვიდრე განსვენებულთ წმინდანებსა, და ამისთვის, რა ვერ დაჰსთმო უდაბნოელმა სოფლიური კმაყოფილება, იგი იძულებული იყო მოეხსნა ეს წოდება თავისი და გამოპარულ იყო უდაბნოიდგან. აღშფოთებულმა ამ ვაჟის დედამ მომართა ოთარ ჩოლოყაშვილსა და შეევედრა აღუჩინოს რამ უდაბნოელსა შესაფერი საქმე თავისთან.

ოთარმა იმყოფინა ეს ყმაწვილი კაცი თავისთან, და რა ბოლოს შეამცნია მას სიმალხაზე, გამრჯელობა და სხვა მრავალი კარგნი ნიჭნი, მისცა თავის ყმამამულის მოურაობა. ხოლო როდესაც ოთარ აპირებდა სპარსეთში წასვლასა, მან ჩააბარა უდაბნოელს თავისი სახლ-კარიცა,—მრავალთა მხლებლებთა შორის ანუკას ახლდა თხუთმეტის წლის ყმაწვილი, საამილახვრო აზნაურ-შვილი, სახელად ტიტიკო. იქმნებოდა სამი წელი, რაც ტიტიკო ემსახურებოდა ანუკასა და ასე შეეჩვია იმის ხასიათსა, რომ ყოვლის მის თვალისა და წარბის მოძრაობით იცოდა რაც სურდა, და ვიდრე ანუკა ენით გამოსთქვამდა თვის სურვილსა, ტიტიკო უკვე აღასრულებდა ხოლმე მას. ამ გონიერებისათვის და სხვაფრივ მალ-

ხაზობისათვის ანუკას მეტად შეუყვარდა ეს ყმაწვილი და ეკიდებოდა მას ისეთის ალერსით, ვითარც თავის საკუთარს შვილსა, მაგრამ ტიტიკოსათვის უკვე განვლო იმ სანატრო სიყვაწვილის დრომ, როდესაც ერთის ვარდის ბუჩქის დანახვა ერჩივნა მას ერთს ჯგუფა ვარდივით ქალების დანახვასა, და როდესაც მას კურდღლისა და მელის დევნა ტყეში ერჩივნა ქალებთან ლაპარაკსა.

ტიტიკო შეეპყრო რაღაც მძიმე ნაღველს: ვარდის სიწითლე მის ლოყებზედ შეიცვალა ყვითლითა, თვალები ჩაუცვივდა, და სახემ მიიღო ჭმუნვარებითი გამოთქმა. მას შეუყვარდა განმარტოებით ყოფნა ტყეში, ანუ ბაღში; მაგრამ უფრო ხშირად იგი ავიდოდა ხოლმე მაღალ კლდეზედ, საიდანაც დაფიქრებული უყურებდა ჩამამავალს მზესა, როდესაც ეს მეფე ბუნებისა ამშვენებს ხოლმე გამოსალმების დროს მიწასთან ლაჟვარდ ცასა ოქროთი. ვერცხლით, პურპურით —ამაოდ ხიხვინებდა ტიტიკოს ყარაბაღული ცხენი და ცდილობდა გაეღვიძებინა თავის პატრონში ადრინდელი სიყვარული; ამაოდ ელაქუცებოდნენ, და წკმუტუნით დაუხტოდნენ მას საყვარელნი მწევარ-მეძებარნი, რომელნიც ცდილობდნენ მოეგონებინათ ტიტიკოსათვის სასიამოვნო კურდღლაობა—მაგრამ მას ესენი აღარ ესიამოვნებოდა. ტიტიკო ისარივით გაექანებოდა ხოლმე მხოლოდ იქითკენ, საიდგანაც მოესმოდა მას ნარნარი სიმღერის ხმა ანუკასი, რომელსაც მარტო მყოფობის ჟამს უყვარდა ხშირად მღერა სხვა და სხვა სამიჯნურო მუხამბაზებისა.—ამ დროს ტიტიკო მიიპარებოდა ხოლმე ჩუმად ანუ ოთახის კარებთან, ანუ ამოეფარებოდა ხესა და სტკბებოდა ამ ზეციურის ხმით, რომელსაც მოჰყვანდა ეს ყმაწვილი აღტაცებაში და აფრქვევინებდა მდულარებასა... ერთ ხანად, როდესაც ანუკა შინ არ იყო, ტიტიკო შევიდა მის ოთახში, იპოვნა იმის ლექსების წიგნი; ჯერ მხურვალებით დ ჰკოცნა მას, შემდეგ ჩაიჭრა ბაღში, საჩქაროდ გადასწერა რამდენიმე მუხამბაზი, და რამდენიმე დღე ჩუმათ იხეთქდა თავსა მათ ზეპირად დასასწავლებლად.

ერთხელ, მარტო მყოფი ბაღში, ტიტიკო მღეროდა ანუკას საყვარელს მუხამბაზს, ჯერ გაუბედაობით ღიღინებდა, შემდეგ და შემდეგ მისცა მან თავის ხმასა სრული თავისუფლება, ამ ხმამ მოიზიდა სახლიდან ბაღში ანუკა, რომელიც ჩუმად კარგა ხანს ყურს უგდებდა. როდესაც ტიტიკომ დაასრულა, ქალმა ალერსით ხელი დაადო მას თავზედა.

— ვინ გასწავლა, ტიტიკო, აგრე კარგად მღერა?

— სიყვარულმა... დიდმა ლექსების სიყვარულმა, ქალბატონო.

— მიჰყევი, შვილო, ბოლომდინ კარგი ლექსები უმაღლებს კაცს გულსა და უწშენდს სულსა. და რა ამაებს ეუბნებოდა, ანუკა უსვამდა მას თავზედ ხელსა. მაგრამ ტიტიკომ შეჰყვირა აღრეულის ხმით:

— ქალბატონო თუ ღმერთი გრწამს, ქალბატონო!.. ხელი ამართვი.

— რა იყო, შვილო?

— ოჰ, ქალბატონო მომიტევე! მე მეგონა, რომ ტვინი მეწოდა შენის ხელის შეხებითა.

— როგორ? განა ჩემი ხელი მოწამლულია?

— რა მოგახსენო... მე კი რაღასაც წვასა ვგრძნობდი—ტიტიკომ წარმოსთქო ეს სიტყვები ესრეთის მთრთოლვარის ხმითა და ასეთი ფერი დაედო, რომ ანუკამ კვალად მიადო მას შუბლზედ ხელი და შეჰყვირა:

— ღმერთო დიდებულო! რა სახით გენიერება თავი! მეშინიან ავად არ გახდე!.. და არც არავინ არის რომ მომეშველოს!... ტიტიკო! რა დაგემართა?.. ოჰ, ღმერთო! გული მისდის!.. მართლაც, ტიტიკო გაყვითლდა, ვითარცა წმინდა სანთელი, ცივმა ოფლმა დაასხა მას ტუჩებზედ, თვალნი მიხუჭა და თავი დაჰკიდა ანუკას მსარზედა, რომელმაც გულზედ მიიყუდნა და ყოველის საშუალებით ცდილობდა მოებრუნებინა.

ტიტიკოც ჩქარა მოვიდა გონზედ და ღრმის აღმოოხერით განახილა თვალნი, მან მოიგონა ყოველი, რაც შეემთხვა და სთქვა ნწუხარებით.

— მე მეგონა, რომ ვკვდებოდი!... ოჰ, რატომ არ მოვკვდი?...

— რათა შვილო? უთხრა ანუკამ: რას ნიშნავს შენი ესრეთი უეცარი ავადმყოფობა? მითხარ, ტიტიკო, გამიხსენ შენი გული, ვითარცა დედა შენსა; წლოვნებით თითქმის შეგეფერები კიდეც დედად და სიყვარულით—ხომ უფრო... მე კარგა ხანია გამცნევ, რომ სახის ფერი დაგეკარგა, თან და თან ხდები, ნადირობაზედაც ხელი აიღე, შენი ხელები თრთის ხოლმე, როდესაც მშველი ცხენზედ შეჯდომასა. ხომ არავინ შეგყვარებია, შვილო? ტყუილად ნუ მიმალამ, მე მესმის და ვიცი ტანჯვა სიყვარულისაგან... ესრედ კეთილ-შობილი ხარ გულითა და ხასიათითა, რომ რასაკვირველია, არ ამოირჩევ შენს ულირსსა. რაცა ჩვენგან შესაძლებელია, მეც ვეცდები დაგეხმარო შენის ბედნიერების შესადგენლად.

— რას მიბრძანებ, ქალბატონო! მოახსენა ტიტიკომ მორცხობით: განა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ყმაწვილებს მაგისთანა ფიქრი მოუვათ?.. ან რა არის სიყვარული?.. ამბობენ, ყმაწვილ-კაცები სიყვარულისაგან პირველად ხდებიან და ავადმყოფობენ და შემდეგ ისევ კეთდებიანო. მე, მადლობა ღმერთსა, დამშვიდებული და კმაყოფილი ვარ ყოვლითა. მხოლოდ, ქალბატონო!... ნუ მომაკლებთ თქვენს სიყვარულსა და წყალობასა...

— ჰო, შვილო! უთხრა აღმოხვრით ანუკამ: მე უფრო მეტად ესაჭიროებ გულითადს სიყვარულში, ესე იგი, ერთგულებაში, ვიდრე შენ შეგიძლიან წარმოადგინო. მე უბედური დედა-კაცი ვარ და ქვეყანაზედ არავის არ უყვარვარ... ყველასაგან დატევებული ვარ, რაც უნდა ნაღვეღი მტანჯავდეს, არავინ არ მყავს ერთი ნუგეშის მცემელი, ერთი რჩევის მომცემი...

ამ დროს ტიტიკო მოეხვია ამ ქალის მუხლებსა და რა აკოცა კაბის კალთასა, წარმოსთქვა აღტაცებით:

— ნეტავი ჩემი ლუკმა-ლუკმად აკუწვა საჭირო იყოს შენის მწუხარების განსაქარვებლად! ოჰ, ქალბატონო! შენ შემომივლე თავსა, შენის ფეხის მტვრად მაქციე, ჩემთვის ქვეყანაზედ მხოლოდ ეგ იქმნება ბედნიერებად,—რომ მე შენ შემოგწირო ჩემი სიცოცხლე!..

ანუკას შეეშინდა ტიტიკოს აღგზნებულის თვალებისა, რომლითაც წარმოსთქო მან ეს სიტყვანი; ანუკამ ნახა. რომ მეტად შორს შევიდა უნებურად ლაპარაკში ამ ყმაწვილთანა, და რა უნდოდა გამოეცვალა საგანი ლაპარაკისა, უთხრა:

— გესმის, ტიტიკო! მე არ მინდა, რომ ეგრეთი საუნჯე, როგორც შენი ხმა, უბრალოდ დაიკარგოს. ამას შემდეგ ნულარ იმღერი ისე, როგორც მოგხვდება. ჩემთან მოდი ხოლმე: მე გასწავლი ჰანგებს, სად უნდა იღიღინო, სად უნ-

და აამაღლო და დაამდაბლო ხმა,—ეხლა დაიწყე აი ეს მუხამბაზი. ყოველ სიტყვა ამ სიმღერისა სიამოვნებით ჰხვდება ადამიანის გულსა.

— ვისი შეთხზული გახლავს ეს ლექსი? ჰკითხა ტიტიკომ.

— უდაბნოელისა.

— ოჰ, თუ რომ მცოდნოდა, რომ იმისია, მე არასოდეს არ ვისწავლიდი მაგას ზეპირად, არამც თუ ვიმღერდი.

— რატომ, ტიტიკო? იქნება შენ მწყრალი ხარ იმასთან?

— არა, ქალბატონო! ჩვენ ერთმანერთისათვის ორი სიტყვაც ერთად არ გვითქვამს. მაგრამ, არ ვიცი რათა, როცა იმას დავინახავ ხოლმე, ასე მგონია ეკლები თვალში მირჭვია... იუდას რომ გაუყიდნია ქრისტე, მე უდაბნოელი ის იუდა მგონია.

— ნუ, შენ გაზდას ტიტიკო, როდი უნდა გძულდეს, მეტადრე უმიზეზოდ ღმერთი ყველას განსჯის თავის საქმის კვალად. ეცადე უყურო ყოველსა კაცს, ტკბილის და კეთილის გულით, და მაშინ სიცოცხლე შენ არ გეჩვენება ისე შავად, როგორც სხვებსა. დაიწყე ამ მუხამბაზის მღერა. არა მგონია, რომ ამისთანა სიტყვების დამწყობსა ცუდი გული ჰქონდეს.

ანუკამ მოისო ტიტიკო გვერდით და დააწყებინა მღერა და თვითონაც. მიაყოლებდა ხოლმე ბანსა, ხან და ხან ტიტიკო შუა ალაგს გასწყვეტდა სიტყვას, თითქოს დაავიწყდაო და დაშტერებით შესცქეროდა აღგზნებულის თვალით მშვენიერს სახეს ქალისასა, ანუ ხანდახან ასე ათამაშებდა თავსა, რომ მითომც უეცრად, მიიტანდა ქალთან ახლოს, რა სურდა, რომ შეხებოდა მის სახეს ანუ ლეჩაქის წვერი ანუ კავები ანუკასი, და მაშინ ტიტიკო გრძნობდა გამოუთქმელ ნეტარებასა: ტანში დაუვლიდა რაღაც ჟრუანტელი, ტუჩებს ჰკუმამდა, თვალში ცრემლი უბრწყინავდა.—მათ ვერ გაიგეს, როგორ გაფრინდა დრო. ბოლოს ანუკამ უეცრად აიწია თავი მაღლა და ნახა თავის წინ მდგომარე უდაბნოელი, რომელიც შეემუხვნილის წარბებით და მრისხანის თვალებით უყურებდა მათ ერთად მსხდომთა და ტკბილად მღერალთა. მაგრამ ანუკამ, მითომ ვერ შეამცნია მისი მუქარება, ანუ ყური არ მიუგდო მას, უთხრა გულგრილად:

— მშვიდობა შენი ნახვა, უდაბნოელო! გიხაროდეს შენც ჩემსავით: მე ვპოვე ამ ყმაწვილში ახალი ღირსება; ეს მღერის საუცხოოდ და მე მსურს, რომ სრულიად განვითარებული შეიქმნას სიმღერაში. ეს მოუპოვებს ამის მოხუცებულს დედ-მამას დიდს სიხარულსა.

— მე თქვენზედ ადრე შევამცნიე, ბატონის შვილო, თუ რომ მაგას აქვს ნიჭი, უნდა მხოლოდ ბლიაძობის ნიჭი ჰქონდეს, უთხრა უდაბნოელმა.

ტიტიკო მიხვდა იმის დაცინვასა; მას თვალებში სისხლი მოუვიდა და სახე აელანძა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— ბატონის შვილო? განაგრძელა უდაბნოელმა; მე მსურს თქვენთან მოლაპარაკება ერთს საგანზედ, რომელიც არ ითმენს უკუნდებასა. გთხოვ მომისმინოთ... აზნაურშვილო! წაიღე ეს ჩემი ხმალი ჩემს ოთახში და ნუღარ მოხვალ, ვიდრე არ დაგიძახოთ.—

— უკაცრავად, ბატონის მოურავო! უთხრა ტიტიკომ ამაყად; მე ვემსახურები აქ მხოლოდ ბატონის შვილს ანუკასა და არა უდაბნოელსა!

ახლა უდაბნოელი შეიცვალა სახეზედ. ტუჩებმა უწყეს მას ცმაცუნი მწარის პასუხის სათქმელად, მაგრამ ანუკა დაეჩქარა მათ გასაშველებლად და უთხრა: —ტუტიკო, დაუჯერე უდაბნოელსა.

ტიტიკომ თავი დაუკრა ნიშნად მორჩილებისა, ჩამოართო უდაბნოელს ხმალი და ლაზ-ლაზნით მიდიოდა შინისკენ.

— აზნაურშვილო! შეჰყვირა უდაბნოელმა; ორის ხელით დაიჭირე ეგ ხმალი, არ გაადგო დე არ გამიტეხო, შენ თავზედ მეტათა ღირს.

ტიტიკომ მსწრაფლად ამოაძრო ქარქაშითგან ხმალი და რა მსუბუქათა ჰაერში გაიქნივ-გამოიქნია, უპასუხა.

— დამშვიდებული ბძანდებოდე! იმდენი ღონე იპოება ჩემში, რომ შემიძლია მოვიგერო ყველანი, ვინც უნდა იყოს... გესმის, ვინც უნდა იყოს.—დანაშთენი სიტყვები ტიტიკოსი უდაბნოელმა ველარ გაიგონა, რადგანც ის კარგა მანძილს გასცილდა.

შენი მხლებელნი მეტად კადნიერდებიან, ბატონის შვილო, შენის სისუსტით მოპყრობითა, უთხრა წყენის ხმით უდაბნოელმა.

— მე აქ უმადურს უფრო ვხედავ, ვიდრე კადნიერებსა, უპასუხა ცივად ქალმა

უდაბნოელი მიუჯდა მას ახლოს და იგინი დიეხანს ლაპარაკობდნენ ერთად. მათი სიტყვები თუმცა თავაზიანი იყვნენ, მაგრამ როგორღაც მახვილნი; მაგ სახეზედ და მოძრაობაზედ ეტყობოდათ, რომ საგანი ლაპარაკისა იყო არა ადრინდელი ნარნარეწა, არამედ ორივეს მხრით რაღაც შიში, ყვედრება, მუქარება.—განგებულებას გადაუწყვეტია თავის საუკუნე კანონებში, რომელ იგი, რაიც შემდგარ არის ცოდვებისაგან, არ დასტკბების დიდხანს მოსვენებით.

განევლო უკვე სამს წელსა, რაც უდაბნოელს და ანუკას შეეფიცნათ ერთ ერანეთისათვის საუკუნოდ სიყვარულში, რომელიც უკეთესი იქმნებოდა, რომ არც ერთს არ ჩანერგოდათ. ხოლო სამი წელი სამიჯნურო საქმეში—სამი საუკუნე არის. მათთვის ეხლა ის დრო მოსულ იყო, როდესაც პირველად ვარდის ფურცელისაგან დაწნილი ძეწკვი რკინის ბორკილად გარდიქცევა ხოლმე, რომლის სიმძიმესაც ვერც ერთი მხარე ველარ იტანს და ცდილობენ მოიხსნან როგორმე; როდესაც სიყვარულის მაგიერად საგანი მათის ლაპარაკისა შეიქმნება ხოლმე ერთმანერთის ყვედრება, ანჩხლობა, შემოწყრომა, შხამიანობა... ანუკა ეხლა ხედავდა, რა უგრძნობ კაცს შესწირა მან პატიოსნება და ნამუსი თვისი; ვისთვის შეიქმნა დამმარღვეველი ერთგულებისა ქმრისა თვისისა.—და ყოველი მოგონება ამაზედ, სტანჯავდა მას გამოუთქმელად.

ამ მძიმეს და სატანჯველსა ფიქრში იყო შესული ანუკა, როდესაც მას მოახსენეს, რომ რევაზ ჯორჯაძე გიახლათო. ეს იყო მაღალი და გამბდარი კაცი, ოც და თორმეტის წლისა, მაგრამ ხშირს ავადმყოფობას ადრე გამოეწოდა მის თავზედ ჭალარა. რა შევიდა. რევაზმა მძიმედ დაუკრა ანუკას თავი.

მშვიდობა შენი ნახვა, რევაზ! გმადლობ რომ ჩემი კარის გზა კიდევ გახსომს. რისგან არის გაგიბედნია... დაბრძანდით.

— კარგად მოგეხსენება, ბატონის შვილო, რომ ტყვე გახლავარ ლოგინისა, ამ წყეულის ჩემის სენისაგან ვარ მოკლებული სიამოვნებას; ათასში ერთხელ მაინც გიახლოთ ხოლმე.

— ეგეც ჩემი ბედი, უთხრა ქალმა ამობვრით: ვიზედაც კი გული მინდობილი მქონდა, ყველანი შემომეფანტნენ?.. მაინც რა გემიზეზებათ?.. აღარც დედა თქვენმა გაიარა ერთხელ.

— ოჰ, ბატონისშვილო! ჩემი სნეულება გულშია, მარად ღმერთს ვევედრები, რომ მომანიჭოს საუკუნო მოსვენება. ვგონებ თავის მოწყალებაში ეხლა კი სმენულობს უფალი ჩემს ხვეწნასა.—მაგრამ კმარა, ბატონის შვილო, ჩემზედ ლაპარაკი. მე ამისთვის არა გხლებივარ... გევედრები ანუკი, მოთმინებით მომისმინოთ, ვითარცა თქვენს ერთგულს ყმასა და ნათესავსა... ვიდრე ვიცოდი, რომ თქვენ უშიშროებაში ბრძანდებოდით, მე განშორებული გახლდი თქვენგან... მაგრამ ეხლაც მეშინიან როგორ გაგიბედო იმ საგანზე ლაპარაკი, რომლისათვისაც აქ გიახელი... ანუკავ! თქვენ ჩემთვის არა უნდა დაგემალათ რა. თქვენ იცოდით, რომ თქვენი ერთგული ვყოფილვარ და ვარ... მაგრამ მე არ შევალ გამოძიებაში თქვენის გულის საიდუმლოისა. თუ რომ თქვენ არ მხდით მაგის ცოდნის ღირსად, მე მზაია ვარ დავშთე ჩემს უცნობლობაში. მაგრამ შეიტყეთ, რასაც ლაპარაკობენ შენზედ, იცოდე საშიშროება, რომელსაც ეძლევი და ერთად მოვიფიქროთ, როგორ აღვაცილოთ იგი.

— მე არ მესმის, რევაზ, რას მეუბნები, ანუ რა საიდუმლოს გიმალავ. ვისგან მომელის შიში, ანუ რა მიზეზით?..

რევაზმა აავლო თვალი ოთახს, მიახლოვდა ანუკას და ყურში უჩურჩულა „ამბობენ მიზეზი აკვანში გეწვესო“.

— ვაი თვალები დამიდგა! დაიკივლა ანუკამ და წამოიჭრა ფეხზედ. ვინ გამცა! ვინ გახდა ჩემი მკვლელი?.. და იგი კვალად მიეშო ტახტზედ ღონე ბილებული.

— ნუ ეძლევით უბრალოდ სასოწარკვეთილებას, უთხრა რევაზმა; ეხლა უნდა დავაწყოთ, რა უნდა ვქმნათ.—

ანუკამ შეიკრიბა უკანასკნელი მხნეობა და რა მიიღო ამპარტავნობითი სახე სთქვა:

მართალია, მე დანაშაული მაქვს ღმერთთან და ჩემს ქმართანა. იმათ გარდა ვის შეუძლიან მომთხოვოს ანგარიში ჩემს ქცევაში?.. ნუ თუ ჩემი ძმა ალექსანდრე? მაშინ ის დასჯის ჩემში თავის საკუთარს ცოდოსა... ერთის წლის ჯვარდაწერილი ქმარი ამგლიჯა გულიდგანა და გაატანა თავის სასიკვდილო შვილს ურჯულოს ქვეყანაში!.. რას ფიქრობდა, ნუ თუ მე არ ვიყავ შედგენილი სისხლისა და ხორცისაგან?..

— გამიგონეთ. ალექსანდრე მეფეს გაუგია, რომ რომელნიმე იმის ბოროტნი მტერთაგანნი ცდილობენ დაამდაბლონ პატიოსნება იმის სახლობისა და ამისთვის ჰყრიან შენზედ სხვა და სხვა ავ ხმებსა—რასაკვირველია, თუმცა მართალიც იყოს, დამნაშავე ამაში არის თვითონ ალექსანდრე; მაგრამ ის მიუტევებს თავის თავს იმას, რასაც სხვებში კი ვერ შოითმენს. ამასთანავე იმას განუზრახავს, რომ სხვების შესაშინებლად შენზედ მოიღოს სასტიკი მაგალითი...

— გამიგონე, რევაზ! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამისთანა საქმეში ცარიელი სიტყვა მეტად მცირე არის დასაჯერებლად. იქმნება მართლად, ცოტა ანუ ბევრი მელოდეს რამ საშიშროება, მაგრამ ჯერ ფიქრიდგან გარდაწყვე-

ტამდინა და გარდაწყვეტილებიდგან აღსრულებამდინ—კიდე შორს არის. ალექსანდრე ვერ გაბადავს დასაჯოს თავის მამის სისხლი და ხორცი.

— ეგ მართალი ბრძანება არის; მაგრამ პირველად იცოდეთ, ანუკი, რომ მე აქ უსაბუთოდ არ გიახლებოდი და არ გაგიბედავდი ამ საგანზედ ლაპარაკსა; მეორედ—მე განვიზრახე აღარ დამეზოგა ჩემი სიცოცხლე, და თუ რომ გთხოვ იყოთ ფრთხილად, გთხოვ არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის, რომელნიც გიღირან რათმედ.

— კარგი, კარგი, რევაზ! ნუ მტანჯავ. მითხარი რაც იცი.

— დღეს ალექსანდრე მეფემ დამიბარა, ვგონებ რაღაც წიგნების გადასაწერად, რა შევედ იმის ოთახში. ვნახე ის ელაპარაკებოდა ვილასაც ქალაქიდგან მოსულს ჩაფარსა. ვიდრე მასთან ლაპარაკს დაასრულებდა, მე მიბრძანა მოვიცადო მეორეს ოთახში. ჩაფარი გავიდა და მეფე დიდხანს იყო დაფიქრებული და თითქოს მე კიდეც დავავიწყდი. შემდეგ იგი წამოდგა, დაიწყო ბოლთას კვრა და ხმა მაღლივ ლაპარაკი; ასე რომ უნებურად მესმოდა იმის ნაწყვეტი სიტყვები: „ანუ ამ შემირცხვინა ოჯახი და გააცინა ჩემზედ მტერიო. ამბობდა იგი; იმას არ ასვენებს ჰარამი შამხალის სისხლი, რომლისაგანაც უნდა დაიცალოს, და რამდენიც დროით, ის უკეთესი იქნებაო. მე არ გავისვრი იმის სისხლში ხელსა. ეს ეკუთვნის თავის ქმარსა. იმას უნდა ვაცნობო ყოველი და დავიბარო სპარსეთიდგან. მსაჯული თავისი ცოლის მოქმედებისა თვითონ უნდა იყოსო. მე მანამ არ მოვისვენებ, ვიდრე ორივეს, ანუკასაცა და უდაბნოელსაც, არა ვნახავ შავ მიწის ქვეშაო". ამ დროს მე მომივიდა ხველა და ამის ხმამ მოაგონა ბეფეს ჩემი თავი, იგი შემობრძანდა და მიბრძანა;

— ჩაფარმა უსიამოვნო ანბავი მომიტანა ტფილისიდგანო იმის ფიქრმა და სხვა ჯავრმა დამავიწყა შენი აქ მყოფობაო; ჩემი შვილები დავით და გიორგი წაკიდებულან; ნასვამნი ყოფილან და ხანჯლებით უშევიათ ერთმანეთზეო. და გიორგის უყვიდრებია დავითისათვის, რომ შენ შეთქმა გქონიაო ჩემს სასიკვდილოთაო: დაუჭერინებია დავითი და იმასთან რამდენიმე თავადის შვილი დაუპატიმრიაო... ცოტა აღრეული ვარ და ეხლა ვეღარას ვიტყვი, რისთვისაც დაგიბარეო. კვლავ იყოსო".

მე თავი დაუკარ და მაშინვე თქვენკენ გამოვსწიე. ეხლა თუ საჭირო ვარ რაშიმე თქვენი, გთხოვ მომიხმაროთ.—

ანუკას სისხლი გაუშრა შიშისაგან, რა შეიტყო რომ მის ქმარს იბარებენ სპარსეთიდგან.

— გამხნევდი, ანუკი, ღმერთი მრწყალეა, უთხრა რევაზმა.

— ახლა შენ იცი, უთხრა ქალმა: მე შიშმა წამართო სიმხნევეც და გონებაც; რასაც მირჩევ, ყველაში დაგემორჩილები.

— მაშ დროს ნუღარ დაჰკარგავ ბატონის შვილო. ეხლავ მისწერე წიგნი შენს ძმის წულსა მანუჩარ დადიანს ცოლს ნესტან დარეჯან დედოფალსა. ღვთიური ხასიათის ქალია: ის არ მოინდომებს, რომ თავის მამის ოჯახში ამ გვარი სისხლი დატრიალდეს და ამით უფრო სახლის უპატიურობა უმეტესად გამოცხადდეს... ის გაჰბედავს აქედგან ჩუმათ გაგაპაროს და თავისთან შეგინახოს.. მე ვკისრულობ შენის წიგნის გაგზავნასა ერთგულის კაცის ხელით... რაკი ლედოფ-

ლისაგან მიიღებ პასუხსა, შენ შეგიძლიან გაუკირებლივ ჩახვიდე გორამდინ ანუ სურამამდინ, ხოლო იქ თქვენ აღარას ფრის შიში აღარ გექმნებათ... ინებეთ, წიგნი დაწერეთ.—

ანუკამ იწყო წერა; მაგრამ ჩვეულებრივმა მჭევრმეტყველობამ უღალატა მას, იგი ვერა ჰპოებდა სიტყვათა გამოსათქმელად თავის აზრისა; შლიდა დაწერილსა და რამდენჯერმე ახლად იწყობდა წერასა გული მისი აღშფოთებული იყო საშინლად. დასასრულ როგორც იყო გაათავა, და რა მისცა რევაზს, უთხრა:

— წაიკითხე: როგორც რიგია, ისე დამიწერია თუ არა? მგონია, არა არის რა ქალთათვის ისე ძნელი საწერი, რაც თავის ცოდვის აღწერა.

რევაზმა გამოართო და წაიკითხა: „ჩემის ფიქრიდგან განუშორებელო პატივცემულო ჩემო ძმის წულო ნესტან დარეჯან დედოფალო!

შენი უბედური მამის დაი გევედრება, დაიხსნა იგი სიკვდილისაგან. დამნაშავე ვარ უუ არა იმ საქმეში, რომელიც უნდა მობანონ ჩემის სისხლით, ნება მომეცით გავჩუმდ ე ამაზედ. მაგრამ დამნაშავე, რომ ვიყო, ნუ თუ ჩემი ახალგაზრდობა, მოშორება ქმართან და სისუსტე დედა-კაცის გულისა არა ქმარან მოსატოვებლად ჩემის შეცდომილებისა? მე მეშინის ჩემის ქმრისა, მაგრამ უმეტესად ჩემის ძმის ალექსანდრესი. გევედრები, დედოფალო, გამომიხსენით უპატიურის სიკვდილისაგან, რომელიც ახლო და აუცილებელი არის. მე მზათა ვარ საუკუნოდ შევაფარო ჩემი ცოდვილი თავი რომელსამე მონასტერსა, რომელსაც თქვენ დამინიშნავთ და შეესწირო დანაშთენი უბედურნი დღენი ჩემი ღმერთსა, რათამცა მოვინანიო ჩემი ცოდონი.—

— მე ვგონებ, მეტი აღარა უნდა რა, უთხრა რევაზმა: გადასწერეთ და მხოლოდ ეს მოუმატეთ, რომ პასუხი ჩემს სახელზედ მოიწეროს დედოფალმა.

— უდაბნოელი? სთქვა თავ-დახრილმა ანუკამ, რომლის ლოყებიც შეიწო წითლად სირცხვილით... ნუ თუ ის უნდა დავუტევო თავის ბედის სინაბრად?..

— უდაბნოელმა იცის, რომ ურჯულონი ეძტერებიან საქართველოს, უპასუხა რევაზმა მტკიცედ, იგი უნდა წავიდეს და ჯვარის მტერთან ბრძოლაში დასთხიოს სისხლი, რომ პატიოსნურის სიკვდილით მიიღოს ღვთისაგან მოტევება... უმეტეს უდაბნოელმა არ უნდა იცოდეს ჩვენი დაწყობილება; თავის თავის მოსარჩენლად, იგი არ დაგინდობს თქვენ დასაღუპავად.—

ანუკამ მძიმედ ამოიოხრა და დაუწყო წიგნს გადაწერა მთრთოლვარის ხელით. როდესაც მან გაათავა, რევაზმა საჩქაროდ დაწო შავი ამ წიგნისა; დაბეჭდა ახალი ზმინდა სანთლით და როდესაც ზევიდგან აწერდა ადრესსა, ამ დროს კარებს უკან მოესმათ მათ ჯერ ყრუ ლაპარაკი, შემდეგ ხმაურობა ჭიდაობისა და რახვანი ადამიანის დაცემისა.—კარი მსწრაფლად შემოჯახებით გაიღო და კარებზედ გამოცხადდა უდაბნოელი, რომელიც გაანჩხლებული უკან ვიღასაც უყვიროდა: „შენ უთუოდ სიცოცხლე მოგჭარბებია“.

რევაზმა საჩქაროდ წიგნი უბეში ჩაიდო; მაგრამ უდაბნოელმა შეამცნია ეს მოძრაობა; მან წარდგა ორი ნაბიჯი წინა და რა გარდააავლო მრისხანე თვალი ოთახსა, უთხრა ანუკას მწარეს ღიმილით:

— თუ რომ არ დაგიშლია, ბატონის შვილო მცველების დაყენება კარებზედა, მე გირჩევ, რომ აღმოარჩიოთ ხოლმე მაინც კაცნი უმეტეს ლონიერნი, თუცა იმაზე კადნიერნი კი აღარ შეიძლება.

— მე მგონია, რომ ჩემს სახლში საკმაო უნდა ყოფილიყო ჩემი ბძანება, რომ ვერავის გაებედნა აქ შამოსვლა დაუკითხავად,—უთხრა ამპარტავნებით ანუკამ.

— თქვენ შეცდომით გგონებიათ, როგორც ხედავთ; ამიტომ რომ მე შემოველ როგორც იყო. აქ ღიმილი შესწყდა ტუჩებზედ უდაბნოელსა, და რა მისცა ნება თავის ცოფიანობასა, შეჰკვირა: „რა საიდუმლოება გაქვსთ ერთმანერთთან? ვის უკეთ მახესა?... დარწმუნებული ბძანდებოდე, რევაზ ჯორჯაძე, რომ მე ისე არ ვაკბენინებ ძაღლსა, რომელსაც მეც არ გამოვგლიჯო ერთი ბღუჯა ბალანი.. რა წერილი დამალე უბეში? აქ მაჩვენე...

— უდაბნოელო, ეგ თქვენ არ შეგეხებათ, უპასუხა რევაზმა დაწყნარების ხმით.

— მაგას მე გავარჩევ, როცა წიგნს წავიკითხავ.

— უკაცრაოდ, უდაბნოელო, მე არა მაქვს ჩვეულება აღვასრულო იგი, რაც თვითონ არა მსურს.

— რევაზ! მე არ მიყვარს არც მოთმენა, არც წინააღმდეგობა. აქ მიბოძე წიგნი, თორემ...

— უდაბნოელო, თუ რომ ჩემი პატივისცემა კიდევ გიღირს რათმე, უთხრა ანუკამ, დაჩუმდი და აქედგან გადი პატარა ხანს, აქ ჩვენ საკუთარ საქმეზედ ვლაპარაკობთ, და არავის საიდუმლოზედა.

— ბატონის შვილო ანუკი! დრო არის დაუტეეოთ ხასიათი ბრძანებლობისა: მე ამ სახლის მოურავი ვარ თქვენის ქმრისაგან დაყენებული, და ყოველივე უნდა ვიცოდე.

— ბატონო უდაბნოელო! გარწმუნებ ღვთის სახელით, რომ ეს წერილი შენ არ შეგეხება, და როგორც შენს სახელს ცაში ვერ იპოვნი, ისე ამ წიგნში, უთხრა რევაზმა.

ჯერ შენ ემზადები ცაში ასასვლელად, შენი სახელი ეძებე იქა. და არა ჩემი... მამე ეგ წიგნი... თუ რომ თქვენ წმინდა საქმეს იჭერდეთ, ეგრე უარზედაც არ იქნები მაგ წიგნის წაკითხვინებაში.

— ეგ ახირებულია! მე შენს დაწერილს წიგნებს როდი ეჩხრეკავ, რომ მე ჩემი ნაწერი წაგაკითხო! ან რა მიზეზითა ანუ რა ნებითა მთხოვ ამ წიგნსა?

— მე? იმის ნებითა, ვისაც ჩაბარა თავის ოჯახი და ცოლ-შვილი ბატონის სიძემ ოთარ ჩოლაყაშვილმა.

— შენ კიდევ ჰბედავ მაგის მოგონებასა?.. ოო, უდაბნოელო! გიჯობს გაჩუმდებოდე.—

— მიფრთხილდი, რევაზ! ენაზედ გაკბენინებ მაგ სიტყვისათვის!.. აქ მიბოძე ეგ წიგნი.

— ვერასოდეს ვერ გიბოძებ.

— ძალით წაგართმევ. და უდაბნოელმა მიიწია რევაზისაკენ.

— რას შვრები, შე უგუნურო! უთხრა ქალმა, რა ჩაუდგა მათ შუაში: რა უშმაკის ცხენზედ შემჯდარხარ!

— თქვენი საქმე არ არის, ბატონის შვილო! ეს არც თქვენ დაგაყრის კეთილსა... მიბოძე რევაზ წიგნი.

— გეუბნები, ვერ მოგვცემ. წიგნი ჩემს გულშია; შეგიძლიან შენის ხანჯლით ამომართო. მხდამ მე დანაც არ მიჭირამს ხელში.

უდაბნოელმა წაიღლო ხმალთ ხელი და გაბრაზებით მიიწია რეეაზისაკენ, რომელიც გულ-ხელ დაკრეფილი იდგა უძრავად და უშიშრად ერთს ალაგს. ამ დროს კარები რახუნით გაიღო და რა აღრეულის სახით შემოვარდა ტიტიკო, წარმოსთქო ხმა მაღლა-

— ბატონის სიძე ოთარ...

ამ სახელის ხსენებაზედ ყველას თითქოს ელვამ დაუარა ტანშიო. უდაბნოელმა გარდასდგა ორიოდ ნაბიჯი უკან და რა საჩქაროდ ჩააგო ხმალი ქარქაშში, ცდილობდა მიეცა თავის სახისათვის დამშვიდებითი მდგომარეობა.— ანუკა, თითქოს გულ-შეღონებული მიმჯდარი ტახტზედ, წამოხტა მსწრაფლად ფეხზედ და უძრავად მიაქცია თვალნი კარებისაკენ.—რეეაზმაც იფიქრა, რომ ამ დროს იმისი იქ ყოფნა საჭირო არ არის, რადგანაც არ ეკუთვნიდა იმ სახლობასა: ამჯობინა თავის მორიდება და ჩუმად, დაწყნარების ნაბიჯით გავიდა კარზედ; მაგრამ დიდად განკვირდა იგი, რომ არა თუ მას კარებში არ შეეხვდა ანუკას ქმარი ოთარ ჩოლოყაშვილი, არამედ გალავანშიც ვერ ნახა ვერავითარი ნიშანი იმის მოსვლისა.

ანუკა და უდაბნოელი უყურებდნენ გაჩუმებულნი რამდენსამე ხანს კარებსა და ელოდნენ ოთარის შემოსვლასა. დასასრულ უდაბნოელმა ჰკითხა ტიტიკოს:

— რა იქმნა ბატონი ოთარ?—

ხოლო რა იანგარიშა ტიტიკომა, რომ რეეაზი უკვე გასული იქნება გალავანსა, მიიღო დაცინვითი სახე და რა მიუბრუნდა ანუკას, განაგრძელა გაწყვეტილი სიტყვა თვისი:

— ბატონის სიძე ოთარ ჩოლაყაშვილი გიგზავნით, ქალბატონო, მოკითხვასა და ითხოვინებდა, რომ მას იმედი აქვს განახოსთ მარიამობის თვის თხუთმეტანდინ,—ანალთან ტიტიკომ ნდაბლად დაუკრა თავი და გაბრუნდა, რა მიაქცია გვერდზედ უდაბნოელს დაცინვითი ჭვრეტა.—უდაბნოელი მიხვდა რომ იგი გაბრაზებულ ყოფილ და რა იწყო მან თითებზედ კბენა და კბილების კრაჭუნი, წაიბუტბუტა ჩუმად: „გარდაგიხდი ამის სამაგიეროს, ავო ძაღლო“!—

თავი მესამე.

ამის შემდეგ ანუკა ერიდებოდა უდაბნოელთან შეყრასა, ანუ ცდილობდა მარტო მაინც არ დარჩენილიყო მასთან. ხოლო ტიტიკოს მყოფობა კი შეიქმნა საჭიროდ ქალისათვის, რომელიც ხედავდა მასში ერთგულსა და სანდოს ყმაწვილსა კაცსა, და ანალთვის მან მოუმატა მისდამი ჩვეულებრივი ალერსი. ხან იმის კიკინებს ეთამაშებოდა ხოლმე, და ანუკას არ აგონდებოდა, რომ ტიტიკო იმ ჰასაკშია შესული, როდესაც სიყვარული ქარიშხალივით აოხრებს კაცის გულსა. ხოლო ვისაც გამოუცდია ძალა პირველის სიყვარულისა, იგი გაიგებს, რომ ეს ალერსი ქალისა ენსგავსებოდა ქარსა, რომელიც უძლიერესად უკიდებს ანთებულს ცეცხლსა.

ერთხელ მშვენიერს საღამოზედ, ანუკა ჩავიდა ბაღში სასეირნოდ. და დაყრდნობილი ტიტიკოს მხარზედ, შესცქეროდა დაფიქრებული ცასა, რომელიც,

დაფეროვნებულ იყო ათას ფრად ახლად ჩასულის მზის სხივისაგან, ხოლო ტიტიკო კი შესცქეროდა ამ ქალს სახეში, სადაც ჰპოებდა თავის სამოთხეს, თავის მზეს და ყოველს ცის მშვენიერებასა. თვალნი ყაწკილის ვაჟისა ცოტ-ცოტად აიმსნენ ცრემლითა, რომელთაც უტირლად იწყეს დინება ლოყებზედ—მაგრა, მეყვესეულად მას გაუშრა ცრემლი, თვალები გაუგანიერდა და გამოჰსცეს მათ რაღაც ცეცხლებრივი ბრწყინვა; ცოების თრთოლამ დაუარა მას ტანში, და რა ველარ შეიმაგრა თავი და თვითონ არ იცოდა რას შვრებოდა, ტიტიკომ მოხვია ხელები ანუკასა კისერზედ და უგუნურად უწყო მას კოცნა პირზედ, გულზედ, ხელებზედ.—

შემკრთალსა ერთს წამს ამ მოქმედებითა, ანუკას მოუვიდა კანკალი მრისხანებისაგან, და რა ძრიელად ჰკრა ხელი ტიტიკოსა, მოიშორა თავიდგანა. ჯავრისაგან ქალმა ხმა ველარ ამოიღო, თუმცა მრისხანება თვალებში უდგა მას. იგი გამობრუნდა შინისაკენ; ტიტიკოც თავ-დაღუნული მოსდევდა თითქოს არა დაუშავებიარაო.

— დამიძახეთ ინდოს აქა! უბრძანა ანუკამ გოგოს რა შევიდა შინ.

რამდენსამე წამს უკან ინდო შემოვიდა. ეს იყო ლეკი, ქრისტიანულად მონათლული, ყმაწვილობისას მოყოლილი ანუკას დედასთან; ერთგული და ჩუმი, ვაჟკაცურის შეხედულობით, იგი ძვირად გაიცინებდა ხოლმე და ვერავინ ვერ გაიგონებდა მისგან თვეში სამ სიტყვასა, გარდა იმისა, რომელიც საჭირო იყო სათქმელად.

— ჩემო ინდო, უთხრა ქალმა: ჩვენმა ტიტიკომ მოისურვა შინ წასვლა, თავის მოხუცებულთ მშობლებთანა. მეც არ შემიძლიან დაუშალო წასვლა. საწყალი დედა ვგონებ რამდენი ხანია ელის ამის ნახვასა. დაეხსენ ნახოს თავისი შვილი, გაზრდილი ვითარცა შეშვენის კეთილშობილთა. ეს ეყოლება ნუკეშად იმის მოხუცებულებასა... ინდო; გააცილე ტიტიკო ქართლამდინ და ეტყვი ამის მშობელთა, რომ ტიტიკო გვემსახურებოდა ერთგულად და პატიოსნურად; თუ რომ მოუნდებათ მათ ჩემი შეწევნა, ამაზედ მე ვთხოვ გაბედვით მომმართონ მე. დაარწმუნე საკუთრად ტიტიკოს დედა, რომ მე კმაყოფილი ვიყავ ამის ქცევით, ზოგიერთს ყმაწვილურის ქცევის გარდა, რომელნიც მიეტევება, ამიტომ რომ ყოფილა ყმაწვილური. ეკრეთვე ურჩევ ჩემ მაგიერად, დაეშუროს რომ შერთოს ტიტიკოს ცოლი იმისთანა ქალი, რომელსაც შეეძლოს თავის სილამაზით, კარგის ხასიათით და ყოფაქცევით გაუნელოს ტიტიკოს მეტად აღგზნებული გული. —მიე წაიყვანოს თავის ყარაბაღული ლურჯი ცხენი თავისის სამკაულით, აგრეთვე ბატონის საჭურვიდგან მიეცი თოფ-იარაღი, ხმალი, ხანჯალი გაწყობილობით.—მშვიდობით. ხვალ ვიდრე მზე თავს ამოჰყოფს, უნდა გასულნი იყვნეთ გრემიდგან. თუ გზაზედ ავად გაგიხდეს, ურემს შეუბმევინებ და სიბრთხილით წაიყვან.—ვიდრე მშვიდობით არ ჩააბარო დედ-მამასა, არ დაბრუნდე...

— წადი, ტიტიკო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კარგი ამბავი შენსგამო, ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო საჩუქარი იქმნება... აჰა ეს ბეჭედი, ჩემს მაგიერად დედა შენს მიეც (მან წაიძრო თითიდგან ზურმუხტის ბეჭედი და მისცა): აჰა ეს ოც და ათი ოქროც მამა შენს მიართვი.—

ტიტიკო გაყვითლებული, თვალებ დახრილი, მწუხარებისაგან შეწუხებული გამოყვა ოთახიდგან ინდოსა, ვითარც მსხვერპლი სასიკვდინოდ განმზადებული მისდევს თავის პალაჩსა.

ქალი კარგა ხანს უყურებდა ტიტიკოს, რომელსაც ფეხები ებლანდებოდა სიარულში.—შემდეგ ქალმა მიიფარა ხელი თვალებზედ და სთქვა: ოჰ! მე ბედკრული! რამდენი უბედურების მიზეზი ვარ!

უკვე დაღამდა. ანუკამ დაითხოვა მოახლეები: უბრძანა მათ, რომ თვითონ გაიხდის, და ნუღარავინ ნუ შეაწუხებს მას შემოსვლითა.

მან უკვე ასწია საბნის წვერი დასაწოლად, მაგრამ მურასა ქვეშაგების სასუფთავემ შეაყენა იგი;

„ჩემო საქორწინო საწოლო, ამბობდა ქალი: შენ ეხლაც იმ სიწმინდავის სუნი გიდის, ვითარცა ჩემის ქორწინების პირველს ღამესა; შენ თვალისათვის ისეთივე თეთრი ხარ, ვითარცა ზეციდგან პირველ ჩამოვარდნილი თოვლი, მაგრამ ღვთის თვალ ქვეშ კი, განა არის ვინმე იმისთანა ღარიბი, რომელსაც კი ამაზედ ეუკეყიანი ქვეშაგები ქონდეს?..

მე კი აქ გამოვსცადე წამნი ნეტარებისანი: აქ მომილოცეს მე ტკბილი სახელი ვაჟის დედობისა.. ოჰ! ნეტავი მაშინ დამეძინა საუკუნოდ და გამომეღვიძა ცაში! მახსომს მე ის წამიცა, როდესაც ჯვარ-დაწერილნი და დაბრუნებულნი ეკკლესიიდგან, შემოვედით მე და ოთარი ამ ოთახში.—მან მითხრა მაშინა: ჩემო ცოლო ბატონის შვილო! მიანდერძებია შეთვის ეს სარეცელი, და მასთან ჩემი პატიოსნება და ოჯახის ნამუსი. მე ხშირად შემხვდება ცხოვრება შორს შენგან, და არავინ არ გეყოლება კეთილის დარიგების მომცემი, და შეცთომილებისაგან შემყენებელი. ისწავლე შენ თვითონ უყურო შენს თავსა, ეცადე გაამაგრო გული და სული შენი. გახსოვდეს, რომ შენი ცოლებრიური ერთგულება, სასიამოვნო ღვთისა, იქნება ჩემთვის და ჩვენის მომავლის შვილებისათვის უძვირფასეს ყოვლისა, რაიცა კი იპოვება ქვეყანაზედა.—სიწმინდე ცოლისა არის გვირგვინი დიდებისა მის ქმრისათვის; სიწმინდე დედისა არს საუკეთესო მზითევი მის ქალებისათვის.—დედის უნამუსოება ჰსდებს საუკუნოდ ლაქსა იმის შვილის შვილებსაცა“—ეხლა რომ ოთარმა მკითხოს მე: „გახსომს შენი აღთქმანი“? არ მისცემდაა ჩემ მაგიერად პასუხსა სიწითლე ჩემი სირცხვილისა?.. ეს საქორწინო საწოლი, ეს წმინდანების სახენი ხომ ერთის ხმით დაიძახებენ: ჩვენ შეგინებულნი ვართ!.. ოო, რატომ არ გაუწყალდი მე დედას მუცელში!.. რად დავიბადე, რატომ არ მოვკდი ჩემის უცოდველობის დროსა!.. იტირე, იტირე ანუკი! ცრემლი არის პირველი ნიშანი შეწყალებისა ღვთის რისხვისაგან“.—და ანუკამ ჩაყო ბალიშში თავი და ჩუმად ქვითინებდა. დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში ბატონის შვილი; მაგრამ უეცრად მას მოესმა, რომ მეორეს ოთახში—ფანჯრიდგან ვიღაც ჩამოხტა; მერმე მოესმა ფეხის ხმა. ქალი მსწრაფლად წამოხტა და წინაშე მისა იდგა ტიტიკო. თუმცა გული ქალისა შეიწროვდა რაღაც საშიშო წინათგრძნობითა, მაგრამ მტკიცის ხმით ჰკითხა:

— აქ რაღათ მოსულხარ? რა გინდა ტიტიკო?

— მე მოველი საკითხავად: სად არის ჩემი გული, რომელიც შენ შეამსხვრიე; სად არის ჩემი სიცოცხლე, რომელსაც მოუღე ბოლო: სად არის ჩემი სული, რომელიც წაწყმინდე:—სად არის ჩემი მოსვენება, რომელიც აღაშფოთე?

— ტიტიკო! შემიბრალე, ნუ მომიმატებ ტანჯვაზედ ტანჯვასა უიმისოდაც აუტანელსა...

— ჭინ კი გებრალებოდი? შენა! ვითარც დამჭკნარი ვარდი, მომგლიჯე და დამაგდე; ვითარცა უგრძნობელი ქვა, ჩემი გული დათრგუნე... შენის სიმკაცრით განაღვიძე ჩემი ნაღველაც: მე მოვსულვარ...

— რისთვის უგუნურო? აკი გაგისტუმრე შინა!

— მე მოვსულვარ მოგთხოვო სიყვარული, რომელსაც მპირდებოდი, რომ-ლითაც მაქეზებდი...

— რას ამბობ, შვილო ტიტიკო! როდის გპირდებოდი, ვინ გაქეზებდა?.. შენ თვითონ არ გესმის რას ბოდამ—

— მაშ შენ არა მკოცნიდი ხოლმე თავზედ? ლოყებზეც ხელს არ მისომდი? მე ყოველივე მახსომს, რისგანაც აინთო ჩემს გულში ეს შემწველი ალი... მარ-თალია, შენ სიტყვით არა გითქომს რა; მაგრამ რას ნიშნავენ სიტყვანი? რის-თვის არიან? ენას როგორ შეუძლიან გამოჰსოქვას ის, რასაც მე ეხედამდი შენს თვალებში, შენ სახეში, შენს ალერსში... ნუ თუ გეგონა, რომ ჩემი საცოდავი გული აიტანდა ამაებს უგრძნობლად? შემიბრალე, მომეც მცირედი ნაწილი შე-ნის სიყვარულისა, ბატონის შვილო...

— ჭკუაზედ მოდი, ტიტიკო! მე დედად გეფერები...

— მე რას დავსდევ მაგას. შენ მშვენიერება ხარ, შენ ჩემი სალოცავი ხარ. განა ეკითხულობ როდის დაბადებულხარ? რა არის დრო? ჩვენი მთელი სიცოცხ-ლე ერთი წამია. ერთის წვეთის სიყვარულით დამატკბე...

— ტიტიკო! ხომ იცი, რომ სხვის ცოლი ვარ...

— სხვისთვის რატომ არ გაბრკოლებდა ეს წოდება? სხვას, შენ ულირს კაცს, რათ ამსებდი ეგრე უხვად ჯილდოთი, რომლისაც ერთი ნამცეცი ჩემთვის არ გემეტება?..

— შემარცხვინე, ტიტიკო, ყელი გამომჭერ, მე არ შემიძლიან ვიწყინო შენის სიტყვებით: მაგრამ იფიქრე ჩემის სულისათვის მაინც...

— მე რომ ჩემი თავი მოვიკლა, მაშინ შენი სული დაიხსნება?—

— კარგი, ტიტიკო! შემომხედე: მე ვიმდაბლებ თავსა,, ვივიწყებ ბატონის შვილობასა: მუხლ დაჩოქით გევედრები მე ცოდვილი, გადი, მომეც მოსვენება მონანებისა...

— ჯერ შემიყვარე და მერე მოინანიებ.—

— არ შემიძლიან, შვილო!

— მაშ ნუ მიშლი მე მიყვარდე

— მეტად კადნიერ დები შენა... ეხლავ გადი, თორემ ბიჭებს დაუძახებ.

— ნუ დაუძახებ, თორემ მე გადამიწყეტია ჩემი თავიც მოვკლა და...

— ოჰ, წმიდაო ქალწულო!... ტიტიკო, დედა შენი მაინც გებრალებოდეს... დაეშურე იმის ნახვას, იმ საცოდავს შენის გზისაკენ ეპირება თვალი...

— შენ დედაც დამავიწყე და მამაცა!... შენ კი გებრალებოდა ისინი? შენ უბრუნებ იმათ საყვარლის შვილის მაგივრად ცხედარსა... შემიბრალე ანუკი შენ ხარ მთელი ჩემი სიცოცხლე... დამინიშნე რამ ძნელი აღსრულება და ჯილდოდ მომეც შენი სიყვარული... მითხარი, რა გნებავს მოვიქმედო?... გინდა მკვლელი შევიქმნა ვისიმე? მზათა ვარ.—გინდა ამ ფანჯრიდან გადავარდე, საიდგანაც ძლიეს ამოველი? მაგასაც აღვასრულებ. მხოლოდ მითხარ, რომ გიყვარვარ... ერ-

თის ყლუმპის სიყვარულით განაგრილე ჩემი მწყურვალე ტუჩები... მხოლოდ ერთის ყლუმპით...

— ოჰ, ღმერთო! მკაცრად მტანჯავ და მახდევინებ ჩემს ცოდოსა... გული მეგლიჯება...

— გამიგონე ბატონის შვილო! როდესაც მე შევამჩნიე შენი სიყვარული უდაბნოელთან, მე უკვე მიყვარდი; მაგამ გული ჩავიჩუმე. ეს კიდევ არაფერი: რომ არ შემეწუხებინე, მე შენ არ გეუბნებოდი, რომ შენი აღმორჩეული მიჯნური უხვად ურიგდება სიყვარულსა თვისსა ქალებსაცა განურჩევლად. ჩვენგან ხარ დავალებული იმით, რომელ აქამომდე თქვენის სიყვარულის ამბავს არ მიუხწევია არც თქვენ ქმარამდინ და არც ალექსანდრე მეფემდინა. მე გიფრთხილდებოდით დღითაც და ღამითაც... როდესაც უდაბნოელი მოდიოდა ხოლმე ღამე თქვენს საიდუმლოდ სანახავად, მე მას დაესდევდი უკან უჩინრად... მე შემეძლო მოჰკლა იგი, და ღმერთმა იცის, რა მოთმინებას ვაძლევდი ჩემს თავს, რომ ის არ ავასრულე... მაგრამ არ მოვკალ შენი საყვარელი, რომ შენ არ გემწუხრნა.—თქვენ დასაცველად, მე დავაგდე ხმა, რომ ამ მბარეს ეშმაკები დადიან გათენებამდინ; მე ყარაულად ვიდექი ხოლმე კარებთან, არც სიცივისა მერიდებოდა და არც უძილობისა, ამიტომ რომ მეშინოდა არავის არ ენახეთ უღროვოდ, რადგანაც თქვენ თვითონ უზრუნველობით გავიწყდებოდათ ყოველი შიში... შეგიძლიან წარმოიდგინო, რა სატანჯველსა ვგრძნობდი ხოლმე, როდესაც მესმოდა ხმა თქვენის კოცნისა, დაპირება მეორეს ღამის მოსვლისა!... მე ყოველს ამას ვითმენდი შენის სიყვარულის გულისათვის... მე კიდე დავიტანჯებოდი ჩემად, რომ შენ კიდევ გყვარებოდა უდაბნოელი; მაგრამ ახლა შენ თვითონ იცანი იგი, დაწვრილებით გაიგე იმის ხასიათი: ის შეიქმნა შენი მტერი. შენ ყველაზედ უმეტესად იმისი უფრო უნდა გეშინოდეს, და კიდეც გეშინიან... ახლა შემიძლიან მოგთხოვო, შემიყვარო მე, შენი ერთგული, შენი საუკუნოდ მონა...

— დამშკიდდი, შკილო ტიტიკო! მე მესმის შენი ტანჯვა ჩემს შესარცხვენად. შენ იჯდები ჩემს გულში იმ დროიდინ, ვიდრე ჩემი ძვლები განშორდებიან ერთმანერთს საფლავში... მაგრამ, შვილო, ამოიფხვენ ჩემი სიყვარული; მე არა ვარ შენის წმინდა გულის ღირსი. დრო ჩქარა მოგირჩენს მაგ წყლულსა, ნუ თუ ჩემისთანა უბედურს დედაკაცს კიდევ მიმატება უნდა უბედურებისა?... დამიმტკიცე ტიტიკო შენი სიყვარული შენის სიმტკიცით, მოთმენით...

— ეხლა გეშინის ჩემი, და სიტყვები მოალბილე?... ეხლა არ იყო, ინდოს: რა მწარე სიტყვებით მატანდი. შენ მაგდებდი შენის სახლიდგან, შენის გულიდგან, და თუ არ გშინებოდა სულისა, ამ სიცოცხლიდანაც გამაგდებდი. დასაცინავად მომიყარე ერთი მუჭა ოქრო მოსარჩენად ჩემის გულის წყლულისა!.. ოჰ, ამოლაყდი, ამოიფხვენ ჩემო სიყვარულო ამისთანა შეუბრალებელს, ცივს, უგრძნობს დედაკაცთან!... არ ვიცი რა მაბრკოლებს მე? რატომ არ მოვახსენებ მეფეს შენს ქცევას? რატომ არ დასტკბები სახილველით შენს უპატიურობითის სიკვდილისა?...

— წადი დამაბეზღე...

— არა, მე თვითონ მოგკლამ შენა...

— მომკალ ჩქარა!..

— დაგაბეზღო! მოგკლა! რას ეროტამ მე უგუნური?... ბატონის შვილო, შენის სიყვარულის მეტი არა მინდარა...

— დაიკარგე!

— შენ ჩემი უნდა გახდე!... შემდეგ—თუკინდ ჯოჯოხეთმა, თუგინდ ეშმაკებმა ჩამთქან!... მე ვვიჟდები. ტვინი მეწვის, აღარ შემიძლიან მოთმენა...

და ტიტიკო მივარდა ანუკას. ქალმა ხელი ჰკრა მას: საშინელი თრთოლა და სისუტე მოუვიდა თითქო უკანასკნელი ლონე გამოელია, და რა არაეისგან არ ელოდა შველასა, ქალი რაცხამდა თავის თავს უკვე შერცხვენილად... მაგრამ ამ დროს იმის მხრების ზემოდგან გაიელვა გრძელმა ხანჯალმა და ელვასავით დაერტო ტიტიკოს გულში. დაჭრილმა გადასდგა ერთი ფეხი უკან, გაიქნია ხელები, ცდილობდა სიტყვის ამოღებასა, მაგრამ მხოლოდ გაუგებარი ჩურჩული მოისმოდა: ცხელის სისხლის ლულამ წამოხეთქა და გააქრო სანთელი.—სიბნელეში მოისმა ხმა ადამიანის დაცემისა და შანდნის რახარუხი.—

ანუკამ შესწიელა საშინელის გმით და დაეცა იგიც უგრძნობლად იატაკზედ. დიდ ხანს იყო იგი ამ მდგომარეობაში.—დასასრულ, საშვალ რაღაც ბურანისა, მას მოეზმანა ტიტიკო სისხლით მოსვრილი, რომელიც მუკით იღებდა გულიდან შედუღებულს სისხლსა და ამ ქალს პირზედ ასხამდა. შემდეგ მითომ მოესმა მოხუცებულის დედაკაცის ტირილი და ხმა, რომელიც სწყევლიდა ანუკას და სთხოვდა თავის შვილს ტიტიკოს.—აქ ანუკას გამოელვეიძა, შიშით გარდააველო მან თვალნი ოთახსა.

რას ნიშნავ ეს? იგი იჯდა თავის ქვეშაგებში სანთელი სუსტად ბეუტავდა; არეულობა არაფერში არა სჩანდა და არსად არა იყორა შესვრილი. ქალმა არ იცოდა რა ეფიქრნა.

ნუ თუ ყოველი ესე სიზმარი იყო? ფიქრობდა იგი და თითქის კიდეც დარწმუნდა ბოლოს ამაზედ. ანუკამ გააღო ბალკონის კარი და ის იყო ალიონი ამოდიოდა, სასახლის ეკლესიისაც ჩამოკრეს ცისკრის ზარი. მწუხარება გრძნობს საჭიროებასა ლოცვაში. მან საჩქაროდ გადაიცვა სამოსი და წავიდა ცისკარზედ. იგი დასდგა კარებთან სვეტის ძირზედ და როდესაც მღვდელმა ჩამოილოცა, ანუკამ მოიდრიკა მუხლი, მაგრამ მიწა შეერყა ამის ფერხ ქვეშ, და შიშისაგან, რომ არსად ჩავარდეს, ხელები გაშალა რისამე მოსაჭიდავად; მას შეხვდა ვილაც მკლავი, რომელმაც შეიშაგრა წაქცევისაგან. ქალმა შეხედა ვის ეკუთვნოდა ეს ხელი და ნახა თავის სიახლოვეს უდაბნოელი.

ოჰ, ჩვენი ცოდვილის ფერხ ქვეშ ღმერთი მიწას არყევს, უთხრა ქალმა.

— დამშვიდდით! უპასუხა უდაბნოელმა; წუხელის გათხარეს ეს საფლავი და სჩანს ჯერ ახალი მიწა არ დამჯდარა.

ანუკამ მიიდო ხელი თვალებზედ და დაუწყო ტუჩებს კენეტა, რომ უნებურად არ შეეკივლა. იგი გამოვიდა საჩქაროდ ეკლესიიდგან ვითარცა გიჟი, და მოვიდა შინ არეული, გაყვითლებული, გულ მოწყვეტილი.

— ოჰ, საცოდავო ტიტიკო! შეყვარა მან: ნეტა რა პასუხი გავსცე შენს სოკვდილში დედა შენსა, ღმერთსა, ჩემს სინიდისსა?... ოჰ, თუ უბედურათა ვარ ქვეყანაზედ გაჩენილი!

ალექსანდრე მეფე იჯდა შეკმუხვნილი თავის სასახლეში; წინ ედო მას დიდი ფარჩის ბალიში და მაზედაც ქაღალდი—იმას უკვე დაეწერა ორი წიგნი და მესამეს ათავებდა. ერთი იყო შაჰბაზთან, მეორე თავის შვილთან კონსტანტინესთან და მესამე თავის სიძესთან ოთარ ჩოლაყაშვილთან. რას სწერდა მეფე შაჰბაზ და კონსტანტინეს, ცნობას ამაზედ ჩვენამდინ არ მოუხწევია; ხოლო ოთართან კი ეს მიეწერა:

„პატივცემულო სიძევ ოთარ ჩოლოყაშვილო! მიღების უმალ ამ წერილისა ადექ და გამოეშურე კახეთს. შაჰბაზისა და კონსტანტინესათვის შენი დაჩქარების მიზეზი იქნება შენი ცოლის მძიმედ ავადმყოფობა, რომელთაც მეცა ვწერ ამაზედ: ხოლო ნამდვილი მიზეზი არ მინდა მივანდო ამ ქაღალდსა, და როდესაც ღმერთი მშვიდობით ჩამოგახწევინებს აქამდინ, მაშინ მე თვითონ პირადგეტყვი, მხოლოდ ეს კი უნდა იცოდე, რომ რა საქმისათვისაც გიწოდებ, შეგეხება საკუთრად შენ და შენ ოჯახს, თუმცა ჩემზედაც შორს არ არის.—წამოსვლა შენი უნდა იყოს ჩუმად, ორიოდე-სამის კაცით; ხოლო აქ მოსვლა კი უფრო უჩუმრესად, ასე რომ, მანამ არა გნახო, არავინ არ იცოდეს შენი ჩამოსვლა.—პირდაპირ ჩემსას მოხვალ, და ეცადე რომ შენი მოსვლა დაფაროს ბნელმა ღამემ.“—

ერთის თვის შემდეგ კახეთიდგან ჩაფარის გაგზავნისა თეირანში, ალექსანდრე მეფეს მოახსენეს ერთს ღამეს, რომ ვიღაც თეირანიდგან მოსულს ვაჭარსა სურს მისი ნახვა. ალექსანდრე მიხვდა ვინ უნდა იყოს ის ვაჭარი და უბრძანა მიღება მისი—ეს ვაჭრულად ჩაცმული იყო ოთარ ჩოლაყაშვილი, მაღალი ვაჟკაცი, მზისაგან შემწვარი, შავის წვერ ულვაშით მობუმბლული.

მეფემ აკოცა მას შუბლზედ, იმანაც კალთაზედ და მხარზედ. მეფემ ჰკითხა ამბავი თეირანისა, შაჰბაზისა, და თავის შვილის კონსტანტინესი. ოთარმა მიართო მათგან გამოგზავნილი უხვი მოსართმევი, მაგრამ შვილის გამო კი არ მოუტანა სასიხარულო ამბავი: მცბიერი შაჰბაზ ცდილობდა კონსტანტინეს გათათრებასა და იმასაც ჰქონდა მიდრეკილება იმათ სარწმუნოებისადმი.

— დაღალული იქმნები ჩემო სიძევ, უთხრა მეფემ, როდესაც მწუხარებით მოისმინა თავის შვილის ამბავი: ამაღამ მოითმინე და ხვალ გაცნობებ რისთვისაც მოგიწოდე სპარსეთიდან. ერთი ფიქრი ამ საგანზედ მიხურებს სახესა სირცხვილით.—

— მომიტევეთ მეფევ. თვე არის ჩემმა თვალმა და გულმა არ იციან მოსვენება, რაც თქვენგან წიგნი მივიღე. რაღაც სასტიკი წინათგრძნობა მტანჯავს. სჯობს ყოველი უბედურება ჩემი ეხლავ ერთად გავიგო, ვიდრე ამ ღამემ თითო წვეთობითა ვულაპო.

— მაშ მოამზადე ყურები გასაგონებლად: იცოდე, ჩემო სიძევ, რომ მე შენში და შენ ჩემში შერცხვენილნი ვართ; გავხდით მტრის დასაცინავნი; ოჯახი შეგვირცხვა, და მიზეზი ამ შერცხვენისა არის ავი სისხლი შამხლის ქალისა, ჩემი დაი, შენი ცოლი...

— ანუკა?

— ჰო! იმისმა ქცევამ მოგვეკრა თავები...

— ოჰ, მიბრძანეთ, ვინ არის ის უბედური?.. გულღვიძლს ამოვგლეჯ მკერდიდან, ვინც უნდა იყოს!.. შეჰყვირა ოთარმა.

— ისიც შენი ერთგული უდაბნოელი!

— ისა?.. ჩემი მოურავი?.. რომელსაც მე მშიერი მუცელი გაუძღე, რომელსაც მამობას უშვრებოდი, რომელსაც მივანდვე ჩემი ოჯახი!... ოო, ღმერთო!

— ჰო, იმან დათრგუნა წიხლით კავშირი მეგობრობის, იმან გიორგულა შენ, საყვარელს ბატონს, თავის კეთილის მყოფელს...

— ოჰ, ყურებო ნუ დამეცმით! თავის სარქველო ნუ ამვარდები, თვალებო ნუ დამეხუჭები?... ოჰ, ოჰ!, ეგ რა მიბრძანეთ, ჩემო ხელმწიფეე!... და აქამდინ ის კიდევ მზეს უყურებს, კიდევა სტკბება დღის სინათლითა?...

— ეგ შენი საქმე იყო, და იმისთვის მოგიწოდე სპარსეთიდან, რომ ღირსეულად ყველას თავისი მიაგო.—

მეფეე, შენი ჭირიმე! დარწმუნებული ბრძანდებით, რასაც მიბრძანებთ? თვით ბრძენს კაცს არ შეუძლიან ყოველი ნახოს თავის თვალით, და ხან და ხან უნდა მიენდოს სხვასა...

— მე ყველას თვითონ ვხედავ... განა ამისთანა საქმეს დაურწმუნებლივ იტყვიან?... დაბძანდი ჩემო სიძეე, მხნეობა იქონიე, და გარდავსჭრათ რა უნდა ვქნათ. აჰა მე რა განმიზრახამს ამისგამო?... და მეფე ხმა მდაბლივ, რალასაც უჩურჩულებდა, დაწყნარებით, დაყოვნებით—ოთარი მკვდარს ემსგავსებოდა, და მხოლოდ მარჯვენა ხელი მისი იძროდა: ხან ხანჯლის ტარს უჭერდა, ხან მუშტსა, ხან თითებს იტკაცუნებდა. ბოლოს, თითქოს იგი გიმოვიდაო ბურანიდგან, სთქვა ყრუის ხმით:

— თქვენ დანერგეთ ჩემს გულში ჯოჯოხეთი... რა უნდა უთხრა მე ჩემს შვილს ერასტას ოდესმე რომ მკითხოს იმან: „სად არის დედა ჩემი?“

— ერასტის არა ეცოდინება რა თუ შეიტყობს, იტყვის: „ეგრე უნდა გექნათო“—მე იმას დედასთან აღარ ვგზავნი, ჩემთან იზდება.

ოთარმა ღრმად ამოიოხრა.

— რატომ ეგრე სუსტად ექცევი ამ საქმესა, ოთარ? უთხრა მეფემ: მე დავიყრუე გულში ხმა ჩემის სისხლისა და ჩემ დას ხელში გაძლევ; ხოლო შენ კი არ შეგიძლიან დაამარცხო შებრალება შენს დამნაშავე ცოლისადმი?

— შენი ჭირიმე მეფეე; იგი დედა არის ჩემის შვილის ერასტისა... მაინც მე ვერ გავბედამ, მე არ შემიძლიან დავრწმუნდე ერთის ოქვენის დარწუნებითა. მე უნდა ვნახო ჩემის თვალითა... ნება მომეცით მოვიხმარო ჯერ ღონისძიება, რასაც მე დავინახამ საჭიროდ.—

— მოიქეცი, როგორც გსურს, უთხრა მეფემ: მაგრამ—სიჩუმით, უხმიეროდ.... დაიმარხე საიდუმლო ჩვენის ლაპარაკისა და როდესაც დარწმუნდეთ მწარე სიმართლეში, მაშინ მოიგონე, რომ თავადის შვილი ხარ და ქუდი უნდა გეხუროს ნამუსიანი... ამალამ ქვეით სახლში ჩადი. იქ შენთვის ყოველი მომზადებულია.

ოთარ წამოდგა შეეიწროებულის გულით, და გამოვიდა სასახლიდგან ბარბაცით, ვითარც დაჭრილი კაცი.

ნესტან დარეჯან დედოფალმა, რა მიიღო ანუკას წერილი, მაშინვე მოსწერა პასუხი და სთხოვა სურამამდინ როგორმე მოსულიყო და იქ მოაშველებდა კაცებსა და გარდაიყვანდა თავისთან სადადიანოში, სადაც შეეძლო მას ეცხოვრნა უშიშრად და თავისუფლად. მაგრამ ვიდრე ეს წერილი მოუვიდოდა, ანუკამ უკვე გულიდგან ამოიღო გაქცევა იმერეთში; იგი თითქოს გრძნობდა თავის გარდასახედსა და არა ცდილობდა ბედთან ბრძოლასა.

სიყმაწვილეში ანუკას ჰყავდა დობილად თავის გამდლის დის წული, თავისავით ლამაზი და იმისივე ტოლი, სახელად მარიკო. თავის გათხოვების შემდეგ ანუკამ მარიკოც გაათხოვა ერთ მღვდლის შვილზედ მოსიკოზედ, რომელიც ექვსი თვის შემდეგ ჯვარის წერისა, იძულებული იყო გაყოლოდა თეიერანში ოთარ ჩოლაყაშვილსა, რ.დგანაც იმისი ყმა იყო. ანუკა როგორც ყმაწვილობაში, ეგრეთვე ქმრის დროსაცა, მიანდობდა მარიკოს თავის საიდუმლოსა, რომლისაც დაცვა მან კარგად იცოდა. ხოლო როდესაც ანუკამ გარდიცვალა ფეხი სწორის გზიდან ბრუნდეს გზაზედ, დაიჭირა შესაკიცხავი საქმე უდაბნოელთანა, მაშინ არა მხოლოდ იმან მოაკლო მარიკოს ნდობა თავისი, არამედ მძიმეთაც ეჩვენებოდა იმისი თავისთან ყოფნა, თუმცა ხედამდა, რომ მარიკოს გაგიჟებით უყვარს იგი და მზათ არის თავი შეჰწიროს იმის გულისათვის.

მარიკო იჯდა თავის სახლში ჩაფიქრებული და ვიღამაც კარი დაურახუნა. მარიკო შეხტა, მაგრამ მაშინვე წამოდგა და გააღო კარები. იმის წინ იდგა ინდო, ანუკას მსახური.

— მშვიდობა შენი ნახვა, ინდო! ეს საიდან გარჯილხარ ჩემთან? ჰკითხა მარიკომ.

— ქალბატონმა შემოგითვალა, ამაღამ შუაღამისას ჩემთან მოდიო, საჭირო საქმე მაქვსო. მოხვალ, ჩემი ოთახის კარებს თითს დაჰკრამ და მაშინვე გაგიღებ. ეცადე არავინა გნახოსო: ინდომ დაუკრა თავი და გამობრუნდა კარებისაკენ.

— ქა, მოიცადე ინდო!.., რას ბიეჩქარები... მაგრამ ინდო უკვე შორს იყო.

რა მარტო დარჩა, მარიკო შევიდა ფიქრში: რისთვის მიბარებს ნეტა ქალბატონი? ისიც ჩუმათ შუაღამისას!... სჩანს ნდობა სრულებით არ მოუკლია ჩემთვის? მე კიდევ შემიძლიან გამოვადგე რაშიმე, ვასიამოვნო რითმე?—ამ ფიქრმა გაამხიარულა მარიკო. მან დაივარცხნა თმები, თავი გაისწორა, კაბა გამოიცვალა. მაგრამ მარიკოს ეგონა, რომ დრო არ იძროდა. შუაღამე უნდა გაეგო მამლის ყივილზედ; თითქოს ყველა მეზობლის მამლებს იმ ღამეს ხრინწი შეეყარათ და გაჩუმდნენ, ანუ ტურამ დაახრჩო ყველა... მაგრამ აჰა, იმათმა მამლაყუჩამ ფრთა შემოკრა ფრთასა. მარიკო უკვე კარზედ გავარდა, და კლიტეს ადებს კარებს—თავის მხრით ანუკაც ელოდა მას ეგრეთვე მოუთმენლად იმასაც ეგონა, რომ უთუოდ მარიკო მშობიარეთ არის, რომ ესრეთ დაიგვიანაო.—პირველი თითის შეხებითა მარიკოს წინ კარი გაიღო, ანუკა იჯდა კარებზედ, გაყვითლებული, ვით მომაკვდავი. მის მოშორებით სანთელი ბეუტამდა და ანათებდა მას უთანასწოროს მწუხარეს სინათლითა. რა მარიკო დაინახა ბატონის შვილი წამოდგა და მოეხვია მას. იგინი შევიდნენ შინ.

მარიკო გაცვიფრდა, რა დაინახა მშვენიერათ მორთული აკვანი, მაგრამ ამის მშვენიერებას უმეტესად ამაღლებდა შიგ ნწოლიარე ყმაწვილი. მარიკო მივარდა მას და დედაკაცების ჩვეულებისამებრ, დაუწყო ამ ყმაწვილს ალერსი და კოცნა; ისიც წვრილ თათებს ათამაშებდა და უცინოდა, თითქოს ესმოდაო იმისი ალერსი.

ანუკა შეეიწროებულის გულით, მდუმარე უყურებდა ამ სახილველსა და რა ეშურებოდა, რომ ძვირფასი დრო არ დაეკარგა, სთქვა მან ძალდატანებით:

— ამ მშვენიერს თავ'ა ჩქარა შეუმტვრევენ კედლებზედ: ამ მშვენიერს გაფურჩქულს ხელებს და გულს ჩქარა გარდააქცევენ საზარლად შეზელილ სისხლათა და ხორცად...

— რას ბრძანებ, ბატონის შვილო? რომელი ღვთის მტერი იქნება მაგისი მქნელი? ან ვინ გაბედამს მაგასა ოთარ ჩოლაყაშვილის სახლში?

— თვით ჩოლაყაშვილი.

— არ მესმის; სთქვა თრთოლით მარიკომა... ბატონი ხომ ქრისტიანია?...

— ეს ყმაწვილი მარტო მე მეკუთვნის, და არა ჩემ ქმარსა... გესმის ეხლა, მარიკო?

— ოჰ, წმიდაო დედაო... რა უყოთ, ჩვენ ქრისტიანები რათა ვართ, თუ არ მიუტევებთ, განა ქმარი რომ არის, შებრალება არ უნდა ჰქონდეს?... ყმაწვილი მღვთის არის!...

— ის მომკლავს მეცა და ამ ყმაწვილსაცა.

— თქვენ ძმა მეფესთან მიბრძანდით.

— ეგრეთვე ის მომკლავს მეცა და ამასაცა...

— რა იცით? ლეკნი ხომ არ არიან?... განა ისინი მონათლულნი არ არიან ქრისტიანულად?...

— ოჰ მარიკო! შენ არ იცნობ კაცებსა: იმათ ჩვენ უყვარვართ როდესაც მათ მოიზიდამს ჩვენამდი ენნი; და თუ ჩვენ აღარ შეეიყვარებთ მათ, ისინი გაჯიან ვითარცა დამნაშავესა.—ცოლი რომ დანებდეს ქმარს სიყვარულითა, იხ-ჩობოდეს წყურვილით, ქმარი ერთს ნაბიჯს არ გადასდგამს წელის მისაწოდებლად, და თუ გაიგო, რომ ცოლი აღარა ფიქრობს ქმარზედ, იგი მშვილდისარივით გამოექანება სპარსეთიდგან ცოლშვილის ამოსახოცავად.

— მაშ რაღას უყურებდით, ბატონისშვილო! გაიქეცით სადმე: ან მონასტერში შედით სადმე, იქ ღმერთი მოგიტევებთ.

— მე არ შემიძლიან გაქცევა; მე ვგრძნობ ჩემს დანაშაულსა... დაე დამეცეს ღვთისაგან მოვლინებული რისხვა! რათ მინდა სიცოცხლე, როდესაც ნაშესი ჩემი გასვრილი იქმნება ყველას წინ? მე უნდა ყველას პირიდ ვარიდო, ვისაც შემოეხვედ... მეფის ქალისათვის სიკვდილი უმჯობესია, ვიდრე თავს ხრიდეს ძირსა, და სირცხვილით შუბლი ეწოდეს... მაგრამ ამ ყმაწვილს რაღა შეეოდება აქვს? ეს უმანკოა და არ უნდა დაიტანჯოს ჩემის გულისათვის,.. უნდა მოვარჩინოთ.—

— რასაკვირველია, უნდა მოვარჩინოთ! სთქვა მარიკომა.

ოჰ, მარიკო! შენ გამოჩნდი ჩემს მანუგეშებლად ამ მწუხარებაში!... წაიყვანე ყმაწვილი... შენი იყოს... დაიფარე და გაუფრთხილდი ისე, როგორც შენი

საკუთარი... ამ სიტყვებთან ანუკამ ამოგლიჯა აკვნიდგან ყმაწვილი და კალთაში ჩაუგორა მარიკოს. ყმაწვილი უცინოდა და ხელებით მის თმის ნაწნავს ეთამაშებოდა,

მარიკო ჰკოცნიდა მას ცრემლიანის თვალებითა და ეუბნებოდა: ნუ გეშინიან, ჩემო პატარა ანგელოზო! მე მოგარჩენ. შენ ვერავინ შემოგეხება, შენ დიდხანს უნდა იცოცხლო დედისათვის... თუ რომ კაცები უღვთონი და შეუბრალებელნი არიან, დედაკაცები კარგნი და კეთილნი არიან და ღმერთიც უშველის მათ...

— მარიკო, შენგან ველოდი მაგას?... არა ვითარი საჩუქარი და მადლობა ჩემი ვერ გადაგიხდიან ამ სიკეთეს: მხოლოდ ღმერთი იქნება იმისი გადამხდელი. სინიდისისაგან ვიტანჯები. რა მაგონდება, რომ ვიდილობდი ოდესმე შენს მოშორებასა ჩემგან, როდესაც ცოდოსაგან ვიყავ დაბრმავებული. ღმერთმა გარდამახდევინოს სამაგიერო... მომიტევე...

— კარგი ქალბატონო, შენ გენაცვალე! უთხრა მარიკომ, რა თვალებში ცრემლი მოუვიდა: თქვენ შორიდგანაც მწყალობელი იყავით ჩემი... მიბრძანე, რა უნდა ვქნა მე. დაევშუროთ ღამის სიბნელესა. ვერავინ გაიგებს, რომ მე აქა ვყოფილვარ.

— აჰა, ჩემო საყვარელო მარიკო... მე ყოველი მომიმზადებია. აიღე ეს პატარა ყუთი, ამაში ფული და ძვირფასი ქვებია. ეს საკმაო არის, თუ ცოცხალი იქმნება, ყმაწვილის გასაზდელად და შენ საცხოვრებლად... თუ ღმერთი არ შეგვარჩენს, მაშინ სულ შენი იყოს... აი კიდევ წერილი, რომელსაც გთხოვ შეინახო საიდუმლოდ, როდესაც სადადიანოში მიხვალ დედოფალთან, მხოლოდ იმას მიართვი...

— სადადიანოში! რას ბრძანებ ბატონის შვილო? მე მეგონა რომ...

— რა გეგონა?

— რომ მხოლოდ სახლს გამოვიცვლიდი, დავდგებოდი სადმე მიყრუებულს ქუჩაში და ჩემს შვილობას დავარქმევდი...

— მაგითი ვერ გადაარჩენ ჩემ შვილს სიკვდილს. მაგას დაუწყებენ დევნას, ვითარც გარეულ მხეცსა. შენც მხოლოდ საშიშროებაში ჩააგდებ შენს თავსა. ათასი აღაჯის სივრცე ძლივს დაჰფარამს მაგას მტრის თვალებისაგან.

— ქალბატონო, მე როგორ შემიძლიან იმერეთში წასვლა: თქვენ ხომ მოგეხსენებათ ქმარი მყავს, რომელიც ეხლა აქ არ არის. იმის დაუკითხავად როგორ წავიდე? როცა მოვა რას იტყვის?... არ იფიქრებს, რომ გავპარულვარ ვისთანმე, ეპვებში არ შევა?... ვერა ქალბატონოჯან..,

— ნუ გეშინიან, მარიკო! რა კი სოსიკო გრემში ფეხს შემოდგამს, გეფიცები მამის ჩემის სულსა, მაშინვე დავიბარებ და ყველას ვეტყვი, იმასაც მაშინვე თან გამოგადევნებ იმერეთში.

— რა ვქნა, ქალბატონო! აქ რომ ლუკმა-ლუკმა ამკუწონ იმას ვირჩევ იმერეთში წასვლას... ჩემი დედმამის საფლავი აქ არის, ყველა ჩემი მცნობი, ნათესაობა... სხვა ქვეყანაში კი ყველანი სხვა თვალებით დამიწყებენ ცქერასა: ასე მეგონება, ყველანი მე დამაყვედრებენ: ჩვენ წყალს რათა სომ, ჩვენს ჰაერს რათა ჰყლაპამ, ჩვენის მზით რათა თბებიო...

ანუკა ამის ლაპარაკში რამდენჯერმე შეიცვალა სახეზედ, და ბოლოს ხელებზედ მიეარდა მარიკოსა:

— მარიკო, ნუ თუ ესრედ შეწუხებულს დედას კიდევ ნახამ სადმე?... შენ ისევ ჩქარა დაბრუნდები შენს სამშობლო ქვეყანაში, ამიტო რომ ჩემი და ჩემის შვილის მდევნელნი ჩქარა ჩამომყვებიან მე საფლავში.,.

საყვარელო ცოდვის შვილო ჩემო, უბედურს მასკვლავზედ დაბადებულო? შეეხვეწე მარიკოს დაგიხსნას სიკვდილისაგან. ამის ხელშია შენი სიცოცხლე. მე არ შემიძლიან გამოხსნა... მარიკო, მარიკო! გებრალებოდეს დედა, რომლის თვალწინაც ყელსა სჭრიან შვილსა!—

რა ნახა, რომ მარიკო სდგას გაქვავებული, ანუკამ წაავლო ხელი ყმაწვილსა სასოწარკვეთილებაში, და გავარდა ბალკონისაკენ:

— თუ შენი შველა არ შემიძლიან, შვილო ჩემო, შენთან სიკვდილს კი შეეიძლებ... ღმერთმა გიშველოს მარიკო! ნუ გკითხოს მან ჩვენი ცოდო...

მარიკო მიეარდა ანუკას კალთაში და შეჰყვირა:

— ვუი ჩემს სიცოცხლეს! რას შვრები, ქალბატონო!... მიდიეარ! წავალ, ეხლავ წავალ თუ გინდ ჯანაბაში... და ხელიდან გამოგლიჯა ყვაწვილი, რომელიც ხმა მაღლივ გაჰკიოდა.

— დრო მიდის: დავეჩქარნეთ, სთქვა ანუკამ გულამოსკვნით. მშვიდობით, შვილო! შენ არ უნდა გახსოვდეს შენი შთამომავლობა...მარიკო, გაძლევ სრულ დედობრიობის ნებას ამ ყმაწვილზედ, ზარდე ღვთის შიშსა და სიყვარულში, ასწავლე წიგნი და ლოცვები, ნუ გაუხსენებ ვისი შვილი არის და ნუ ეტყვი ჩემს სახელსა... ნუ მოახსნევინებ კისრიდგან იმ წმინდა ნაწილსა, რომელსაც ჩემის გულიდგან ვაძლევ... ეგ დაიფარამს ყოვლის განსაცდელისაგან!... მშვიდობით შვილო! — მომიტევე ცოდო, რომელშიაც გშობე!...

მშვიდობით! ჩვენ ამ ქვეყანაში ერთმანეთს ველარა ენახამთ, მაგრამ იქნება ღმერთმა თავის მოწყალებით იქ შეგვყაროს ერთად. ყოველ დღე და ღამ ცრემლით მაგის ვედრებაში ვიქმნები, სისხლით დავიბან ჩემს ცოდოსა... წაიყვანე, მარიკო: მე შემიძლიან პირჯვარი გადავსწერო: ჩემმა კურთხევამ იქნება კარგი არა მოუპოვოს რა...

— აკურთხე, აკურთხე შენი შვილი! ღმერთი შეიწყნარებს შენს კურთხევასა და შეისმენს დამწვარის დედის ლოცვასა.

— უფალო! გასწმინდე ერთს წამს ჩემი ცოდვილი ხელი, რომ შეეძლოს ჯვარი გადავსწერო ამ უმანკო კრავსა. ანუკამ აღწია თვალნა ზეკისადმი მხურვალეს, გულითადის ლოცვით. მან გადასწერა ჯვარი და სასოებით უთხრა:

— წადი შვილო ჩემო! შეერთდეს ღვთის კურთხევაც ჩემს ლოცვასთან შენზედ.,. ყოველი ჭირი და უბედურება შენი მიეცეს დედა შენს... წაიყვანე მარიკო. გათენებამდინ მოვა ვინმე ჩემგან, რომელსაც გაჰყვები.

მარიკომ გაახვია საბანში ყმაწვილი და რა მიიკრა გულზედ, გამოეშურა შინისაკენ.

— მაიცა ერთი კიდევ ვაკოცო, მარიკო, უთხრა ტირილით ანუკამ: ერთი კიდევ... კიდევ... შვილო, შვიდობით სამუდამოდ!...

მარიკო გულ-ამომჯდარი გამოვარდა საჩქაროდ სახლიდგან.—

თავი მეექვსე.

რა ოთარ ჩოლაყაშვილი გამოვიდა მეფიდგან და დანიშნულს სახლში ჩავიდა, იგი მიეცა ღრმა ფიქრსა. იგი ხან შუბლზედ მიიკრავდა ხელსა და ხან გულზედ, თითქოს ეშინოდა, რომ თავი არ გახეთქოდა ან გული არ ამოვარღნოდა მკერდიდგან.

— სოსიკო! მარტირუზ! დაუძახა დასასრულ ოთარმა მსახურებსა, რომლებიც თან მოჰყვნენ თეირანიდგან: თქვენ უნდა დამიმტკიცოთ ეხლა თქვენი ერთგულება და სიჩუმე.—წადით სასახლეში, უთხარით ჩემს ცოლს ანუკას... არა! მოიცადეთ... საწერკალამი მომეცით... ოთარმა დაიწყო წერა; მაგრამ ხელი უკანკალებდა და არ ემორჩილებოდა. რა ცოტად დაიმშვიდა ღელვა სისხლისა, მან რიგორც იყო დასწერა ორიოდ სიტყვა და რა მისცა ბარათი მარტირუზას, უთხრა:

— ეს მიართვი ქალბატონს და მოახსენე, რომ მითომ თქვენ ორიოდ დღით დაწინაურდით ჩემზედ, მე ჯერ კახეთში არა ვარ.... გესმ.სთ! მე მითომ ჯერ გზაზედა ვარ.., ეცადეთ შეამცნიოთ ყოველი, რასაც ლაპარაკობენ ანუ რასაც შვრებიან ჩემს სახლში. და თუ გეჩვენათ რამ ღირსი ყურადღებისა, მაშინვე მომახსენებთ. . მე აქედან ჯერ არ გამოვალ. —წადით... იყავით ერთგულნი თქვენის პატრონისა და ისიც არ დაგვიწყებსთ. ოთარმა ხელით ანიშნა და ბიჭები გამოვიდნენ.

რა გამოსცილდნენ რამდენსამე ნაბ-ჯს, სოსიკომ უთხრა მარტირუზას:

— მარტირუზ, მე ეხლა აქედანვე შინ წავალ და შენ მარტო მიართვი ქალბატონს ეგ წერილი და საჩუქარიც მარტო შენი იყოს. მე მაგაში წილი არ მინდა.

— შენ თუ წახველ უთუოდ შენი ცოლი კარზედ იდგება ყარაულად შენს მოსაგებებლად... ამ დროს ჯეცრად რომ მიხვიდე და შენს მაგიერად ნახო ვინმე, შენც ხომ ბ.ტონი ოთარივით გულზედ გეცემა და ფიქრში შეხვალ.

— რას ტუტუცობ, მარტირუზ! ყველა დედაკაცი ხომ ერთი არ არის.

— მაშ რა არიან? — თაფლი ტკბილი რათ არის? იმიტომ, რომ ფუტკრებს უყვარსთ ერთის ყვავილიდგან მეორეზედ გადაჯდომა, განა? დედაკაცებიც იმათი ბიზგავსნი არიან: იმათ გული ყველასათვის ტკბილი აქვსთ, მაგრამ ისინი მარტო ქმრებს კი კბენენ ფუტკარივით.

— შენ რაც გინდა სთქვი, მარტირუზ, მაგრამ აი მე ჩემს სახლსა ვხედავ, სადაც დავბადებულვარ... სინათლე მოსჩანს კარებიდგან... აბა' შეხედე მარტირუზ, კარზედ ხომ არაიენ დგას? მე თვალები ცრემლით ამევსო, ეელარას ვ-ედავ... ღმერთო! რაღაც ჩრდილი სჩანს, ვიღაც დგას კარებზედ, არა მარტირუზ?..

— ჰო ვიღაც დედაკაცია...

— ჩემი მარიკო იქმნება!.. საწყალი, უთუოდ მელის ვინ იცის, რამდენი ღამე გაუტარებია ესრედ უძილოდ ჩემს ლოდინში...

სოსიკომ აიჩქარა ფეხი სიხარულით და შესძახა მოუთმენლობით: მარიკო!

— სოსიკო! მოისმა ქალ-ს მხიარული ხმა და ერთს წამს გარდაეხვიენ ერთმანეთს... სიღრმეს მათის სიყვარულისას ამტკიცებდნენ მათი ცრემლი და კოცნანი.—

მარტირუზა შორიდგან უყურებდა ამათ სიხარულსა, და ოხრამდა.

— მეც სასახლეში მყავს ჩემი ალვისახარა; მეც იმას მოვეხვევი, იქ ქალ-ბატონის შინაურს ამბავსაც მეტყვის იმდენს, რომ მე ვერც კი დავისწავლი.—

მარიკოს სიხარულისაგან თვალები უელამდა და სახე გასწითლებოდა.

— მარიკოჯან, მარტო სიხარული და სიყვარული კაცს არ აძღობს. დაღალული ვარ, ძალიანაცა მშიან, არა გაქვს რა ვახშმათ?

— განა შენ და ბატონი ოთარი ერთად არ მოხველით? ჯერ სასახლეში არ ყოფილხართ?

— ერთად მოველით, მაგრამ ბატონს არ უნდა რომ სხვამ იცოდეს იმისი მოსვლა. მაგრამ ამაზედ მერე ვილაპარაკოთ.

მარიკომ საჩქაროდ წაგლიჯა თავი ვარიასა და მოატაბაკა. ერბოკვერცხმა და ცივმა ღვინომ შეამსო ამათი სუფრა:

— ბატონი ოთარიც მობრძანდა? რა მიზეზი არის, რომ თვითონ ჯერ არა ცხადდება? ჰკითხა მარიკომ ქმარსა.

— მიზეზი ცხადია, უთხრა ქმარმა ხმა დაბლივ: თეირანშიაც ლაპარაკობენ აქაურნი ბეზირგენები ანუკას ქცევაზედ. მე მგონი ოთარი იმიტომ მოვიდა, რომ სამუდამოდ მოაშლევინოს თავის ცოლს ეგ ამბები.—

— არა გრცხვენიან მაგას ამბობ? განა ყველა ხმას კაცი უნდა ერწმუნოს?.. სჩანს ამის იქით ნამუსიანი სახელი პატიოსნის დედაკაცისა არის დამოკიდებული პირველ დამბეზღებელზედ?... ეგები მტრობით, ჯავრით, შურით მოიგონეს... ან თვითონ ბატონი კი აქამდის თეირანში მონასტერში ატარებდა დროს!—იმას კი არ შეუხედნია ბრუნდეს თვალით არავისთვის? მაშ იმასაც უნდა გარდაახდევინონ სამაგიერო...

— კაცი სხვა არის და ქალი სხვა, უთხრა ქმარმა. უნამუსო დედაკაცს შეჰყავს სახლში უკანონო შვილები, აძლევს მათ მამულიდგან წილსა, რომელზედაც ნება არა აქვსთ; ძმებში იბადება მძულვარება, მერმე ჩხუბი და ხან და ხან სისხლიც მოხდება ხოლმე. აი ქალის უნამუსობა რას მოასწავებს; მაგრამ კაცისა კი არაფერია.

— რაც სასარგებლო ყოფილა, ის თქვენც, კაცებს, კანონად დაგიდვიათ.— კაცი და დედა-კაცი ერთის სისხლისა და ხორცისა არ არიან? ორივეს ავი ერთ გვარად უნდა გადახდეს, ამიტომ რომ ორივეს მოვალეობა ღმერთან ერთნაირია.—

— შენ ძალიან გისწავლია ჭრელი ლაპარაკი! უთხრა შეეშუხვნით ქმარმა: საიდანა ჰკრეფამ მაგ ურცხვს სიტყვებსა?

— ჩემის საკუთრის გონებიდგანა.

— თუ უფრო იქიდგანა, რომ გინდა შენი ქცევაც დაიფარო?—გაჩუმდი, მე ეხლა ვხედამ, რომ შენ და ბატონის შვილს ანუკას მხიარულად გაგიტარებიათ აქ დრო... მაშ მაგასა ნიშნამდა შენი კოცნა და სიხარულით მოგებება? ვაი, უბედურო ჩემო თავო!.. მარტირუზა მართლად მეუბნებოდა, რომ ქალებსაც ფუტკარივით სხვა და სხვა ყვავილებზედ გადაჯდომა უყვართო... მე აი თავ გატეხილი მოვეჩქარებოდი შინა... ეს რაღა სიცოცხლეა. მაგრამ შენც არ გაგახარებს ჩემი სიკვდილი, მარიკო!.. შენ მე მომატყუე და შენც მოტყუებული იქნები... სიცოცხლე შენი მწარე იქნება და სიკვდილი—უარესი...

ამ დროს მოისმა პატარა ყმაწვილის ტირილი.

ამ ხმაზედ სოსიკოს ასე ეგონა ცივი წყალი დაასხესო,—იგი გაყვითლდა საზარლად; ტუჩები აუკანკალდა; თვალებმა უწყეს ბრიალი, ვითარცა ცოფიანი მხეცი მივარდა იგი მარიკოსა, სტაცა მკლავში ხელი და შეათრია იმ ოთახში, სადაც ყმაწვილის ტირილი მოისმოდა. რა მარიკო დაინახა, ყმაწვილი გაჩუმდა და იწყო ტიტინი; ტატა! ტატა!

— ოჰ! ოჰ! შეჰყვირა საზარლის ხმით სოსიკომა: შე უნამუსო, ეს რა დამახვედრე!.. და ასე ძლიერათა ჰკრა ხელი მარიკოსა, რომ იგი გადაეჯახა აკვანსა, აკვანი რახარუხით წაიქცა და ყმაწვილმა შეჰკივლა. განცვიფრებულმა, შეშინებულმა, მარიკომ ხმა ვეღარ ამოიღო თავის გასამართლებლად ღელვისაგან; იგი სწორედ ვერ მოეგო გონზედა, რომ ეთქო რამ ქმრისათვის, რომელიც მაღლის ხმით გაანჩხლებული ღრიალებდა, შე ურცხვოო! უნდა მოგკლა! შენც მოგკლავ, მაგასაცა და ჩემს თავსაცაო. და საშინელმა ხანჯალმა გაიელვა იმის მთრთოლვარე ხელში.

— გამიგონე სოსიკო!.. ლუღლუღებდა მარიკო და ტირილისაგან ვერ გაეგრძელებინა ლაპარაკი.

— გაჩუმდი, შე უნამუსოვ! უნდა მოგკლა ეხლავ, ემ წამს...

— დამაცა...

— არ იქნება დაცდა, სთხოვე ღმერთს გაპატიოს... გაათავე!

საცოდავმა მარიკომ, რომელსაც ცრემლი აბრჩობდა და შიში ენას უკრამდა, მიაშველა ხელი დარტყმის ასაცილებლად. სოსიკო გაგიჟებული ელოდა წამსა, რომ ცოლის სისხლში ამოებანა ხელები.

— დამაცადე!... ერთი სიტყვა!..

— მე აღარ ვიცდი... გაათავე ლოცვა?... ჯოჯოხეთი იყოს შენი სამყოფელი აქაც და იქაცა.. სოსიკო მივარდა მარიკოსა, რომელსაც მაშინვე გული წაუვიდა, სოსიკო აღარა ფიქრობდა იმის შებრალებაზედ. მან მოგლიჯა ქალს გულის პირი. ასწია ხელი გულში ხანჯლის დასაცემად; მაგრამ ამ დროს უბიდგან მარიკოს გავარდა წიგნი, რომელმაც შეაყენა სოსიკო. რა იფიქრა, რომ ეს იქნება მიწერილი საყვარელთან, სოსიკომ მსწრაფლად აიტაცა წიგნი, რომ შეეტყო სახელი თავის ცოლის საყვარლისა და მერმე იმასთანაც გასწორებულ იყო. წიგნი მიიტანა სანთელთან და წაიკითხა ზედ წარწერილი: „ნესტან დარეჯან დედოფალსა მანუჩარ დადიანის მეუღლეს—მდაბლად მიერთოს.“ სოსიკო არ ერწმუნებოდა თავის თვალებსა, ხელ-მეორედ წაიკითხა ნაწერი, ხელში ატრიალებდა ამ წიგნს, —ბოლოს გახსნა და წაკითხა:

„სულითა და ხორცით განათლებულო, ჩემის გონებიდან განუშორებელო ჩემო ძმის წულო, ნესტან დარეჯან დედოფალო!

„მიიღეთ თქვენი შემაწუხებელი, მაგრამ უკანასკნელი თხოვნა შენის უბედურის მამის დისა. ჩემმა ცოდომ დამაბა მე აქა ამ იმედითა, რომ იქნება ქვეყნიერების ტანჯვის გამოვლილი, ვეღირსო ღვთის შეწყალებასა. მე განვიზრახე მივენდო ბედსა, რომელიც ღირსია ყველასაგან შებრალებისა. დაეხმარეთ ჩემს უბედურს შვილსა. აკვანი მისი გარეშემორტყმულია გველებითა. ამის მკვლელი მიიღებს საჩუქარსა, ვითარც მკვლელი საშინელის მხეცისა. მხოლოდ თქვენს დე-

დოფლიურს ძლიერებას შეუძლიან გადაარჩინოს ეს ბედკრული სიკვდილსა... დედაკაცი, რომელიც მოგართმევს ამ ყმაწვილსა, არის ჩემი გამდლის დის წული, ჩემი ერთგული და ჩემთვის თავ გადადებული. იგი განმშორდა მე ჟამსა ჩემის შეცდომისასა და ცოდვისაგან დაბრმავებისასა, და დამიბრუნდა, როდესაც მოვთხოვე შეწევნა. ეს ქალი მოდის მარტო; მაგრამ ეუცდები, როცა ქმარი მოუვა, ისიც მოვწიო გზაზედ. გთხოვ დედოფალო, მოწყალე ბძანდებოდეთ ამათზედ. სიკეთე, რომელსაც დასთესამ ჩემს შვილზედ, მიეგებება შენს პატარა შვილს ლევანსაცა. მაგის სადღეგრძელოთა გთხოვ, დედოფალო, უპატრონო ჩემს შვილსაცა, რომელიც იქნება კავშირი ჩემი იმ ქვეყნიდგან ამ ქვეყნამდინ... როდესაც მიიღოთ ცნობა ჩემს სიკვდილზედ, ნუ დამივიწყებთ მომიგონოთ თქვენს წმინდა ლოცვაში და პანაშვიდიც გარდაახდევინეთ ჩემის ცოდვილის სულისათვის. ღმერთმა მოგცეს ამ ქვეყნად ბედნიერება, რომელსაც ღირსი ხართ თქვენის უმაღლესის ხელოვნებით, და კეთილის გულით. დავშთები შენის ბროლის ხელების მოცინელი უღირსი, მაგრამ საფლავამდე პატივის მცემელი, ბატონის შვილი მამიდა ანუკა ჩოლაყაევისა“.—

სოსიკო მიხვდა თავის შეცდომილებასა ამ წიგნით. მან მაშინვე მიაგდო ტახტზედ ხანჯალი და მივარდა მარიკოს მოსაბრუნებლად; ხან წყლით, ხან ძმრით უზელდა ყურებსა და ცხვირსა, დასასრულ ქალმა თვალები ახილა, და ნახა, რომ ქმარი მზრუნველობით უყურდა. ქალი ცოტ-ცოტად მოვიდა გონსა და მოაგონდა ყოველი, რაც მოხდა, აკვანზედ დაგდებულმა განხსნილმა წიგნმა აცნობა ქალსა საიდგან დაიბადა იმის ქმარში ეს მზრუნველობა.

— რა? გამოხველ ეჰვიდგანა? უთხრა წყრომით ქალმა.

— ოჰ, მარიკო! რა მხეცური ფიქრი მომივიდა!.. ნუ თუ ეჰვი შემოვიტანე შენზედ?.. ღმერთო, ჰკუა სად მქონდა!.. რამ გამაგიჟა?..

— კარგი, დრო აღარ არის მაგისი. სადაც არის მოვლენ... მანამ მე ყმაწვილს ჩავაცო, შენ ჩაიკერე ახალუხში ეგ ოქროები და ძვირფასი ქვები, რომელიც ანუკამ მიბოძა ამ ყმაწვალის გასაზდელად.

მართლაც, ამ დროს მოესმათ კარების დარაკუნება. სოსიკომ გაიხედა და ნახა ორი კაცი ცხენებ შეკაზმულნი, ანუკასგან გამოგზავნილი. ცოლ-ქმარმა საჩქაროდ გამოჰკრეს ბოხჩაში, რაც კი ებადებოდათ ღირსი წასაღებად; მუხლი მოიდრიკეს ღვთის მშობლის ხატის წინ, რომელიც ესვენა კუთხეში, და მხურვალედ ვედრების შემდეგ, მარიკომ აიყვანა ყმაწვილი, სოსიკომაც აიღო ხურჯინი და სახლიდგან გამოვიდნენ; კარზედ კიდევ დაიწერეს პირჯვარი და შესხდნენ ცხენებზედ. ერთი კიდევ შეხედეს თავიანთ ქოხსა და ჩუმად ამოხვრა ჩაყლაპეს. მშვიდობით მშობლურო ქოხო, სთქვა სოსიკომ: კიდევ როდისმე თავს შეგვაფარებინებ, თუ ბედისაგან გვიწერია სხვა ქვეყანაში სიკვდილი?...

რა სოსიკოს მოშორდა თავისი ამხანაგი, მარტირუზა, იგი გაეშურა ოთარ ჩოლაყაშვილის სასახლეში და დაარახუნა ალაყაფის კარები; რამდენჯერმე კიდევ განიმეორა კარების რაკარუკი, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

„სჩანს ქმარი შინ არა ჰყავს, და არც სიხარულით ელიან მას, იფიქრა მარტირუზამ: უეცრად მოსული ქმარნი უნდა ელოდნენ ამ გვარს მიღებასა, მაგრამ, რადგანაც მე ქმარი არა ვარ, არც ლოდინის მოთმენა მაქვს. მარტირუზამ აიღო

ერთი ლოდი, და ასე ნაირად იწყო კარის მტვრევა, რომ ერთს წამს სახლში ყველანი გამოაღვიძა და შიშით მოვარდნენ კარებთან შესატყობლად, რა მოხდაო.—

— როდესაც მარტირუზას შემოერტყნენ მსახურნი, ის მიუბრუნდა ინდოსა და უთხრა;

— მე გამოგზავნილი ვარ ოთარ ჩოლაყაშვილისაგან და მინდა წიგნი მივართო ანუკა ბატონის შვილსა, ეს არის გზიდგან მოვდივარ.

ინდომ შეიყვანა მარტირუზა თავის ოთახში, დააბანინა პირი, გაუწმინდა მტვერ დადებული ტანისამოსი და წარუდგინა ანუკასა.

ანუკას არ ეძინა, თუმცა დიდი ხანი იყო იმისმა თვალებმა ძილი არ იცოდნენ, მაგრამ იმ ღამეს უფრო შვილის გასტუმრების ღელვისაგან მოუსვენებელ მდგომარეობაში იყო. მარტირუზამ დაიჩოქა ერთს მუხლზედ და წიგნი მიართო. ქალმა ჩამოართო, წაიკითხა და გულ-გრილად უბრძანა: ინდო, მგზავრს მიეცი საჩუქარი ხუთი ოქრო... არა, მეტი მიეცი, ათი ოქრო მიეცი, ამიტომ რომ მაგისი მოტანილი ამბავი უფრო სასიამოვნოა; ბატონი ოთარ ჩქარა აპირებს მობძანებასა. წადით.—პური აჭამე ინდო.

როდესაც ესენი გამოვიდნენ, ანუკა მიუბრუნდა რევაზ ჯორჯაძის დედას ელენეს, რომელიც ერთი თვე იმ ჟამად განუყრელად იყო ხოლმე მასთან სასაუბროდ, და უთხრა:

— ელენე, ჩემი სიკვდილი მოახლოვებულია: არ იქნება ურიგო ვეზიარო.

— რას ბძანებ, შენს მზესა, ბატონის შვილო? რა გიპირსთ სასიკვდინოდ?..

ღვთის მოწყალებით შეუძლოდ არა ბრძანდები და სიხარულიც დღეს ხვალ მოგელის: თქვენი მეუღლე გზაზედ არის. მაგრამ წმინდა საიდუმლო ყოველთვის მარგებელია სულისაცა და ხორცისაცა. ეს მარიამობის მარხვაც დიდ მარხვის თანასწორია.—მეც მინდოდა გავნდობოდი მამა ზაქარიასა, მაგრამ იმ ჩემის ცოდვით სამსეს, თავპირი დასიებია: თურმე ფუტკარი უნელებიათ და ამ დროს იმას გაუვლია ახლოს; დახვევიან ფუტკრები და სულ დაუსუსხამთ ასე, რომ თავ-პირ შახვეული შინ თურმე წევს. კარზედ აღარ გამოდისო.—

— მაშ ისე უნდა შეუთვალოთ, უთხრა ანუკამ, რომ აქ კი აღარ მოვიდეს, ეკკლესიაშივე, ზეგ დილით, ცისკრის წინად გაგვანდოს; მანამდისინაც ხალხს ნუ შაუშვებს.

— ეგრე კარგი იქნება, მოახსენა ელენემ; ეგრე შეუთვლი ხვალა მამა ზაქარიასა.

არც ერთი მოგზაური, არც ერთი მლოცავი არ მისულა თავის ბინაზედ იმ კმაყოფილებით, რომლითაც მოუჯდა დასასრულ მარტირუზა გაშლილს სუფრასა. უხვმა ვაშამმა ჩქარა გააძღო იგი; მაგრამ რამდენსაც ბევრსა სომდა, იმდენი წყურვილი კი ემატებოდა, ვითარც ცეცხლს ემატება ხოლმე შეშის მიმატებით, მაგრამ მარტირუზა ღვინოში იყო მონათლული: ის გონებას არა ჰკარგამდა სმაში, არამედ უფრო ფრთხილი, ეშმაკი და ოხუნჯი შეიქნებოდა ხოლმე. ბევრი კაცია, სიმთვრალეში უფრო გონებიანათ სჯის და ლაპარაკობს, ვიდრე სიფხიზლეში, ამათგანი იყო მარტირუზაცა:—რა მოსამსახურეთა ნახეს, რომ მარტირუზას ვახშამი დაუსრულებელია, იგინი თითო თითოდ შემოეცალნენ და წავიდნენ დასაძინებლად, მას შერჩა მხოლოდ ალვისახარა, და იმასაც ის უნდოდა.—

— ოო, ჩემო ბედის ვარსკვლავო ალვისახარ!—უთხრა მარტირუზმა: რა იქ-ნებოდა ცა უვარსკვლაებოდ, რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე უშენოდ! შორს, თეი-რანშიაც შენ იყავ ჩემ გვერდიდგან განუშორებლივ: სიზმარშიაც და ცხადაოაც შენ გელაპარაკებოდი, შენკენ მოფრინამდა ეს ბებერი, მაგრამ სიყვარულით სავ-სე გული...

— ნუ ყბედობ, ლოთო! უთხრა ალვისახარამ: მგონია, რამდენიმესათვის გა-გიმეორებია ეგ გაზეპირებულ სიტყვები, რომელნიც ემგზავსებიან ძველს ტანი-სამოსსა: ერთი ძაფი რომ გმოძვრეს, თავის თავად იშლება.

— ალვისსახარ! შენი კოკობის სულის მზემა, მამიჩემის აღაბაგის საფლავის მზემა, ერთისათვინაც არ მითქომს მე სიყვარული.

— ვიცი, ბევრს არ ეტყოდი.

— არც ბევრსა, დედი ჩემის მათუას ცხონებამ... ვისაც შენი სახე თან გაჰ-ყვებოდა, იმას გულში ადგილი კიდევ დარჩებოდა სხვისათვის?

— მაშ ერთხელ რატომ წიგნი მაინც არ მომწერე? უთხრა ალვისსახარამ შენ გეგონა, რომ შენის მეტს თვალები არა ვისა აქვს?... რამდენი მთხოულობ-დნენ; მაგრამ ზედაც არავის შეეხედე. ერთი ყმაწვილი კაცი; კი... საწყალი, მგო-ნია აზნაურიშვილიც იყო, შავის ულვაშებით... მწუხარებისაგან ჩავარდა...

— სად? ღვინის ქვევრში?

— შენ, მგონია, არა გჯერა რასაც გეუბნები: უთხრა ქალმა წყენით.

— ნუ ჯავრობ, ჩემო ალვისსახარ, ახლო მოიწიე ჩემკენ! როდესაც მე შენ გეხვევი, ასე მგონია მთელ ქეყანას ვეხვევი... წარსულს თავი დავანებოთ... გა-ნა მწყურვალი კაცი, როდესაც წყაროს დაინახავს და დაეწაფება სოლმე, ჰკით-ხავს იმას: გუშინ ვინ დაგლიავო?—სიყმაწყილე მიდის, ალვისსახარ, უნდა სიბე-რეზედ ვიფიქროთ. მგონია ურიგო არ იქნება ბეზირგნობა დავიწყო. მე თეირა-ნიდგან გამოვგზავნი კარგს ჰინდის ყალანქარებს, მარჯნის კრიალოსნებს, ფირუ-ზის ბეჭდებს და შენ აქ გაჰყიდი...

— რასაკვირველია, ეგ კარგი იქნება, მაგრამ მაგას ხომ ფული უნდა?

— დიახ, ჩემო თვალის ჩინო ყველას ფული უნდა; უფულოდ, ჩემო ალვის-სახარ, შენი ბრილიანტის თვალებიც ზიზილაკათ გამოჩნდება... სხვის თვალში. იმედი მაქვს, რომ შენი მზითევი...

— მე მზითევი არა მაქვს.

...ოო! მაშ მშვიდობით ჰინდის ყალანქრებო, ფირუზის ბეჭდებო! შეჰყვირა მარტირუზამ.

— განა ჩვენ უმზითოოთ არ შეგვიძლიან ჯერის წერა?

— რატომ არა, ჩემო სიბერის იმედო; მაგრამ შენ ხომ კარგათ იცი. რომ მზითევი არის ქორწინების ტანსაცმელი; უიმისოთ ქორწილი ტიტველა იქნება, და შენ რასაკვირველია მიხვდები, რომ ტიტველა სიარული ურიგობა და მოუხ-დენელი არის.

— მე არა მჯერა, რომ ამდენის ხნის თეირანში ნამყოფსა, შენ ფული არა გქონდეს, უთხრა ალვისსახარამ: რა გიქნია?

— შენ ხომ მიცნობ ჩემო ვარდის კონავ, რა ხალვათი გულის პატრონი ვარ. მე გაპირების ტალკვესი ვიყავ ყველასათვის... ხელი და ჯიბე ღია მქონდა ვი-

საც კი მოუნდებოდა რამა. რასაკვირველია, თუმცა დაკარგულად არა ვრიცხავ ჩემს გაცემულებსა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისევ ნაღდი სჯობია იმას.

— ცხონებით გამიძღები, რაც შენ ხელი და გული ღია გქონდეს!... მაშ ჩემთვისა გაქვს თვალები დაბრმავებული და გული მოხურული?... ერთხელ ერთი ბეჭედი არ ვიცი შენგან. მაშ ისევ მე უფრო გამფთხილებელი ვყოფილვარ შენზედ. მე კიდევ მეპოება ათ თუმნამდინ.

— ათი თუმანი! მითომ ზღვაში ერთი წვეთი მეტი ყოფილა; ეგ სულ ერთია, მითომ სულ არა გქონია რა, ჩემო თვალის სინათლევ; მაგრამ თუ შენ ერთ რაშიმე შემეწევი, ჩვენ კიდევ შეგვიძლიან ბედი დავიმეგობროთ. გამიგონე ლამაზო, აქეთ მოიწიე, ყური არავინ მოგვიგდოს... შენ უნდა იცოდე, რომ ჩვენი ბატონი ოთარი ძალიან ძაღლი კაცია; იმასა სურს შეიტყოს, მართლა ცოლი ატყუებს იმას, თუ არა. იმან გამომგზავნა მე აქა, იმიტომ რომ მე აქ უთვალთვალო ყველასა და რაც მოხდება, ანუ რასაც ვნახავ, იმას მოვახსენო ხოლმე. თუ რომ წარუდგენ ბატონს ოთარსა საბუთს რასმეს იმაზედ, რაზედაც ის ეჭვში არის, მაშინ მივიღებ იმისაგან, ოც და ათ თუმანს საჩუქარს, დანაშთენის წყალობის გარდა... ახლა, ჩემო სიცოცხლევ ალვისსახარ, შენზედ არის დამოკიდებული მივიღოთ ის ფული და რაკი ამას მიუმატებთ შენს ოც და ათს თუმანსაცა...

— მე ოც და ათი თუმანი არ მითქვამს და არცა მაქვს მეთქი! ათი თუმანი მხოლოდ.

— შენი ათი თუმანი და ისიც ოც და ათი, შეადგენს ორმოცსა, ჩემო ბედის ვარსკვლავო, ჩვენ შევიძლებთ ჯვარის წერასა და შემდეგ ვაჭრობასაცა.

რა ეს თანხები მოისმინა მარტირუზასაგან, მაშინ ჭკუა მსუბუქმა და ანგაარმა ალვისსახარმა მოუთხრო მარტირუზას თავისი ქალბატონზედ ყოველი, რაც კი იცოდა რამ, და იცოდა ამან მეტად ბევრი. ამიტომ რომ ანუკას განსაკუთრებით უყვარდა იგი და განუშორებლივ ამას იმსახურებდა ხოლმე. სხვათა შორის ალვისსახარამ უთხრა ისიც, ის თავის ჩვეულებრივ კარებიდგან ყურს უგდებდა და შეიტყო, რომ ქალბატონი ხვალ თუ ზეგ აპირებს ცისკარზედ გაენდოს ზაქარია დეკანოზსა.—მარტირუზამ იცოდა უკვე უფრო მეტი ვიდრე, რაც საჭირო იყო; მაგრამ ეს გოგო არა ჰსცხრებოდა ყბედობისაგანა, ვითარც ზოგი ერთი ბლიაძენი, რომელნიც ერთის შაურისათვის დაიწყობენ და ერთ მანეთით აღარ გაათავებენ.—რა მარტირუზამ ნახა, რომ იმისი ყბედობა აღარა ღირდა ყურის გდებათა, მან დაიწყო თვლემა, და ალვისსახარი მხოლოდ მაშინ გაჩუმდა, როდესაც მას შემოესმა ხვრინვა თავის საქრმოსი.

— ეხლა რომ ამას არ ესიამოვნება ჩემი ლაპარაკი და ხვრინვა ამოუშო, როცა ჯვარს დაიწერს ჩემზედ, მაშინ რაღასა იქს? სთქვა ალვისსახარამ თავისათვის და გაჯავრებულმა რა ერთი კარგად უჩქმიტა მძინარეს, გავიდა იმ სახლიდგან.—

ღამე იყო წყნარი და ნათელი; ამ მშვენიერს ღამეს ერთი კაცი ფრთხილად მიიპარებოდა გრემის ვიწრო ქუჩებში, მთავარ ანგელოზის ეკლესიისაგან, და რა შემოუხვია საყდრის გალავანსა, მივიდა ერთის სახლის კარებთან, რომელიც დააკაკუნა მან ჩუმად; გავიდა რამდენიმე ხანი და ხმა არავინ გასცა; მერმე განიმეორა კარის კაკუნი, უძლიერესად.

— ვინ არის? შემოსძახა ბოხმა ხმამ შეგნიდგან.

— წმინდაო მამავ! უპასუხა უცნობმა: ერთი მგზავრი არის ქალაქიდგან მოსული, რომელიც გზაზედ ავად გამხდარა და ეხლა უკანასკნელ დღეშია. გთხოვს უმორჩილესად გაანდო და წმინდა საიდუმლო მიაღებინო.

— ავათა ვარ, შვილო! ფუტკრებმა დამსუნთქეს. მამა ივანესთან მიდით.

— არა, მამაო! მე ვიცოდი შენი ავათმყოფობა და მომაკვდავსაც უთხარი, მაგრამ იმან თავი მოიკლა; სხვას არავის გავენდობი, თუ არ მამა ზაქარიასო; სჩანს ის კაცი კარგათ გიცნობსთ. რაც თან ფული მაქვსო, ვერავის ვერ ვანდობ იმის მეტსაო... საწყალი, ვისთვის აგროვებდა იმდენ ფულსა? არც ცოლი ჰყავს, არც შვილი...

— კარგი შვილო! შემოყვირა წმინდა დეკონოზმა, რა შეიტყო ფულის ხმა, რაკი თვითონ მოუნდომებია ჩემთან განდობა, აღარ დაგზარდები. მანდ მომიცადე შვილო, ეხლავე გარდავიცოთ ტანთა.

— მამაო, ოლარი არ დაგავიწყდეთ, თავზედ უნდა დაიდოს; აგრეთვე საყდრის გასაღებიც ჯიბეში გქონდეს; წმინდანის ნაბანს თხოულობდა.

— კარგი, კარგი შვილო! ყველას წამოვიღებ.

დეკანოზი გამოვიდა და გაჰყვა უცნობსა. ეს უცნობი იყო მარტირუზა, რომელიც ნაბადს იფარებდა პირზედ, რომ არ შემჩნია მოძღვარს. მათ გაიარეს რამდენიმე ვიწრო ორლობე და რა მივიდნენ ერთ შემოსახვევ გზასთან, მარტირუზამ დაახვეელა.

ამ ხმაზედ მსწრაფლ გამოვარდნენ ორი კაცი და შემოეხვივნენ დეკანოზსა, რომელმაც სტაცა მარტირუზას მაჯაში ხელი და შეჰყვირა: „შე ურჯულოვ მამატყუე? რა დამიშავებია თქვენთვის? რათ გინდათ ჩემი სიკვდილი? შეიბრალეთ ჩემი ცოლშვილი!

— არა, მამაო გეფიცები ღმერთსა, ჩვენ ავს არას გიზამთ; ჩვენთვის საჭირო არის ეხლა შენი ანაფორა და ოლარი, და არა შენი სიცოცხლე. მერმე ჩვენ ისევ შინ შეგიყვანთ უვნებლად... მანამდისინ, მამაო, ნება მოგვეცი თვალები აგიკრათ.

— რაც გინდა მიყავით, შვილო! ეხლა მე თქვენს ხელში ვარ. ჩვენი საზოგადო მამა უფრო ბევრს ეწვალა ჩვენთვის. მე უფრო ჩემს თავს არა ვნანობ, არამედ იმათ, რომელნიც გინდათ მოატყუოთ ჩემის ტანისამოსით:

დეკანოზს აუკრეს ხელსახოცით თვალები და რა პატარას ხანს აქეთ იქით ატარეს, შეიყვანეს ერთს ცარიელს გომში; იქ გახადეს მას ანაფორა და მოხსნეს ოლარი; შემდეგ ესენი მარტირუზამ გამოიტანა და გამოვიდა და დანაშთენი: დეკანოზის ყარაულად დაშთნენ—იქა.

ცამ მიიღო მტრედის ფერი; მთავარ ანგელოზის ეკლესიაში ორიოდე წმიდა სანთელი აქა იქ ბეუტამდა, რომლის მკრთალ სინათლეზედ ადამიანი შეამცნევდა საკურთხევლის კარებთან მდგომარე მაღალ მღვდელსა თავ-პირ ახვეულსა; იმის ქვემოდგან იდგა დიაკვანი, და სჩნდა იგინი ვიღასაც მოუთმენლად ელოდნენ. განვლო მცირე ჟამმა, ორნი მძიმედ შალებში გახვეულნი ქალნი შეეიდნენ ეკლესიაში, და რა მოიყარეს მუხლი ხატის წინ, ერთი მათგანი გაბრუნდა კარებისაკენ და მერე მიახლოვდა საკურთხეველსა, საიდგანაც მოისმოდა ყრუ ლოცვის ბუტბუტი მოძღვრისა.

— მამაო ზაქარიავ! მე მსურს გავენდო, უთხრა ქალმა: მომიტევე, რომ შეგაწუხე ავადმყოფი.

— ღმერთმა მოგიტეოს, ბატონის შვილო! ჩვენ ღვთის მოსამსახურენი ვართ; ყოველს ჟამს მზათა უნდა ვიყვნეთ ჩვენის ვალის აღსასრულებლად... დიაკვანო, კარზედ გადი.—

ეს დიაკვანი იყო ჩვენი მცნობი მარტირუზა, რომელიც გამოსვლის დროს დიდ ხანს დააცქერდა მწუხარებით ქალსა, რომელიც აპირებდა განდობასა,

ქალი შევიდა საკურთხეველში *) და მუხლი მოიდრიკა წინაშე მოძღვრისა, რომელმაც ბუტბუტით გარდააფარა მას თავზედ ოლარი.

— მამო! უთხრა ქალმა: მართალია, რომ ღმერთი მიუტევებს ცოდოს, თუ რომ ადამიანი არ დამალამს თავის მოძღვართანა და ბოლოს მოინანებს?

— დიდი ცოდვილი ის არის, შვილო, რომელსაც მაგაში ეპვი აქვს უთხრა დეკანოზმა აღშფოთებით. უფრო ჩქარა მოსწყინდება ცოდვის ქმნა, ვიდრე ღმერთს მიტევება.

— ამინ, წმინდაო მამაო, ამინ! მე ვაღიარებ შენს წინაშე ყოველს ჩემს ცოდოს, ამ ტკბილის იმედით რომ ღმერთი მომიტევებს; არა თუ იმიტომ, რომ ღირსი ვიყო მოტევებისა, არამედ იმიტომ რომ ღმერთი დიდ სულოვანი და მოწყალე არის.

— აღიარე, შვილო, ყოველი ცოდო, რამეთუ ჩვენ ცოდვისაგან ვართ შედგენილი და ელოდე ღვთისაგან სულის განკურნებასა, უთხრა დეკანოზმა ნერწყვის ყლაპით.

— მამაო, მე ცოდვილი ვარ ყველაფერში, თუმცა მრავალი კეთილიც მიქნია, მაგრამ უფრო სახელის გულისათვის, ვიდრე სულისა; ისე არ მიძლევია მოწყალება მარჯვენის ხელით, რომ მარცხენას არ გაეგო, და თითქმის მიხაროდა, როდესაც ხმა ჩემს კეთილ-მოქმედობაზედ გრძელდებოდა ხალხში, და მე მაქებდნენ იმისგამო.

— შენ, შვილო, შენის კეთილის მოქმედებით გიყიდნია ამ ქვეყანადვე დიდება: ნუ მოელი მაგისათვის ცაში ჯილდოსა. შენ შენი აქვე მიგიღია... ეგ ამაოება არის... განაგრძელე.

— მამაო, მე ცოდვილი ვარ ღმერთთანაც და ჩემ ქმართანაც... მე ულალატე მას.—გულმა მომატყუა... ასე მეგონა ბედის წერას ავეტანე და სიყვარულს ვერსად ვერ დავემალებოდი. ბოლოს ვნახე, რომ მხოლოდ ჩემის აღგზნებულის თავიდგან იყო წარმოდგენილი ის მაღალი სიყვარული, რომელსაც მე ვხედავდი ზეციდგან მოვლინებულად...მე თვითონ მოვითხარე ჩემს ფერხთ ქვეშ უფსკრული და ჩავვარდი... რა მცირე დრომ განვლო, მე მოველ გონებაზედ და ვიხილე ჩემი თავი შერცხვენილი, წაწყმენდილი... ვარ მას აქეთ დიდს სინანულში, სატანჯველში, ვაფრქვევ მწარეს ცრემლსა... არ ვიცი, ღმერთი მომიტევებს თუ არა?...

— ბევრჯელ შეგიცოდამს? ჰკითხა მოძღვარმა ყრუის, განგრძელებითი ხმით.

— ოჰ, მამაო, საკმაო... ნუ მკითხამ მაგას, თუ რომ გინდა, რომ სირცხვილისაგან აქვე შენ ფერხთან არ მოკვდე...

— ვისთან გიცოდამს?... შენი შემაცდენელი შენი ნათესავი ხომ არ არის?... რა ჰქვიან?

---

*) აქ ფაქტიური შეცდომაა, მართმადიდებელ ეკლესიის წესით, ქალებს საკურთხეველში შესვლა ეკრძალებათ. რ ე დ.

— რათა მკითხამ მამაო, ვინც არის? მე ვამტკიცებ მხოლოდ ჩემს თავსა და არა სხვასა. მე არ შემიძლიან გითხრა ვინც არის.—

— საჭიროა, შვილო! უთხრა კანკალით მოძღვარმა:

მასთან ახლოს და შორის ნათესაობის კვალად იქნება შენი ცოდოც ანუ მძიმე, ანუ მსუბუქი.

— შენ მაგითი მაშინებ, მამაო!

— მითხარ, ნათესავია შენი?

— ნათესავი არ არის; მოურავია ჩემის ქმრისა...

— მოურავი!

— გარდა მაგისა, მამაო, მე ვარ დედა... ვაჟი შვილი მყავს მისაგან...

— შვილი?... რა ჰქვიან? რამდენი ხნის არის?...

— ჯერ წლისა არ არის...

— სწორედ ამბობ? სად არის? ვისთანა გყავს?

— რათა კითხულობ მაგას, მამაო! ვითარც არ ეშინვმა, მე მაღლა აუშენე მას ბუდე, სადაც ვერ მისწვდება მტერის ხელი...

— ერასტი ვისი შვილია? ჰკითხა მთრთოლვარის ხმით მოძღვარმა, რომელიც აქეთ იქით ტოკავდა. თითქოს ფეხ ქვეშ ნაღვერდალი უყრიაო.—იმაში ვიღასი სისხლი სდგას? ნუ სცოდავ ღმერთსა, სწორეთა სთქვი.

— ნუ მკლავ სირცხვილით, მამაო! ერასტი საკუთარი ჩემი და ჩემის ქმრის ოთარის სისხლია. ნუ თუ აქ რომ მყოლოდა ქმარი, მე შევიქმნებოდი დამარღვეველი იმის მოვალეობისა?...

რამდენსამე წამმა განელო მდუმარეობაში,

— რათ დაჩუმდი, მამაო? ნუ თუ ჩემი ცოდო ისეთი მძიმეა, რომ უფალი ვერ იპოვის მისთვის მიტევებას თავის მოწყალებაში? გახსენი, მამაო, ჩემის ცოდოს კავშირი, ნუ წამართმევთ სასოებას. მე სიკვდილის კარებთანა ვსდგევარ... დიდ ხანს აღარა მაქვს სიცოცხლე. მანუგეშე რითმე,—ნუ თუ არა გაქვს იმედი დაიხსნას როგორმე სული ჩემი ცოდვისაგან, როდესაც წარვსდგები ღვთის სამართლის წინაშე?

ამ დროს მოძღვარმა გაიძრო ანაფორა, მოიგლიჯა ხელსახოცი, რომლითაც ახვეული ჰქონდა მას თავპირი და რა მიიტანა ანთებული სანთელი ქალის თვალებთან, თვითონაც დაიდრიკა მისკენ თავი და უთხრა აღრეულის ხმით:

— მიცნობ, თუ ვერა საყვარელო ანუკი? ტაძარი არ იყო პირველად მოწამე ჩვენის აღთქმისა? აქ არ წარმოვსთქვით ჩვენ პირველი ფიცი ერთმანეთის სიყვარულისა? აქ არ მივიღეთ ჩვენ პირველი ბედნიერება ქვეყნიერებისა? ნუ თუ ყოველი ესე იყო სიზმარი, და ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიღვიძებთ მძიმეს ძილისაგან?... ნუ თუ მაგეებს ველოდი გამეგონა შენგან?...

— ვუი ჩემს სიცოცხლეს!... ოთარ!... შეჰყვირა ანუკამ და გარდაიქცა გულდაღმა.

ქმარი დიდ ხანს ადგა მას თავზედ, თითქოს გონება დაფანტული. შემდეგ მიახლოვდა მას და სთქვა: ღმერთმა მოგიტევოს, ანუკი, შენი ცოდოც და ჩემი ტანჯვაც, რომელშიაც ამას იქით მე გავატარებ სიცოცხლესა... ჩვენი ერასტი იქნება ამის შემდეგ დამატკბობელი ჩემის ობლის სიცოცხლისა და მომაგონებე-

ლი იმ ნეტარის დროისა, რომელიც ოდესმე შენთან გამიტარებია... იმას არ ვა-
ცოდინებ შენს ორგულობასა... წადი და მოიგე სული მონასტერში. იქნება ღმერ-
თმა შეიწიროს შენი ცრემლი და მოგიტევოს ის ცოდონი, რომელთაც ვერ მო-
გიტევებს ქმარი და შვილი!... ამა სიტყვებით ოთარმა დაუპირა ქალს ხელი
ასაყენებლად; მაგრამ ქალს მაჯა აღარ უცემდა. ქმარმა გულში ხელი ჩაუდო,
აღარც გული სცემდა... ოთარი გრძნობდა თავის ხელს ქვეშ, რომ სხეული ანუ-
კასი თანდათან ცივდებოდა და შეშდებოდა... ოთარმა შიშით დაიწერა პირჯვარი
და გამოვიდა ეკკლესიიდგან.

მესამე დღეს იმავე ეკკლესიამ მიიღო დიდის ყოფით გვამი საბრალო ანუ-
კასი, რომლის უეცარი სიკვდილი მიაწერეს სიდამბლესა.—

სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი

სახელი ჩემი სოლომონ, გვარი—მეჯღანუაშვილი. რაც ქვეყანაში კაცად გამოველ, მეთაკილებოდა ჩემი გვარი და ამიტომ ვცდილობდი გვარი როგორმე შემეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თუმცა სხვანი ადვილად ახერხებენ. ხან მინდოდა მიმეცა რუსული დაბოლოება! ესრეთ: მეჯღანუევ, მეჯღანუიჩ, მეჯღანუენვსკი; მაგრამ სიტყვა ჯღანი არ ამოვარდა; ხან მინდოდა გადამეთარგმნა რუსულათ, მაგრამ ვერც მე გადავთარგმნე, ვერც სხვამ. შემრჩა ისევ ეს გვარი. რა უთხრა ჩემ მამა-პაპასა!...

განსვენებული დედაჩემი მოგახსენებდათ, ვითომც ეს გვარი დაურქმევია მამაჩემისათვის ღვთისაგან კურთხეულს დიდს ერეკლე მეფეს; მაგრამ მე ეს არა მჯერა; ერეკლეს გვარების დარქმევისთვის არა სცალოდა. ჭკუაზედ უფრო ახლოა, რომ ეს გვარი დარქმევია მამაჩემს, იქნება პაპაჩემსაც, ქალაქელებისაგან (ცოტა მატანი-კი არ არიან ქალაქელები!), რადგანაც მამა-პაპაჩემი მეჯღანენი ყოფილან.

და ესრეთ, აწ მე გახლავარ: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

მე დავიბადე ქ. ტფილისში, ციხის უბანში, პაპაჩემის სახლში, ანუ სწორედ ვსთქვა, ქოხში, რომელიც უფრო მიემგზავსებოდა ღრმა სოროსა, დათვის სადგომსა, ვინამც კაცის სადგომსა. ამ სასახლეს ჰქონდა, სიგძით ხუთი, სიგანით ორ ნახევარი ადლი.

მამა ჩემს ისაკს თუმცა არა ჰქონიარა, მაგრამ მე რო დავბადებულვარ (1800 წელსა) დიდი მეჯღანეში თურმე გადუხდია. საკვირველი მოლხინე და მხიარული კაცი ყოფილა: არცარა ჰქონია, არცარა ჰკლებია. ფიქრი ნაღველი და სევდა ვერ მიჰკარებიან იმის გულსა, ამპარტავნობას არ დაუკლეკებია. ბედნიერი სიცოცხლეც ეს არის.

რაღა გაგიგრძელოთ, მამა ჩემი წლის თავზედ გამოგვესალმა და გარდაიცვალა ამიერ სოფლით გამოუთქმულ სიხარულით, გეგონებოდათ მიეშურებოდა რომელისამე დღეობაში, ანუ ლხინში, გეგონებოდათ, რომ დაუტევაო თექვსმეტის წლის ქვრივსა—ცოლსა, ერთის წლის ვაჟსა—ობოლსა განძი და საცხოვრებელი. აღმოჩნდა, რომ მამა-ჩემმა დაგვიტოვა ზემოხსენებული ქოხი, დამსხვრეული ტახტი, ერთი ძველი ჭილობი, ერთი დაგლეჯილი ფარდაგი და ერთი პატარა ხალიჩა (დედიჩემის მზითევი), ერთი ხელი ლოგინი, სამი ჩინური ჯამი, ხუთი თი-

ხის ჯამი, ექვსი თიხის თეფში, ერთი პატარა ქვაბი, და ორი შამფური. იმ დალოცვილმა აღარ იფიქრა, რომ იმისს ქვრივსა, მაწოვარსა, სოფლის გაუცნობელსა მაშინვე მოშივდებოდა, და მე განუსჯელად მოვთხოვდი იმას უწუმ-და-წამ ძუძუსა!

არც მამა ჩემს, არცა დედა ჩემს არა ჰყოანდნენ ახლო ნათესავნი; შორეულებმა კი შორს დაგვიჭირეს. დავრჩით მარტოო-მარტონი, უპატრონონი.

გაიანე (სახელი დედაჩემისა), იყო ლამაზი, ამიტომ, რა წამს დაქვრივდა, გამოუჩნდნენ იმას თაყვანისმცემლები. ესენი იყვნენ მეზობლები: ერთი ბაყალი გეო ნონიაშვილი,—რომელსაც არა თუ პერანგი არ გაერეცხინებინა ერთ მთელი წელიწადს, ხელ-პირის დაბანაც კი არ იამებოდა,—მამაჩემზედ მდიდარი არ იყო. მეორე—მეწვრილმანე გასპარ სარქისბეგაშვილი, ახალგაზრდა, თავმომწონე, შემძლებელი.

არ გაიარა ერთმა კვირამ, რაც მე დავობლდი. ბაყალი და მეწვრილმანე შეუდგნენ თავიანთ განზრახულ საქმესა. ამათ ჰყვანდათ შუამავლათ თითო ბებერი დედაკაცი. თაყვანისცემლები და იმათი ბებრები ისე საიდუმლოთ მოქმედობდნენ, რომ თავიანთი საქმე ერთმანეთს არ გააგებინეს. ბაყლის ბებერს მოჰქონდა ხოლმე დედაჩემთან ყოველ შაბათობით და კვირაობით, სალამოს, ერთი კერძი საქმელი და პური, დილით, ხილი, ხურმა, წაბლი, თხილი და ვაშლი. მეწვრილმანე უფრო უხვად იქცეოდა. ეს უგზავნიდა სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით სხვა-და-სხვა რიგს საქმელსა, და ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით ხმელ ხილსა: ინდისხურმასა, ნუშსა, ქიშმიშსა, ალჯანაბათსა და სხვ.; დედაჩემს შიოდა და ამიტომ არ შეეძლო არ მიეღო შემწეობა მეზობლებისაგან. მოწყალება ეგონა და მადლობდა.

სამ თვეს უკან,—ეს იყო ყველიერის ორშაბათი,—ბაყლის შუამავალი მოვიდა დედაჩემთან და მოუყვა გეო ნონიაშვილის ქებას, აიყვანა ცამდინ და დედამიწას აღარ დააკარა; შერე უთხრა:

— კარგა იფიქრე, შვილო! წარმოიდგინე შენი გარემოება! ვინ გყავს პატრონი, ვისგან რას მოელი! როგორ გინდა დარჩე! თექვსმეტი წლის ქალი, შემწყვდეული ერთ ქოხში, რა იქნები! სხვა არა იყოს რა წყლის მომწოდებელიც კი არავინა გყავს!

— რა უნდა ვქნა, დედიჯან! უპასუხა გაიანემ განკვირვებით.

— აი, შვილო, რა უნდა ქნა,—უთხრა ლიმილით ბებერმა: დამიჯერე, ჭკუას ნუ დაჰკარგავ, პატრონი გაიჩინე. გეუაზედ უკეთესს პატრონს შენ ვერ იშოვნი. გეუას უყვარხარ შენ, გეუა შენთვის გიყდება, ნატრობს შენს შერთვას. რასაკვირველია ჯვარის-წერა ახლა არ იქნება... წლის თავზედ... მხოლოდ ახლა დაინიშნებით და დღეიდგან გარედან გიპატრონებს.

— გადაწყვეტილს მოგახსენებ, დედავ.—უთხრა შეწუხებული სახით დედა ჩემმა—ჩემ ქმარიშვილს ვერ ვუღალატებ. სარჩოსათვის არა ვზრუნავ, ქვეყანა დიდია.

წელმოწყვეტილი ბებერი გავიდა და აღარ დანახვებია დედა ჩემს.

მეორე დღეს, სამშაბათს, უცებ შემოვარდა ჩვენსა ბებერი მეწვრილმანისა ქაქანით, ღრეჭით და თამაშობით. ეს ბებერი იყო გამხმარი, როგორც ჩაჩხი,

შავი, როგორც მოგუზალი. სიცილში უჩანდა ჩაშავებული ღრჯოლები. იღლიის ქვეშ ეპირა გამოკრული ბოხჩა.

გაიანე შეკრთა. ბებერი დააშტერდა ქალს, მერე კატის სიმკვირცხლით შეახტა, მოეხვია ყელზედ და ჰკოცნიდა საძაგელის ტუჩებით. სანამ დედა ჩემი დორბლებს მოიწმენდდა და შეიკრეფდა ფიქრებს, ბებერმა ჩამოჰკიდა ყელზედ ძველებური ოქროს ძეწკვი, მოსტაცა მარცხენა ხელი და ორ თითზედ გაუკეთა ზურმუხტისა და იაგუნდის ბეჭდები; თავზედ მოახვია ბაღდადი, გაშალა ბოლჩა და გადმოუწყო საპერანგე მოვები, შეიდიში, საკაბე, ლეჩაქი, ერთის სიტყვით ერთი ხელი ტანისამოსი, თანაც ღიღინებდა:

— შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, გაიანე,—უთხრა ბოლოს ბებერმა—რა სახით გიხდება! ღირსი იყავ და მოგეცა კიდეცა! გადაყარე ეგ შავები!

დედა ჩემს შეუბროწეულდა ლოყები: ნიშანი ეგონა, მეწერიმალისაგან გამოგზავნილი და ეწყინა.

— ეს რას ნიშნავს, ბატონო?— ჰკითხა გაიანემ ბებერს და სასწრაფოდ ყოველივე ნივთები, რაც შეაყარა იმას მაჭანკალმა, ბოხჩაში გამოუკრა და კალთაში ჩაუდო.

— ეს ნივთები მოგართვა გასპარამ,—უთხრა ბებერმა — დაიცადე კიდეე, ეს რა არის, იმდენი მოგივა, რომ ერთს სკივრს გაავსებ!

— მიკვირს, ბატონო! გასპარა მე რათ მიგზავნის ნივთებსა? ნათესავი არა ვარ მისი და ტომი! გამომიცხადეთ თქვენი აზრი.

— ყმაწვილი ხარ ჯერ, ჩემო ლამაზო, რომ თვითონ შენ ვერ მიმხვდარხარ-საქმეს!—უპასუხა ბებერმა უსიამოვნო ღრეჭით—შენმა სილამაზემ ისე მოხიბლა გასპარა, რომ შენს მეტი აღარა ახსოვს-რა ქვეყანაზედ. გასპარა გაგიჟებულია შენთვის; გასპარას უყვარხარ, გასპარას ისე უყვარხარ, რომ წყალში და ცეცხლში მზათ არის გადავარდეს შენი გულისათვის. ახლა წარმოიდგინე, რა ბედნიერი იქნები იმის ხელში! ხომ იცი, შემძლებელი კაცია: აგავსებს, აგავსებს, გარწმუნებ, აგავსებს!..

დედა-ჩემს გული აუჩქროლდა.

— თქვენმა სიტყვებმა, ბატონო, რაღაც უგუნურ ეჭვებში შემიყვანა,—უთხრა დედაჩემმა—გამომიცხადეთ თქვენი აზრი.

— გასპარა გთხოვს, ერთ ღამეს გაატაროს შენთან დროება.

მეხი რომ დასცემოდა საწყალს ქალს, ისე არ მოჰკლავდა, როგორათაც მოჰკლეს ბებრის სიტყვებმა. დედაჩემს ყვითელმა ფერმა გადაჰკრა, თავით ფეხამდის თრთოლა დააწყებინა. ბებერს შეეშინდა და უკან დაიწია. როდესაც მობრუნდა და შეიკრიბა აზრები, დედამ ისეთის მრისხანის სახით შეხედა მაჭანკალსა, ისე საშინლათ დაუბრიალა თვალები, რომ სხვას იქვე სული გასცვივდებოდა, მაგრამ ბებერი უგრძნობარი იყო, გაშეშდა მორიელსავით ერთ ადგილას და იქამდის იყო შეუპოვარი, რომ ლაპარაკს კიდევ აპირებდა. მაშინ დედა-ჩემმა აიტაცა თიხის ჯამი და სტყორცნა უსიამოვნო სტუმარს შიგ პირისახეში. ამითაც რომ ვერა გახდა-რა, ქალმა წამოავლო შამფურს და ერთი თუ ორი მიაყოლა ბეჭებში. მაშინ იკადრა ბებერმა წასვლა. ქალმა კარები მაგრად ჩაიკეტა და

საღამომდის ცრემლი ღვარა. წარმოიდგინეთ ყმაწვილი ქალი, მარტო, მწუხარე, ღამე ბნელ სოროში შემწყვდეული!..

ეს ჯოჯოხეთი დასძლია საწყალმა მხოლოდ ლოცვით!

რომ არა დარჩენოდა რა სახლში პილწის მეწვრიმალისა, დედა-ჩემმა შუაღამისას, რაც ხილი ჰქონდა შემოგზავნილი იმისაგან, შეკრიბა, გაიტანა უშიშრად და დააბნია იმის კარების წინ...

გათენდა ოთხშაბათი ყველიერისა, დედა-ჩემს მოშივდა და არა ჰქონდა-რა ეჭამა.

ქართულად ნათქვამია: „თუ კაცი წაიქცა, დიდი და პატარა ზედ მისცივდებიან და გაჰქელავენო.“ ასე დაემართა საწყალ ჩემ მშობელსაც. რა წამს გათენდა, სახლის მოძღვარმა, ტერტერა ტერ-აკოფამ კარი შემოაღო. ჯერ მოიკითხა დედა-ჩემი, ნუგეში სცა და უქადაგა მოთმინება. მერე სთხოვა სასაყიდელი რიგის გარდახდისათვის მამაჩემზედ. გაიანემ გულის-მკვლელი მეევრმეტყველობით აუწერა თავისი საშინელი გარემოება და შეუძლებლობა. სხვა კაცი ლმობიერებაში მოვიდოდა იმის სიტყვით, შეიბრალებდა ოხერ ყმაწვილ ქალს, მაგრამ ტერტერას გული არ დაურბილდა. მაშინ დედა-ჩემმა უჩვენა და სთხოვა მიეღო თუ იკადრებდა, შამფურები, ქვაბი, ჯამები და თეფშები. ტერტერამ იცოტავა. დედა-ჩემმა მიართვა თავის ხალიჩა. ტერტერამ უსვინდისოთ მოხვეტა ყოველივე და წაიღო თავის ხელით. ჩვენ დაგვრჩა ტახტი, ჭილობი, ფარდაგი და ლოგინი.

ჩამოიცალა რა ცრუ კეთილის მყოფლები, დედა-ჩემი მიეცა ფიქრებსა, ეძებდა ღონისძიებასა საზრდოს მოსაპოებლად. უკანასკნელ დაადგა იმ აზრს, რომ უნდა დამდგარიყო ვისთანმე ან ძიძათ, ანუ მოჯამაგირეთ, მაგრამ აქ დახვდა იმას დაბრკოლება. იყო რა გამოუცდელი, სოფლის გაუცნობელი, ამასთან გაუბედავი, საწყალმა არ იცოდა, როგორ გასულიყო კარზედ, როგორ ანუ ვისით მოეძებნა ბინა და როგორ აერჩია ოჯახი. ამ ფიქრში და ჩემ რწევაში გაატარა ოთხშაბათი. ერთ დროს ორ საქმეს აკეთებდა საცოდავი: ჰფიქრობდა, როგორ მოეპოვა ლუკმა პური, რომ მე მეცოცხლა; მარწევდა, რომ მე შიმშილით გამშრალი იმისი ძუძუ არ მოშეწოვა. მაგრამ ფიქრით და რწევით როგორ გამაძღობდა, როგორ გამიგრილებდა გამშრალ გულ-მუცელს? მე, თურმე, გავსჩხაოდი, გავსწიოდი. საზღვარს გადავიდა დედა-ჩემის მწუხარება!

მაშინ დედა-ჩემმა აღარც აცივა, აღარც აცხელა, გაიტანა ბალიში და მიჰყიდე ახლო მეზობელს სამ პურათ. მყიდველს შერცხვენოდა და ერთი ჯამი ლობიო დაემატებინა. თვითონაც გაძღა, მეც გამაძღო. მაგრამ, ოჰ, რა გაძღომა იყო! შხამათ შეარგეს დედა-ჩემს საჭმელი! მეწვრიმალეს ბებერი მოუვარდა კეტით, წყეულით და უშვერის ლექსით დაუწყო სულის მტერმა ლანძღვა და არ გაათავა, სანამ ყბები არ ჩამოსცივდა... ბედი დედი-ჩემისა, რომ კარები ჰქონდა მაგრა დაკეტილი, თორემ მოჰკლავდა საცოდავსა!

ამას არ დააჯერეს. ღამე თვით მეწვრიმალე მოვიდა და ქვებს ესროდა ჩვენს კარებს. შიშით კინაღამ ჭკუაზე შეცდა დედა-ჩემი!

ხუთშაბათს ასეთივე დღე დააყენეს.

მოთმინებიდან რომ გამოვიდა, პარასკევს დილით ადრე წავიდა ქალაქს დედა-ჩემი, მთელი დღე იარა უბედურმა და ყველგან გაიგონა, რომ არავის ეჭი-

რვებოდა მაშინ არც ძიძა, არც მოჯამაგირე. დაბრუნდა შინ მკვდარი, სასოწარკვეთილი ჩემი გაიანე, დაეცა პირქვე, ტიროდა და გმინავდა.

გათენდა შაბათი.

მთელი ღამის უძილობით და მწუხარებით დატანჯული დედა-ჩემი, ფერ მიხდილი, იჯდა ტახტზედ მოკეცილი, დაჰყურებდა დედამიწას ერთის ხელით მე მარწევდა, მეორით ცრემლს იწმენდდა, თან ლოცვასა ბუტბუტებდა პაწაწკინა ტუჩებით... ოჰ, საწყალო დედა-ჩემო, აგრე როგორ დაიტანჯე!

მსწრაფლ რაღაცა ბედნიერმა აზრმა გაუელვა დედაჩემს, მოიმხიარულა, ამაყენა მე აკვნიდან. გამახვია საბანში და წამიყვანა ჩემ ნათლიასთან. ნათლია შინ არ დახვდა; იმისმა ცოლშვილმაც ცივად მიგვიღო. გამობრუნდა დედა-ჩემი გულ-მოკლული. მიდის... სად მიდის?.. არც იცის.

ამ დროს სიონის წინ გაიარა; კარები დახვდა გაღებული და ხმა მოესმა გალობისა. მწუხარეთა ნუგეში ეკკლესიაა. „ოჰ, გმადლობ, უფალო! ამაზედ უკეთესი ბინა აღარ მინდა“. სთქვა და შევიდა დედა-ჩემი სიონში, დაეცა, გმინავდა, ტიროდა, ლოცულობდა. ლოცვა მისი იყო მხურვალე. იქვე წირვას ისმენდა ერთი ყმაწვილი ვაჟი, თექვსმეტი წლისა. იმან მიაქცია ყურადღება საცოდავს გაიანეს და თითქმის თვალი ვერ მოაშორა.

გამოვიდა წირვა. გაიკრიბა ხალხი, ყველაზე ბოლოს გამოვიდა თექვსმეტი წლის ვაჟი, მერე დედა-ჩემი. მდუღარე ცრემლი ეყარა საწყალს გრძელ წამწამზე და ლოყებზე, თითქოს ბრილიანტი შეუბნევიათო, „ეს არის ჩემი ბინა“, სთქვა და დაჯდა სიონის კარებთან.

მაშინ თექვსმეტი წლის ყმაწვილმა ჰკითხა დედა-ჩემს, რა მწუხარება გაქვსო.

დედა-ჩემმა პასუხი არ მისცა და სთქვა თავისს გულში: „რა ღმერთი გასწყრომიათო, აქაც არ მეხსნებიანო“!

ყმაწვილმა დააფიცა ღმერთი, ღვთისმშობელი და ბოლოს ჩემი თავიც, რომ ეთქო დედა-ჩემს გარემოება თავის მწუხარებისა.

დედა-ჩემმა უამბო მოკლედ თავისი გარემოება.

მაშინ ყმაწვალმა ვაჟმა სთხოვა გაიანეს, რომ გაჰყოლოდა იმას სახლში.

დედამ უარჰყო.

კიდევ სთხოვა, აღუთქვა მრავალი კეთილი... კიდევ უარჰყო... მერე დააფიცა... არ იქმნა, ვერ გააბედვინა. იწყინა უგუნური სიკერპე დედა-ჩემისა და წასვლა დააპირა; მაგრამ მაშინვე წარმოიდგინა ჩვენი საცოდაობა და ბოლოს ასე უთხრა გაიანეს:

— დედა ღვთისა არის მოწამე, რომ მე მიგიღებ შენ როგორათაც ღვიძლ ჩემს დას. მე მყავს დედა, რომელიც შეგიყვარებს, გამოგზრდის და პატივით შეგინახავს, რომელსაც შენ ძლიერ შეიყვარებ. მე მყვანან გამდელები, მოახლეები, მოსამსახურე ბიჭები; მე მაქვს ოჯახი კარგი, საესე ღვთის მოწყალებითა. ჩემს ოჯახში პირველი უფროსი დედა-ჩემია, მერე მე. არც გიმსახურებ, არც საჭიროა ჩემთვის შენი სამსახური. მე ვარ თავადი ლუარსაბ რაინდიძე. ღმერთსა სთხოვდი პატრონსა და აი მოგცა; დედა-ჩემზე უკეთესს პატრონს შენ ვერ იპოვი, წამოდი.

ლუარსაბის დიდკაცურმა შესახედაობამ, იმისმა გულწრფელმა და ტკბილმა ლაპარაკმა, ზრდილობამ და მეტადრე მშვიდმა სახის მეტყველებამ გაუფანტა დედა-ჩემს ეჭვები. დედა გაჰყვა თავის სულგრძელს კეთილისმყოფელსა. ძლივს მოწყალების კარი გაეღო საცოდავ ქვრივს და ობოლსა!

— ბატონო, დედავ!—მოახსენა ლუარსაბმა მშობელს, როდესაც შევიდა შინ—მე გახლდი სიონში, მოვისმინე წირვა, გწყალობდეთ! იქ ღმერთმა ჩამაბარა ერთი მეტად საცოდავი ახალგაზრდა ქვრივი ქალი ძუძუთა ბიჭით. მე ვიცოდი. თქვენ გიამებოდათ ქვრივ-ობოლის შეწყნარება და მოგგვარე. აქ გახლავან. თუ ინებებთ, შემოვიყვან.

სახელი ლუარსაბის დედისა—დარეჯან. ეს იყო მშვენიერი, მსგავსი რომლისა არსად მინახავს. კარგი მხატვარი თავისის აზრით ვერ დახატავდა ისეთ მშვენიერს სურათს.

— უბრძანე, შვილო, შემოვიდეს,—უთხრა ლუარსაბს მშობელმა.

ლუარსაბმა ხმა მისცა და შევიდა დედა-ჩემი.

თემცა იყო ობოლ-ოხერი, უნუგეშო, დღიურ გამხმარ ლუკმას მოკლებული, მაგრამ, შედგა რა ფეხი კარებში, გაეღვიძა იმას თავმოყვარეობა და ამპარტავნება,—ითაკილა გლახა ამპარტავანმა, რომ მიადგა კარს მოწყალებისათვის, შეინანა იქ მისვლა და დააპირა უკან დაბრუნება. ესე ყოველი ცხადად გამოეხატა სახეზე დედა-ჩემს.

დარეჯან იყო დედაკაცი ჭკვიანი და მაშინვე წაიკითხა დედის სახეზე, რაც იმას გულში უტრიალებდა და რომ განექარვა აღძვრა დედიჩემის თვის მოყვარეობისა, სიფრთხილით შეუდგა დამშვიდებას იმის ამპარტაენებისა. ამისათვის კნეინამ მზიღო ისეთი ღონისძიება, რომელიც ეკადრება განათლებულ გვამსა.

— აქ მო, შვილო, დამიჯექ გვერდით,—უბრძანა კნეინამ. ეს სიტყვები სთქვა კნეინამ ისე ტკბილად, ისე ნარნარით და ალერსიანათ, მასთან ისეთი სახე უჩვენა, რომ დედაჩემს ნამდვილად ეგონა, რომ კნეინა იყო იმისი მშობელი და დაავიწყდა თავისი ვინაობა.

ლუარსაბ გარეთ გავიდა. დედაჩემი ჩამოჯდა ტახტზედ, რომელზედაც იჯდა კნეინა.

— გაიანე, შვილო! განაგრძო კნეინამ: ქვეყანაზე არა არის რა საკვირველი გარდა ერთისა. ეს არის, ვისაც აქვს თვითმდგომარე ხასიათი, ვინცა სცნობს თავის ღირსებასა და დაიცავს პატიოსნებასა. დანაშთენი, მაგალითად: სიმდიდრე, სიღარიბე, სიდიდკაცე, სიპატარაკაცე სრულიად არა არისრა. ესენი ეძლევა განგებისაგან ვაცსა, რომ იყოს ქვეყანაზე წესი, მე შენით, შენ ჩემით უნდა გამოვიზარდნეთ, ვიცხოვროთ. რა წამს შამოგხედე, მე ვპოვე შენში თვითმდგომარე ხასიათი, ამიტომ მე და შენ ღირსნი ვართ ერთად გამოვიზარდნეთ და ვიცხოვროთ. შენ ნახავ შვილო, როგორათაც საქმით დაგიმტკიცებ ამ ჩემს სიტყვებსა. ახლა გთხოვ მიამბო დაწვრილებით ყოველი შენი გარემოება.

დედაჩემს გული აუდუღდა, ენა დაება და გადმოსცვივდა თვალიდგან მსხვილი ცრემლები.

— რათა სტირი შვილო?—ჰკითხა კნეინამ.

— კარგა მეუურება თქვენი საკვირველი ყურადღება, რომელიც ჩემზედ უსასყიდლოდ მოიღეთ, ავწონე თქვენი გული, მივხდი თქვენს კეთილს განზრახვას, ვგრძნობ ამას ყოველსა, მაგრამ სიტყვა არა მაქვს გამოვსთქვა მადლობა, ქალბატონო! მე ღირსი არ ვარ თქვენთან ახლა ჯდომისა; მიმიღეთ მოსამსახურეთ...— ეს რა თქვა, ადგა დედა-ჩემი, მაგრამ კნეინამ ისე დასო და უთხრა:

ამ ხალხის უფალი დღეს მე ვარ—ქმარი მე, შენსავით, აღარ მყავს,—მაშ ჩემს სახლში ჩემი ნება უნდა აღსრულდეს. შენ ნუ სწუხარ. მოსამსახურეები ბევრი მყვანან. ჯერ მიანბე შენი გარემოება. მერე მე გიჩვენებ შენს თანამდებობას ჩემს სახლში.

დედაჩემმა დაწვრილებით უანბო თავისი ცხოვრება და გარემოება; ბოლოს დაუმატა, რომ იმან ისწავლა ზდილობა და ენა ერთ აზნაურის სახლში, რომელსაცა სახელად ეწოდებოდა ეკვთიმე.

კნეინას გაუკვირდა დედიჩემის მოთმინება, გონიერება და ხასიათები, და ძლიერ შეუყვარდა.

კნეინამ მაშინვე ამოატანინა ბაზრიდან რაც საჭირო იყო ჩვენთვის ტანისამოსი. სასწრაფოდ დააკერვინა და შეგვმოსა.

კნეინა თვითან ასწავლიდა დედაჩემს კერვასა, ქარგვასა და სხვა ხელსაქმესა. სხვა ამაზედ მომატებული საქმე არა ჰქონდა გაიანეს.

ერთი კვირის შემდეგ ლუარსაბ წავიდა პეტერბურგს. კნეინა წაბძანდა შეილის ყმა და მამულში, სოფელს „წითლიანს", ქართლში და ჩვენც თან წაგვასხა...

მე რა მოვიზარდე, კნეინამ იზრუნვა ჩემთვისაცა, მიბაბარა თავიანთ მოძღვარს, რომელმაც მასწავლა წიგნი და წერა. თვითონ კნეინა მასწავლიდა დავითნსა, და მაკითხებდა ხოლმე ვეფხვის ტყაოსანს და სხვა ქართულ წიგნებს; აგრეთვე მასწავლიდა ზნეობასა, ზრდილობასა; სიტყვაპასუხსა. მე ვუჯერებდი, ვსწავლობდი, მივიღე მრავალი, და არ მახსოვს, რომ ოდესმე შამეწუხებინოს ჩემის ურიგო ყოფა-ქცევით ჩემი კეთილის-მყოფელი.

ამასთან კნეინა ასე გვიფრთხილდებოდა ჩვენ, რომ უბრძანა გამდელებსა და სხვა მოსამსსხურეებსა არამც-და-არამც არ ეწყენინებინათ ჩვენთვის ან სიტყვით, ან წარბით, ან საქმით. მოსამსახურეებს გაგიეებით უყვარდათ ქალბატონი და წმინდათ აღასრულეს ბრძანება მისი. მართლადაც თექვსმეტი წლის განმავლობაში არცა დედაჩემს, არცა მე არ გვინახავს იმათგან რაიმე მცირედი წინააღმდეგობა, ანუ წყენა.

მაგრამ თექვსმეტ წელიწადს უკან ბედნიერება მოგვეშალა. სიკვდილმა გამოგვაცალა კნეინა ხელიდამ. დედაჩემს ასე უყვარდა თავისი კეთილის მყოფელი, რომ უიმისოთ ველარ გასძლო ჩვენთან და სამ დღეზე გამოუდგა იმას. ეს მოხდა 1817 წ.

ამ დროს კნიაზი ლუარსაბი დაბრუნდა რუსეთიდამ მაიორის ჩინით, მდიდარი ჯვრებითა. ამან ერთი წელიწადი იგლოვა დედა, მერმე ცოლი შაირთო.

მე ვიყავ მაშინ თვრამეტის წლისა. დრო იყო, რომ ამას იქით მე მეზრუნვა ჩემის თავისათვის. ამ მიზეზისა გამო გამოვეთხოვე ლუარსაბს, ამ საკვირველს კაცსა!...

მამიტევეთ, რომ მე გავავრცელე აქ ისტორია ჩემის მშობლისა. ისტორაი მოვალეა მისცეს ადგილი თავის სტრიქონებში გამოჩინებულ პირსა, გინა იყოს იგი მეჯღანუას ცოლი.

III.

დედაჩემის აღწერით და კითხვის კითხვით, როგორც იყო, მივაგენ პაპაჩემის ქოხსა, ანუ სოროსა, რომელიც იყო დაკეტილი შინაგანის ურდულით. გასაღები ამ ურდულისა მქონდა მე.

იყო თებერვალი, ყველიერის სამშაბათი. დღე იყო საამოვნო, ცა ულრუბლო, უნიავო; მზე ატფობდა ჩემს მშობელ ქალაქს. მზეზე გამოსულიყვნენ და ტფებოდნენ ტფილისის მცხოვრებნი. სხვათა შორის, ციხის უბანში, გამოსულიყო ვილაცა მოხუცებული დედაკაცი და იჯდა სწორეთ ჩემს კარების წინ გულხელ დაკრეფილი, თავ ჩაღუნული, დაღრომილი, რომელიც ზუზუნებდა, წუწუნებდა, ოხრავდა, თან მთელის სხეულით აქეთ-იქით ექანებოდა. ბოლოს ორის ხელით ლოყებში შემოიკოა მოხუცმა, მძიმედ ამოიოხრა, კავების წვერები გაიწია-გამოიწია, თვითონ გაექან-გამოექანა და წარმოსთქვა: „ტა-ტატა-ტა! ეს რა დამემართა! ღმერთი რათ გამიწყრა! სული რაზე წავიწყმიდე! უბრალო სულის სიკვდილის მიზეზში როგორ ჩავდექი! ვაი მე!...“

— დედაშვილობას მიბრძანეთ, უთხარ მე მოხუცებულსა, რომელმაც აქამომდე ვერ შამნიშნა და რომელიცა გამოიყვანეს ჩემმა სიტყვებმა ღრმა ფიქრებისაგან,—დედაშვილობას მიბრძანეთ, აქ სადა დგას გაიანე, ისაკ მეჯღანუაშვილის ცოლი?

მოხუცებული ასე შაკრთა, რომ დაეფანტა აზრები; ეელარ გამოერკვია, რომ მოეცა ჩემთვის, პასუხი. მამარიდა პირი და რაღაცა წაიბუტბუტა, რომელიც მე ვერ გავიგე. რაღაც ჰკაწრავდა ბებერსა და მე ვისურვე გამომეაშკარებინა იმისი საიდუმლო. ამიტომ განუმეორე იმას ჩემი თხოვა გაიანეზე.

— რათა კითხულობ გაიანეს? შენ ვინა ხარ? მკითხა მოხუცებულმა ასეთის სახით, რომელმაც აშკარათ გამოხატა, რომ იმას სრულიად არ ეპიტნავა ჩემი თხოვა, და არ უნდოდა პასუხის მოცემა.

— ჩემი ახლო ნათესავია გაიანე, მინდა ვნახო,—უპასუხე მე.

— არ ვიცი,—თქო ბებერმა და პირი იქით მიიღო.

მრავალი ვეცადე, უელიდი ხან აქეთ, ხან იქით, საითაც კი მიიღებდა ხოლმე პირსა, არ იქნა, ეელარ შამოვახედე ბებერი ჩემსკენ. ბებერი ცდილობდა აეცდინა თავისი თვალები ჩემ პირისახისაგან. ამ ბებრის ქცევამ უფრო გამაცხოვლა სურვილი—გამომეხმო გარეთ იმისი საიდუმლო.

„მაშინ მამაგონდა მრავალჯერ გაგონილი ქართული ანდაზა: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“, და მე ამოვიღე ორი აბაზი (ვამოსალმების დროს ლუარსაბმა მაჩუქა ხუთი მანეთი თეთრი ფული), მივეცი მოხუცებულს და უთხარ:

— ეს არის მოვედი სოფლიდამ; ვარ დალალული და მშიერი. თუ საწყენი არ იქნება, გეყოლებათ ვინმე, მოატანინეთ ბაზრიდან ღვინო და საჭმელი. მომიტევეთ, დედაშვილობას, რომ უნდა გაგსაჯოთ მაგ დროული ადამიანი.

დაინახა რა ფულები ბებერმა, თვალის დახამბამებამდინ, შაირბინა მეორე ქოხში და გაგზავნა ვილაცა კაცი ბაზარში,—მგონია შვილი იყო მისი, სადილის მოსატანათ; მერმე მე შამიწვია.

— შენ, შვილო, მგონია იკითხე სახლი გაიანესი?—მკითხა მოხუცებულმა.

— დიაღ, ბატონო!

— სახლი გაიანესი აკრავს ჩემს სახლსა, სწორეთ ის არის, სადაც მე წელან ვიჯექ. მაგრამ შენ ვინა ხარ, და რა ხარ გაიანესი?

— მე ვარ გაიანესი დის-წული. დედაჩემმა, რაც გითხოვდა, გაიანეს ამბავი არა იცისრა, და გამომგზავნა შავიტყო იმისი გარემოება.—მანამდისინ ტყუილი არ მეთქო, მაშინ ვთქვი, და ამ ერთმა ტყუილმა, ჰო ღმერთო, შემდგომში რამდენი ტყუილი მათქმევინა! რა გავაგრძელო. მთელი ჩემი მოქმედება ტყუილზედ იყო დაფუძნებული!

— საკვირველია—მითხრა მოხუცებულმა: რა ძალიან გევხარ გაიანეს! ქალის ტანისამოსი რო ჩაიცო, ვერავინ იტყვის, რომ შენ გაიანე არ იყო. შუბლი, წარბები, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი, ელფერი, ტანი, სულ გაიანესი გაქვს. მიკვირს! ძალიან მიკვირს!

— ამ მოულოდნელ ბებრის შენიშვნისაგან არ იყო რომ არ შეკრთი. ნერწყვი ყელზე დამადგა. მაგრამ ჩემ როლს ხომ ვერ ულალატებდი. მეტი ღონე არ იყო მეორე ტყუილიც უნდა მეთქო, და სასწრაფოთ მოვახერხე.

— დედაჩემი და გაიანე ტყუპები არიან,—მიუგე მე მოხუცებულსა: ტყუპები, როგორც მოგეხსენებათ, ერთმანეთს ხშირათ ძალიან გვანან, ასე რომ, ერთს მეორისაგან ძნელით გაარჩევთ. რაღაცა ბუნების მონდომებით დედაჩემი და გაიანე ასე გვანან ერთმანეთსა თურმე, რომ დედაჩემი რო ნახოთ გეგონებათ გაიანეს ხედავთ. მეცა დედაჩემს ასე ვგევარ, რომ თუ ქალური ტანისამოსი ჩავიცვი, უთუოდ დავეგვანები გაიანეს.

— იქნება მართლა! საკვირველია!.. დიაღ მე გამიგონია—მინახავს კიდეც—ტყუპები ძლიერ გვანან ერთმანეთსა... არა არისრა საკვირველი, რომ დისწული დაემსგავსოს დეიდასა!—მითხრა ბებერმა და მეტი სიამოვნებისაგან გაიღრიჭა.

გაღრეჭაში ბებერს გამოუჩნდა ღრჯოლები, მაშინ მამაგონდა დედიჩემის აღწერა მეწვრილმანის ბებერის ღრჯოლებისა და მივხვდი ნახევრათ ვინც იყო სახლის პატრონი.

ამასობაში სადილი მოგვივიდა, დავსხედით. შავექეცით. მადა გვქონდა ასეთი, რომ ბევრს მდიდარს შაშურდებოდა. კახურმა წითელმა დასძლია ჩვენს ბებერსა; ამოუდგა მარადის დაუჩუმებელი ენა, რომელიც უფრო გაულესა საჭიკჭიკოდ. ბებერმა ხან სად გადასცა, ხან სად გადმოსცა; ხან ამ მთისა თქვა, ხან იმბა. მთისა. საგანი იმისი ჭიკჭიკობისა იყო მორყვნა მეზობლებისა და თავისის თავის ქე

დიაღ კინაღამ არ დამავიწყდა! ბებერმა დაიჩემა სადილზე, თავისის ძალით, თამადობა. გიახლათ სადღეგრძელო თავისი საყვარლებისა, ჩემი და სხვა თა; არ დაავიწყდა მიცვალებულიცა. მაგრამ გაიანე არც ცოცხლებში ახსენა და არც მიცვალებულებში. რასაკვირველია, ეს კარგი მიზეზი მოძეცა, რომ გადამეტარებინა სიტყვა გაიანეზე.

. . . . .

— მე გეტყვი, შვილო, გაიანეს ამბავს. თუმცა უსიამოვნოა, მაგრამ... ბიფა და... რა გაეწყობა... კაცნი ვართ... მოთმინება გვმართებს... ეჰ, რაც მოხდა მოხდა... იცი, შვილო რა მოხდა?—აგერ თოთხმეტი თუ თექვსმეტი წელიწადია რაც გაიანე თავისის შვილით წავიდა სადღაცა და მას აქეთ აღარ გაუვლია. ჩვენ, მეზობლებს, გვეგონა, რომ ის მიეკედლა რომელიმე ნათესავსა და ჩვენ გვიამა, ამიტომ რომ უპატრონო და უმოწყალობო იყო. ამ კვირია კი გავიგე ასეთი ადამიანისაგან, რომელსაც ტყუილიც კი დაეჯერება, არამც თუ მართალი, რომ საწყალი გაიანე დამჩვალა იმავე დღეს, როდესაც აქედამ წავიდა, თავისის ერთის წლის ვაჟით, მტკვარში. მკვდარი ვარ, ცოცხლებში არ ურევივარ — ასე მეწყინა! შენ, შვილო, ნუ შეწუხდები! ალბათ რომ ასე ეწერა... ღმერთმა განუსვენოს!—ეს რა თქვა, დალია ღვინო, მაგრამ მძიმედ კი ამოიკვნესა.

— ეგ მეც გავიგე,— უთხარ მე: მაგრამ არ დავიჯერე.

— სწორეთ, სწორეთ მართალია, ჭეშმარიტია! აბა წარმოიდგინე, შვილო, ტყუილს რა მათქმევინებს ამ დროულს ადამიანსა, და ან რა გაჭირება მაქვს ვთქვა ტყუილი.

— ტყუილი რა საკადრისია. მაგრამ ეს მიბძანეთ: რა გაჭირება ჰქონდა საწყალს გაიანეს, რომ სული წაიწყმინდა?

— სილარიბე, შიმშილი, უპატრონობა!

— არა მჯერა! მე ვხედავ მრავალ ღარიბსა, მშიერსა, უპატრონოსა, მაგრამ წყალში კი არავინ ვარდება. არა, აქ სხვა მიზეზი უნდა იყოს. ერთი ეს მიბძანეთ, თუ გახსოვთ, რა დღეები იყო, როდესაც დეიდაჩემი ჩავარდა მტკვარში?

— მე კარგათ მახსოვს— იყო ყველიერი.

— რა დღე იყო ყველიერისა?

— შაბათი.

— წინა დღეებში ხომ არავინ არა აწყინა რა დეიდაჩემსა?

ბებერს ენა დაება; ლუკმა ყელზე დაადგა, კინაღამ დაირჩო... მაშინ მცირე ხანს ლაპარაკი მოვწყვიტე ამ საგანზე, მერმე ღვინო დავალევინე ბებერსა და ხელ-ახლად განუმეორე ჩემი უკანასკნელი კითხვა, მაშინ შექნა ბებერმა ღრიალი და მოთქმით ტირილი: „შე-საწყალო გა-ი-ანე! ქორფა გა-ი-ანე? წუ-თი სოფელ-ში გა-უ-ხა-რე-ლო! რა კარ-გი რამ ი-ყავ? ყბა ვინ და-გად-გა! თვა-ლი ვინ გკ-რა! რათ გა-მო-ერ-ჩი-ე ტოლ ქა-ლებ-ში“!,..

— სულ კი, იმისს უბედურების, მიზეზი იყო ის შეჩვენებული მეწვრილმანე,—ზეჰყვირა უცებ ბებერმა, როდესაც დაასრულა ტირილი.

— რომელი მეწვრილმანე?

— გასპარ სარქისბეგაშვილი. ამ წყეულ შეჩვენებულმა გამრია... მაგრამ მე რა... მე სრულებით არა-ში ურევივარ... მე მხოლოდ ვიყავ მოციქ...

— რას გადარეულხარ, ბებერო!—წაჰკრა შვილმა და შეუტია; რასა როხამ მოუკოდავ წისქვილივით.

— მე რა, შვილო!—უთხრა შვილს ბებერმა: ერთი სიტყვა ვთქვი... ყოველთვის სიტყვა სიტყვას მოიტანს... მაგრამ, ამასაც გეტყვი შვილო,—მითხრა მე,—სარქისბეგაშვილი რომ... სიტყვით, სარქისბეგაშვილს მე რომ არა... რა თავი შეგაწყინო, სარქისბეგაშვილმა ხუმრობა დაუწყო საწყალს გაიანეს.—

გაიანე,—საწყალი თავმომწონე ქალი იყო,—წავიდა და თავი წყალში დაირჩო. მე კი, შენმა მზემ, იმათ საქმეში არა ვრეულვარ; ფიცი შამიძლია. მაგრამ რაც გავიგე გაიანეს თავის დარჩობა, მე ასე ვიტანჯები, რომ ჩემს სულსა და გულსა აღარა აქვს ლხენა. ოჰ, ღმერთო! ცოდვილი ვარ, მრავალი შეგცოდე, მამიტევე! აქამომდე ბებრის თვალზედ ვერა ვნახე ცრემლი; ახლა კი სინანულის ლოცვას დაადევნა იმან ცრემლებიცა.

— რა კაცია გასპარ სარქისბეგაშვილი? ვკითხე მე: როგორია? რა ხელობა უჭირავს? სადა სდგას?

— დიდი ჭკვიანი კაცია, თავი კაცია ქალაქში შეძლებით თუ ვაჭრობით. —ის იყო პირველათ მეწკრილმანე და ჰქონდა საკმაო შეძლება. ჭირიანობას საკვირველი ჭკუა მოიხმარა: სოფლებში პურს ყიდულობდა იაფათ, თვითონ კი ერთი ოთხათ—ხუთათ—ათათ ჰყიდდა. მაშინდელი სიძვირე, თუ გაგიგონია, აბა იმან ჩამოაგდო გაიესო, გაიესო ის ღვთის მტერი! ახლა დუქნები აქვს და ვაჭრობს. რამდენი ვაჭარი წაახდინა? ჩვენს უბანში იმას ჰქონდა სახლი; ის აღარ იკადრა, შუა ქალაქში ააშენა დიდი სასახლე. საშინელი წუწკია. ორჯელ ვიყავი იმასთან, ვსთხოვე შემწეობა, ორჯელკე პანღურის კვრით გამომაგდო. თავისთვის რო ვერას იმეტებს, ჩემთვის ანუ სხვისთვის როგორ რასმე გამოიმეტებს!..

— კმარა! კმარა! შევყვირე განრისხებულმა მაღლის ხმით.

ამა ამბავმა ასე გამამწარა, ასე გამცეცხლა, ასე მოთმინებიდან გამომიყვანა, რომ აღარ ვიცოდი სად ვიყავ, რა ვიყავ, რა უნდა მექნა; მეგონა ეკლებს მჩხვლეტავდენ ძარღვებში; ველარც დავჯექ, ველარც დავდეგ. არ შამიძლია ავწერო მაშინდელი ჩემი მდგომარეობა. მაშინ დამებადა გულში შურის-ძიება,—პირველად ვიგრძენ ამ ბოროტის ყოფნა ჩემში, რომელიცა სასწრაფოდ გაიზარდა, გავრცელდა; რომელმაცა ფესვები განზე გაიდგა, ტყვეთ შაიპყრა ჩემი სული, გონება და გული...

ბებერს სუფრაზედ დაეძინა. მე გამოვედი და გავაღე კარები ჩემის სახლისა: ჩვიდმეტი წელიწადი არ გაღებულიყო ეს კარები! ჰაერი იყო ცუდი, ნოტიო და ცივი, და მე ვერ შაველ, მანამდისინ კარგა არ გაიკრიბა დაგუბებული ჰაერი.

ბოლოს შაველ. იქ დამხვდა ტახტი; ტახტზე ფარდაგი, ჭილობი და გაშლილი ლოგინი, სწორედ იმ სახით, როგორც დაეტოვებინა დედაჩემს; იქ დამხვდა ჩემი აკვანი, გაუსწორებელი, არტახებ აუკეცავი. მივიხედ-მოვიხედე არცა სადმე სარკმელო, არცა ბუხარო! კარები მიეხურე და მე დავრჩი შუადღისას საშინელს სიბნელეში. მაშინ წარმომიდგა დედაჩემი; მაშინ ცხოვლად ვიგრძენ თუ რა საშინელი და ენით გამოუთქმელი ჯოჯოხეთი მოუთმენია აქ დედაჩემს.

საზღვარი აღარა ჰქონდა ჩემს მრისხანებასა! რა არ ვიფიქრე! რა ღონისძიებას არ ვეძებდი, არა ვნატრობდი; რომ კმაყოფილ მეყო ჩემი შურის ძიება! იმ ჟამათ მეწვრილმანე რომ ჩამვარდნოდა ხელში, ხორცებს კბილებით დავაგლეჯდი!...

ლოგინი ავკეცე და დავალაგე სალოგინეზე. დავჯექ მოკეცილი ტახტზედ, რომ წარმომედგინა მდგომარეობა დედიჩემისა, როდესაც ის იჯდა ხოლმე მარტოთ-მარტო იმ ტახტზე, მე მარწევდა, ან ძუძუს მაძლევდა, მშიერი, მწყურვა-

ლე, სიციეეში, სიბნელეში, მწუხარე... უცებ ერთი ფიცარი აყირავდა და მე ჩავარდი ტახტის ქვეშ ორმოში.—შემდგომში ვნახე,რომ ეს ორმო გათხრილი იყო სიგრძეზე ვიდრე ორ ადლ-ნახევარი და აქეთ-იქით გვერდებზედაცა.—მგონია, სამალავი უნდა ყოფილიყო.

საღამომდინ იქ დავრჩი. ღამე ვეღარ დავდეგ და გამოველ გარე.

IV.

იმდენ სიკეთესთან, კნეინა რაინდიძისამ დაივიწყა,--დედაჩემს ხომ სრულებით ფიქრშიაც არ მოსვლია,—რომ საჭირო იყო ესწავლებინათ ჩემთვის რომელიმე ხელობა, მარტო ზდილობა და მცირედი წიგნური და ზეპირ მოთხრობითი სწავლა პურს ვერ მაჭმევდენ. მე გამოვდგებოდი მხოლოდ მოჯამაგირეთა მოქალაქებთან ანუ ლაქიათ, მაღალ საზოგადოებაში, ისიც თუ დავხელოვნდებოდი ლაქიების ხელობაში და ჩემში იპოვიდენ საჭიროებასა. მაგრამ იმ დროს ქალაქში ლაქიობა ჯერ არ იყო გახშირებული; მოჯამაგირეს თანამდებობის ასრულებასა ადვილად შავიძლებდი, თუ რომ ჩვიდმეტი წელიწადი ნებიერ ცხოვრებაში არ ვყოფილვიყავ. ესრეთ ვიყავ მოკლებული საზრდოს მოსაპოებელს ღონისძიებასა!

ამ დიდ ნაკლულევანებასთან შამემთხვა ასეთი გარემოებაცა, რომელიც ვისაც კი დაიმონებს, დაუბნელებს გონებასა, გაურყვნის გულსა, წაუხდენს ხასიათებსა. გამოცდილებით ვიცით, რა ძნელია, რა საშიშია თუ ყმაწვილკაცს, ქალაქში არა ჰყავს ხელმძღვანელი, ანუ თუ არ შეხვდება კარგი საზოგადოება, ან კარგი ტოლი და ამხანაგები.

მე ვიყავ ცუდ მდგომარეობაში, ცუდ განსაცდელში, მე ვიდექ საშინელს უფსკრულის ნაპირზედ და უთუოდ დავიღუპებოდი საუკუნოთ სულით და ხორცით, თუ რომ არ შემწევნოდა ჩემი მტკიცე ხასიათი და ნამეტნავად ის მცირედი სწავლა, რომელიც მივიღე თ. ლუარსაბ რაინდიძის სახლში. რაც შამეძლო შავიმაგრე და ხელიდამ არ გაუშვი. მაგრამ თუმცა ერთს დიდს ბოროტს გადავრჩი, მასთანვე გაუღე გული მეორე ბოროტსა, რომელმაც დამიკარგა მცნება პატიოსნებაზე და კეთილშობილური ამპარტავნობა. სრული კაცი არ არის ის, ვისაც არ აქვს ეს თვისებები.

ზევით მოგახსენეთ, რომ მე გავექეც ჩემს მამა-პაპის სახლსა, რადგან მეჩვენა საშიშარ სადგომად. სიობლით დავეშვი ციხის უბნიდამ და სად მივრბოდი აღარ ვიცოდი. ვირბინე, ვირბინე და მივაწყდი ერთ მიკიტნის დუქარსა თათრის მოედანზე. იქ იჯდა სამხარზე, თუ ვახშამზე, სამი ყმაწვილი კაცი.—აბა რა შემიყვანდა იქ!—წავდექ წინ, გარშამოუარე მოედანს, საჩემო ადგილი ვერსად ვიპოვე. გავიარე ვიწრო და დახვლანჯული ქუჩები, კარები ყველას ჰქონდა ჩაკეტილი. დავტრიალდი ისევ მოედნისკენ და მეტი ღონე არა მქონდა მივედ იმ მიკიტნის დუქანშივე. შავედი, მივეცი მიკიტანს ერთი აბაზი, მოვთხოვე სასმელ-საქმელი. მიკიტანმა სასწრაფოდ აღმისრულა თხოვნა. შიმშილს სრულებით არა ვგრძნობდი; ამასთან მადა უფრო დამიკარგა მიკიტნის აყროლებულმა ტანისამოსმა. რაღას გავაწყობდი; დროების გასატარებლად ძალის ძალათ მე დავუწყე კიკნა პურსა და საქმელს; ჩემი ფიქრი კი იყო გართული მით, თუ სად უნდა გამეტარებინა ღამე.

ამასობაში მე შევამჩნიე, რომ სამი ყმაწვილი კაცი ერთმანერთს თვალით რაღაცას ანიშნებდენ, ერთმანეთს უღიმოდენ და ხან-და-ხან ჩურჩულობდენ კიდეცა. ბოლოს ერთმა იმათგანმა მითხრა მე:

— ყმაწვილო! მე გატყობ შენ როგორღაც დაფიქრებულხარ. რა დროს ფიქრია! ყველიერია! უნდა ვიქეიფოთ! თუ საწყენი არ იქნება, ჩვენ კამპანიასა სურს დრო ერთად გავატაროთ, ან შენ გვეწვიეთ შენის ჩარექით და ტაბაკით, ან ჩვენ გეწვევით ჩვენის თუნგიანითა და ხონჩითა.

ამ წინადადებამ სრულებით გამომათაყვანა: ენა დამება, გაელელეჩდი, ვერა ვთქვირა. მაგრამ კამპანიას ასეთი მაგნეტიზმური მიზიდულობა ჰქონდა, რომ წამითრია და მე უგრძნობლად ავიბარგე ჩემის ტაბაკით და ჩარექათი და შავერთდი იმასთან.

მედუქნემ დარაბები აუგდო. ნახევარ თუნგი შამოგვაწია და ინება მოკეცა ჩვენთანა. ეს თავისუფალი ქცევა მოტურტვლილი მიკიტნისა ძლიერ გამიოცდა და მეთაკილებოდა კიდეცა იმასთან ჯდომა.— აი რას ნიშნავს კარგ ოჯახში გაზრდილი კაცი! ოჰ, ნეტავი ისევ სიმშვილით სული ამამხდომოდა და რაც ხასიათები მივიღე ლუარსაბის სახლში არ დამეკარგა!..

სმა გაჩნდა შატეული. არ ჰქონდა დასასრული პროშტებსა, არ ჰქონდა დასასრული სადღეგრძელოებსა. ვისი სადღეგრძელო არ დავლიეთ! განა დარჩაღა ქვეყანათაზე კაცი, მიკიტანი, ჩარექები თუნგები, რომ არ გვედღეგრძელებინოს! ამასთან აღარ მოსწყდა სიმღერა, ხუმრობა-თამაშობა, ხვევნა, კოცნა, მტლაშამტლუში... ასე გავითენეთ ის ღამე, ასე გავატარეთ მეორე დღე, მესამე, მეოთხე, კვირა. ღვინოში ასე შამიყვარდა მიკიტანი, ასე შამიყვარდა მისი დუქანიცა, რომ უკეთესი კაცი, უკეთესი სახლი აღარ მეგონა სადმე. ამდენ სისულელესთან, სხვა სულელობაც მამივიდა—თავს გამოვიდე და იმ ხუთს დღეს მე გაუმასპინძლდი ჩემს ახალ მეგობრებს. ჯიბე დამიცარიელდა.

მოაწია ჟამმა, როდესაც მე ან გარყვნილების უფსკრულში უნდა დავღუპულიყავ ანუ როგორმე მამერჩინა თავი. განსაცდელში კაცი, თუ თვითმდგომარე ხასიათის მქონია, უფრო გამაგრდება და თავს გამოიტანს.

იყო კვირა (ყველიერის უკანასკნელი დღე). როგორღაც მოხდა, რომ მე გავიშინჯე ჯიბე. დიდხანს ვეძებე აბაზები, ჯიბის კუთხეები ავწიე-დავწიე—რაღას ვიპოვიდი, რომ აღარა იყორა! ელდა მეცა, ქმუნვა დამერთო, ფიქრები წარმომიდგენ.

— ეი, რას დაფიქრებულხარ! —შამომკივლა მაღლის ხმით და წამკრა გულში მუშტი ერთმა მეგობართაგანმა, რომელსაც ტვინი ძლიერ დასუსტებოდა ღვინისაგან: დიდმარხვაა!? რას გაჩერებულხარ! ხვალ არის დიდმარხვა, დღეს კიდევ აღების ღამეა. უნდა ვიქეიფოთ! ეი, ღვინო!

მეგობრის მუჯლუგუნმა გამომაფხიზლა და მე, თავის გასამართლებათ, გულმტკივნეულად აღუწერე მდგომარეობა ჩემის ჯიბისა.

— ჰა, ჰა, ჰა! გენაცვალოს ვინც მდიდარია!—მითხრა უგუნურ ხარხარით იმავე მეგობარმა: მაგისთვის როგორ მოგიწყენია. აი ჩვენ, ჩიტებსავით ვცხოვრობთ, არცარა გვაქვს, არცარა გვაკლია. მაგალითად გეტყვი: ამ ხუთ დღეს არც გვიხნავს, გვითესავს, არც გვივაჭრია, მაგრამ, აბა კარგა წარმოიდგინე,

რომელმა მდიდარმა ჩვენზე უკეთესათ გაატარა დრო. ქეიფი—სასუფეველია. ეს სოფელიც ჩვენია, ქეიფიც ჩვენი. მდიდრისათვის ღმერთს გაუწყვეტია სიამოვნება და ქეიფი. ვიქეიფოთ, ძმაო! დაასხით!.. ესეც ღმერთმა ადღეგრძელოს ის ტურტლიანი ფეხები, რომლებმაც ეს ღვინო გამოგვიწურეს!.. ალავერდი!

— იახშიოლ!—უპასუხა მეორემ.

— რასა ჰფიქრობ, საყვარელო ძმაო!—განაგრძელა პირველმა მეგობარმა: შე ვარ ხელმარდი, ასე გამოვაცლი კაცს ქეჩას, რომ ვერ გაიგებს. ეს არის (მეორე მეგობარზე ხელი დაადო) წინამძღვარი ლამაზ ქალებისა, იმათის ხელობითა თვითონაც სცხოვრობს, იმათაც აცხოვრებს.—კბილები რას დააწაკწაკე! ხომ არ... ეს საყვარელი ძმა და მეგობარი (მიჩვენა მესამეზე) საყვარელია ქალებისა, ასე რომ შურით და ერთმანეთის წინააღმდეგობით ბევრსაც აძლევენ იმას. ოჰ, ნეტავი იცოდე, როგორი შფოთი, როგორი თმის წეწა მოუვათ ხოლმე ქალებს ამის გულისათვის. ახლა მკითხე რისთვის? თურმე ამ შაჩვენებულსა... აი ძმაო, როგორა ვცხოვრობთ! შენც-კი გაგიჩენთ თანამდებობასა! გარწმუნებ ხვალვე!

მაშინ გავახილე თვალები და დავინახე, რა საზოგადოებაშიაც ვიყავი გარეული, რაცა მომელოდა შემდგომში, დავინახე რომ უფსკრულის ზედ კინწიროზე ვიდექი და ერთს წამს კიდევ რო დავრჩენილიყავ ამ კინწიროზედ, ნიავი გარყვნილებისა გადამაგდებდა უფსკრულში. ცხოვლათ დავინახე ჩემი მდგომარეობა და შიშის ზარმა ამიტანა. მამაგონდა ერთ კაცისაგან ნათქმი ანეგდოტი: ერთი ყმაწვილი კაცი თურმე,—რომელმაც ცურვა არ იცოდა, ბანაობდა მტკვარში და უცებ ჩავარდა ღრმოში, ასე რომ წყალი ერთ ადგილზე თავზე ასხავდა. ყმაწვილმა კაცმა გონება დაიტანა და იფიქრა: თუ მარცხვნივ წავიდეო, შუაგულ მდინარეს მივეცემიო, თუ წინა მორევში შამითრევსო; ისევ მარჯვნივ ვეცდებიო და ეგების გავიდეო. მართლადაც ყმაწვილმა კაცმა შიშით და ძრწოლით მარჯვენა ფეხი წყნარ-წყნარა ამოდგა ორმოდან, შაიმაგრა ზურგით წყალი და თავს უშველა.—შიშის ზარმა და ამ მაგალითმა გამამხნევეს, და მე აღარ დავიგვიანე. უცებ წამოვხტი, მარდათ გადავახტი ზედ თავზე გარყვნილ მეგობრებსა, გავარდი დუქნიდამ და ასე ჩქარა მივრბოდი შინისაკენ, რომ გაჭენებული ცხენი ვერ მამეწეოდა. გავაღე კარები ჩემის ქოხისა. მივიხედე, მოვიხედე და თავისუფლათ ამოვისუნთქე. ქოხი, რომელიც ხუთის დღის წინათ მაშინებდა, ახლა მეჩვენა მშვენიერ სასახლეთ. რაღასაც გამოუთქმელ სიხარულსა ვგრძნობდი. მეგონა დავიხსენი მეთქი ტყვეობისაგან, სიბნელეთისაგან, ჯოჯოხეთისაგან. რა სახით შამიყვარდა ჩემი ქოხი! სულ კედლებსა ვკოცნიდი! აქ მეგონა მისხდნენ გვერდით მამა-პაპაჩემი და ჩემი საყვარელი დედა. გამინათდა გონება და გული. აღდგომის დღე იყო ჩემთვის ეს დღე! თან ჩემს თავს ვაყვედრიდი, ვლანძღავდი, თავპირში ვიცემდი უგუნურებისათვის... ჩემი აკვანილა? ოჰ, რავდენი რამ წარსული მამაგონა აკვანმა! აქ თვალწინ წარმომიდგა თუ როგორ დედა მიკეთებდა ოდესმე აკვანსა, ჩამაწვენდა, ძუძუს მომცემდა, დამარწევდა, ნანას მეტყოდა; რავდენჯერ დრო სიამოვნებით გაუტარებია იმას ქმართან, ანუ მწუხარება მოუთმენია. ამ გვარ ფიქრებმა გული ამივსო სიამოვნებითა. სიამოვნებამაც გამიტაცა, მიმათრო, ხორციელათ აღარ ვხადდი ჩემ თავსა; მე ვიყავ იმ

საათს სრული ბედნიერი.—მე აქ არას უმატებ. წარმოიდგინეთ, ვის არ გიყვარსთ მამა-პაპის ქოხი, თქვენი მშობელი ქოხი! ნუ თუ სხვის სასახლეში უფრო თავისუფალნი იქნებით, უფრო შვება, ლხენა გექნებათ, ვინამც თქვენ მშობელს ქოხში! იქნება მრავალნი წინააღმდეგნი იყვნენ ჩემის აზრისა, მაგრამ მეკი არ მივყიდი სხვასა ჩემს ქოხსა; შეძლებისამებრ გავაკეთებ, გავამშვენიერებ და ანდერძათ დაუგდებ ჩემ შვილის-შვილებსა, რომ ეს ქოხი არამც და არამც არ გაყიდონ...

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ მე ვიყავ ტკბილ ფიქრებში გართული. ამ დროს შემომესმა გარედან ფეხის ხმაურობა და არეული ორ ხამ ენაზედ ლაპარაკი. არ გავიდა ორი წამი და ჩემს სახლს მოადგნენ რამდენიმე პირი სხვა-და სხვა გვარისა და ტომისა, რომელნიცა, დაუკითხავათ, თავისუფლად შამოვიდნენ ჩემთან.

ვინამ ავწერ ამ განათლებულ ხალხის მოქმედებას, წინათ საჭიროთ დავინახე გაგაცნოთ იმათი პიროვანობა.

როგორც ბოლოს დროს შავიტყე:

ერთი იყო „პრისტავი.“ ამ გამოჩინებულ გვამსა დარქმეოდა ქალაქელებისაგან მეტი სახელი: „აქლემა,“ ამიტომ რომ იყო აკვლანჭული, შუბლ ვიწრო, და თავით ფეხამდინ, აქლემისავით უსწორ-მასწორო.

მეორე—პერევოჩიკი. მეტი სახელი იმის „ნემსი ყლაპია.“ მოგახსენებენ, ვითომც ეს სახელი დარქმევია, რადგანც ქრთამები უყლაპავს, მრუდეთ თარგმანი ჰყვარებია და არც ერთხელ სინდისში არ გაზიდვია ეს ბოროტება.

მესამე—„წიპლონკა“ დესეტნიკი, სალდათთაგანი. ეს სალდათი იყო დალეული, წიპლიანი და გამხდარი. წიპლონკა ამიტომ დაურქმევიათ.

მეოთხე—„ქათამა“ დესეტნიკი, სალდათთაგანი. ქათამა დარქმევია წინააღმდეგ წიპლონკა დესეტნიკისა, რადგანაც იყო მოსული, გაჟივებული (არყისაგან) კაცი.

მეხუთე... იცით ვინ იყო?—შვილი მეწვრილმანის ბებრისა.

ეს კაცი,—მითხრა პერევოჩიკის პირით პრისტავმა მრისხანის და უგუნურ ამპარტავნის სახით და მიჩვენა ბებრის შვილზე: ეს კაცი შენზედ სჩივის, შამოგწამებს, ვითომ შენ იყო მიზეზი მაგის დედის სიკვდილისა. შენ რა სიმართლე გაქვს?

პირველ შემთხვევაში შავკრთი: ჩემს დღეში ამ გვარი ცილის წამება არ გამეგონა; არც ვიცოდი ვინ იყვნენ დაუპატიჟებელი სტუმრები. გაშტერებული შევსცქეროდი პრისტავსა და ამასთან ტუჩი ტუჩს (როგორც პერევოჩიკმა დამარწმუნა) თურმე მოვაშორე და მცირე ოდენ გავიღიმე. თქვენ მტერს დაადგეს ის დღე რა დღეც პრისტავმა მე დამაყენა! როგორ თუ გაიღიმეო, პრისტავმა მაღლის ხმით შამამღრიალა და დამტუქსა, მერე უბრძანა დესეტნიკებს. „გააწვინეთ ეგ (მე), როზგით გაწკიპეთო.“ დესეტნიკები მამცვივდნენ, მაგრამ ვერ მამერივნენ. მე ჯერ არ ვიცოდი რას მიპირებდენ. როდესაც პერევოჩიკმა შამატყობინა, ამაყად და მრუდის თვალით, შავხედე პრისტავსა და უთხარი: „თუ მოსამართლე ხართ, სამართალიანათ მოიქეცით... როგორ შაგიძლიანთ წკეპლით_ გამლახოთ, იცით მე ვინა ვარ? იქნება გგონიათ მე უპატრონო ვიყო!“ პრისტავი ჯერკი

მოიდრიკა, მერმე პერევოჩიკს ჩაგონებით— უფრო გაწყრა, ერთი მთელი საათი მიყვიროდა, მლანძღავდა, ფეხებს ადგილზედ აბარტყუნებდა. როდესაც მაიქანცა, მითხრა: „რა გაეწყობა რომ თან არა მაქვს როზგები, თორემ მე გიჩვენებდი შენ თამაშას! მაგრამ, სულ ერთია! პოლიციაში გაგლახავ შენის სიამაყისათვის! ახლა კი მე უნდა გამოვიძიო ამ კაცის საჩივარი, და ვაი შენი ბრალი თუ არ გატ-ყდები, სწორეს არ იტყვი! გარწმუნებ ციხეში დაგალპობ, იქნება ველარც კი გა-მოხვიდე იქიდამ! თქვი სწორეთ, შენ მოჰკალი ამ კაცის დედა?“

— არა, მე რათ მოვკლავდი! რა საჭირო იყო ჩემთვის იმისი სიკვდილი!— მერე მიუბრუნდი ბებრის შვილსა და ვკითხე: განა დედა შენი გარდაიცვალა? როდის გარდიცვალა?

— სწორედ იმ საღამოზე, როდესაც სადილი ერთათ ვსჭამეთ ჩვენ. შენ ხარ მიზეზი იმის სიკვდილისა.

— როგორ! რითი მოვკალ? დავარტყი რამე, ხელით დავარჩე, თუ იარაღი ვიხმარე?

— არა ხელი და იარაღი არ გიხმარია, მაგრამ ან შაულოცე, ან ჯადო-უყავი, ან მოწამლე. მე დედაჩემი მაცხოვრებდა, ახლა ვიღა მაცხოვრებს!

— განიმეორე დაწვრილებით შენი საჩივარი, გარემოება დედაშენის სი-კვდილისა და რა საბუთი გაქვს, რომ ამ კაცს (ჩემზე უჩვენა) შესწამებ მაგ დიდს დანაშაულობასა,— უბრძანა პრისტავმა ბებრის შვილსა...

— ამ ბიჭს (ჩემზე უჩვენა) სრულებით არ ვიცნობ, ჩვენს სახლში და ქუჩაში აქამდე არ გაუვლია. წარსულს სამშაბათს მოვიდა ეს დედაჩემთან, სადილის ფასი მისცა, ღვინო დააძალა საწყალს მოხუცებულსა. დედაჩემმა მოიგონა ვიღაცა გო-გო გაიანე, რომელიცა წყალში ჩავარდა, დაირჩო; იწუხა, იკვნესა და იმავე სა-ღამოზე სული დალია. ეს ბიჭი კი იმავე დღეს დაიკარგა და აი ახლა მოვიდა ისიც სხვის სახლში.

— ოჰ, მაგაზე მეტი საბუთი აღარ არის საჭირო, შაჰყვირა პრისტავმა: უცნობი მოვიდა და გაგემცნაურათ, თავისის ხარჯით სადილი გააკეთა, ღვინო დააძალა, ხუთ დღეს დაიკარგა... წაიყვანეთ პოლიციაში!

— ნუ სჩქარობთ, ბატონო!— მოვახსენე პრისტავსა, გაიგონე ,ჩემი სიმარ-თლეცა, სამშაბათს მე ჩამოვედი სოფლიდამ, და რადგან მშიერი ვიყავი და ქა-ლაქში არ ვყოფილიყავ, ვთხოვე ამ კაცის დედასა საქმელი მოეტანინებინა ვის-თვისმე ბაზრიდამ. ამისმა დედამ მოატანინა სიდილი, თვითონ, სიხარბით, ღვი-ნო დაიძალა. სადილს უკან წავედი ჩემ ნათესავების საძებნელად.— სად არის მკვდარი დედაკაცი?

— მიწაში. მამიგო პრისტავმა.

— მაშ ჯერ ამოიღეთ მკვდარი, გაშინჯეთ, და თუ აღმოჩნდეს, რომ ბებე-რი მამკვდარა ანუ საწამლავითა, ან ხელითა, ან იარაღითა, მაშინ მე დავიბრა-ლებ იმის სიკვდილსა.

პრისტავმა კბილები დააკრაჭუნა, მაგრამ კიდევაც აბრუ არ გაიტეხა.

— სადაური ხარ და ვინა ხარ?

— ჰკითხეთ მაიორს თავად ლუარსაბ რაინდიძეს, ის გეტყვით ვინცა ვარ.

პრისტავმა მრუდის თვალით გადახედა პერევოჩიკსა. ამ უკანასკნელმა თვალებით მიუგო. მაშინ პრისტავმა მითხრა:

— მაიორს თავადს ლუარსაბ რაინდიძეს კარგა ვიცნობ. მანამ იმას ვკითხავ, შენ უნდა პოლიციაში იჯდე ტუსაღათ და იქნება ციხეშიაც გაგზავნო. ეს რა თქვა, უბძანა დესეტნიკებს: „წაიყვანეთ პოლიციაში.“

მე გავყევ...

გზაზე პერევოჩიკმა მირჩია, რომ ქრთამით მეშველა ჩემის თავისათვის. მე დავარწმუნე, რომ მე ცალი ფულის პატრონიც არ ვიყავი. პერევოჩიკმა მგონია შაატყობინა ამაზედ პრისტავსა. მაშინ პრისტავი და იმის კამანდა ასე გაიპარგამოიპარნენ, რომ მე ვერ გავიგე. დავრჩი რა მარტო, დავბრუნდი შინ.

ბოლოს დროს ბებრის შვილმა მიამბო, რომ ეს კამედია ათამაშებინა ზემოხსენებულ ხალხსა პერევოჩიკმა.

V.

აღების ღამეს, დიდმარხვის ორშაბათს და სამშაბათს შინ ვიყავ მშიერი და მწყურვალე. მეოთხე დღეს, დილით, გამოველ ღვთის ანაბრობაზე, ვიარე დასუსტებულმა უთავბოლოთ, და უკანასკნელად გამოვჩნდი თათრის მოედანზე. აქ გლეხ კაცებს მოეზიდნათ სოფლებიდამ მრავალი პური (ფქვილი). ავიარ-ჩავიარე და რას ვფიქრობდი არ შამიძლია მოგცეთ ანგარიში, ამიტომ რომ რაღაც რამ გამოუცნობელი მაწვა გულზე, რაღაცა განუსაზღვრებელი მქონდა ფიქრები. ზმორება და მთქნარება დამაწყებინა და მე თურმე, უმსგავსად გავაღრინე პირი მთქნარებაში და ამისთან რაც ძალა მქონდა ჟინიანათ გავიზმორე. ეს უმსგავსი პირისახით და სსეულის დაგრეხვა შამამჩნია ერთმა კარგ ოჯახის (ზედ ეტყობოდა) შვილმა და მაგრძნობინა ჩემი შეცდომა და უზრდელობა. შამრცხვა, ასე შამრცხვა, რომ ერთის (მოედნის) კუთხიდამ გავიქეც მეორე კუთხემდინ. აქ ვნახე: ერთი მოქალაქე ევაჭრებოდა გლეხკაცსა ოც ტომარა პურსა და ვერა რიგდებოდნენ. გლეხი კაცი კოდს აფასებდა ათ შაურათ, მოქალაქე აძლევდა ხუთ შაურ ნახევარს. კარგა ხანს ყური უგდე იმათ ვაჭრობასა და რომ დასასრული არც ერთმა არ მისცა, მე შავედი (სხვის მიხედვით) იმათ შორის შუამავლათ. მოქალაქეს ნახევარშაური მოვამატებინე და გლეხიკაცი ძლივს რის ყოფით, რის ანბით ჩამოვიყვანე ექვს შაურზე. მოქალაქე დამრჩა მეტათ მადლობელი, ამიტომ რომ იმაზე იაფათ პური არავინ იყიდა და ამ სიკეთისათვის მაჩუქა იმან ახლად მოჭრილი ოქროიანი ბაღდადი. სხვა ვერა მკადრა რა, რადგანაც კარგად მეცო. მგონია გლეხმა კაცმაცა სცა პატივი ჩემს ტანისამოსსა!..

მოედნიდან წავედი ქალაქის გასაცნობლად და ქუჩაში შემხვდა ვიღაცა ჩინოვნიკი რუსი, რომელიც ქართულათ თვითო-ოროლ სიტყვას ამტვრევდა. ჩინოვნიკმა მკითხა: „ბაღდადს ჰყიდიო?“ მე მივართვი ბაღდადი. ჩინოვნიკმა მიიღო, მითხრა მადლობა და ოქროც მადლობასთან დაადევნა.—კაცის ენაზედ ვერ ვპოვებ სიტყვასსა, რომ გამოვთქო, როგორ შემიყვარდა ის ოქრო! ღვიძლები შაიქნა ისი ჩემის სულისა! ჩემმა გულმა გაუღო კარები და მაგრა ჩაიკრა! ახლა ადვილათ შეგიძლიანთ წარმოიდგინეთ თუ რა სახით გამიცოცხლებდა, რა სახით გამახარებდა ოქრო, რა სახით შევტრფოდი მე ოქროსა!..

მერე ჩინოვნიკმა მთხოვა მეყიდა იმისათვის სასმელ-საჭმელი სადილით, და მე თხოვნა აუსრულე; ხურდა შავი ფული — იქნებოდა შაურნახევარი — მაჩუქა გასამრჯელო. დავეჩვიე მუქთად ფულების შოვნასა და მე მთელ დიდმარხვას, ყოველ სადილობის დროს, განგებ დაუჭერდი ხოლმე გზასა იმ ჩინოვნიკსა, და ისი მაყიდვინებდა ხოლმე, რაც დასჭირდებოდა და მაჩუქებდა გროშებს. ამ სახით შავაგროვე კარგა ფული, ასე რომ მქონდა ექვსი მანეთამდინ. დიდხუთშაფათს ერთი ათშაურიანი ბატკანი მივართვი ჩემ ჩინოვნიკსა, და იმან ერთი მანეთიანი მაჩუქა. მაშინ დამებადა აზრი, რომ ჩარჩობით ფულს მოვიგებდი. ამიტომ იმავე საათს გავიქეცი ქალაქის გარეთ, სადაც მოერეკათ ბატკნები; ვიყიდე ათი ბატკანი და იმავე დღეს გავყიდე მოგებით. მოგებამ წამაქეზა და მე მოუღალავად, ცისმარა დღეს, ვყიდულობდი და ვყიდდი ბატკნებსა მოგებით, ასე რომ ერთ თვეზე შამიგროვდა სამთუმან ნახევარი.

აქ უნდა მოგახსენოთ ესეცა, რომ რადგან ჩემი მორთულობა მაძლევდა ამპარტავნობასა და არ მოუხდებოდა ჩარჩობას, მე პირველშივე ვიყიდე ლეინის პერანგი, ახალუხი, და ძველი ქუდი, და მორთულობაღა ჩემი, თვითქმის წაღებიცკი, შავინახე. არ ვიყავ ჩვეული ფეხშიშველობასა და შავეჩვიე.

დადგა მაისი. გაჩნდა ვარიობა. ჩემზე ადრე არავინ შამოურბენდა ხოლმე ქალაქსა. ვყიდულობდი სოფლელებისაგან ვარიებსა და ყოველ დღე ასზე მომატებულსა ვყიდდი. შეუძლებელი იყო რომ დღეში მანათი, უფრო მეტიცა, არ მამეგო. მაისის გასულ ჩემს ხაზინას მოემატა ექვსი თუმანი; ხაზინაში სულ მქონდა ცხრა თუმან ნახევარი.

შამოვიდა სხვა და სხვა ახალი ხილი. კინტოობა დავიწყე და ჩემი ცხრა თუმან ნახევარი შეიქნა ცამეტ თუმნათ.

გაჩნდა ნესვი და საზამთრო. ბედმა ამ ხელობაშიაც არ მიღალატა. ორ თვის ვაჭრობაში თუმანმა სამი მანათი მაიგო; გამიხდა ჩვიდმეტი თუმანი მანათ ნაკლებ.

შამოდგომას და ზამთარში მოედანს არ მოვშორებულვარ. ვყიდულობდი რასაცკი მოვახელებდი სოფლელების ხელში, ვყიდდი, ხან ვდალალობდი. ხაზინა ჩემი გავრცელდა ვიდრე ოც-დაათ თუმნამდინ.

მეორე გაზაფხულზე თიბათვემდინ ჩემ სამფლობელოში შაიკრიბა ოც-დათხუთმეტი თუმანი.

ახლა მოგახსენებთ როგორც ვსცხოვრობდი. თოთხმეტ თვის განმავლობაში: მშრალ პურის გარდა სხვა საჭმელი და ნამეტნავათ ღვინო არ მიყიდნია, არცა დამხარჯია ფული: სანთელზე, საპონზე, აბანოზე, წყალზე, შეშაზე და ნახშირზე, არცა ტანისამოსზე; მხოლოთ ვიყიდე საზამთროთ სალდათის ლურსმებიანი ჩექმები და ერთი ოსური ჩოხა, ისიც ნახმარი. ღამე ვიძინებდი ჩემს ქოხში; ფულს ვინახავდი ტახტის ქვეშ, თხრილი რო იყო.რომ არავის მიეგნო, მე გავაახლებინე ჩემი ტახტი და გარშამო მივაკვრევინე ფიცრები. მანამ არ დაამტვრევდით ტახტსა, ვერ მიხვდებოდით, რომ იმისს ქვეშ უნდა ყოფილიყო სამალავი.

1819 წ. პირველს ივნისს, მოვირთე, მოვიკმაზმე,—სულ სხვა ყმაწვილი ბიჭი დავდექი; მოედნის ხალხი ველარ მიცნობდა კოპწია ტანისამოსში, ასე დავშვენდი, —და ჩემის ოც-და-თხუთმეტის თუმნით წაველ პირდაპირ ლუარსაბთან იმ აზრით, რომ სოფელს წითლიანში და სხვა სოფლებში უნდა მეყიდნა პური და ქერი.

ლუარსაბმა მიმიღო ძლიერ კარგა, სწორეთ ისე, როგორც ეკადრებოდა, როგორც სჯული სტუმრის პატივისცემისა მოითხოვს, როგორც ტოლი და მეგობარი. სამაგალითო იყო იმისი ხასიათები: არას დროს არ შამამცნეევინებდა ხოლმე,—არათუ მარტო მე, ყოველ სულსა,—რომ ისი იყო ჩემზე მაღალი ჩამომავლობით, ზრდილობით და ნამსახურობით. მე ამას ვაჩვენებ ნამდვილ გონების და გულის განათლებასა. რაოდენიც ასე იქცეოდა, იმდენი იმაში ვხედავდი კაცსა, ასსწილ ჩემ გულში ვამაღლებდი იმას ჩემზედა, და პატივს ვცემდი:—მე შავხვედრიეარ ზოგიერთებს, რომელნიცა თავსა სდებენ განათლებაზე და რომელთაცა უგუნურათ დაუგრეხიათ ჩემ წინ ცხვირ-პირი. მაგრამ მე მაშინვე გამლვიძებია თავის მოყვარება და ისინი დამიწევია ჩემზე ქვეით, ამიტომ რომ იმათში არ მიპოვია სრული ჭკუა.

ლუარსაბმა საკუთარი მონაწილეობა მიიღო ჩემში. როგორც მამა შვილსა და უფროსი უნცროსს ძმასა გამომკითხა თვითოეულად ჩემი ყოფა-ცხოვრება. მე, რასაკვირველია, როგორ რასმე დაუმალავდი ამისთანა კეთილის მყოფელს კაცსა —ყველა ჩემს მოქმედებას დაწვრილებით უამბობდი, მაგრამ ამ ჟამად დაგვესწრა შინაური მოსამსახურე, ჩემი ხნის ბიჭი, ჩემთან ერთად შაზდილი, სოსია გამწკეპაძე; სწორეთ მოგახსენოთ, ამ ბიჭისა ძალიან შამრცხვა და ამიტომ წარსული ჩემი ცხოვრება და მოქმედება, მაგალითებრ: სამიკიტნოში გარყვნილ ბიჭებთან დროს გატარება, კინტოობა და ჩარჩობა და სხ. და სხ. ვერ გამოვაცხადე; მე მივკიბე მოვკიბე ტყუილები და ასეთი სიცრუე ავაშენე, რომ არ შაიძლებოდა ლუარსაბს არ ერწმუნა: მე მოვახსენე, რომ თხუთმეტი თვე დავყავ ერთ ვაჭართან, რომელმაც კარგა შამინახა, მასწავლა ვაჭრობა და უკანასკნელ მაჩუქა, ერთგულობისათვის, მერვედი ნაწილი თავისის მოგებისა—ოც-და-თხუთმეტი თუმანი; დასამტკიცებლად ჩემის სიტყვისა ამოვიღე პარკი და მივართვი ლუარსაბსა. ლუარსაბს იამა ჩემი ბედნიერება, მაგრამ ზედაც არ დახედა პარკსა. მაშინ ვთხოვე მე, რომ ეს ფული შაენახა დაკეტილ ზანდუკში; მასთან გამოუცხადე ჩემი აზრიცა, რაზედაც უნდა მამეხმარებინა ფული...

ამ ლაპარაკში რო ვიყავით (ჩვენ ვისხედით ვენახში და იყო საღამო ხანი), უცებ შემოვარდა ქაქანით ერთი მსახურთაგანი, რომელმაც მოახსენა ლუარსაბსა: „გახარებ, ბატონო! ქალბატონი მშვიდობით დაიხსნა... ვაჟი შვილი დაგებადათ!“

— ასე ჩქარა!... რა მეტ ხანს გაუვლია!... გმადლობ უფალო!... თქვა ლუარსაბმა და სახეზედ ცხოვლად გამოეხატა სიხარული...

ახლად დაბადებულსა დაარქვეს სახედათ ალექსანდრე. სტუმარი სტუმარზედ ეწვია ვაჟის მამასა და დიდხანს გაგრძელდა ლხინი და დღესასწაულობა...

ალექსანდრეს სახელობაზე იყიდა ლუარსაბმა ათი კომლი ყმა, ერთი დიდი ვენახი და წისქვილი; ფული დააკლდა და ჩემგან ივალა ოც-და-ათი თუმანი ერთის წლის ვადით; სარგებელი ზედ შაეკეცა და მაძცა ვექსილი.

მე დავრჩი ლუარსაბთან ერთი თვე. წამოსვლის დროს ლუარსაბმა მაჩუქა ერთი ურემი პური და გამომატანა უხვად სასმელ-საჭმელი. გარდა ამისა მე ვიყიდე გლეხკაცებისაგან ხუთი თუმნის პური და ქათმები, ინდოურები, ბატები და იხვები. ეს ყოველი ფულათ ვაქციე ქალაქში.

დავიწყე ხელმეორეთ ჩემი ხელობა—კინტოობა და ჩარჩობა. მხნეობას მოუმატე, ძილი და მოსვენება არა მქონდა; ჩემი გონება იყო გართული ფულებით; ჩემი გული გრძნობდა მხოლოთ ფულების სიყვარულსა. ეს სიყვარული იქამდის გამიცხოველდა, რომ ხშირათ მშრალა პურსაც არ ვყიდულობდი, რომ გროშს გროში არ მოჰკლებოდა; ხშირად, განდეგილ ბერსავით, ოც-და-ოთხს საათში არასა ვჭამდი, და ხან-და-ხან ორ დღესაცა; მხოდოდ მე გავერჩეოდი ბერისაგან მით, რომ ბერი არა სჭამს, გინა მრავალი ეწყოს თვალწინ, მეკი ვეძებდი ხოლმე შემთხვევას, ეგება უფასოდ ჩამეგდო სადმე რომელიმე დარდიმანდის სუფრა. დალალულობას ხომ, შიმშილსა, სიცივესა და სიცხესა სრულებით არა ვგრძნობდი, უსრამოვნობას ვგრძნობდი მაშინ მხოლოთ, როდესაც ტყუილი უნდა მეთქო, ტყუილათ უნდა დამეფიცა. მაგრამ მასაც შავეჩვიე, ასე რომ ხელის ხელცახოცათ გავიხადე ტყუილი ფიცი, ამიტომ რომ შეუძლებელი იყო უამისოთ მომეგო გროში. ამ წვითა და დაგვით ერთ წელიწადს შევაგროვე სამოცი თუმანი. ეს ფული ვაფრინე 1820 წ. თიბათვის დროს სოფ. წითლიანში. მაშინ ყოველ გლეხკაცს უპირდა ფული, და მე პური კი აღარ ვიყიდე არა, ფული გავასესხე სარგებლით. სარგებელი გავაწესე სამ მანეთზე ერთი კოდი პური წელიწადში და ესრეთ სოფ. წითლიანი მაძლევდა წელიწადში ორასს კოდს სარგებელსა.

წლის თავზე, 1821-სა, სრულებით ავკრიბე სარგებელი წითლიანებისაგან, გავყიდე ოც თუმნათ; ამ ფულს დაუმატე ჩემი ერთი წლის ნაწოვ-ნადაგი—ოცდა-ათი თუმანი, ეს ორმოც-და-ათი თუმნი ვასესხე დიღმელებსა და მცხეთელებსა.

მესამე წელიწადს ზემოხსენებულ სოფლებში აღებული სარგებელი და ქალაქშიაც მოგებული ფული გავასესხე წილკანსა, წეროვანსა და ოკამსა.

ამავე გვარად მეოთხე, მეხუთე, მექვსე... 1850 წლამდე მოვალე სოფლებიდამ ვიღებდი სარგებელსა და წლის მოგებასთან, რომელიც მქონდა ქალაქში კინტოობით და ჩარჩობით, გავცემდი ხოლმე სხვა სოფლებზე, ასე რომ მთელ ქართლში, მტკვრის ორივე მხარეს, არ იყო სოფელი, რომელსაც ჩემი ფული არ მართებოდა.

პირველ ხუთ წელიწადს თავადმა ლუარსაბმა წლისა და წლის თავზე გამომიცვალა ვექსილი და სარგებლები ზედ შაკეცა. განა არ შაეძლო გადაეხადა ვალი; მაგრამ არ გადაიხადა ამიტომ რომ ადგილ-მამულის პატრონობა დაიწყო და მამულს მამულს უმატებდა, ასე რომ ჩემი ვალი იმისს შამოსავალთან სრულებით არა სჩანდა, და ამიტომ არ ეშინოდა მცირედი ვალის გავრცელებისა. შემდგომში კი ვალის გადახდა სრულებით გაუძნიმდა და ვალი ვალს მოემატა, ვექსილი ყოველ წელიწადს იცვლებოდა.

VI.

თორმეტს წელიწადს, როგორც მოგახსენეთ, მე დავიპირე მთელი ქართლი, არათუ გლეხი, ძნელად გადარჩა მეგატონეცა, რომ ჩემი მოვალე არ ყოფილიყო. ჩემს ბადეში გაეხვივნენ ფრიად მრავალნი; უკანასკნელი ხუთი ათასი კომლი ჩაგდეთ; კომლზე—კოდა პური, კოდი პური—მანათად შეიქნა წელიწადში ჩემი შამოსავალი ხუთასი თუმანი. ამას მხოლოთ მაგალითათ მოგახსენებთ, თვით საქმითკი ყოველ წელიწადს ექონდა შამოსავალი ათასს თუმანზე მომატებული,

ამიტომ რომ კომლი იყო მაძლევდა ორს, სამს, ხუთს კოდსა. ამასთან ქართლუ-ლი კოდი ქალაქურზე ერთ ნახევრით მეტია.

ამოდენა ფულით არ შემოძლო არ მესარგებლებინა. ფული უნდა იყოს მოძრაობაში; ფულმა ფული უნდა მოიგოს. მეც ვეღარ დავჯერდი ათასს თუმ-ნებსა. მინდოდა მილიონი.—ნუ გამამტყუნებთ, ასეთია ბუნება კაცისა... მაგრამ სად უნდა გადამებნივა ჩემი ძლიერი ფული?—ქართლში ადგილი აღარ იყო; ქა-ლაქელ ვაჭრებისა მეშინოდა: ჩემს ფულს რა წამს ხელში მოიგდებდენ, მაშინვე განგებ გაკოტრდებოდენ, და მე დავრჩებოდი თვალუჩინარი მდიდარი, მაშინ რო-დესაც მქონდა მე დიდების მოყვარება—ვყოფილვიყავ სახელგანთქმული მდი-დარი. მე ავარჩიე სარბიელათ ჩემის მოქმედებისა კახეთი და ბორჩალო. ეს იყო 1832 წელსა.

ჯერ კიდევ გვიან იყო კახეთში მოსავალი და მე დავტრიალდი ქალაქში, რომ მომეყვანა მოქმედებაში ერთი აზრი, რომელიც დიდი ხანი ეზარდე ჩემს გონებაში.

გასპარ სარქისბეგაშვილი, ანუ, როგორც ადიდებენ, გასპარ მიკირტიჩ სარ-ქისბეგოვ პირველ'ში მეწვრილმანე, მერე თავი მოქალაქე და ვაჭარი, გაითქვა ქალაქში და საქართველოში ჭკუით, სიმდიდრით. მართლადაც იმ დროს იმას არავინ სჯობდა. როგორც იმისმა ბებერმა მაპაკალმა ამიწერა, სწორეთ ისე შაეკრიბა იმას სიმდიდრე, ჩემ დროსაც კიდევ პურს ყიდულობთა და ჰყიდდა, იდუმალ ალაფების თავი იყო. ამასთან სოვდაგრობდა კიდეც: მოჰქონდა მოსკო-ვიდან მაუდი, ჩითი და სხვ. და ჰყიდდა ქალაქში ადლობიდაც, თოფითაც. ერთი სიტყვით ბედნიერი აღებმიცემოდა ჰქონდა. რასაკვირველია მრავალ ვაჭარს შურ-დათ და სურდათ როგორმე დაცემულიყო სარქისბეგაშვილი და თვითონ დაწი-ნაურებულიყვნენ, მაგრამ ვერვინ აჯობა. ყოველივე ეს მე კარგა ვიცოდი და მო-ველოდი დროს.—ტანჯვა დედაჩემისა თვალწინ წამ და წამ მეხატებოდა და სურ-ვილი ჩემი იყო, ჩამეგდო ეს პილწი მდიდარი ისეთივე ტანჯვაში.

როდესაც მე გავავრცელე ჩემი აღებ-მიცემობა ქართლში სარქისბეგაშვილ'ს ძლიერ შამოაკლდა მოგება პურში. ამას არ დავაჯერე; სამს წელიწადს ვაზარალე რვა ასი თუმანი თეთრი. სარქისბეგაშვილი ყიდულობდა ნაღდ ფულათ პურსა და უთუოთ უნდა მომატებით გაეყიდნა; მე მხოლოთ სარგებელს ვყიდდი და იმაზე ბევრად იაფად; ასე რომ ის უნდა ჩამოსულიყო თავნიდან, რომ გაუპირ-და და გაუპირდა, და ზარალი ვეღარ აღიდგინა, სარქისბეგაშვილმა ხელი აიღო ამ ვაჭრობიდან, და იწყო ვაჭრობა აბრეშუმისა. თვითონ დადიოდა ქვეყით ქვეყ-ნებში, ყიდულობდა და მიჰქონდა მოსკოვს აბრეშუმი.

1832 წ. იმას ჰქონდა ძველ მამა-პაპის სახლის გარდა (ციხის უბანში), სა-კუთარი შაძენილი ორი დიდი სასახლე, ოცი დუქანი და შვიდი ათასი თუმანი ნაღდი ფული, სავაჭრო ხუთიათასის თუმნისა. ვალი ჰქონდა მოსკოვის ვაჭრე-ბისა, ერთის წლის ვადით, ექვსიათასი თუმანი.

ამ წელიწადს ჩვეულობრივ აღარ წავიდა თვითონ ქვეყით ქვეყნებში აბრე-შუმის სასყიდლათ, იმ აზრით, რომ იქაური ვაჭრები მაიტანდნენ მაშინ ქალაქში, და რასაკვირველია, ეს უფრო იაფათ იყიდდა.—ერთი ორათ უნდა მაეგო! მე აქ დავხვდი.

მართლადაც ქვეყნის ვაჭრებმა თვითონ მაიტანეს აბრეშუმი რვა ათასი თუმნისა, რომელიც მოსკოვში გაიყიდებოდა ათი ათასს თუმნათ. სარქისბეგაშვილმა წინათვე მაგრა დაიჭირა თავისი საქმე: აქაურ ვაჭრებს გადუხადა დიდი წვეულობა და სუფრაზედვე სთხოვა, რომ არავინ შესცილებოდა. ყველა ვაჭარი ეხათრებოდა, ემონებოდა, სარქისბეგაშვილსა და ვერავინ გაბედავდა იმისს წინააღმდეგ საქმესა.

მეორე დღეს სარქისბეგაშვილმა გაშინჯა აბრეშუმი და ცხვირ-ტ უჩენი აიწია, ამითი უჩვენა რომ მითამ ის მყიდველი არ იყო და არცა საქონელი ღირდა იმ ფასად; მაგრამ უთხრა-კი ბოლოს ცივათ;

— რა ხან მოგიტანიათ, აი ჩემი უკანასკნელი ფასი: სამი ათასი თუმანი. ეგეც ძალიან ბევრია.

ვაჭრებმა გაიღიმეს.

— რას იცინით? შეტევით უთხრა სარქისბეგაშვილმა: იქმნება გგონიათ მეტათ ღირდეს თქვენი საქონელი! მაგ ფასს, მე გაძლევთ, თორემ სხვა ვინ უგუნურნი გამოიმეტებს სამი ათას თუმანსა!

ვაჭრებმა კიდევ გაიღიმეს.

— მაშ, კარგი!—უთხრ ა სარქისბეგაშვილ მა თავმოწონებით: სხვა ხომ არა ვინ მოგცემთ მაგ ფასს; და თუ გამოჩნდა ვინმე მომატებულის მომცემი, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რაც უნდა დიდი ფასი იყოს, მე ხუთასს თუმანს კიდევ დაუმატებთ. ყაბული ხართ?

— ვართ. უთხრეს ვაჭრებმა.

მაშინ ხელი ხელს დაჰკრეს და გაშორდნენ. სარქისბეგაშვილმა-კი მაშინვე დაუარა ყოველს ქალაქის ვაჭარსა, დაარიგა და სთხოვა, რომ არავის სამიათასს თუმანზე მომატებული არ მიეცა და გაგზავნა კიდეცა ორიოდე ვაჭრები, რომ განგებ ევაჭრათ, იმათ წმინდათ აღასრულეს იმისი დარიგება და თხოვნა.

მთელი დღე მე ვდიე სარქისბეგაშვილს, ყური უგდე იდუმალ, მივხვდი იმისს აზრს, შევადგინე პლანი იმისს დასაცემათ და ვსწუხდი, რომ ათასის თუმნის მეტი არა მქონდა ხელში. მაინც უფულობამ ვერ შამაშინა და გავბედე ჩემის პლანის აღსრულება.

შვიდ დღეს აღარ გამოვჩნდი. იმ ერთ კვირას დავიკერე ახალი კაბა, შალ-ვარი, პირისფერი ატლასის ახალუხი, ჩექმები; ვიყიდე ახალი ატლასის სარტყელი, ბუხარის ქუდი, ფერჩატკები, ბაღდადი და ოქროს საათი თავისი ოქროს ძეწკვითა. ვიყავ აბანოში, გავლამაზდი; ასე გამოვიცვალე, რომ ველარ მიცნობდი.

მეშვიდე დღეს ორი კაცის პირით შევატყობინე აბრეშუმის პატრონებსა, რომ მე მსურდა აბრეშუმის ყიდვა, რომ განგებ ამისთვის ჩამოველ გორიდამ და დაუნიშნე დღე და საათი ვაჭრობისათვის. ამასთან ამ ორ კაცებს უნდა დაემატებინათ თავისის მხრით, რომ ჩემი სიმდიდრე იყო ურიცხვი.

დანიშნულ დღესა და საათს უცხო ქვეყნის ვაჭრები მოუთმენლათ მომელოდნენ. სარქისბეგაშვილს შეეტყო ეს ამბავი და გაგზავნა ოთხი სანდო კაცი, რომელნიც უნდა დასწრებოდნენ ჩემს ვაჭრობაში და რომელთაც ყოველივე დაწვრილებით უნდა შეეტყობინებინათ იმისთვის.

დანიშნულ დროს მოვირთე გემოვნებით და მდიდრათ, და გავექანე დროშკით (დროშკა მაშინ იშვიათი და ძვირი იყო) სიონის ქუჩისკენ. დროშკა დადგა მელიქიანთ ქარვასლის წინ. კარებთან მიმელოდა მრავალი ხალხი, რომელსაც სურდათ თურმე ჩემი დანახვა. როდესაც გადავხტი დროშკიდან, მე შამომესმა შემდგომი სიტყვები: „რა ახალგაზდაა! რა ჭკვიანია! სახეზედ ეტყობა რაც არის!“ გულში გამეცინა და წარმოვიდგინე იმათი დაბრმავება, რომ ვერ იცნეს ჩემში კინტუა სოლომანა.

აბრეშუმის პატრონებმა მძიმეთ თავი დამიკრეს და დამიწყეს ყურება მოწიწებით. მე გავშინჯე აბრეშუმი, დავთვალე ცალები და ბოლოს ამაყათ ვკითხე;

— რამდენი ლიტრაა?

— სამი ათას ხუთასი.

— როგორ აფასებთ?

— რვა ათასს თუმნათ.

— უკანასკნელი ფასი მითხარით.

— ნაკლებ აღარ შაგვიძლია მივცეთ. თვითონ ჩვენ ძვირათ გვეღირს.

— უკანასკნელი ჩემი სიტყვა: შვიდიათასი თუმანი; ლიტრა მოდის ორი თუმანი.

— ვერ მივსცემთ მაგ ფასათ.

— ეს იცოდეთ, მე დღესვე დაგითვლით ნაღდს შვიდი ათასს თუმანსა. ქართველი იტყვის: «დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო ხვალინდელ ქათამსაო.» იქნება სხვამ მომატებულიც მოგცეთ, მაგრამ ნაღდ ფულს ვერ დაგითვლისთ, აიღებს ნისიათ და ბარათებით. ასე მომატებულ წვალებასა, მგონია სჯობდეს ერთ საათს მორჩეთ და მოისვენოთ: თორემ, გარწმუნებ თქვენ, მოვალეს უკან დევნით დაიღლებით, ბოლოს, იქნება, სრულიად ვეღარ აიღოთრა, თქვენი მოვალე იტყვის გაეკოტრდიო; აბა რაღასა იქთ მაშინ! სულით ხორცამდინ ხომ დაიღუპებით!

ეს დარიგება წაუკითხე განგებ. ამითი შიში ჩაუგდე იმათ, რომ ნისიათ არ დაენებებინათ აბრეშუმი სარქისბეგაშვილისთვის, რომელსაც სურდა ამ სავაჭროს ყიდვა.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ნისიათ ანუ ბარათით არავის მივცეთ, მიპასუხეს ვაჭრებმა.

— მაშ გადაწყვეტილი მითხარით.

— ხვალამდინ დაგვიცადეთ, ჩვენ ვიფიქრებთ, მოვილაპარაკებთ, და თუ ჭკუაში დაგვიჯდება, ხვალ გადაწყვეტილს მოგახსენებთ.—ეს პასუხი მამცეს ამიტომ, რომ ჯერ სარქისბეგაშვილი უნდა გამოეცადათ.

— ვა, ეს რა საქმეს ჩადიხარ, ბატონო,—მითხრეს ქართულათ სარქისბეგიშვილის ფისკალებმა სომხურის კილოთი: რამდენ ფულს აძლევ... უჰ ვინ გამოიმეტებს ეგრე დიდ ფულს!... ჩვენ ვაძლიეთ იმათ სამიათასი თუმანი.

— ქალაქელ ვაჭრებსა ცუდი ესა გჭირთ, რომ არა გაქვთ ძმის არც სიყვარული, არც შებრალება. საზოგადოების აზრსა ხომ თქვენ პატიოსნებაზედ არად აფასებთ. თქვენ იმას ცდილობთ, რომ მანათიანი ნივთი გროშათ ჩაიგ-

დოთ, და მანათათკი გაყიდოთ. როდესაც თქვენ ყიდულობთ, მახსარათ იგდებთ იმას, ვინცა გიფასებთ ღირებულ ფასათ, და როდესაც თქვე ჰყიდით, მახსარათ იგდებთ იმას, ვინც ღირებულ ფასს გაძლევთ. ეს იმას ნიშნავს: ოღონდ თქვენკი ფული მაიგოთ, სხვა თუნდ დაიღუპოს, რას დასდევთ. არა, ასე არ უნდა იყოს. ვაჭარმა თუ არ მაიგო, ცოდვაა. იფიქრეთ თქვენ თავზედა. თუ არას მაიგებთ, როგორღა ივაჭრებთ, როგორღა იცხოვრებთ. უეჭველია დაიღუპებით. თქვენ ხომ კარგათ იცით, რომ ეს აბრეშუმი ადგილს ღირს ხუთიათას ხუთას თუმნათ. სამიათასს რო აძლევთ, რა უნდა ქნან ამ საცოდავ ვაჭრებმა! დანაშთენი ორიათას ხუთასი თუმანი საიდგან აღადგინონ? იზარალონ? რათა, როდესაც ეს აბრეშუმი ქალაქში გაიყიდება რვა ათასს თუმნათ, მოსკოვში — ათი ათასს თუმნათ! მე ვაძლევ შვიდიათასსა, ამიტომ რომ ვიცი როგორც სად გაიყიდება აბრეშუმი და არ ვიზარალებ. ნამეტნავათ მოსკოვში რომ წავიღო მოვიგებ ხუთი ათასს თუმანსა; ამიტომ რომ მოსკოვში, როგორც მწერენ ჩემი პრიკაშჩიკები, აბრეშუმი ძალიან დაძვირებულა და თურმე სრულებით არ არის. ოთხ თვეს რომ შვიდი ათასს მოვაგებინო ხუთიათასი, მეტი მოგება განაღა შაიძლება! ამათკი, გზის ხარჯი რო გამოვიდეთ, შახვდებათ ორას ორასი თუმანი მოგება კაცის თავს. ახლა მგონი მიხვდით, რომ მე ფულს წყალში არა ვყრი, მშვიდობით.

ყოველივე ეს დაწვრილებით უანბეს სარქისბეგაშვილსა. უკანასკნელმაც დაიჯერა სიცრუეე, სიხარულისაგან თურმე გონება დაჰკარგა, საჩქაროთ დაიბარა აბრეშუმის პატრონები, დაუთვალა შვიდიათას ხუთასი თუმანი, როგორც აღუთქვა (ხუთასი თუმანი გამოიტანა თავისის მაღაზიიდამ). ჩაიბარა აბრეშუმი და მეორე დღესვე გაისტუმრა მოსკოვს, სხვა ხუთასი თუმანიც გამოიტანა მაღაზიიდან. ამ ფულიდამ სამას ორმოც და ათი თუმანი მისცა ქირა, დანაშთენი ას ორმოც-და-ათი თუმანი დაინარჩუნა თვითან გზის ხარჯათ. გარდა ამისა ათასი თუმანი ვალი აიღო აქაურ მოქალაქეებისაგან (ყოველ შემთხვევისათვის) და ორ კვირის შემდგომ წავიდა მოსკოვს, სრულის იმედით, რომ მოიგებდა ხუთი ათასს თუმანსა.

ერთი ნაწილი ჩემი პლანისა აღსრულდა, და მე იმავე დღესა მივიმალე, გავიხადე ძვირფასი ტანისამოსი, შევინახე მძიმეთ, და ჩავიცვი ძველი მიგლეჯილი-მოგლეჯილი ტანისამოსი, ხელ-პირი მოვითხუპნე, და სულ სხვა გამოვჩნდი...

აღსასრულებელად ჩემის პლანის მეორე ნაწილისა საჭირო იყო ჩემთვის გამომეკვლია სარქისბეგაშვილის საიდუმლოება. ამ საიდუმლოების გამკვლევა შეიძლებოდა მეხოლოთ იმისს პრიკაშჩიკის შემწეობით. ძნელი იყო პრიკაშჩიკის მოსყიდვა, მაგრამ ფულს რა არ შესძლებია!.. ერთის სიტყვით მე მივსწდი ჩემს საწადელს, და აი რა გამოვიკვლიე:

ათი ათასის თუმნით საქონელიდამ პირველშივე გასცა თურმე ნისიათ ორი ათასის თუმნისა, მაგრამ დასწოდა და ფულათ გროშიც არ მიეღო. ნაღდ ფულათ გაეყიდა ათას ხუთასის თუმნისა. ამ ფულიდამ ხუთასი თუმანი სარქისბეგაშვილმა თვითან მოიხარჯანა, ათასი თუმანი ხომ, როგორც ზემოთ ვთქვი, დახარჯა აბრეშუმზე. დანაშთენიღა საქონელი თვითქმის ნახევარ ფასათაც აღარ ისყიდებოდა, ამიტომ რომ იყო დამპალი და დამწვარი. ამისგამო სარქისბეგაშ-

ვილი იყო თურმე დიდ ზარალში და ცუდ მდგომარეობაში. ეს იყო მიზეზი, რომ ის მაგრა დაებღაუჭა აბრეშუმსა და უკანასკნელს აბაზსა აღარ გაუფთხილდა.

რომ გაესწორებინა როგორმე თავისს მოსკოვის მოვალეებთან საქმე, სარჭისბეგაშვილმა თურმე განგებ გატეხა კლიტე მაღაზიისა და გამოუცხადა პოლიციას ვითომ ქურდებს გაეტეხოსთ იმისი მაღაზია და უმეტესი ნაწილი საეაჭროსი მოეპაროსთ. ამაზედ შემდგარიყო საქმე, სარჭისბეგაშვილს აეღო მოწმობა პოლიციისა და თორმეტის ვაჭრისა...

მაშინვე მე გამოვაწერინე პრიკაზჩიკსა სახელები და გვარები იმ მოსკოვის ვაჭრებისა, ვისაც ვალი ემართა სარჭისბეგაშვილისა.

ამ უწყებით გავიქეცი მაშინვე ჩემ ძველ მეგობარ ჩინოვნიკთან და დავაწერინე წიგნი მოსკოვის ვაჭრებთან. წიგნში ავაწერინე დაწერილებით ყოველი მოქმედება სარჭისბეგაშვილისა და ურჩიე იმათ მიეღოთ ღონიძიება, რომ ფული არ დასწოდათ სარჭისბეგაშვილზედ.

რაც შედგომილება ჰქონდათ ამ წიგნსა მე გიამბობთ მაშინ, როდესაც სარჭისბეგაშვილი დაბრუნდება მოსკოვიდან, და მე კახეთიდან, სადაც წავედი მაშინვე წიგნის გაგზავნის უკან.

VII.

ჯერ კახეთი არ მენახა! კახელ ხალხს ხომ სრულებით არ ვიცნობდი, საგანი ჩემის მოგზაურობისა კახეთში იყო დროებითი ადგილობრივი სირაჯობა. ანუ მარტივათ, სყიდვა გასყიდვა ღვინისა.

ეს იდეია საკუთრათ მე მეკუთვნის.

კახელ ხალხს ხომ სრულიად არ ვიცნობდი, არ ვიცოდი საქმე ვისთან და როგორ უნდა დამეჭირა; სიტყვით, არ ვიცოდი სირაჯების საიდუმლოები. ამიტომ ვშიშობდი,—და შიში ჩემი იყო საფუძვლიანი,—რომ ჩემს ათასს თუმანზე არ დამჯდარვიყავ კახეთში მგლოვიარეთ. მაგრამ ვეღარც დავიშალე, წაუსვლელობა შეუძლებელიღა იყო; რაღაცა უხილავი ძალიერი ძალა მწევდა კახეთში.

ამ ჟამათ მიდიოდენ კახეთში სირაჯები ცხენებით; მე ამათ დაუახლოვდი და ვთხოვე, რომ მგზავრობა ერთად გვქონიყო; სირაჯებმა ნება დამრთეს.

ჩემს მომზადებას დიდიხანი არ უნდოდა. იმავე დღეს ვიყიდე ცხენი, და რაც საჭიროა მგზავრობისათვის. ხურჯინში ჩავალაგე ტანისამოსი, ფული და ორიოდე პური.

წავედით. ქალაქს გარე რო გავედით, ერთი ცხვირი მომივიდა; მაშინვე ზედ თავზე ყვავმაც დამჩხავლა. მე არა მქონდა ამაო მორწმუნება. კულავ ხშირად ერთი ცხვირიც მამსვლია, ყვავსაც დაუჩხავლია. მაგრამ წასულა, გაუვლია, მე ფიქრშიაც არ მამსვლია, მაშინ კი, უნებლიეთ, მივაქციე ამ გარემოებას ყურადღება; არცა მჯეროდა, ფიქრშიაც შავედი—რაღაცა განუსაზღვრებელი იუნეულება დამებადა...

მაშინ გომბორზე იყო შიში; და ამიტომ ჩვენ წავედით სილნალის გზაზე. მგზავრობაში სირაჯები მიმიხვდენ, რომ მე დიდი ძალი ფული მქონდა ხურჯინში, და არც შაიძლებოდა არ მიხვედრილიყვნენ: ხურჯინი იყო ძლიერ მძიმე ასე რომ, სადაც დავისვენებდით, ძლივ-ძლივ გადმოვიღებდით ხოლმე ხურჯინსა. სირაჯები გაოცებული მიყურებდენ, თავით-ფეხამდინ მშინჯავდენ და

ჰკვირობდენ, ამოდენი ფულის პატრონი რომ ვიყავ; ერთმანეთს ეუბნებოდენ ჩემზედა: „ვინ უნდა იყოსო. თუ თავისიაო, ვის მიუციაო... მეჯღანეთ უნდა იჯდესო. თუ სხვისიაო, როგორ გაგიჟდა პატრონიო, რომ ანდო უბირ კაცსა. უკანასკნელ ერთმა მოგზაურთაგანმა მკითხა და თვალთვალში გამიყარა, რომ გამოეცნა ჩემის სახის მეტყველებისაგან ჩემი გულის აზრი:

— შე დალოცვილო, ცხენი როგორ არ გებრალება! მაგ სიმძიმე ფული აგიკიდია და შენცა ზიხარ. გზაზე რო დაგივარდეს, რაღას იქ! ჩვენ ხომ ყარაულათ არ დაუდგებით შენ ფულსა, და თუ მინდორში დარჩები მარტო ავაზაკები გაგცარცვენ.

თქვენ მტერს დაადგეს ის დღე, რაც მე მაშინ დამადგა. ასე შევკრთი, ასე გადავიღიე, ასე გამოვრეტდი ელდისაგან, რომ აღარ ვიცოდი რა ცხოველი ვიყავ. ხან გავწითლდი, ხან გავყვითლდი, ამასთან სრულიად დავბლუვდი და ძლივ-ძლივ, მინაზებულის ხმით, ვთქვი დაუფიქრებლივ, რაც მამადგა ენაზედ.

— მე ფული ვინ მამცა! ხურჯინში მარილის თვლებია.

აშკარა ტყუილი იყო, მარილის თვლებს ვინ არ შაატყობს ხურჯინში! ღირსი ვიყავ, რომ ჩემზედ კარგა გაეცინათ, და მართლადაც, სირაჯებს უცებ ასეთი სიცილი აუტყდათ, რომ მუცლები ორის ხელით ეჭირათ. მაშინ მოვეღ გონებას და შამრცხვა, რომ თავი მაღლა ვეღარ ავიღე, ვეღარც აქათ-იქით მივიხედე, ჭირის ოფლში გავიწურე.

დიდხანს იცინეს, იკასკასეს. როდესაც მოიღალნენ, მითხრეს:

— საყვარელო ძმაო! ჩვენ რათ გვიმალავ ფულსა. კარგა უნდა იცოდე, რომ აქ შენის ფულის წამრთმევი არავინ არის. თვითონ ჩვენც გვაქვს ას-ასი თუმანი. მაგრამ შენკი, როგორც გეტყობა, მომეტებული უნდა გქონდეს.

— მეც ასი თუმანი მაქვს; ისეც ხომ ჩემი არ არის, სხვისია,—უპასუხე მე. ასეთის მოკვდინებულის და დაღრეჯილის სახით, რომ სირაჯებს წასკდათ ხელ-მეორეთ სიცილი.

მე დავკარგე მოთმინება და მენატრებოდა, რომ განვშორებულვიყავ ოხუნჯს ამხანაგებსა. ნატვრა საჩქაროთ აღმისრულდა: მოვეწიენით ურჩმებსა, რომელნიც მიდიოდენ ქალაქიდან კახეთში. მე მაშინვე ხურჯინი გადმოვხადე ცხენიდამ და დავაკარ ურემზე და მეც გვერდით მოუჯექ. ძლივს მოვრჩი სირაჯებსა! მაგრამ, მეორეს მხრით ამათ მადლობელიც დავრჩი, რადგან ღვინოში ერთ-მანეთს არიგებდენ, რა ფასს მეტათ ღვინო არ იყიდონ, როგორ აირწყან... და სხვ. და ამ სახით გამოთქვეს თავიანთი ხელობის საიდუმლოება.

მოვედი სოფელ გურჯაანს. იყო დილა.

აქ, ხის ძირში ჩამოვედი, ცხენს ქერი მივეცი და რადგან უძილო ვიყავ, ხურჯინზე თავი მივდე. ურმები წავიდნენ.

დილის ნიავზე ტკბილათ ჩამძინებოდა, მაგრამ მოსვენება საჩქაროთვე გამიმწარდა, თითქოს ჩემმა სვემ შაინანა, რომ მე მივიღე ძილში მცირე ჟამს სიტკბოება. ძილში შემომესმა რაღაცა არეულობა, ღრიალი. უცებ წამოვხტი, დაბნედილსავით, მივიხედ-მოვიხედე და ვნახე გლეხი კაცი, რომელიცა მორბოდა სოფლის გზაზე, დაეძებდა მოპარულ უღელ კამეჩებსა, თან ხმა მაღლა სწყევლიდა და უშვერის პირით ლანძღავდა მპარავსა, ვინ იცის რომელ მხარეს მიფარებულსა!.. მაშინ გამოვფხიზლდი; მივარდი ხურჯინსა, ხურჯინი ადგილს

დამხდა,—მიამა! მივარდი ცხენსა... სადღა იყო ცხენი!.. ოჰ, ღმერთო! რა იყო ჩემთვის! ელდამ შუაზე გამაპო!.. გავიქეცი გიჟსავით ცხენის საძებნელად, და მაშინვე დავბრუნდი, რომ ხურჯინიც არ მოეპარათ. გავშალე ხელები, გავაღე პირი, რომ ხმა მიმეცა ვისთვისმე, ხმა ჩამიწყდა და ხელებ გაშლილი, პირ გაღებული ვიდექ ერთ ადგილს რამდენიმე ხანს ხესავით გაშეშებული...

შიშის ზარმა ამიტანა... ქურდ ხალხში რაღა დამაყენებდა!.. ავითრიე ხურჯინი და მივედ ერთ გლეხკაცისას, ვიქირავე ურემი, ურემზე ხორჯინი მაგრა დავაკარ (!), ხურჯინზე მოვიკეცე (ჯერ კი არ შაებათ) იმ განზრახვით, რომ გინა დაგორებულიყო ურემი მაღლის მთიდამ უფსკრულში, მე ხურჯინს არ უნდა მოვშორებულვიყავ და ხურჯინი მე... ველის ციხის სამზღვარს რო გავცილდით, სულ სხვა ხალხი ენახე... ძლივ მაშინ მსუბუქად ამოვისუნთქე.

მე გაველ პირ-და-პირ ყვარელს. ყვარელმა მიმიღო დიაღ ჩინებულად. უკეთესად აღარ შეიძლებოდა!

ერთ კვირაზე ვიყიდე თავი ღვინოები ათასის თუმნისა, და ორ კვირამ აღარ გაიარა, მე გავყიდე ისივე ღვინოები ქალაქელ სირაჯებზე ათასს ხუთასს თუმნათ.

აქ იყო ვინმე ქოსა დალაქი, ცალის თვალით ბრმა, კოქლი. გარდა ამ ნაკლულევანებისა, ვერას უპოვნიდით კარგსა სახეში იმას. მაგრამ აღწერილი ნაკლულევანება შემატებოდა იმისს ჭკუასა, ენასა, და ხელებსა. მართლადაც დალაქი იყო ჭკვიანი, მჭვერმეტყველი, საკვირველი ოხუნჯი, მომღერალი და თარის დამკვრელი. ეს კაცი ყოველგან იყო მიღებული, ყველასი საყვარელი და ასეთი კადნიერი, რომ დაუპატიჟებლივ გამოიჭიმებოდა ხოლმე თავადისშვილის სუფრაზე. მე ნამეტანად გამიარშიყდა და თვალს აღარ მაშორებდა. შეუძლებელი იყო თუ სადმე ვყოფილიყავ სადილათ ანუ ვახშმათ, ისიც იქ არ მოსულიყო. ერთ სადილზე ამ კაცმა თქვა: „ერთ კაცს ჭანდრაკს ვეთამაშები, და ასე მყავსო ჯარი და ზარბაზნები დაწყობილიო, რომ გამარჯვება მე დამრჩებაო". ეს იგივე ვერავინ გამარტა და ყველამ სთხოვა თვითონ განემარტა. ამისს პასუხათ ასე უთხრა:

„როდესაც გავიმარჯვებო, მაშინ გამოიცნობთო ჩემს იგავსაო"...

მეორე დღეს ქოსა დალაქმა მიმიწვია სადილათ, გულს მოდგინებით ვიახელი, უფრო იმიტომ, რომ შამიყვარდა ამ კაცთან დროების გატარება. სახლი იმისი გაიყოფებოდა ორ ოთახათ: ერთ ოთახში მე მიმიღო მასპინძელმა.—იქ დამხვდა ვიღაცა კაცი. დალაქმა ერთი-კი სახელი და გვარი მითხრა ამ კაცისა. და მაშინვე დაგვტოვა მარტონი.—მეორე ოთახის კარი ერთ მტკაველზე იყო გაღებული, ასე რომ შეიძლებოდა გაგვეშინჯა იქ მყოფნი. მე გავიარ-გამოვიარე და უცებ შევასწარ თვალი (მეორე ოთახში) ერთ მშვენიერ ქალსა (ოჰ, ნეტავი თვალი დამბრმავებოდა და ეს ქალი არ დამენახა!). დიდ ხანს შეეცქეროდი არსებასა... გული გამეღო... შევსტრფოდი... რომ შამძლებოდა შორიდან ჩავყლაპავდი...

ახლად გაცნობილმა კაცმა (ეს კაცი ყურ-მახვილი იყო) გაიგონა ჩქარი და ძლიერი ჩემა გულის ცემა, წყნარ-წყნარა მამიახლოვდა და მკითხა: „ვის უყურებთო?". მე პასუხი არ მივეც.

საკვირველია, რა ნახეთ ისეთი, რომ თვალი ვეღარ მოგიშორებიათ! მკითხა კაცმა ცბიერის გაკვირვებით.

— ვინ არის აგერ ის ქალი? ვკითხე მე იმასა.

— დალაქის ქალია.

— რას ამბობთ? განა იმ უჯმაჯურ კაცსა აგეთი ქალი ჰყავს?

— რად გიკვირთ? ახლა გახდა აგეთი უჯმაჯური, თორე სიყმაწვილეში რა უჭირდა!

— რა კარგი რამ არის!..

— რამდენა თავადისშვილები სთხოვენ!—თვითან მე ვარ შუამავალი; მაგრამ მამა ვერ იმეტებს.

— ოჰ, რა კარგი რამ არის! განვიმეორე მე.

— ეს უნდა იცოდეთ,—მითხრა ახლად გაცნობილ კაცმა: დალაქს ეგ ერთი ქალი ჰყავს—ვაჟიც ეგ არის ქალიც—აქვს ოთხი კარგი ვენახი და ოთხას ოქმნამდიმ ფული. ვინც ქილს შაირთავს ზედ სიძედ შავა ამ გაკეთებულ სახლში.

ქალი, ვენახები, ფული ჰკუაში მამივიდნენ და მე მსურდა, რომ იმავე საათს ჯვარი დამეწერა. სურვილი ჩემი ჩემწინ გამოვთქვი ძლიერ ხმით, რომ ახლად გაცნობილ კაცსა არ გაეგონა. მაგრამ ჩემს მოუთმენელობას და სურვილს მიმიხვდა ის, და საჩქაროთ გავიდა..

სუფრაზე მეტათ გამხიარულდა მასპინძელი, თარს უკრავდა და დამღეროდა სამიჯნურო ლექსებსა. საკრავმა, ლექსებმა და ღვინომ ამიღელვეს გრძნობანი, გამიტაცეს ფიქრების სოფელში, სადაც მე ვემუსაიფებოდი, შევტრფოდი, ვეხვეოდი, ვკოცნიდი მშვენიერს ქოსა დალაქის ქალსა, მე ვგრძნობდი გამოუთქმელ ნეტარებასა, მე ვიყავ სამოთხეში!.. და როდესაც გამოვერკვიე ოცნებისაგან, უცებ დავღონდი და დავკარგე იმედი მშვენიერი ქალის შერთვისა. მე ვიფიქრე, რომ დალაქი არ მამცემდა თავისს ქალსა, რადგანაც ჰყოლოდენ უფრო უკეთესნი მთხოვნელნი.

მაშინ მოვიფიქრე მე უკანასკნელი ღონისძიება. ავიღე ქათმის მკერდი, ჩამოვაცალე ხროცი, და ორ კაცა ძვალი (საწინწკარა) დავანახვე დალაქსა:

— ვითამაშოთ,—უთხარ მე.

— რაზე?

— ასს თუმანზე,—ჩემი სიმდიდრე მინდოდა მეჩვენებინა, რომ ეგების მისის გრძნეულის ძალით დამეტყუვნა ქალი.

— ათასს თუმანზე,—მითხრა დალაქმა გულადათ.

— ხუთიათასს თუმანზე,—მიუგე მე.

— არა. ათასს თუმანზე და ჩემი სოფიკოც ზედა, რადგანაც ყოველი ჩემი ქონება იმისია.

— ბატონი ხარ.

ვითამაშეთ... მოვიგე სანაძლეო.

— ჩემი სიტყვა სიტყვაა,—მითხრა ქოსამ: შენი ბედი ყოფილა ჩემი ქალიცა, ჩემი ქონებაც. არ დაიჯერებ, ჩემო საყვარელო ძმაო, შვილო და სიძევ, ოთხი კარგი თავადიშვილი მთხოვდა, და... რაღა გავაგრძელო, შენი ბედი ყოფილა!..

— დღესვე მინდა ჯვარი დავიწერო (ვეშურებოდი, რომ რალაქი არ გამოფხიზლებულიყო ღვინისაგან და სხვისთვის არ მიეცა ქალი).

— ეს სრული შენი ნებაა.

--- მაშ უნდა მღვდელს შავატყობინოთ.

— ბატონი ბძანდები. ადე, ძმაო,—უთხრა ქოსამ მეორე სტუმარსა: მოამზადე ყოველივე...

მოვირთე, თავ პირი მოვილამაზე და წავედი ეკლესიაში... ჯვარი წერის დროს არც აქეთ არც იქით არ მიმიხედია, პირ-დაპირ უყურებდი საკურთხეველსა, ჩემ ფიქრში გვერდით მედგა მშვენიერი ქალი, მიხაროდა, დავნატროდი ჩემს თავს, ბედნიერი მეგონა ჩემი თავი.

გათავდა ჯვარის წერა. ტერტერამ მიბძანა პატარძალს აკოცეო. რასაკვირველია მიამა, მაგრამ მანამ მოვიხედავდე, პატარძალი გამექცა...

პირველ ღამეს არ დამანახვეს პატარძალი... დაგვაწვინეს უსანთლოთ... მოუთმენლათ ველოდი გათენებასა, რომ გამაძღარვიყავ ჩემის ცოლის მშველათ და დაესოთ კარების პირდაპირ, რომელმაცა განძრახვა დალაქისა არ იცოსატრფო მეუღლეს... „ვაი მე!". ერთი კი შევყვირე და გულშემოყრილი დავეცი ბალიშზე... მშვენიერ ქალის მაგიერ მკლავზე მიგორავდა ქოსა დალაქის თავ-პირი. დიაღ, ქოსა დალაქის ქალი ასე ჰგვანდა მამასა, რომ თვითან დალაქი მეგონა. ღმერთმა კიდევ მითი მიბრალა, რომ მეუღლე ჩემი არ იყო მამასავით კოჭლი და ბრმა...

ქოსას ჭანდრაკის თამაშობა და გამარჯვება ამას მოასწავებდა. რალა მეთქმის, დალაქმა მაჯობა. კარგა დაეწყო იმას ჯარები და ზარბაზნები, კარგა ესწავლა ტაკტიკა და სტრატეგია, მხედართმთავრობა შაეძლო.

მშვენიერი იგი ქალი იყო ასული... რომელიც განგებ დაეპატიჟათ სადილათ და დაესოთ კარების პირდაპირ, რომელმაც განძრახვა დალაქისა არ იცოდა. მეორე სტუმარი კაცი, ქოსა სულითა, იყო მასპინძელის ცოლის ძმა. ქალის მშენიერებამ და ამ კაცის სიცრუვემ დამიბნელეს გონება.

არა თუ ოთხი ვენახი, ოთხი თუმანი ფული, ოთხი ვაზიც-კი და ოთხი მანათი დალაქს არსად ეპოებოდა.

კარგა მოვსტყუვდი. მშვენიერ ქალის მაგიერ შევირთე ჟამი, ყოველისფრივ უმზგავსი ქალი, ანუ სწორეთ, გოგო.

რასაც დათესავ, იმას მომკი. მე რომ სარქისბეგაშვილის მახეში არ გამება, მეც არ მოვტყუვდებოდი.

VIII.

დიდხან ველარ დავრჩი უსიამოვნო ცოლთან. მაგრამ რას ვამბობ? უსიამოვნო ცოლს რათ ვაბრალებ! ბრწყინვალე ცოლიც რომ მყოლოდა, მაინც კიდევ ვერ მოვითმენდი, რომ ახალი ოქროს მადანი არ მამეძებნა სხვა ადგილსაცა. დიახ, სწორეთ ამ აზრით მე გადაველ ბორჩალოს. აქაც ბედი მემსახურებოდა და ათას ხუთასი თუმანი ერთ-ორად გადავაქციე... მე ვყიდულობდი და ვყიდდი ცხვარსა, საქონელსა და სხვ.

1833 წ. იანვარში ჩამოველ ქალაქს და დავიწყე ჩემი ჩვეულებრივი აღებმიცემობა—ჩარჩობა.

იმ დროს გადმოვიდა რუსეთიდან ჩვენი სარქისბეგაშვილიც. როგორც იტყვიან, ცარიელ-ტარიელი. აქ გიამბობთ, რაც გარდახდა ამ გამოჩინებულ მდიდარსა.

ჩემმა წიგნმა, რომელიც მივწერე მოსკოვის ვაჭრებსა—სარქისბეგაშვილის მოვალეებსა—იმოქმედა თურმე ისე, როგორთაც მე მსურდა. ვაჭრები მიელოდნენ მხოლოდ სარქისბეგაშვილსა და იმის აბრეშუმებს და, რა წამს მივიდა, იმათ წარადგინეს ვექსილები ჯეროვან სასამართლოში, რადგანაც ამ ვექსილების ვადა იყო გასული იმასთან პირობა შეჰკრეს, რომ ფუთი აბრეშუმი ოთხ თუმანზედ მეტად არავის ეყიდა.

სარქისბეგაშვილმა პირველად, მისვლის შემდეგ, გამართა წვეულება, რომელიც ძვირად დაუჯდა. მოსკოვის ვაჭრები მიხვდნენ იმას განზრახვას და არ ეწვევნენ.

მერე ათასი თუმანი გაანაწილა და დაურიგა მოვალეებსა.

წარადგინა მოწმობა ტფილისის პოლიციისა, აუწერა თავისი ზარალი, რომელიც შეემთხვა ვითომც გაცარცვის გამო მაღაზიისა და სთხოვა მიტევება რაოდენიმე ვალისა, მაგრამ არავინ შაიბრალა...

სასამართლომ დაიბარა, მოსთხოვა ხუთი-ათასი თუმანი ვალი. სარქისბეგაშვილმა სთხოვა ერთის თვის ვადა... მისცეს ვადა, მაგრამ ვალი ვერ გადაწყვიტა: აბრეშუმი ვერ გაყიდა. სწორეთ ის გაჭირვებმა დაადგა იმას მოსკოვში, როგორც თვითონ დააყენა იმან ტფილისში ქვემო ქვეყნის ვაჭრებსა. მხოლოდ ამათ შორის ის გარჩევა იყო, რომ უკანასკნელებს ტფილისში გამოუჩნდა მშველელი, სარქისბეგაშვილს-კი მსხნელი არ გამოუჩნდა მოსკოვში (მგონი ცუდ კაცსა, როდესაც იმის საწყაო აივსება, ანგელოზი მფარველი ჩამოეცილება და მაშინ ხსნა აღარ აქვს გაჭირვებისაგან!).

სარქისბეგაშვილს, როგორათაც ჭირს, ყველა ერიდებოდა. ფული არავინ ასესხა, არცავინ თავდებათ დაუდგა, უკანასკნელ, მიცემული ვადა გავიდა... აუწერეს აბრეშუმი, დაბეჭდეს... სარქისბეგაშვილმა უჩვენა თავისი მაღაზია, სახელები და დუქნები ტფილისში ვალის უზრუნველ-საყოფელად. არ მიიღეს... გაუყიდეს აბრეშუმი და ძლივ ააყენეს სამი ათას ასი თუმანი... სასამართლომ დაიჭირა სარქისბეგაშვილი საპყრობილეში და მოსწერა ტფილისის მთავრობას, აეწერა და გაეყიდა რაც რომ მოძრავი და უძრავი ჰქონდა ათას ცხრაას თუმნის გადასახდელად.

ამასობაში სარქისბეგაშვილის პრიკაზჩიკმა შეიტყო იმისი ცუდი მდგომარეობა, უმეტესი ნაწილი სავაჭრო გაყიდა იაფად და ფული ჩაჯიბა.

მოვიდა მოსკოვიდან ქალალდი. პოლიცია ამ შემთხვევაში ფრიად მარდათ მოიქცა. იმავე წამს დაბეჭდა მაღაზია სარქისბეგაშვილისა და სახლი, რომელშიაც იდგა იმისი ცოლი-შვილი. ასწერა თვითოეულათ ყოველი ნივთი. მაგრამ ამ აწერილში დაიკარგა მრავალი ვერცხლეული, ოქროული, თვალ-მარგალიტი, რომელნიტა, რაღაც მიზეზის გამო, აღარ იყვნენ მოხსენებული სიაში. სარქისბეგაშვილის ცოლ-შვილი, შემწყვრეული ერთ ოთახში, უნუგეშოდ სტიროდა და არა ფიქრობდა, რომ თავიანთი საკმაული მაინც დაეცვა გაცარცვისაგან.

იმათ საუნჯეს სწორეთ ასე დაემართა, როგორთაც ნათქვამია: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეკატრონენო“.

მაშინ ქალაქის მოქალაქეებმაც წარადგინეს ვექსილები ათასის თუმნისა და ითხოვეს დაკმაყოფილება.

დანიშნული დღეს ბარაბანი დაჰკრეს. ქალაქელებმა ეს პირობა შეჰკრეს: ერთი მეორეს არ უნდა შესცილებოდა ვაჭრობაში. გაიყიდა მაღაზია სარქისბეგაშვილისა,—მანათიანი ნივთი აბაზათ. ფული ადგა სამას ოთხმოცი თუმანი. სახლის ავეჯი გაყიდეს ოც თუმნათ. მერე გაყიდეს სახლები და დუქნები მესამედ ფასად: ერთი სახლი გაიყიდა ხუთას თუმნათ, მეორე—ცხრაას თუმნათ. სარქისბეგაშვილმა ვალი თუმცა სრულიად გადიხადა, მაგრამ იმის ცოლ-შვილს აღარა დაშთა-რა, გარდა ტანისამოსის და მამა-პაპის სახლისა (ციხის უბანში).

IX.

ჩვიდმეტს წელიწადს კიდევ ჩემი აღებ-მიცემობა და ცხოვრება სწორეთ ისე წავიყვანე, როგორთაც აქამომდე მომყვანდა. სარბიელათ ჩემის მოქმედებისა იყო: ზაფხულში—ქართლი, შემოდგომას—კახეთი, ზამთარში—ბორჩალო და განჯა, გაზაფხულზე—ქალაქი ტფილისი. ბედი მქონდა ყველგან და არსად, არა დროს ზარალი არ მინახავს. მაგრამ უკანასკნელს წელიწადებში ქართლმა მიღალატა: ყველამ, ვისაც-კი ჩემი ფული ემართა, ჭკუა ისწავლა, სარგებელი აღარ მომცა და თავნი დამიბრუნა.

თავადი ლუარსაბ რაინდიძე, მანამ ცოცხალი იყო—1846 წლამდის—ყოველს წელიწადს ვექსილს მიცვლიდა. იმის შემდეგ ჩემის ვექსილის გამოცვლა შედგა იმ მიზეზით, რომ ალექსანდრე სიცოცხლის დროსვე ლუარსაბმა გაისტუმრა პეტერბურგს სასწავლებელში და სხვა იმისი შვილები მცირე წლოვანობის გამო ოპეკუნის მფართველობის ქვეშ იყვნენ.

ჩემს ცხოვრებას მოემატა ხარჯი წელიწადში ვიდრე ათ თუმნამდის, რადგანაც ჩემი ცოლი და შვილები—ერთი ვაჟი და ერთი ქალი—გადმოვასახლე ქალაქში.

მაგრამ ჩვიდმეტ წელიწადს უკან ჩემი ცხოვრება უცებ შეიცვლება. ჩემში ველარ იპოვნი კინტუა სოლომანსა. მიზეზი იყო თავადი ალექსანდრე რაინდიძე. ამ ყმაწვილ-კაცს გაგაცნობთ შემდგომში...

X.

ერთ მშვენიერ მაისის დილას, ჯერ მზე არ ამოსულიყო, მივრბოდი მე თათრის მოედანზე სარჩის მოსაპოებლად, თვითქოს ჩემ ცოლ-შვილსა სარჩო გასწყვეტოდათ და მე სიღარიბისაგან ვიყავ დებეული, თითქოს. თუ არ გაექცეულვიყავ, დავკარგავდი ასეთს შემთხვევას, რომლისაგან ფრიად გავმდიდრდებოდი. მოედანზე დამხვდა სხვა და სხვა თემის ხალხი: რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ნემენცი, ლეკი, თუში, ოსი, ჟრანცუზი და სხ., რომელნიც ირეოდნენ და ვაჭრობდნენ ზოგი პურსა, ზოგი ყველსა, მაწონსა ანუ ერბოსა და სხ. მე ძლიერ მეწყინა, რომ ამოდენმა ხალხმა მიმასწრო მოედანზე, ვიფიქრე, რომ ბედნიერების შემთხვევას უთუოთ ავცდი მეთქი. მაინც კიდევ იმედი არ დავკარგე, ხუთ წამს შემოვირბინე ყოველი კუთხე და ადგილი მოედნისა, მაგრამ

არა დაშხვდარა ჩემი საკბილო საეაპრო. კარგა ხანს ვაყვედრე ჩემს თავს დავიანებისათვის. უცებ თვალი შავასწარ ერთ სოფლელ გლეხ კაცსა, რომელსაცა მოჰქონდა გალიით ვარიები გასასყიდათ.

— ეი, ვარია, ვარია, აქ მო! შევძახე გლეხ-კაცსა, რომელიცა სწრაფადწინ დაშიდგა და მე ვკითხე:

— აბა, ჩემო საყვარელო! რავდენი ვარია არის და როგორ ჰყიდი?

— თერთმეტი ვარია გახლავს; ორი მანათი მიბოძეო.

— ეჰ, ჩემო საყვარელო! ასეთი ფასი თქვი, რომ ჭკუაზედაც ახლო იყოს; სწორეთ გითხრა ორ მანათათ არა ღირს და არცა რა ვინ მოგცემს მაგდენ ფულსა; ხომ კარგა იცი ფული ქვიშასავით არა ჰყრია, ანუ პანტასავით ტყეში არ მოდის.

— მე კარგა ვიცი და თქვენც კარგა უნდა იცოდეთ, რომ ვარიებიცა ტყეში არ იზდებიან, რომ ამათაც მოვლა და გაზდა უნდათ, რომ შორის სოფლიდამ მოვდივარ.

— მაშ სწორე ფასი რა არის?

— ცხრა აბაზი.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დრო შეგვექმნა, ხუთ გროშიან ვარიასაც-კი ფასი დაედო! ვინ გაუძლებს ამისთანა საშინელ სიძვირეს, აბა ღმერთი რათ მოგვცემს კარგსა.

— მე იმ დროს მოვესწარ, როდესაც ქალამანს ვყიდულობდი ხოლმე შაურათ და ორ შაურათ; ახლა-კი ათ შაურათაც ვეღარ გვიშოვია. თუ თქვენს ქალამნებს ფასი მოემატა, მითამ ჩემს ვარიებს ფასი რატომ არ უნდა მოემატოს?!

— გხედავ, ძმაო, ჭკვიანი კაცი ხარ; მაგრამ ძვირათ-კი აფასებ ვარიებსა. ოთხი აბაზი მოგცე?

— ვერ მივცემ.

— ოთხაბაზუზალთუნი?—ეს რა უთხარი, თეთრი ფული ამოვიღე და დავანახე ვარიების პატრონსა, განგებ, რომ დამებრმავებინა ფულის სილამაზითა.

— მაგისთანა ფულები ბევრი მინახავს. მე არ მიკვირს.

— აჰა მანათი!

— არ შეიძლება.

— მაშ რას ითხოვ?

— უკანასკნელი ფასი ცხრა აბაზი.

— მოიცა, სად მიხვალ! აბა მიჩვენე შენი ვარიები?

— აი ვარიები, გაშინჯეთ; თვითო ამისთანა ვარია აქ, ამ მოედანზე, სამ-შაურათ ისყიდება, მე-კი გთხოვ ორ-ორ შაურსა; ხუთ აბაზს რომ იძლევი, ღმერთი არ არის თქვენში!

— უჰ, რა გამხდრები არიან, თითქოს არა გიჭმევიარა.

— მართალია, გზაზე არა მიჭმევიარა.

— მაშ, რაღას დიდ-დიდს იძახი, შე დალოცვილო! განა გამხდარსა და მსუქანს საქონელს ერთი ფასი სძევს?

— აქ ნებაყოფლობით უნდა იყოს ვაპრობა, თუ არ მოგწონს სავაპრო, თქვენ თქვენთვის მე ჩემთვის.

— აჰა ხუთაბაზუზალთუნი.

— არ იქნება.

— დაიჭი, დაიჭი ექვსი აბაზი; ამასაც შენს ხათრისათვის გაძლევ, თორე...

— რას მაბრიყვებ, გამიშვით.

— სად მიხვალ?

— წავალ, ქალაქი დიდია.

— მაიცა, მაიცადე, ერთ სიტყვას გეტყვი.

— აჰი, მოვიცდი მითხარ ერთი სიტყვა.

— აი, ძმაო, რას გეტყვი. აქედამ სიონამდინ რომ წახვიდე, ჯერ ერთი რამდენ დროს დაჰკარგავ, მეორე—ქალამანი გაგიცვდება, მესამე—ვარიები შიმ-ძილისაგან უფრო შეშსუბუქდებიან, იქნება კიდეც დაიხოცნენ, და მაშინ, რასაკვირველია, რავინ მოგცემს ექვს აბაზსაცა. ჭკუას ნუ დაჰკარგავ.

— ახ, ღმერთო ჩემო! ეს რა ჭირში ჩავარდი! სად გაგონილა, რომ კაცს თავისს საქონელზე უფლება არა ჰქონდეს, მანამ არ გაჰყიდოს. აღარა ვყიდი, თავი დამანებედ.

— ხომ არ გაგიჟებულხარ, ოხერო! ვინ გევაპრება! ჯანაბამდეს გზა გქონდეს. მაგრამ ამასაც კი გეტყვი, ჭკუას წააგებ, ქართველი სხვა ვინ ყოფილა ჭკვიანი, რომ შენ იყო?

— გარწმუნებ, აქამდე მქონდა ჭკუა, და მას აქეთ რაც შენ შემხვდი, ჭკუა დავკარგე. ასე გაშინჯე, აღარ ვიცი ექვსი აბაზი რავდენი ფულია. გა-მარჯვებით.

ეს რო სთქვა გლეხმა კაცმა წამოიკიდა გალია და დააპირა წასვლა. მა-შინ ერთს ჩემ ამქართაგანსა (ჩარჩები გარშემომეხვნენ და არავინ შამეცალა; ასეთია იმათში დებულება) თვალით ვანიშნე. რომ შუა შემოსულიყო და მოვე-რიგებინე გლეხკაცთან. ემნეეე

შუა კაცათ ათჩეულმა ჩარჩმა მაშინვე დააბრონა და უთხრა:

— სირცხვილი არ არის, ორნი დარბაისელნი კაცნი ვერ მორიგებულხართ! აქმო, მე მოგარიგებთ. მამეც აქ ფული (მითხრა მე); რას აძლევ?

— ექვს აბაზს ვაძლევ; აჰა ფული.

— ორშაურიც ამოიღე, მითხრა შუა კაცმა.

— არა; ორშაურს არ მივცემ; შენი კარგის ხათრისთვის აჰა ერთი შაური.

— არ მივცემ; ძვირია, ვიზარალებ.

— მაიტა, მაიტა ორი შაურიცა.

— აჰა, ეს ორი შაურიცა; ახლა, მოგრჩი!

— ორი შაურის საქმე არ არის აქა. თავი დამანებეთ. გვითხრა გლეხმა კაცმა და გაიწია წასასვლელად.

— ერთი შამატყობინე, შენი სიტყვა რა არის, ჰკითხა შუაკაცმა გლეხ კაცსა.

— ცხრა აბაზი.

— ჩამოიღე, ჩამოიღე კალათა; შვიდი აბაზი იყოს; ხმა აღარ ამოიღო; კარგ ფასს გაძლევს,—უთხრა შუაკაცმა.

— ძვირია, ძვირია; ვერ მივცემ შვიდ აბაზსა.

— რა უყოთ! ხან ძვირად უნდა ვიყიდოთ, ხან იაფათა.

მიეცი, მიეცი შვიდ აბაზათ; ძალიან კარგი ფასია, მეტად არა ღირს,—შეჰყვირეს ერთის ხმით ჩარჩებმა, რომელნიც დაესწრნენ ამ ანბავში.

შუა კაცმა შვიდი აბაზი თითქმის ძალათ მისცა გლეხკაცსა და დაუმატა:

— გალიასაც დაგიბრუნებს; გეყოფა შვილო; ისე ღმერთმა მე მიშველოს, როგორც კარგ ფულს გაძლევენ.

ეს რომ სთქვა შუა-კაცმა ამოასხა ვარიები, მომითვალა, გალია პატრონს ჩააბარა, მიაბრუნა ხიდისაკენ და გააცილა რამდენიმე მანძილი, თან ეფიცებოდა, რომ იმან მომატყუა მე.

საწყალი გლეხი კაცი დაღონებული და თავდაკიდული წავიდა.

მე კი მიხაროდა, რომ იაფად ვიყიდე ვარიები. არ გავიდა ნახევარი საათი, იქვე გავყიდე წყვილი ვარია ხუთ-ხუთ შაურათ, და მოვიგე ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ჩარჩებმა მკითხეს, რამდენი მოვიგე და როდესაც უთხარი, ერთმა იმათ-ანმა, ყმაწვილმა ბიჭმა უცებ ხელით ასე მაგრა ჩამარტყა თავში, რომ ცრემლები წამომცვივდა, ამ დარტყმასთან შეჰყვირა:

— ამ შეჩვენებულსა, ყოველთვის ბრმა ბედი როგორა სდევსო?

იმავე წამს, ჯერ ცრემლები არ მამეწმინდა უცებ წინ დამიდგა სოსია ბამწკეპაძე, ჩემთან სიყმაწვილითვე ერთათ შეზრდილი, და აღმზრდელი თავად ალექსანდრე რაინდიძისა,—რომელმაც წამტაცა ხელი, მამიკითხა ესე:

— ოჰ საყვარელო ჩემო სოლომან! ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობით ხარ... აგერ ნახევარ საათია გიყურებ, გშინჯავ და ძლივს გიცან, უთუოთ გამდიდრდები.

ჩარჩისაგან თავში ჩარტყმა ისე არ მეტკინა და მეწყინა, როგორათაც ამ კაცისა გამწკეპავიძის დანახვა ეწყინა და ეტკინა ჩემს გულსა. მრავალჯერ ჩაურტყამთ ჩემთვის თავში, მაგრამ წასულია, გაუვლია, ფიქრში და გულში სრულიად არ მამსვლია. ახლა-კი, რადგანც გამწკეპავიძესთან ჩამარტყეს თავში, დამეგადა სრული ჩემი თავის მოყვარება, მეწყინა, ისე მეწყინა, რომ აღარ მეყურებოდა რა ვიყავ, სად ვიყავ და რა უნდა მექნა, ნამდვილად არ ვიცი, რათ მეთაკილებოდა, რომ გამწკეპავიძეს შეატყო რაიმე ნაკლულევანება ჩემი. ჩემის აზრით ამისი მიზეზი უნდა იყოს ისი, რომ რაინდიძის სახლში მე აღვიზარდე როგორც თვით ალექსანდრე რაინდიძე, გამწკეპავიძე-კი—როგორათაც ყმა და მონა. მე მეწყინა და მეთაკილა, რომ გამწკეპავიძემ მნახა, როგორათაც ჩარჩი, ვარიების მოტყუებით, ფიცით და გონებით მსყიდველი და გამყიდველი, უბრალო გლეხურ ტანისამოსში, თავში ჩაკრული, მაშინ როდესაც იმას მე ყოველთვის უნახავვარ კარგა ჩაცმული, დარბაისრულ ყოფა-ფხოვრებაში, და ისი პატივსცემდა ხოლმე და მივაჩნდი საპატიო მოქალაქედ. მით უფრო უმეტესად მამიკვდა გული, რომ ხუთი წლის უნახავი ვიყავი გამწკეპავიძესთან, რომელიცა იყო პეტერბურგს, სადაცა, რასაკვირველია, მიიღებდა განათლებასა, და რომელიცა ახლა უცებ, მოულოდნელად გამომემცნაურა იმ დროსა, რადესაც მე ვიყავი უმსგავსს დასასაცილო მდგომარეობაში. ამ აზრებმა ელვასავით წამს გამიარეს გონებაში.

გავანჩხლდი, დაუფიქრებლივ მივარდი ჩემს თავში ჩამკვრელსა და ჩხუბი და ცემა დაუწყე, რასაკვირველია ჩარჩმა არ დამითმო და რაც დამაკლო შემისრულა.

— შე უმზგავსო, შე ქვეყნის სასაცილო! მითხრა ჩემმა წინააღმდეგმა ჩარჩმა: რამდენჯერ ჩამირტყამს შენთვის თავში, და არც ერთხელ არ გწყენია, ამიტომ რომ ხუმრობით ჩაგარტყი. გული რაზე მოგივიდა! განა არ გიცნობ ვინცა ხარ; შენი ციცხვი და ჯამიც-კი ვიცი.

ბრძოლა გაგრძელდებოდა, თუ რომ ხალხს არ გავეშველებინე. ერთი მშვიდობის მყოფელთაგანი იყო გამწკეპავიძეცა.

უკანასკნელმა შემთხვევებმა უფრო გამისერა გული, უფრო გამიცხოველა სირცხვილი, გამწკეპავიძის დანახვა არ მინდოდა და ამიტომ გავიპარე მოედნიდამ. მე ვიყავ არეული, გაწითლებული, სისხლიანი, საკინძ-ჩამოგლეჯილი. თურმე ნუ იტყვით, გამწკეპავიძე დამედევნა.

— სოლომანჯან, მომძახდა გამწკეპავიძე: შეიცადე ერთ წამს. სიტყვას მოგახსენებ.

კინაღამ გულ შემომეყარა, რა დავინახე გამწკეპავიძე.—მეც არ გავიგონე და ცუხცუხით, თავდაღონული მივეჩქარებოდი შინისკენ, რომ აღარ დამენახა უსიამოვნო ნაცნობი.

— სოლომანჯან, გამიგონე შე დალოცვილო! რას მირბიხარ! მხოლოთ ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

მითამ არ მესმოდა, მოუხედავად მივრბიოდი კლდის უბნის აღმართზე.

— ოჰ, დავიღალე, აღარ შემიძლიან! საყვარელო სოლომან! გამიგონე, ხომ მოვედი ამ აღმართზე სირბილითა—გამიგონე... ალექსანდრემ გთხოვა ფული, შენი ვალი, მიიღო.

მაინც კიდევ არ შევიბრალე გამწკეპავიძე.

— ოჰ, სოლომანჯან! აღარ შემიძლიან! არ გეკადრება მაგ გვარი საქმე! შენი ნებაა!

გამწკეპავიძემ ველარ შესძლო აღმართზე სირბილი და დაეცა. მე დიდად მიამა, ამიტომ რომ არ მინდოდა, ამოდენ დამდაბლებასთან, ენახა იმას ჩემი ქოხი და ცოლ-შვილი.

გამწკეპავიძე უკან დაბროუნდა. მე-კი, როდესაც მივედი შინ, ასეთის მრისხანის სახით ვიყავი თურმე, რომ ჩემი ცოლშვილები გაცვივდნენ შინისაგან გარეთ. მართლადაც, თუ რომ იქ დაშთემილიყვნენ, უთუოდ ძნელ დღეს დავაყენებდი.—ასე ვიყავ გონება დაკარგული და გულმოსული, ვმადლობ ღმერთსა, რომ მიხსნა განსაცდელისაგან! ეს დღე და საათი ჯერაც კი არ დამვიწყებია და არცა დამავიწყდება.

XI.

კარგა ხანს ვიყავ აღწერილ მდგომარეობაში. მერე თნდათან დავმშვიდდი. მაშინ წარმომიდგა აზდი—შამეტყო, თუ რავდენის საუნჯისა ვიყავ მფლობელი. საკვირველია, აქამომდე ერთხელაც არ მამივიდა სურვილი დამეთვალა ჩემი ოქრო და ვერცხლი. მე მხოლოთ ფულს უმატებდი ფულსა. ვიცოდი, რომ დიდი ძალი მქონდა; მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რავდენი უნდა ყოფილიყო.

უკანასკნელ წელიწადს მე ვიზარალე ასს თუმნამდინ, და ხელი ავიღე დიდ ვაჭრობისაგან, რომ სარქისბეგაშვილისაგით არ გავკოტრებულიყავ. ოფლით დ-

მრავლის მწუხარებით შეკრებილს ფულსა არას ვაკლებდი და ესჯეროდი, ცოტ-ცოტათი გავრცელებულიყო ჩემი ჯიბე. კერძო კაცის ხელში ვერ გავეცი, გაბშირებულ კოტრობისა და უნდობლობისა გამო; პრიკაზის გზა კი ჯერ არ მიცოდი.

იყო ისევ დილა. ჩემი ცოლშვილი წავიდნენ თავიანთ საქმეზე (მერე მოგახსენებთ ვინ რომელ საქმეზე იყო ჩემგან დადგენილი) და მე მქონდა დრო დამეთვალა ფული;—ჩემმა ცოლ-შვილმა არ იცოდა ადგილი, სადაცა დაცული შქონდა ფული, არც რიცხვი მისი. ისინი იყვნენ დარწმუნებული, რომ მე ვიყავ ვითომც გლახა, და უფულო. ისინი ვერ მიხვდებოდნენ ფულის ადგილსა და რიცხვსა, ამიტომ რომ იმათ თვალწინ არა დროს ტახტი არ მომიწევია და ფულის გზა არ მისწავლებია. გარდა ამისა ტახტი მქონდა შინაგან დამაგრებული, ასე რომ უჩემოთ არავის შაეძლო მოეწია. დამაგრებული იყო ამ სახით: წინა-ფიცარი ტახტისა მქონდა დაკეტილი იმ უჩინარის კლიტით, როგორსაც ხმარობენ კამოდისთვის. ახდიდით ამ ფიცარსა, ნახავდით, რომ ფეხები ტახტისა იყვნენ შიბმულნი მსხვილის რკინითა კუნძებზე, რომელნიც იყვნენ ღრმათ ჩასმულნი მიწაში.

და ესრეთ მე შეუდექ საქმესა, კარები ჩავკეტე, სანთელი ავანთე (უსარკ-მლო ქოხში ბნელოდა), ტახტი მოვწიე, ხურჯინით ამოვზიდე ფული. გადავ-თვალე ათასი, ათი-ათასი, ოცი-ათასი, ორმოცი-ათასი, სამოცი-ათასი, 80 ათასი, და და მიხაროდა, რომ უმეტესი ნაწილი კიდევ იყო დასათვლელი. როდესაც ორმოცი-ათასი გადავთვალე და დავინახე, რომ ერთი იმოდენი კიდევ იყო დასათვლელი, უფრო გამიკვირდა, სიხარული უფრო გამიცხოველდა, და როდესაც უკანასკნელი მეოთხმოცე ათასი გადავთვალე, მაშინ გული და თავი ძლივ-ძლივა შევბმაგრე; კინაღამ სიხაროლისაგან და განკირვებისაგან გული შემიღონდა და ჭკუა გადვირიე, წყლით მოვიბრუნე გული, სანთელი გავაქრე, წყნარ-წყნარა კარი გავაღე და გამოველ გარეთ, რომ ჩემი გონება დამშვიდებულიყო. მე გამიოცდა ამიტომ, რომ მესამედის ფულის იმედიც არა მქონდა, ამავე მიზეზის გამო ჩემს სიხარულს მოემატა სიხარული, და, რასაკვირველია, ამ მიუწდომელს და მოულოდნელს სიხარულსა შაეძლო გონებიდამ გამოვეყვანე. გონება და გული რომ დავიმშვიდე, ისევ შავედი შინ, სანთელი ავანთე, ღმერთს თაყვანისცემით მადლობა შევწირე, ტკბილათ დავკოცნე ფულებსა (ასე გაშინჯეთ სიხარულის ცრემლებიც-კი გადმომცვივდა!) დავაბინავე ისევ თავისივე ადგილსა.

მაშინ წარმომიდგენენ ჩემნი საცოდავნი ცოლი და შვილები, რომელნიცა მე დავსტანჯე და რომელთაც მოვათმენინე მრავალ წელს საშინელი და ენით აუწერელი სიღარიბე, სიშიშვლე, შიმშილი, სიცივე და სიბნელე, მოვაკელ სიამოვნება, განცხრომა, მშვიდობა და ნამეტნავად აღზრდა, წარმოვიდგინე ჩემი თავიცა, საცოდავათ ყოველ ჟამს დამცრობილი და მოკლებული ყოველ კეთილ-ცხოვრებასა, მაშინ როდესაც მე შემეძლო ყოველივე ესე თვრამეტის წლის წინათ, რასაკვირველია ამოდენი აღარ მექნებოდა, მაგრამ სამოცი ათასს თუმანს კი აღარ დააკლდებოდარა. თუმცა ახლა ოთხმოცი ათასი თუმანი მქონდა, მაგრამ, ოჰ, რავდენი დავაკარგვინე ჩემ ცოლშვილსა!

შეიქმნა სადილობა. დრო იყო დაბრუნებულიყვნენ შინ ჩემი ცოლი და შვილები სადილობად. მაგრამ რა დახვდებოდათ, გარდა მშრალის პურისა!! მაშინ დავინახე ჩემი უგუნური სიძუნწე, მაშინ ვიგრძნე ცოლშვილის საცოდაობა.

პირველად შამოვიდა ჩემი ქალი, თექვსმეტი წლის თამარ, რომელიცა მეზობლისას სწავლობდა ხელსაქმესა და წერა-კითხვასა. მანამდისინ არ დამინახავს, რომ—იმას ეცო გახუნებული მოკლე ჩითის კაბა, ჭუჭყიანი მიტკლის პერანგი, და ქუსლებ დაყრეევინებული ქოშები შიშველა ფეხებზე. ჩემი თამარ, თუმცა იყო დედასავით მომცრო ტანისა, შავთვალწარბა, მხრებ აწეული, მოკლე კისარა, პირ-ნაყვავილარი, ცხვირ და ტუჩებ დიდი, მაგრამ დედასა ჰსჯობდა ელფერითა. აქამომდე ძლივ ესწავლებინათ წინდებისა და ქისების ქსოვა, სიბაზრო პერანგისა და ახალუხის გამოჭრა და შეკერვა, და ანბანი თავისის უფალოთი.

თვალებიდამ ცრემლები გადმომცვივდა, დავინახე რა თამარ. მაგრამ გული შევიმაგრე და თამარს გაუცინე. თამარს გაუკვირდა ჩემი სიმხიარულე, რომელიცა ძნელად სადმე უნახავს იმას ჩემს პირისახეზედ.

— თამარჯან! ჯერ პურს ნუ სჭამ; კარგი სადილი მოგივა; უთხარი მე ღიმილით და მამობრივის გულმტკივნელობით.

თამარ დამაცქერდა და უნდოდა წაეკითხა ჩემს სახეზედ მიზეზი მხიარულებისა და მამობრივის ალერსისა. ამიტომ რომ თავის სიცოცხლეში პირველად გაიგონა ალერსი!..

ამ დროს შამოვიდა ჩემი ვაჟი ისაკ, რომელსაცა იღლიის ქვეშ ეჭირა წიგნები. ის იზდებოდა, ანუ სწავლობდა გიმნაზიაში. ისაკ იყო მჭუნვარე და მოწყენილი.

— რათა ხარ, შვილო, აგრე მოწყენილი?—ეკითხე მე ისაკსა.

კურს ვასრულებ; მაგრამ ჩინის იმედი-კი არა მაქვს.

— რატომ, შვილო? ამხანაგებში რათ უნდა გამოერჩიო!

— ამიტომ, მამილოჯან, რომ შენის მეცადინეობით უდროო დროს შეშვიდეში გამიყვანეს, ჯერ კი დრო არა მქონდა; მე მხოლოთ კლასიდამ კლასში, ანუ ოთახიდამ ოთახში გადავდიოდი, მაგრამ რასაც ამ ოთახებში ასწავლიდნენ, ჩემს გულსა და გონებას სრულიად არ მიჰკარებია, და, აი, მე დავრჩი უჩინო!

— განა ისეთი რა სასწავლებელია მაგ შენ გიმნაზიაში, რომ ერთის წაკითხვით ვერ დაგისწავლია.

— რალაცა გასაოცრებული მატემატიკა არის,—ღმერთმა დასწყევლოს,—ეშმაკიც-კი ვერ ისწავლის. ფიზიკა ხომ, ისტორიები, სხვა მრავალი ჯანაბები. განა იქნება გონება რომ დაიტიოს! და თუ ვინმე ისწავლის, დაჭლექდება და მოკვდება.

— მაშ ყველანი უსწავლელნი არიან, ვინც არ დაჭლექებულა და არ ნამკვდარა?

— მაშ როგორ ბგონია!? ვისაცა ხედავ ფრანტებსა, გარწმუნებ, სულ უსწავლელი ხალხია; მხოლოთ ტანისამოსში ჭკვიანები და განათლებულნი სჩანან. რომ ჰკითხო трижды два რამდენია, გეტყვიან: ოთხიაო.

— მაშ შენ რომ გიმნაზიაში ყოველ დღეს დაიარებოდი, არასა სწავლობდი?

— განა არა ვსწავლობდი! განა არ ვიცი! განა ყოველიე არ მეყურება! მაგრამ საფუძვლიანათ, ღრმათ ვერა ვისწავლე-რა, რომ არ გავგიჟებულ ვიყავ ანუ დავჭლექებულვიყავ.

— არა, შვილო! ღმერთმა დაგიფაროს! ძალიან კარგა გიქნია, რომ ღრმათ

არა გისწავლიარა ღმერთი მოწყალეა! შენ ნუ სწუხარ. შენი ამხანაგები შენზე წინ ვერ წავლენ, შენზე მსწავლულათ ვერ გამოჩნდებიან, და შენზე ჩინს ადრე ვერ მიიღებენ.

— მართალია, მამილოჯან! დღეს ათი ყუთი სპიჩკა გავყიდე; მე ხომ არ გამოვჩენილვარ; პატარა ბიჭებს ფავაყიდინე, როგორც მარიგებდი.

— კარგი, შვილო! ამას იქით შენ აღარ გაჰყიდი სპიჩკასა; სულ სხვა კაცი, ჩინნოვნიკი დადგები. გული გაიმხიარულე.

უსიამოვნო ლაპარაკი მოეჰსწყვიტა და წავიყვანე ისაკი ბაზარში, სადაც ვიყიდე მოხარშული ბოზბაში, დედალი, ქაბაბი, ღვინო და გავატანე შინ.

— მოვიდა ჩემი მეუღლეცა. აქ არ ავწერ იმისს ტანისამოსსა,—ქალზედ უკეთესათ არ ეცო. მაშინვე შავიტყე, რომ ჩემი სოფიკო მოგებით უნდა მოსულიყო, ამიტომ დომ სავსე პარკი წმინდა საპნით წაიღო გასასყიდავათ დილით ადრე, და ცარიელი პარკიღა მოიტანა.

— აფერუმ, სოფიოჯან! მიყვარხარ, მიყვარხარ! აბა მაგისთანა დედაკაცი უნდა, აი! უთხარი მე მხიარულათ.

როგორც თამარს, ეგრეთვე სოფიოს გაუკვირდა ჩემი ალერსი და სიმხიარული, ნამეტნავათ გაშლილი სუფრა, სავსე სხვა-და-სხვა საჭმელებითა, რომელიცა აღდგომასაც არა ჰქონია. სოფიო ხმა არ გამცა; სოფიო ცალკე თვალით გადმომხედავდა ხოლმე... მუნჯსავით დაჯდა სუფრაზე, სჭამდა საჭმელსა ნაზათ, თვითქოს მტრისას იჯდა და მტრის წყალობას სჭამდა...

სადილს უკან დავიბარე ჩემი ნათლიმამა ოჰანეზ;—საკვირველი კარგი კაცი!—ამ კაცს გამოუცხადე, ჩემი წყენა დამდაბლება, და ვკითხე რჩევა.

— დიდი შეცდომა მოქსვლია! დიდი უგუნურობა მოგსვლია, საყვარელო ძმაო, მეგობარო და ნათლია! ჭკვიანი კაცი მეგონე, და ახლა-კი მამიტევე, შენში ვერ ვჰპოებ ჭკუასა;—მითხრა ოჰანეზამ, მაგოდენის სიმდიდრის პატრონი-ყოფილხარ, და როგორღა ექელვინებოდი ქვეყანას ფეხ-ქვეშ! როგორ თავი აქამდე არ გამოიჩინე! ცალ-შვილი კარგ გზაზე როგორ არ დააყენე! გამიგონე, ძმაო! სიმდიდრე კარგია, თუ მოიხმარებ; და თუ დაჰფლავ მიწაში, მდიდარი აღარახარ, შენზედ უსაცოდავესი და უგლახაკესი აღარავინ იქნება.

— მირჩიე, ოჰანეზჯან, მირჩიე, რა უნადა ექნა! შენ სიტყვას მივიღებ, როგორც ანგელოზისას.

— ოჰ, ღმერთო! ვინ ამბობს, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, ჭკვიანი არისო! არა; ტყუილი უთქვამს. მე-კი ვამტკიცებ, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას ჭკუა სრულიად გამოსცლია. რომ გირჩიო რა უნდა ჰქნა!? განა ეგეც არ იცი!—დატუქვესით მკითხა ოჰანეზამ.

— ნუ მტუქსავ ნათლიმამ, ღმერთმა გადღეგძელოს!

— მე ამიტომ გტუქსამ, რომ მეთაკილება, მწყინს შენი ურიგო ცხოვრება, რომ შენს ცოლშვილს მოაკელი აქამომდე კეთილდღეობა და კეთილცხოვრება. გკითხავ შენ, რა ეშმაკებისათვის გინდოდა ფული, თუ ცოლშვილსაც არ მოახმარებდი? მიხედე მოქალაქებს, თუ რა გინდა მიბაძო ჩინოვნიკობას და დიდკაცობას, რაც ისე იცხოვრე.

— მაინც მინდა, რომ შენ დამაყენო გზაზე; გამოცდილი და ჭკვიანი კაცი ხარ. მე არ ვიცი როგორ რა უნდა დავიწყო.

— სოლოლაკზე იყიდება დიდი და ჩინებული სასახლე სამიათასს თუმნათ. წადი, ეხლავ მოურიგდი სახლის პატრონსა, უთუოდ იყიდე.

— მერე?

— მერმე მორთე კარგის მებილითა, ესე იგი სკამებითა, სტოლებითა და სხვ., იყიდე ვერცხლეული, სტოლის და ჩაის იარაღი, სახლის ავეჯი; დაიჭირე მზარეული, მოახლე, მოჯამაგირე; გაიჩინე დროშკა, მოირთე დროშკა, დართე შენი ცოლშვილი, გამოიყვანე საზოგადოებაში; თვით შენ ჩაეწერე მოქალაქეობაში: გაუმეგობრდი წარჩინებულ დიდკაცობას და მოქალაქეობას.

— ეგეები ხომ მეც ვიცოდი, მაგრამ...

— მაგრამ რა? ფული არ გემეტება?

— ფული!.. როგორ.. არ მემეტე...

— სუ, სუ, სუ, ვერ მამატყუებ! ეხლავე შეაფურთხე ეშმაკსა! გააგდე გულიდან სატანა!

— გარწმუნებ, ეშმაკს ჩემთან ხელი არ აქვს, მაგრამ იცი რისა მეშინიან?

— რისი გეშინიან?

— არ დამიჭირონ მეთქი, არა მკითხონ მეთქი, ვინ მოგცაო მაგოდენა ფულიო!..

— ჰა, ჰა, ჰა! გეტყობა ფულის მოგების მეტი არა გაგიგიარა ქვეყანაზე. ვის შეუძლიან წამოგედაოს!..

— მესმის, მესმის! ეხლა კი გულ ხსნილათ გამოვალ ქვეყანაში და ნახავ, რომ პირველთაგანი ვიყო ტფილისის ქალაქში. ოჰ, გამწკეპავიძე! გმადლობ, რომ შენის ერთის დანახვით გამწკიპე და გონებაზედ მომიყვანე!..

სოლომონ მეჯღანუაშვილმა დაუჯერა თავის ნათლიმამას და მის რჩევას.

იყიდა დიდებული სახლები სოლოლაკში, შეიძინა ძვირფასი ეტლი. სახლი მორთო მოდაზე, თვითონ გადაიქცა ჯენტლმენად, ცოლი კი—ქალბატონად. სოლომონი ხშირად დაირება თეატრში, მართავს წვეულებებს, მაგრამ გემოვნება აკლია მისი სახლების მდიდრულ მორთულობას, ცოლშვილის ჩაცმა-დახურვას, იტალიანურ მუსიკის შეგნებას.

მისმა მეუღლემ-სოფიომ განიზრახა თავისი ქალი მიეთხოვებინა განათლებულ თავად ალექსანდრე რაინდიძესათვის, დიდძალი მზითევიც შეაძლია, მაგრამ რაინდიძემ უპირატესობა მისცა კნიაჟნა ელენე ორაგვლიშვილისას, დაიწერა მასზე ჯვარი და გადასახლდა სოფლად.

შეყვარებულმა თამრომ—მეჯღანუაშვილის ქალიშვილმა, ვერ აიტანა ასეთი მარცხი, დაკლეკდა და დიდიხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდიცვალა.

ეს რომანი საყურადღებოა, როგორც უტყუარი ნიმუში ბურჟუაზიის ცხოვრებისა და მოქმედებისა ჩვენში.

რომანი „სოლომონ მეჯღანუაშვილი" გამოიცა რამდენჯერმე. უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის ამხანაგობა „შრომას".

ვ. ორბელიანი

პოეტს

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა;
იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,
თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო,
მათ დუდუკი, დიმპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიჟინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.
მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მითხარი?

—

მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩვნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი.
იმ კილოთი გვაჩვენე სხვა სურათნი,
დაგვანახვე ველნი, ბორცვნი და მთანი;
მაღლა ზეცა, ქვეშ ზღვა განუსაზღვრელი;
მთლად ბუნება, დიდი, გასაკვირველი.
ველნი, ბორცვნი ტურფად იფურჩქვნებოდნენ,
წვერნი მთათა ცის კარს ებჯინებოდნენ;
ცის კამარა ბრწყინავდეს მნათობთ სხივით,
ან გრგვინავდეს ელვითა და ქუხილით;
კაშკაშებდეს მზის სხივითა ზღვის გული,
თვის ნაპირზედ მშვიდად მიძინებული;
ან მრისხანე ცაში ზვირთებს ისვროდეს
და თვის მკერდზედ ნავთ ხომალდებს მუსვრიდეს.
დაგვანახვე დიდებული ბუნება,
იმის დიდი მრავალგვარი შვენება.

—

სხვანიც დიდნი საგანნი გაქვს, პოეტო:
გმართებს ძველ დროთ გმირნი გამოგვიხატო,
მამულისთვის მათ ბრძოლა საშინელი,
ბრძოლის გრგვინვა, საზარო ბრძოლის ველი.

დაგვახახვე ასული მშვენიერი,
სახეს უჩნდეს გულის ჰმუნვა ძლიერი,
იყოს ვარდი, ავდრისგან ფერმიხდილი,
და ყვავილი, ქარისგან თავმიხრილი.
ნაზი, ტურფა, მშვიდი და წმინდა გული,
მაგრამ მთელის არსით შეყვარებული.
მისი სატრფო შორს შავს ბედთან იბრძოდეს;
მშვენიერი ცხარის ცრემლით იღვროდეს;
შილლერისას ჰგვანდეს ამალიასა,
ან შექსპირის ციურს ოფელიასა.
შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,
იმათ ბაღში და იმათ ვენახშია;
დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი;
ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი...
და ჩვენც მაღლა გვამხილე, რაც გვქირს ავი,
სიზარმაცე და უმეცრება შავი!

—

რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,
იმის დუდუკს და იმის დიპლიპიტოს,
ან ლოპიანს ან დიმიტრი ონიკოვს?*)
ჩემი გული სხვა გვართ სურათებს. ითხოვს,
მაინც ამ ხმით ვცდი, როსმე რამ გიამბოთ,
მდაბიური,—იქნება, ზოგთ გიამოთ.

კაცი ის არის

კაცი ის არის,
ვინც ოფლს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით ხელით ძლიერით
დედა მიწასა
და მის წიაღსა
ღვთისა მადლობით, მხიარულებით
აპობს და არღვევს,
დაღალვას არ სდევს
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს;
და იმ ტკბილ ნაყოფს
ქვრივ-ოხერთ უყოფს
და უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს.
კაცი ის არის,
ვისაც გულს ესმის
ციური სიტყვა: „ძმობა, ერთობა“

* ლოპიანი და ონიკოვი გრიგოლ ორბელიანის საყვარელი პირებია. რედ.

და სიყვარულით
აღვსილის გულით
დავრდომილ ძმათა მოეხმარება;
ვინც საქმით ქველით,
გონებით, სწავლით
მიახლოვდება მაღალ ღვთაებას;
ვინც ცდილობს მისწვდეს
და ჭკუით მიხვდეს
საღმრთო განგების იდუმალ ნებას,—
გამოიძიოს,
გამოიკვლიოს
დიდი, უსაზღვრო ღვთისა ქმნილება,
და ჰპოვოს მასში,
იმ ღვთის დიდს ღვაწლში
მის საიდუმლო: ჭეშმარიტება.
და მის ძლიერით
სიტყვით და აზრით,
ვით აბჯარ-აბჯრით, მთლად შეიჭურვოს,
და იგი სიტყვა,
მღელავი ვით ზღვა,
მაღლა უშიშრად ერთა ამხილოს.
ვინც უდგას შორსა
სიცრუვეს, შურსა,
ვის არ ეხება პირმოთნეობა;
აქ სული წრფელი,
სიტყვა ნათელი,
გულს დაიმარხა ჭეშმარიტება;
ვის არა სცხვენის,
ვის არ ეშინის,
იგი მაღალთა მაღლა ასმინოს,
და იმ ღვთაებას,
ჭეშმარიტებას,
არ დაიზოგოს, თავი შესწიროს.
ვინ ვრაცხოთ კაცად?
არ ვიცი არსად,
ვერსად ვერ ვპოვებთ მას წმინდა არსსა.
იყო კი ერთი,—
ის იყო ღმერთი.
ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა!

ი ვ ე დ ი*)

I

ვინა ხარ, ეჰა, მშვენიერო მოხვედი სითა?
ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოფრინდი ცითა?
შენი მზერითა აქამომდე ვინ დასტკბებოდა,
ცა, თუ ცის ქვეშე შენით, ტურფავ, გაბრწყინდებოდა?
ვინა გალობდნენ შენს შვენებას, ცასა ციერნი,
თუ ფეხთ მოდრეკით, განკვირვებითქ ა ქვეყნიერნი?
ხარ ანგელოზი, სამოთხითგან გადმოფრენილი,
ვინ სამშობლოსა დასატკბობლად აქ მოვლენილი,
ან თუ სატანა ჯოჯოხეთმა მოგგზავნა ხმელად,
მოგცა შვენება, გადმოგაგდო გულთ საენებელად?
ან ხარ ასული ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული,
მაგ ლამაზ მკერდ-ქვეშ, როგორც სხვათა, შენც გიძგერს გული?
აბა მაშ გვითხარ: ვით შემკულხარ ეგრეთ მდიდრულით
ჰარმონიითა, სიტურფითა, შვენებით სრულით?
ჩვენ ბედნიერმა და სად, როგორ ერგეთ აღგზარდა,
ან ვისი თვალი, შენით მთვრალი, მარად გიმზერდა?
აღმოსავლეთის ყვავილთ შუა თუ გაიშალე,
ან თუ ჩრდილოთ ხარ, წყვდიადს სტუქსე, მოხველ აქ მალე,—
შენც გაუღიმე სიმშვიდითა ძველსა ივერსა,
მოგესალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა,
შენც გაუღიმე სიმშვიდითა ძველსა ივერსა,
სადაც ბუნებამ დიდებულად ზღვასა და ბართა
შესამკობელად ფრიალონი წინ აღუმართა;
სადაც მთათ წვერნი ცისა კიდეს ებჯინებიან,
ველნი კი მარად ყვავილებით იმოსებიან;
და მთაზედ რბიან წალკოტთ შუა წყალნი მცინარნი.
აქ სიყვარულსა სტვენენ მარად ბულბულნი წყნარნი;
რა ფუფუნებით ზამთარ-ზაფხულს ვარდნი შლილობენ,
ღამით ზეფირი, დილით ნამი მაზედ ხარობენ!
აქა ცა არის ლურჯი, წმინდა, მნათი მარად ჟამს!
აქა დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს;
აქ რუსთაველის ლექსნი კვალად ატკბობენ ყურსა;
აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსა.
აი, სად მოხველ! და, აქ ყოფნა თუ მოგეწონა,
გაგიშლით გულსა ფიანდაზად შენ ფეხთა წინა.

---

*) ჩვენ ვიცით, რომ ამ ლექსმა ბევრ თანამედროვე მწერალზე დიდი გავლენა მოახდინა სხვათა შორის, მეც პირველად ამ ლექსმა ამაღებინა ხელში ჩემი სუსტი კალამი.

რედ. ია ეკალაძე

ოყავ შვენება, ნეტარება ივერიისა,
ოყავ ჩვენთვისა ცით ვარსკვლავი, შუქი მთვარისა!

II

მაგრამ აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა,
პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა,
მაგარა! სადგურნი, ფრიალოთგან გადმოკიდულნი,
უფსკრულს უმზერენ დარღვეულნი, დატეებულნი;
წმინდა საფლავნი ნანგრევთ-შუა ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უპატრონოთ ტყენი ჰბურვიან;
არ აცხოვლებენ შთენთ და საფლავთ წირვა, ცისკარი,
მხოლოდ დროებით მათზე ჰბერავს გრიალით ქარი!
რას ნიშენენ შთენნი, ეს ნანგრევნი,—შენ გსურს იკითხო?
გსურს ივერიის შავი ბედი აღმოიკითხო?
ჩვენ ნურას გვკითხავ, ჯვარი არის,—მიდი მის კარსა.
რაც ლმობიერმა გულმა გკითხოს,—ჰკითხე მას ჯვარსა.
მირიანის დროს ხელში ეპყრა წმიდა ასულსა,
აწ ძველს ტაძარში მასა ჰპოვებ წმიდად დაცულსა.
ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი:
ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი!...
სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედა არს წარწერილი
ჩვენი სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობა ბნელი!
გსურს სცნო მის აზრი, რაც ცრემლითა მასზედ სწერია?
აი ეს აზრი: „წმიდა ჯვარი და ივერია!“
მათთვის მხურვალედ მამა-პაპათ გულნი უძგერდნენ.
მათ დასაცვლელად მთელს აზიას მწარედ ებრძოდნენ.
ერთის ხელითა წმინდათ ტაძართ, პალატთ ვაგებდით:
და მეორეთი მტერსა ეცემდით, ხმალს არ ვაგებდით:
„ან სულ გავწყდეთო და ან მტერთა ვძლიოთ ეგება“.
სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შეღება!
მაგრამ კეთილი შენი გული, ვხედავ, ჭმუნვარებს,
მაგ ლამაზ თვალში მარგალიტი ცრემლი ელვარებს!
ხედავ, მაგათგან რაღა დაგვრჩა? მათ სამარენი,
და მტერთაგანა შემუსვრილნი მათნი არენი!
ერთი საუნჯეც დაგვჩენია,—აი ის ჯვარი...
მაგრამ ქართველი მათთვის მოკვდეს, კვლავაც მზა არის!—
ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამა, გულთ საკლავი და სავალალო!

III

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;

რომ მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა.
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...
აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:
„ურწმუნოთ მამულს არ მივსცემო, არა და არა!“

—

იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან, იბრძვის ზედ მტკვარზედ,
იბრძვის ოთხკუთხივ, გარეთ და შინ, ზედ თავის კარზედ;
ებრძვის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუჭავს თვალსა;
საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა!
მაგრამ ეგ ღვაწლი, დიდი ღვაწლი, კარგი კმა არი!
მტერთა დროშებით მოცულია ქალაქის კარი.

—

როგორ თუ კმაა? მაშ ირაკლი საყვარელს მამულს,
ქრისტეს მცნებითა განათლებულს, ბუნებით შემკულს,
მისცემს ურწმუნოთ უომრად, სისხლ დაუღვრელად?
წინ მტერი უდგეს, არ გაიდეს ბრძოლისა ველად?
როგორ? იკისროს—რაც თვით დასცა—სპართა მონება
და შერჩეს კიდევ თვალთ სინათლე, თავში გონება?!
ან რაღად უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი;
თუ ქართველთ მეფეს დაერქმევა ყეენის ვალი!*)
ან თუ აღარ ჰყავს ირაკლისა ერთგულნი ყმანი,
მამულისათვის სასიკვდილოდ მარადის მზანი?
ან თუ შამქორში, ასპინძაში სრულებით გაწყდნენ,
და მათ გმირთაგან ან მათ ძენი არსად არ დარჩნენ?
არა! თან ახლავს კიდევ გმირსა სამი ათასი;
სამი ათასი ქართველთ დასი არს დიდი დასი.
ძველნი თავადნი, აზნაურნი მას თან ახლავან,
მწარე ომებში დახვრეტილნი ჩვენ არა გვგვანან!
ქალაქის კარი მაგრად მათგან არს დაჭერილი;
„აქ სულ გავწყდეთო!“ ნათლად გულში აქვთ დაწერილი.—
კრწანისის ბოლოს გურამიძე ზარბაზნებს მართავს,
ან მტერს სულ გასწყვეტს, ან მტრის ხელით მოიკლავს ზედ თავს.
მოხუცი მეფე მკვირცხლის თვალით დღეს მტრის ურდოს ზომს,
ხვალ გაუმართავს მტერს ჩვენებურს, მამა-პაპურს ომს.
მაგრამ უეცრად რა ძმა-ყმათა თვალთა მიაქცევს,
თვალთაგან ცრემლთ ცხართა უნებურთა მიწაზედ აქცევს.
გენანის ძმანი, შენნი ყმანი? მშმუნვარე ნუ ხარ;
წინ გაქვს სხვა ვალი, იშრე თვალი, ჩემთვის ნუ სწუხარ!
აგერ მზე ჩადის და აბრწყინებს მეტეხზედ ჯვარსა,
მის მადლი ძლევას, გამარჯვებას მისცემს შენს ჯარსა!

---

*) ვ ა ლ ი სპარსულად ნიშნავს ყეენის მოადგილეს.
ავტ.

აჰა, თენდება ის დიდი დღე, ძნელი საამბოდ...
ქართველნო, ყური დამიგდეთ, უნდა გიამბოთ:
სამი ათასი სამოც ათასს წინ დაუხვდება...
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება!
აბა შეხედეთ ჩვენს ქართველთა პატარა დასსა,
როგორ იღწვიან და ებრძვიან სამოც ათასსა!
მაგრამ რა გითხრათ, რა გიამბოთ? ჩვენს უღონო სულს,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უგრძნობელს გულს
მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს,
გმირთ მამაპაპათ ბნელი ეტლი არ მოგვგვრის ცრემლებს!
ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი...
ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსჭამოთ,
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ-ძმათ ცილი ვწამოთ;
ოღონდ კი ჩვენთვის მზე მნათობდეს და ცაში ნუ ჰქუხს,
რა გვენაღვლება, რაც რომ მოხდა მაშინ სოღანლუხს!..
თუ ნათლად გვქონდეს გულის გრძნობა და ნათლად პირნი,
ბევრს მოგვითხრობდნენ არაგვის და მტკვრისა ნაპირნი.

IV

არაგვისა და მტკვრის კიდენო, სამშობლო კიდევ,
თაყვანს გცემ დილით და მზის ჩასვლით თაყვანს გცემ კიდევ.
დიდი მოთხრობა თქვენზედ არის სისხლით ჩართული,
მაგრამ შენთ შვილთა სხვით რითმე გვაქვს თვალი გართული.
თვალ-წინ გადგეშლი მშვენებათა უხვთა, მდიდართა,
გვიხარის ჩქეფა და კამკამი შენთ წყალთ მცინართა,
უხვად ვიყნოსებთ ჰაერს წმინდას, სუნნელოვანსა,
სიხარულითა შევმზერთ შენს ცას ლაჟვარდოვანსა.
ის კი არ ვიცით და არ გვესმის, მისთვის არ ვზრუნავთ,
რა ისტორიის დედა-მიწას ფეხითა ვთრგუნავთ!
მას აღარ ვფიქრობთ, იმ გმირს მაშინ რა ცეცხლი სწვავდა,
სამშობლო ქვეყნის აღდგინება თუ აღარ სწამდა...

—

გმირო, სცან ტკბილი განსვენება შენ მხოლოდ იმ ჟამს,
როცა ქართველნი დაატირდნენ თელავში შენს გვამს...
გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,
მოსათხრობელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი.

—

და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ-წინა, თქვენს კარს ვწყდებოდით?

თქვენ ირაკლისა ღიმილითა თავსა უკრავდით,
რჩევას აძლევდით და ქებისა ტაშსა უკრავდით!
თავიანთ საქმეც ბევრი ჰქონდათ თქვენს მამა-პაპათ:
უამბორებდნენ ზოგნი რომში თვისთ წმინდათ პაპათ;
ზოგნი თვისთ მთავართ აღსრულებდნენ მონებით ნებას
და მათ სასახლეთ კეკლუცთ დიაცთ უძღვნიდნენ ქებას!
და შვილებსაც-კი ხმირად გაზისთ შავი ბეჭედი.
არ დაიდუმებს ისტორია, ნუ გაქვსთ იმედი!
მართლმადიდებელთ წმიდა სისხლი კისერს გედებათ,
მავრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!..

V

გონება ხელობს, განშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა.
მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
ნუთუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?
თუ დაბადება სამყაროსი იყო მის ნება,
და თუ ეს აზრი არ არს შტერთა და ცრუ ზმანება,
თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვათა, მთათა და ველებს
თავის შუქითა, სიუხვითა ის აცხოველებს;
თუ მან დაგვბადა, მან გვცა გრძნობა, ჭკუა და ენა,
თუ მან ეს ტყენი, ეს მდელონი აღმოაცენა;
თუ თვის ქმნილებას საზღვარი და კანონი მისცა,
და სული საღმრთო და ცხოველი შთაბერა და სცა;
თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების,—
მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!...
შენ არ მოგვსვლია გულს ეს გმობა, პატარა კახო,
როს გადაავლე შენს ქალაქსა ავლაბრით თვალი
და დაინახე, ოთხის კუთხით ავარდა ალი?!

—

რად მიმაქციე ტურფა სახე, ტურფა ასულო?
ეწყინა ჩემგან ღვთისა გმობა, იგრძენი, სულო!

VI

მაგრამ რას ვროტავ უბედური და რასა ვუბედავ!
მე შემოქმედის განკიცხვასა როგორა ვბედავ?
ვარ მომაკვდავი, ქმნილი მიწით, მსხვერპლი მიწისა;
შთამომავალი ადამისა, თესლი მიწისა;
სიკვდილი მელის და სიკვდილსა ვერ გავექცევი,
საფლავს მკვდარიცღა არ დავრჩები, მიწად ვიქცევი,

ვბედავ კი მივწვდე მოკლე ქკუით მაღალ ღვთაებას,
მსურს უბედურსა, გზა ვუჩვენო ციურსა ნებას;
ვბედავ ვიძიო ზენა--სიბრძნე მე სუსტის ძალით,
ვბედავ განვსჭვრიტო ღვთის განგება მე ბნელის თვალით?
ღმერთო კეთილო! მომიტევე შენს დაბადებულს,
ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს, გულგადაგებულს.
რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,
რა საქართველო დანგრეული მომელანდება.
რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევნიც იქნება განჰქრნენ
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც აღარსად დარჩნენ...
მომიახლოვდა მაშინ ტურფა, მშვიდი ასული,
გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უძგერდა გული:,
„გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათგან არ გაჰქრებიან,
გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან:
მართლმადიდებელთ ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი
მოგფენსთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს, და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება;
ამიერ თქვენთან დავამყარე წმიდა კავშირი,
ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი!..

•

VIII

დაევმხე წმიდა, მშვენიერის ასულის წინა,
უამბორებდი მის ფერხთ მტვერსა:—ტურფავ, ხარ ვინა?
თუმცა პასუხი მშვენიერმა არარა მომცა,
მაგრამ ნათელი და სიცოცხლე მოკლულს გულსა სცა!..

ამერნი იმერთ

ძმანო იმერნო,
ვით ჩვენ, ივერნო!
დიდს დღესასწაულს შორით გილოცავთ,
და ღვთის ვედრებით ამერნი გლოცავთ!
ღმერთმა თქვენს იმერს მადლი მოჰფინოს,
ნათელნი დღენი მას მოუვლინოს,
რომ აღარ ნახოს, რაც ნახა ბნელი,
ბედნიერება წინ ედგას გრძელი!
აღყვავებული შვენებით აღდგეს,
როგორც ედემი, ისე აღყვავდეს,
რომ იმის ბედი იმის მტერს ჰშურდეს,
ყოვლის მხრით კაცსა მის ნახვა ჰსურდეს!

რომ თქვენნი ძენი იყვნენ დღეგრძელნი,
მოშორდნენ შორსა მათ დღენი ბნელნი!
მოშორდნენ შურსა, მოშორდნენ ცთომას,
დაეპყრან მხოლოდ სწაელას და შრომას.
თქვენი სამშობლო მიწა-მამული
შეიქმნას მათგან ყველგან ქებული!

—

ღმერთმა ინებოს, რომ თქვენნი ქალნი
იყვნენ მარადის სხვა ქალთა თვალნი!
მშვიდნი და წყნარნი, სრულნი შვენებით,
იყვნენ მთლად ქვეყნად განთქმულნი ქებით;
არ მიეკაროს მათ ავი თვალი,
არსად დაუხვდეს მათ ავი კვალი...
და მეც მაღირსოს ღმერთმა თვის მადლით,
ზექედის მთისა ტაძრის სიმაღლით
კვალად ვუმზერდე მე გელათს მარცხნივ,
ტურფად გადაშლილს ქუთაისს მარჯვნივ,
ჩემ წინ რიონის კამკამით დენას
და მათ უტოლო, მდიდარს შვენებას;
და მხიარული ჭურების ნაპირს
ვსვამდე ჯავახურს და ცოლიკაურს!

—

გ ა ლ ი ა

სადაც გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს
ნებისა.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი.

ნუ დაატყვევებთ შროშანსა, ნუ ჩასვამთ გალიაშია:
ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ფრინავდეს, სტვენდეს ბაღშია.
ნუ დაუტყვევებთ არწივსა: მთა-კლდეა მისი სამშობლო,
მის სანავარდო ცა არის, მის სადგურია ფრიალო.
ნუ დაატყვევებთ გულს ტურფას: იმისი გული ზღვა არის;
ვინც უყვარს, დეე მას წაჰყვეს, სიკვდილი არის სხვა მის-
ღმერთმა მას მისცა ის გული, მის არსი იმის გულია, [თვის;
იმის სიცოცხლე და შვება მხოლოდ ის სიყვარულია!
ნუ დაუტყვევემთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა;
დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას,—მაშია ყოფა ნებისა.
ღვთის ქმნილს გალია არ შვენის, რად იყოს ტყვეობაშია?
ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა პეტერბურგში 1787 წელს. 12 წლამდე იგი სწავლობდა პეტერბურგის პანსიონში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო მეტად მხიარული, დარდიმანდი კაცი, მეპურმარილე. ჩინებულად უკრავდა თარსა და ჩონგურზე, რომელსაც დამღეროდენ თვითონ და მისი ქალიშვილები. ერთი მისი ქალიშვილი მეუღლე იყო პოეტ გრიბოედოვისა.

პოეტი ალ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1846 წ. 5 ნოემბერს. ასაფლავია შუამთის მონასტერში, ქ. თელავის მახლობლად.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიას ახასიათებს: ა) ინდივიდუალიზმი და ღრმა გრძნობელობა, ბ) გონების წინააღმდეგ რეაქცია და გ) სოციალური თანასწორობის მოტივის ცდა („ვაი სოფელსა და მისთა მდგმურთა“).

გრიგოლ ორბელიანის დაბადების წელი ნამდვილად არ არის გამორკვეული, მაგრამ ბიბლიოგრაფების აზრით იგი დაბადებულია 1800 ან 1804 წელს.

გრ. ორბელიანმა წერაკითხვა შეისწავლა ანჩისხატის დეკანოზ ალექსი-მესხიშვილთან. შემდეგ სწავლობდა მაშინდელ კეთილშობილთა სასწავლებელში, საიდანაც გადავიდა არტილერიის სკოლაში.

გარდაიცვალა 1883 წელს 21 მარტს ღრმად მოხუცებული.

გრ. ორბელიანი ნამღვილი რომანტიკოსია-მგლოვიარე წარსულზე, გულგატეხილი მომავალზე. თუმცა თავის სიცოცხლის ბოლო ხანებში ილია ჭავჭავაძის და სხვა რეალისტ მწერლების ზეგავლენით მასში მოხდა ერთგვარი გარდატეხა და ქედი მოიხარა დემოკრატიზმის წინაშე და დასწერა ლექსი „მუშა ბოკულაძე“.

ალექსანდრე ორბელიანი იყო პოეტ ვახტანგ ორბელიანის ძმა. იგი დაიბადა 1801 წელს.

ტფილისის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა პეტერბურგის სამხედრო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1028 წ. მაგრამ ალექსანდრე სტოვებს სამხედრო სამსახურს და 1832 წ. შეთქმულების სრული მონაწილე ხდება. იგი თანამშრომლობდა ჟურ. „ცისკარ“-ში. სწერდა მოთხრობებს, ლექსებს, დრამებს, პუბულიცისტ. წერილებს, ისტორიულ მემუარებს და სხვ. ალექსანდრე ორბელიანის ნაწერების ერთი ნაწილი გამოსცა 1879 წ. ზაქარია ჭიჭინაძემ. ალ. ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816—1845) იყო დისწული ქართველი მგოსნის გრიგოლ ორბელიანისა. ნიკოლოზის მამა მელიტონ ბარათაშვილი მეტად ფიცხი და ხელგაშლილი კაცი იყო, სამაგიეროდ დედა დიდი პოეტისა—ეფემია იყო—გულკეთილი, მშვიდი და წყნარი ადამიანი. ნიკო შინაურობაში ტატოდ წოდებული, დაიბადა 1816 წელს. ქართული წერა-კითხვა ისწავლა თავის დედისაგან. შემდეგ მიაბარეს კალოუბნის სამრევლო სასწავლებელში. თერთმეტი წლის რომ შეიქნა, შეიყვანეს მაშინდელ კეთილშობილთა

სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1835 წელს. ნიკო მეტად ბეჯითი მოწაფე იყო, მაგრამ თანაც ცელქი და მოუსვენარი. 1832 წელს იგი გადმოვარდა კიბიდან და ორივე ფეხი დაიშავა, რამაც ხელი შეუშალა სამხედრო სამსახურში შესვლაზე. ღარიბი ოჯახის შვილმა ვერც უნივერსიტეტში მოახერხა წასვლა და იძულებული შეიქნა გამხდარიყო უბრალო მოხელედ, გამწესდა მაშინდელ სასამართლოში ხუთ-მანეთიან ჯამაგირზე. ცხრა წელიწადი სინიდისიერად იმსახურა მაშინდელ საქართველოს უზენაესს სასამართლოს განყოფილებაში, მაგრამ სტოლის უფროსობას ვერ გასცილდა. გარდაცვალების წინა წელიწადს დანიშნეს მაზრის უფროსის თანაშემწედ ჯერ ნახიჩევანში და შემდეგ ამავე თანამდებობაზე გადმოიყვანეს განჯაში, სადაც 1845 წლის, 9 ღვინობისთვეს გარდაიცვალა, შობიდგან 29 წლისა. დასაფლავებულ იქმნა განჯაში. მხოლოდ 1893 წელს ქართველობამ, მისი ნეშტი დიდის ზეიმით, გადმოასვენა ტფილისს და მიაბარა დიდუბის სასაფლაოს.

ნიკო ბარათაშვილი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე იმ დროს, როცა „საქართველოში არ არსებობდა არც გაზეთი, არც თეატრი, არც საზოგადოებრივი დაწესებულება, ან რაიმე შინაარსიანი გასართობი. ნაცნობ-ნათესავები იკრიბებოდენ სადილ-ვახშმად, დროების გასატარებლად, ჭორებისა და ძველსა (თუ ახალი) ამბების გასაზიარებლად. ჩვენი მგოსანიც ჩაითრიეს ამგვარ დროს ტარებაში, მაგრამ ბუნებითმა ნიჭმა და გულის დაუშრეტელმა ცემამ აღამაღლეს იგი თანამედროვე საზოგადოებაზე, განაშორეს იგი წვრილმან ანგარიშს და ჩაუსახეს მას ჭეშმარიტების და იდეალის მოპოების მისწრაფება“ (ალ. ხახანაშვილი). „ახალგაზრდა მგოსანი არ იყო კმაყოფილი თავისი ბედისა და აში ნელ ტანჯვას განიცდიდა“.

აი, რა გულსაკლავ წერილსა სწერს თავის ნათესავ ქალს:

„კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც აქვს ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი არ იყოს, რომელიც, ჩვენ იცი, დიდიხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით, შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიწყარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში! **ვინც მაღალი გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია, ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელი საწამლავისა! სად განისვენოს სულმა? სად მოიდრეკო თავი?** (წერილი მაიკოსადმი 12 ნოემბერს 1842 წ. *). ასეთია ბედი ყველა იმ რჩეულთა, რომელნიც „სოფლად არიან, მაგრამ სოფელი კი მათ ვერა სცნობს!“. განა არ შეეძლოთ გრ. ორბელიანსა და სხვებს ხელი გაემართნათ, ფეხზე დაეყენებინნთ ახალგაზრდა მგოსანი?

ბარათაშვილის ნამდვილი პორტრეტიც კი არსად იპოება. ერთად ერთი მისი დაგეროტიპი დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა, არ მახსოვს რომელ წელს. გოლოვინის (რუსთაველის გამზირის) სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფია, სადაც ეს დაგეროტიპი გადაეცა ფოტოგრაფისათვის ილია ჭავჭავაძეს.

*) ხაზი ჩვენია. რედ.

გადმოცემით, გაგონებით, ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახის, პირხმელი, შავის ცოცხალის თვალებით, წაბლის ფერის თმით, საშუალო ტანისა და სიხქისა. მისი ხშირი წარბები, ერთმანეთზე გადაბმული და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისკენ, ამხილებდენ მასში ოდესღაც ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართა ჩამომავალს (ი. მეუნარგია; იხ. ფირცხალავას გამოცემა ბარათაშვილის ლექსებისა, ტფილისი, 1922 წ., გვ. 26).

გიორგი ერისთავი (1811—1864) დაიბადა 1811 წელს ქსნის ერისთავის ოჯახში. დედა პოეტისა მარიამი—მდივნის ივანე **ქობულაშვილის** ასული, იყო ქართული ენისა და მწიგნობრობის ზედმიწევნით მცოდნე.

ათ წლამდე გიორგი სწავლობდა შინ დედის ზედამხედველობის ქვეშ, ათის წლისა კი მამამ მიაბარა კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც მან დაჰყო მეხუთე კლასამდე. შემდეგ ორ წელიწადს სწავლობდა მოსკოვის ერთ ერთ პანსიონში. იგი შევიდა ტფილისის გუბერნატორთან სამსახურში, შემდეგ კი გადავიდა მთავარ მართებელ როზენის ამალაში. გიორგი ერისთავი და იმ დროის შეგნებული ახალგაზრდები დიდი უკმაყოფილონი იყვნენ რუსების მოხელეებისა, რომლებიც სულ უბრალოზე შეურაცსყოფას აყენებდენ ქართველებს. ერთი ასეთი შეურაცსყოფა იგემა თვით გიორგიმაც. როდესაც რუსეთის ცნობილმა მწერალმა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ალ. ჭავჭავაძის ქალზე, მთავარ მართებელმა პასკევიჩმა მეფე-დედოფალს სასახლეში მეჯლისი გადაუხადა. სხვათა შორის გიორგი ერისთავიც უნდა დასწრებოდა ამ მეჯლისს, მაგრამ ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი გიორგი კარის კაცმა სასახლეში არ შეუშვა.

გიორგი ერისთავი ცნობილია ჩვენში, როგორც დრამატურგი, მაგრამ იგი ჩინებულ ლექსებსაცა სწერდა. დაწერილი აქვს სულ 48 ლექსი. ამათში 14 ნათარგმანია. საუკეთესო მის ნაწარმოებში არის დრამატიული პოემა »შეშლილი". აქ გამოყვანილია ნამდვილი ქართველი ტიპები.

პირველი მისი პიესა არის „გაყრა", აქვს კიდევ პიესები „დავა", „ძუნწი", „ჩინ-მაჩანის ქუდი" და სხვა. თავის პიესებში გიორგი ერისთავი გვიხატავს იმ დროინდელ თავად-აზნაურებს, ფუქსავატ ინტელიგენციას, ჩარჩ-ვაჭრებს.

პლატონ იოსელიანის სიტყვით გიორგი ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვისა". მანვე დაარსა პირველი ქართული თეატრი, გამოსცა პირველი ქართული ჟურნალი, იგივე უნდა ჩაითვალოს რეალურ მიმართულების დამწყებად ჩვენს ლიტერატურაში. გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 1864 წ.

დანიელ ჭონქაძე (1830—1860) იყო მღვდლის შვილი. პირველად სწავლობდა ძაუგის (კავკავის) სასულიერო სასწავლებელში, მერე გადმოვიდა ტფილისის სემინარიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და რაკი ოსური ენა ზედმიწევნით იცოდა, ამავე სემინარიაში დაინიშნა ოსური ენის მასწავლებლად, თანაც იყო მოხელედ სასინოდო კანტორისა.

დანიელ ჭონქაძემ პირველმა ამოიღო ხმა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და დასწერა ცნობილი მოთხრობა „სურამის ციხე". დანიელს მეტი არა დაუწერია-რა, რადგანაც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, ოცდა ათი წლისა (1860 წ.).

დანიელ ჭონქაძის მნიშვნელობის შესახებ ვრცელი მონოგრაფია აქვს დაწერილი ამხ. ფილიპე მახარაძეს. „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო".

ასაფლავია დანიელი ვერის ძველ სასაფლაოზე.

რამდენადაც საყურადღებოა ჩვენთვის, ქართველებისათვის დანიელ ჭონქაძე, იმდენად და უფრო მეტად დააფასებენ მას საქართველოს ოსები, ვინაიდან დანიელმა მათ შეუქმნა ანბანი და ჩაუყარა საძირკველი ოსურ მწერლობას— სამღვთო წერილის წიგნების გადათარგმნით ოსურ ენაზე.

ლავრენტი არდაზიანი (1818—1870) ჩამომავლებით ეკუთნოდა სასულიერო წოდებას. განათლება მიიღო სასულიერო სემინარიაში და შემდეგ იმსახურა სახაზინო პალატაში. მეტად შრომის მოყვარე კაცი იყო და თავისუფალ დროს სწირავდა ქართულ მწერლობას. გარდაიცვალა 1870 წ. ასაფლავია ვერის ძველ სასაფლაოზე, ეკლესიაში შესავალ კარებთან.

არდაზიანის კალამს ეკუთნის მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". ეს წმინდა ისტორიულ სოციალური დოკუმენტი, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობის მიერ ჩვენში გამოწვეულ გარდატეხას მხატვრულ ფორმებში გადმრგვცემს.

გრიგოლ რჩეულიშვილმა (1819—1877) განათლება მიიღო ტფილისის გიმნაზიაში. მსახურობდა არდაზიანთან ერთად სახაზინო პალატაში. გარდაიცვალა 1877 წ. ესეც მარხია ვერის ძველ სასაფლაოზე. არდაზიანის ცოტა მოშორებით. გრიგოლ რჩეულიშვილი იყო ჟურნალ „ცისკრის" საუკეთესო ბელეტრისტი. ის ზედ მიწევნით იცნობდა ევროპის მწერლობას და ამ მწერლობის ზეგავლენით ქართულადაც დასწერა რამოდენიმე საყურადღებო მოთხრობა: „ანუკა ბატონიშვილი", „თამარ ბატონიშვილი", „ქვრივის ლიმონები" და სხვა.

ნიშვილი", „ქვრივის ლიმონები" და სხვა.

გრიგოლ რჩეულიშვილის ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა ჯერ სათანადოთ არ არის გამოკვლეული და შესწავლილი.

ბარბალე ჯორჯაძისა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის ქართველ მწერალთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე მწერალი ქალი ბარბალე ჯორჯაძისა.

იგი იყო ღვიძლი დაჲ ცნობილი პოეტის რაფაელ ერისთავისა, გარდაიცვალა ქ. თელავში 1895 წელს.

წერა დაიწყო 1858 წ. ჟურნალ „ცისკარში".

ბარბალე იყო შინაურულად ოჯახში აღზრდილი, მაგრამ მისი მსჯელობა აკვირვებდა ხოლმე ბევრს ევროპიულ ცოდნით აღჭურვილ პირს.

იგი მეტად ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავის დროზე დიდადაც იყო გამოჩინებული. ეს იყო პირველი მანდილოსანი მწერალი, რომელმაც ყურადღება მიაქცია, ეგრედ წ. ქალთა საკითხს ჩვენში და დიდი კამათი გაუმართა ილია ჭავჭავაძეს მწერლობაში ახალი სტილის შემოტანისათვის.

მართალია, ბარბარე ჯორჯაძისა ამ კამათში დამარცხებული დარჩა, მაგრამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი მწერლობის განვითარების საქმეს.

დღეს ბარბარე ჯორჯაძის ლექსები მეტად უფერული და უგემური გვეჩვენება, მაგრამ მაიც საყურადღებოა ეიკოდეთ, რა ჰანგზე სწერდა ეს იმ დროის დიდად გამბედავი და ქართული მწერლობის სიწმინდისათვის მებრძოლი მწერალი ქალი.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა და მეორე ნახევრის შემაერთებელი ხიდი არის ცნობილი მგოსანი **ვახტანგ ორბელიანი** (1818—1890).

ვახტანგ ვახტანგის-ძე ორბელიანი დაიბადა 5-საპრილს, 1812 წელს. მამა მისი ვახტანგ ორბელიანი თავის შვილის დაბადების წელს გარდაიცვალა. პირველ წელსვე დაობლებული ვახტანგ დარჩა დედის მზრუნველობის ქვეშ.

დედა პოეტისა იყო თეკლე ბატონიშვილი, უმცროსი ასული ერეკლე II-ისა. პირველ ცამეტ წელს ვახტანგ იზრდებოდა დედასთან. ტფილისში. 1825 წელს კი იგი გაუსტუმრებია დედას პეტერბურგს და მიუბარებია პაჟთა კორ-

პუსში. იქ ვახტანგ დარჩენილა ხუთი წელიწადი, და თუმცა წარმატებით სწავლობდა, მაგრამ ცივი ჰავა ჩრდილოეთისა ვეღარ აუტანია, რის გამო ვახტანგ დათხოვნით წამოუყვანიათ პეტერბურგიდან.

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, 1830—1832 წლები ვახტანგმა ტფილისში გაატარა. ამ წლებში ვახტანგ დაუახლოვდა „საიდუმლო მეგობრის", საზოგადოებას, რომელიც აჯანყებას ამზადებდა, და გახდა ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი. ეს შეთქმულობა, როგორც ცნობილია, შინა-გამცემლობის გამო ჩაიშალა. აჯანყება უნდა დაწყებულიყო 1832 წელს, დეკემბრის გასულს, მაგრამ აჯანყების დაწყების წინა დღეებში (9 დეკემბერს 1832 წელს) შეთქმულობის მთავარი კომიტეტი გასცა იასე ფალავანდიშვილმა.

კერძოთ, ვახტანგ ორბელიანი გადაასახლეს შიდარუსეთში (კალუგაში), ვახტანგმა გადასახლებაში დაჰყო 1837 წლამდე, და სასჯელის მოხდის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

გარდაიცვალა ვახტანგ ორბელიანი ტფილისში, 1890 წელს, სექტემბრის 29-ს, მოხუცებაში მყოფი, 73 წლისა.